როლები შეცვლილია, პრობლემები - უცვლელი A3

მიშა და მისი რაზმი A8

მონადირე B6



www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ხუთშაბათი, 18 დეკემბერი, 2003 წელი. №326 (538)

ფასი 50 თეთრი


# ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლება ექსტრემალური სიტუაციისთვის "რეპეტიციას" გადის

გიორგი ასანიშვილი

*თავდაცვის სამინისტროს ეროვნული მართვის ცენტრში გუშინ ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენლები შეიკრიბნენ. მოქმედი პრეზიდენტი ნინო ბურჯანაძე, სახელმწიფო მინისტრი ზურაბ ჟვანია, თავდაცვის მინისტრი დავით თევზაძე, შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი ბარამიძე და გენერალური პროკურორი ნუგზარ გაბრიჩიძე დახურულ თათბირზე თითქმის სამი საათის განმავლობაში მსჯელობდნენ ექსტრემალურ სიტუაციებში ძალოვანი და სამართალდამცავი უწყებების კოორდინირებულ ქმედებებთან დაკავშირებულ საკითხებზე.*

გაგრძელება A3 გვერდზე



ნინო ბურჯანაძის მიერ ჩატარებული თათბირის შემდეგ დავით თევზაძემ ჯარების სახეობების ხელმძღვანელები შეკრიბა.

# ქართული შანსი

## დღეს საქართველო წარმოადგენს დემოკრატიული ცვლილებების ეპიცენტრს მთელი "საბჭოთა კავშირისათვის", მათ შორის - რუსეთისთვისაც

ვიქტორ კალაშნიკოვი
მარინა კალაშნიკოვა
"რუსსკი კურიერ"

რუსული ოფიციალური პროპაგანდა საქართველოში მომხდარ რადიკალურ ცვლილებებს აღწერს, როგორც "გადატრიალებას", მოსკოვის გეოპოლიტიკური ინტერესების ხელყოფას, ან უზნეო და საშიშ პოლიტიკურ ბრძოლას, მაგრამ არავითარ შემთხვევაში, როგორც დემოკრატიულ რევოლუციას. რუსულმა მედიამ კრემლიდან მიიღო ინსტრუქცია, მაქსიმალურად უარყოფითად გააშუქოს საქართველოში მიმდინარე მოვლენები. მათ უნდა აჩვენონ ღრმა პოლიტიკური კრიზისი და საქართველოს ახალი ხელძღვანელობა ნაციონალიზმსა და "არასტაბილურობისა და ტერორიზმის" ახალი ტალღის აგორებაში დაადანაშაულონ.

ცხადია, საქართველოში ხელისუფლების ცვლილებამ მოსკოვის გაღიზიანება და უკმაყოფილება გამოიწვია. კრემლს იმედი ჰქონდა, რომ ძველებურად შევარდნაძესა და აბაშიძესთან დაიჭერდა საქმეს. ორივენი რუსული ნომენკლატურის ღვიძლი შვილები არიან. ასე რომ, მოსკოვი ფიქრობდა, რომ საბჭოთა დროიდან შემორჩენილ კავშირებზე დაყრდნობით, ეტაპობრივად განახორციელებდა საქართველოში ექსპანსიას.

გაგრძელება A5 გვერდზე

# თედო ჯაფარიძე მოსკოვს დიალოგისთვის ამზადებს

რუსუდან ნიკურაძე
*საქ. კორ. მოსკოვში*

რუსეთი მზადაა საქართველოს ახალ ხელისუფლებასთან ყოვლისმომცველი მოლაპარაკებების დასაწყებად. ასეთ დასკვნამდე მივიდა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი თედო ჯაფარიძე რუს დიპლომატებთან და, პირველ რიგში, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვალერი ლოშჩინინთან შეხვედრის შემდეგ. რუსული მხარე საქართველოსთან ურთიერთობის "ახალი ფურცლიდან" დაწყებას ცდილობს, სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობის, ჩარჩო ხელშეკრულების, სავიზო და რეგიონული საკითხების მოგვარებით. ქართველ ჟურნალისტებთან საუბარზე რუსმა დიპლომატებმა უარი განაცახადეს და პრესასთან ბრიფინგზე მხოლოდ თედო ჯაფარიძე და რუსეთში საქართველოს ელჩი ზურაბ აბაშიძე გამოჩნდნენ.

თედო ჯაფარიძე: **"რუსული მხარე დაგვთანხმდა, რომ უნდა მოიძებნოს საქართველოსთან მიდგომის განსხვავებული ფორმები, ჩვენს ურთიერთობებში უკვე დაგროვილი, ადრე არსებული პოზიტივის გათვალისწინებით. იყო სავიზო პრობლემაზე საუბარი ლოშჩინინთან. ამ საკითხის გამო ჩვენ გულისტკივილი გამოვთქვით, რაზეც გავიპასუხეს, რომ ისინი აქაც მზად არიან, გამოიჩინონ პრაგმატიზმი საქართველოსთან სავიზო რეჟიმის გაუქმებაში. აქ მთელი აქცენტი გადატანილი იყო მომავალი მოლაპარაკებების ხარისხზე. რუს კოლეგებთან მოლაპარკებების მთავარი მომენტი იყო საქართველოს ხელისუფლების ლეგიტიმაციის საკითხი. მთავარია ის, რომ რუსული მხარე დაგვეთანხმა ერთ პრინციპულ საკითხში: არ უნდა დავუშვათ ორი ქვეყნის საგარეოპოლიტიკურ ურთიერთობებში პაუზის შექმნა."**

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროდან თედო ჯაფარიძე რუსეთის ხელისუფლების მაღალ ჩინებთან შესახვედრად გაეშურა. თავდაპირვლად, ქართული დიპლომატიური წყაროები გვარწმუნებდნენ, რომ დაგეგმილი იყო შეხვედრა რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივან ვლადიმერ რუშაილოსთან. საღამომდე ქართული დელეგაცია ჟურნალისტების თვალს მიეფარა. ჩვენი ინფორმაციით, ბატონი ჯაფარიძე ხელისუფლების სხვადასხვა სტრუქტურების წარმომადგენლებს სასტუმრო "ნაციონალში" არაფორმალურ ვითარებაში შეხვდა. ჟურნალისტები კი საქართველოს საელჩოში დაიბარეს. აქ გამართულ ხანმოკლე ბრიფინგზე ბატონმა თედომ გვაუწყა, რომ შეხვედრა რუშაილოსთან არ შემდგარა, სამაგიეროდ შევხდა პუტინის ადმინისტრაციის ორ მაღალჩინოსანს, რომელთა თანამდებობასა და გვარებს ვერ დაასახელებს.

გაგრძელება A3 გვერდზე

# დემოკრატიული შტურმი, ანუ ვარდების რევოლუცია, ბათუმში დაიწყო

მაია ქალაგანიძე

*ზუსტად, სტატისტიკურად ვიცით, "აჭარის იზოლაციის" პირველ საღამოს ათი ადამიანიდან ერთი თუ გაბედავდა პროტესტის ქუჩაში გამოხატვას. გუშინდელი მონაცემებით, ათიდან რვა - ქუჩაში გამოსასვლელად მზად არის, ოღონდ, მათ წინამძღოლი ჭირდებათ...*

*ძნელი მისახვედრი ნამდვილად არ არის - დავით ბერძენიშვილთან, 27 წლის ასაკის სტაბილურად ოპოზიციური "რესპუბლიკური პარტიის" თავმჯდომარესთან, ყველაზე დიდხანს, მის საყვარელ და მშობლიურ, აჭარის თემაზე ვისაუბრეთ...*

გაგრძელება B1 გვერდზე





დავით ბერძენიშვილი "24 საათის" რედაქციაში.

## პოლიტიკა

### სოციალისტები მომავალს ეძებენ

თავისი ბელადის აქტიური პოლიტიკური ცხოვრებიდან წასვლის შემდეგ, "სოციალისტებს" ახლა დამოუკიდებლად მოუწევთ იმის გარკვევა, თუ რა პოზიცია დაიკავონ მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებთან და დღეისათვის მოქმედ პარლამენტთან დაკავშირებით, ან რა კუთხიდან შეუდგნენ საკუთარი პარტიის რეორგანიზებას.

A2

## ეკონომიკა

### მეპურეები ისევ შეღავათებს ითხოვენ

სოფლის მეურნეობის სამინისტრო და მეწარმეები ბაზარზე პურპროდუქტების დეფიციტსა და, შესაბამისად, მასზე ფასების კვლავ მომატებას ვარაუდობენ.
ეს საშიშროება თავიდან რომ აიცილონ, მეწარმეები პარლამენტისა და ფინანსთა სამინისტროსგან განსაკუთრებული საგადასახადო შეღავათების დაწესებას მოითხოვენ.

A4

## უცხოეთი

### ერაყის ამბები

აშშ-ს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა ამერიკული ტელეარხისათვის - "ეიბისი" - მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ ერაყის ყოფილი ლიდერი სასჯელის უმაღლეს ზომას – სიკვდილს იმსახურებს.

A5

## საზოგადოება

### შავბნელი საახალწლო გუდა ლეიბორისტებისგან

საოლქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა ლეიბორისტების სარჩელი და, შესაბამისად, გაზის ტარიფის ფიქსირებული გადასახადი – 27 თეთრი, უცვლელი დატოვა. ლეიბორისტებმა სასამართლოს ამ გადაწყვეტილებას გუშინ პრესკონფერენცია მიუძღვნეს. მათ ხელიდან არ გაუშვეს შესაძლებლობა და დღევანდელ ხელისუფლებას კიდევ ერთხელ გადასწვდნენ.

A6

## სამართალი

### ყაყაჩოს თესლი საქართველოში არ გამოილია

შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტზე დანიშვნისთვანავე გია ბარამიძის მიერ სამომავლო მუშაობის პრიორიტეტად გამოცხადებული ნარკობრძოლა გრძელდება. თუმცა, პოლიციის მიერ წამოწყებულ ანტინარკომანიულ კამპანიას ჯერ მხოლოდ დიდი რაოდენობით ყაყაჩოს თესლი და რამდენიმე ჩინოსნის თანამდებობა შეეწირა.

A7

## ამინდი

| | |
|---|---|
| თბილისი | 12 |
| ქუთაისი | 14 |
| ბათუმი | 17 |
| სოხუმი | 12 |
| ფოთი | 15 |
| თელავი | 12 |
| ზუგდიდი | 14 |
| გორი | 9 |
| ახმეტა | 12 |
| ჭიათურა | 12 |
| გაგრა | 8 |
| სამტრედია | 15 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.0900 |
| ევრო | 2.5782 |
| გირვანქა სტერლ. | 3.6487 |
| რუბლი | 0.0713 |

# კოორდინაცია - ძალოვანი უწყებების "აქილევსის ქუსლი"

*ძალოვანი უწყებების კოორდინაციის გასაძლიერებლად, ამერიკის თავდაცვის სახელმწიფო მდივნის თანაშემწის თქმით, საქართველო დახმარების სახით კომპიუტერულ ტექნიკას, რადიო-კავშირის საშუალებებსა და სხვა აუცილებელ მოწყობილობას მიიღებს.*

კობა ლიკლიკაძე
*„რადიო თავისუფლება"*
*სპეციალურად "24 საათისთვის"*

საფრთხეების დადგენა და კრიზისების მართვა "ძალოვან" უწყებებად წოდებული საქართველოს უსაფრთხოების სტრუქტურების აქილევსის ქუსლია. სწორედ ამიტომ, ქართულ-ამერიკული "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამის პირველი ფაზა იმ ოფიცერთა ჯგუფის მომზადებას ისახავდა მიზნად, რომლებიც სხვადასხვა გასამხედროებულ უწყებებში შესაბამისი პროფილით, ანუ კრიზისის მართვის მიმართულებით მუშაობდა. ასეთ სტრუქტურას ამერიკაში "თეთრი სახლის" სტრუქტურასაც ეძახიან და ამ ცენტრის შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი იყო შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრის თანაშემწე საქართველოს საკითხებში, პოლკოვნიკი ოთარ შალიკაშვილი.

**"ეს არის მექანიზმი, რომელიც შესაძლებლობას მისცემს ძალოვან სტრუქტურებს კოორდინირებულად იმოქმედონ კრიზისულ სიტუაციებში. რაც ჩვენ შევთავაზეთ საქართველოს და საქართველომ მიიღო, არის ის, რომ ჩამოყალიბდეს კონტროლისა და მართვის სტრუქტურა, რომელშიც წარმოდგენილი იქნება უსაფრთხოების სისტემის ყველა შემადგენელი სეგმენტი,"** - აცხადებდა მაშინ ჩვენთან ინტერვიუში ოთარ შალიკაშვილი.

გაგრძელება A3 გვერდზე

# "რაოს" მაღალჩინოსანი "თელასის" ინტერესების დასაცავად ჩამოდის

## დღის წესრიგში კი "გსეკ"-ის მიერ დენის იმპორტის დაწყება დგას

მაია ურუშაძე

### რაპაპორტი თბილისში

დღეს თბილისს "რაო ეეს როსიის" მმართველთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ანდრეი რაპაპორტი ეწვევა. სხვათა შორის, "რაოს" მაღალჩინოსანი "თელასის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეობასაც ითავსებს. მისი ვიზიტი ჯერ კიდევ ერთი კვირის წინ იგეგმებოდა, მაგრამ რაპაპორტის ჯანმრთელობის გაუარესების გამო გადაიდო.

რაპაპორტის ვიზიტის გამო, გუშინ აფხაზეთში გამგზავრება გადადო სათბობ-ენერგეტიკის მინისტრმა მამუკა ნიკოლაიშვილმა. შეგახსენებთ, რომ ის აფხაზეთის ენერგოსისტემის – "ჩერნომორენერგოს" ხელმძღვანელთან სერგეი ბალაფშთან შეხვედრას გუშინ გეგმავდა. იმის გამო, რომ ენგურჰესში წყლის დონე კატასტროფულად იკლებს, ნიკოლაიშვილს აფხაზურ მხარესთან სადგურის კაშხლიდან ჰიდრომარაგის ხარჯვის ორმხრივი გრაფიკი უნდა შეეთანხმებინა.

გაგრძელება A4 გვერდზე

# „სააკაშვილის ყოფილი მტერი მის გუნდში გადაბარგდა"

წინასაარჩევნო პერიოდში სამცხე-ჯავახეთში, უფრო კონკრეტულად კი, ნინოწმინდის რაიონში ვითარება შეიძლება საკმაოდ დაიძაბოს. უკვე რამდენიმე დღეა, რაც იქ მიხეილ სააკაშვილის საარჩევნო შტაბის უფროსად პარლამენტის წევრი ენზელ მკოიანი დაინიშნა. ამ დანიშვნას კი რაიონში არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა. სააკაშვილის ადგილობრივი მხარდამჭერები ერთხმად ამტკიცებენ, რომ ენზელ მკოიანი სააკაშვილის მტერია.

ენზელ მკოიანი ორი ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში სახელისუფლებო ბლოკის მაჟორიტარი კანდიდატი იყო და წინასაარჩევნო პერიოდში "ბურჯანაძე-დემოკრატებისა" და "ნაციონალური მოძრაობის" წინააღმდეგ საკმაოდ მკვეთრი განცხადებებით გამოირჩეოდა. რთული სათქმელია, რატომ აირჩია "ნაციონალურმა მოძრაობამ" ნინოწმინდაში საკუთარ საყრდენად სწორედ ენზელ მკოიანი, მით უფრო, რომ (როგორც მისი მოწინააღმდეგეები ამტკიცებენ), მკოიანი საკმაოდ სოლიდური კაპიტალის მქონე ადამიანია, მას ქონება სომხეთიდან ნავთობპროდუქტებისა და სიგარეტის

გაგრძელება A2 გვერდზე

# დატოვებენ თუ არა პატიმრობაში მერაბ ჟორდანიას?

## განაჩენი დღეს იქნება

*„ხავერდოვანი რევოლუციის" შემდეგ სამართალდამცველი უწყების თავკაცთა მიერ გაჩაღებული ანტიკორუფციული შეტევის პირველი პრაქტიკული ნაბიჯი კლუბ "თბილისის დინამოს" ყოფილი პრეზიდენტის წინააღმდეგ წლების წინ აღძრული და შემდეგ დაარქივებული კორუფციული საქმის სააშკარაოზე გამოტანა გახდა.*

ინგა ალავიძე

ცოტა ხნის წინ პროკურატურისა და შსს-ს თავკაცთა მიერ გაკეთებული ხმაურიანი განცხადებების შემდეგ, ბიუჯეტისთვის მსხვილი თანხების დამალვაში დადანაშაულებულ პირთა შორის, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია სამართალდამცველთა რისხვის პირველი ობიექტი გახდა.

**"ეს ჯერ ჟურნალია, კინო მერე ნახეთ,"** – დაწყებული "სადამსჯელო ღონისძიებების" პირველი შედეგის - მერაბ ჟორდანიას დაპატიმრების შემდეგ - განაცხადა შს მინისტრმა გია ბარამიძემ, რომლის უწყებაც კლუბ "თბილისის დინამოს" საქმეს იძიებს. **"მე არ ვარ ის პიროვნება, ვისაც ადამიანის დაპატიმრება უხარია. დააბრუნოს მერაბ ჟორდანიამ და სხვებმაც ბიუჯეტისთვის დამალული თანხები, და დაუყოვნებლივ გაათავისუფლებენ. ამის გამო ვერ რიგდება პენსიები, ხელფასები, ვერ ვიბრუნებთ აფხაზეთსა და სამაჩაბლოს.**

გაგრძელება A7 გვერდზე


A2 პოლიტიკა A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 თვალსაზრისი

B1 ნომრის სტუმარი B2 რევიუ B3 რევიუ B4 სპორტი B5 სპორტი B6 მონადირე B7 სხვადასხვა B8 სხვადასხვა

## ევროპელების ოპტიმიზმი

ევროკავშირი და ევროკომისია, ახალ ხელისუფლებას ცუდი თვალით ნამდვილად არ უყურებენ. ასეთი განწყობა გუშინ არ დამალა სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის წარმომადგენელმა ჰეიკი ტალვიტიემ, რომელიც საქართველოში ვიზიტით 15 დეკემბერს ჩამოვიდა. საქართველოდან იგი უკვე დღეს მიემგზავრება. აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან გამართული შეხვედრების შემდეგ ტალვიტიემ, ევროკომისიის წარმომადგენელ მარკ ფრანკოსთან ერთად, ახალ ხელისუფლებას კორუფციასთან ბრძოლის მონდომება და რეფორმების გატარების სურვილი მოუწონა. მომავალში თუ ასეთივე დადებითი დასკვნა ჩვენს ახალ ხელისუფლებას, დაახლოებით, თებერვლისთვის ჩამოსულმა სავალუტო ფონდმაც მისცა, ადრე გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, დახმარების სახით, საქართველო რამდენიმე ათეულ მილიონს მიიღებს. 12 მილიონი დოლარი კვების უსაფრთხოებაზე გამოიყოფა, 40 მილიონი კი - ცალკე კრედიტის სახით. როგორც ჩვენი სტუმარი გვამშვიდებდა, ამ დახმარების იმედი ჩვენ ნამდვილად უნდა გვქონდეს. სხვათა შორის, ტალვიტიე საქართველოში არსებული ვითარებით იმდენად დაინტერესდა, რომ თბილისში ყოფნისას აჭარის ლიდერთანაც კი ჰქონდა სატელეფონო საუბარი. მანამდე ასლან აბაშიძეს ტალვიტიე მცირე ხნით ბაქოშიც, ჰეიდარ ალიევის დაკრძალვაზე შეხვდა. ტალვიტიე აბაშიძესთან საუბრის დეტალებს არ აკონკრეტებს, აცხადებს, რომ მასთან საუბარში **"აბაშიძემ მომავალი არჩევნების ბოიკოტირების თაობაზე არც ჰო თქვა და არც არა".** თავად ტალვიტიეს კი იმედი აქვს, რომ **"აჭარა მაინც მიიღებს მონაწილეობას არჩევნებში. მთავარია, ცენტრსა და ხელისუფლებას შორის დაწყებული დიალოგი გაგრძელდეს".**

*24 საათი*

## ეუთო-ს დელეგაცია ზურაბ ჟვანიას საკონსტიტუციო ცვლილებებზე ესაუბრა

გუშინ ეუთო-ს დელეგაცია სახელმწიფო მინისტრს ზურაბ ჟვანიას შეხვდა. დახურული შეხვედრის დასრულების შემდეგ, ეუთო-ს მისიის ხელმძღვანელმა საქართველოში როივ რივიმ განაცხადა: **"ჩვენმა მუდმივმა წარმომადგენლობამ სახელმწიფო მინისტრთან, ძირითადად, სამი საკითხი დააყენა: 1. კონსტიტუციური ცვლილებები; 2. დაფინანსება, რომელიც არჩევნებისთვის გამოვყავით; 3. სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებული პრობლემები."** რივის განმარტებით, ჟვანია მზადყოფნას გამოთქვამს საკონსტიტუციო ცვლილებებისთვის, რომლებიც ქვეყანაში 4 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ უნდა გატარდეს. რივი არ აკონკრეტებს, სახელდობრ, რა სახის ცვლილებებია მოსალოდნელი. **"ეს არჩევნების შემდეგ გადაწყდება",** - ბრძანა მან ჟურნალისტებთან საუბრისას. ზურაბ ჟვანია გუშინ პირველად შეხვდა ეუთო-ს დამკვირვებელთა მისიის ხელმძღვანელს გრეკშენს.

## ძალოვნები უშიშროების საბჭოს გაფართოებული სხდომისთვის ემზადებიან

გუშინ საღამოს სახელმწიფო კანცელარიაში ჩატარებულ ძალოვან მინისტრთა ტრადიციულ შეხვედრას ტრადიციული ბრიფინგი არ მოჰყოლია. როგორც გაირკვა, ამიერიდან, ძალოვან მინისტრებთან საღამოს შეხვედრების ნაცვლად, ჟურნალისტებს მოქმედი პრეზიდენტის პრესმდივნის კომენტარების მოსმენა მოუწევთ.

გუშინდელი შეხვედრის წინასწარ გამოცხადებული ფორმატი კი სხვა მხრივაც შეიცვალა. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, თავდაპირველად ძალოვნებთან ეკონომიკური ბლოკის მინისტრების შეერთებასაც ვარაუდობდნენ. ამის მიზეზი სამართალდამცველ სტრუქტურებში ორი თვის დაურიგებელი ხელფასების პრობლემა გახლდათ. თუმცა, გუშინ საღამოს ეკონომიკური პროფილის მინისტრები შეხვედრაზე არ გამოჩენილან. ნინო ბურჯანაძის პრესმდივნის, გიორგი არველაძის განცხადებით კი, ძალოვნებმა საღამოს შეხვედრაზე იგივე თემები "გაიარეს", რის შესახებაც დილით, პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის თანდასწრებით, თავდაცვის სამინისტროს ეროვნული მართვის ცენტრში ისაუბრეს. კერძოდ, საქმე ეხება ძალოვანი სტრუქტურების კოორდინირებული მუშაობის უზრუნველყოფას.

ამასთან, გიორგი არველაძის განცხადებით, შეხვედრაზე იმ საკითხებსაც შეეხნენ, რომელთა განხილვაც უახლოეს მომავალში დაგეგმილ, უშიშროების საბჭოს გაფართოებულ სხდომაზეა გადაწყვეტილი. ამაზე მეტად, ძალოვანთა თითქმის ორსაათიანი შეხვედრის დეტალები გუშინ არ დაკონკრეტებულა.

*24 საათი*

კულუარები

## სოციალისტები მომავალს ეძებენ

*სავარაუდოდ, დღეს "სოციალისტური პარტია" გადაწყვეტს, თუ რა გზას დაადგეს ვახტანგ რჩეულიშვილის გარეშე. თავისი ბელადის აქტიური პოლიტიკური ცხოვრებიდან წასვლის შემდეგ, "სოციალისტებს" ახლა დამოუკიდებლად მოუწევთ იმის გარკვევა, თუ რა პოზიცია დაიკავონ მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებთან და დღეისათვის მოქმედ პარლამენტთან დაკავშირებით, ან რა კუთხიდან შეუდგნენ საკუთარი პარტიის რეორგანიზებას. "სოციალისტური პარტიის" მთავარმა კომიტეტმა დღეს სასტუმრო "მეტეხში" სწორედ ამ სამ ძირითად კითხვას უნდა გასცეს პასუხი.*

ლელა მჭედლიძე

გარდა ამისა, დღის წესრიგში დგას პარტიის თავმჯდომარის არჩევის საკითხიც. ამ პოსტზე თავად პარტიის წევრებმა უკვე შეიგულეს საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარე ირაკლი მინდელი. მინდელმა, წესით, პარტიის თავმჯდომარეობა ფრაქციის თავმჯდომარეობას უნდა შეუთავსოს. თუმცა, ფაქტია, რომ ფრაქციის ხელახლა შესაქმნელად "სოციალისტებს" თავის რიგებში, სულ ცოტა, ორი კაცის გადაბირება სჭირდებათ. როგორც კარგად ინფორმირებული წყაროები ამბობენ, "შევსების" საჭიროება მას შემდეგ გაჩნდა, რაც პარტიის რამდენიმე წევრმა ახალი ხელისუფლების მიერ შეთავაზებული წინადადება მიიღო აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურებში დასაქმების შესახებ. ამ კატეგორიაში ნამდვილად არ ხვდება იური ჩიხრაძე, რომელიც, მართალია, სახელმწიფო მინისტრის მოადგილის პოსტს ინარჩუნებს, მაგრამ მხოლოდ იმ მიზეზით, რომ, ზურაბ ჟვანიას თქმისა არ იყოს, "მავნე მინისტრ კარტოზიას" მსგავსად, იგი პოსტის დატოვებას საკუთარი ნებით არ აპირებს.

მთავრობაში პოსტზე "სოციალისტობის" გამცვლელთა სიაში ერთ-ერთ პერსონად ვახტანგ კვიციანს ასახელებენ, რომელიც პარლამენტში საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის წევრი იყო, ახლა კი მისთვის ადგილი ერთ-ერთ საკონსულოში გამოიძებნა.

"სოციალისტებს" ჯერ კიდევ ვერ გაურკვევიათ, თუ რა პოზიციას დაიკავებენ მომავალ არჩევნებთან დაკავშირებით - ბოიკოტის თუ პასიური მონაწილეობის. ფაქტია, რომ "ისტორიულ სანაგვეზე" აღმოჩენის პერსპექტივა მათ ნაკლებად ხიბლავთ. სწორედ ამიტომ დადგა დღის წესრიგში "სოციალისტების" გუნდში კაპიტნის ცვლილების საკითხი. საქმე ის არის, რომ, თუ ვახტანგ რჩეულიშვილის განზე გადგომა გარკვეულ წრეებში შიდაპარტიული განხეთქილების შედეგად ჩაითვალა, თავად "სოციალისტები" პირად საუბრებშიც კი ამას კატეგორიულად უარყოფენ. ვახტანგ რჩეულიშვილი პარტიის რიგით წევრად იმიტომ ჩამოქვეითდა, რომ მიხვდა, მისი შევარდნაძესთან ასოცირებული სახელი ამ ეტაპზე "სოციალისტური" პარტიისთვის მხოლოდ ბალასტი იქნებოდა. დაახლოებით, ასეთია "სოციალისტების" მიერ არაოფიციალურად გაცხადებული, მაგრამ მაინც ოფიციალური ვერსია.

# „სააკაშვილის ყოფილი მტერი მის გუნდში გადაბარგდა“



*სამცხე-ჯავახეთელი "ნაციონალები" აღშფოთებულნი არიან.*

თეიმურაზ სახიჩაშვილის ფოტო

პირველი გვერდიდან

კონტრაბანდით აქვს დაგროვილი და ამის თაობაზე ადგილზე ყველამ შესანიშნავად უწყის. და კიდევ: ენზელ მკოიანი პარლამენტის ვიცე-სპიკერის, წარსულში საკმაოდ წარმატებული და მდიდარი ბიზნესმენის, მერაბ სამადაშვილის ახლო გარემოცვაში მოიაზრება.

**"იგი ფულის ტომარაა, კონტრაბანდით აქვს ქონება შეძენილი. არჩევნების დღეს ნინოწმინდაში "ნაციონალური მოძრაობის" ლიდერებს "ფაშისტებს" ეძახდა. ახლა კი მიხეილ სააკაშვილის შტაბის უფროსია და ოპოზიციაში ისევ ისინი აღმოჩნდნენ, ვინც "ნაციონალურ მოძრაობას" მხარს უჭერდა ხავერდოვანი რევოლუციის დროს. ჩვენ დარწმუნებულები ვართ, რომ სააკაშვილმა არაფერი იცის ამ დანიშვნის თაობაზე. როგორც ჩანს, იგი, საკუთარი გარემოცვის დამსახურებით, სრულ ინფორმაციულ ვაკუუმშია და დღემდე არ იცის, რომ მისი მტრები შტაბის უფროსებად ინიშნებიან, ხოლო ხალხი, რომელიც ვარდების რევოლუციის განმავლობაში მის გვერდით იდგა, იგნორირებული აღმოჩნდა. ჯავახეთიდან სააკაშვილთან თხუთმეტკაციანი დელეგაციაა ჩამოსული და მესამე დღეა, მასთან შეხვედრას უშედეგოდ ცდილობენ. ეს სააკაშვილის გარემოცვის დამსახურებაა. ენზელ მკოიანის საარჩევნო შტაბის უფროსად დანიშვნის გადაწყვეტილება თბილისშია მიღებული. ჩვენ რამდენჯერმე ვცადეთ დავკავშირებოდით ვანო მერაბიშვილს, რომელიც ამ რეგიონს კურირებს პარტიაში, მაგრამ უშედეგოდ,"** – ეს განცხადება გუშინ "სახალხო ალიანსის" თავმჯდომარემ გივი გოდერძიშვილმა გააკეთა. მისივე თქმით, ეს პარტია "ნაციონალური მოძრაობის" მხარდამჭერია და "ნაციონალების" ადგილობრივმა წევრებმა დახმარებისთვის სწორედ მათ მიაკითხეს.

თავად ადგილობრივ "ნაციონალებს" გუშინ საჯარო განცხადებები არ გაუკეთებიათ. ისინი "სახალხო ალიანსის" პრესკონფერენციას მხოლოდ გვერდიდან მაყურებლის სტატუსით დაესწრნენ და ყველანაირ ოფიციალურ კომენტარზე უარი განაცხადეს. მოტივი – ენზელ მკოიანისა და მისი მხარდამჭერების მხრიდან მოსალოდნელი რეპრესიები...

თავის მხრივ, "ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთი ლიდერი ვანო მერაბიშვილი ამ დანიშვნის საჯაროდ გახმაურების ფაქტმა საკმაოდ გააღიზიანა. **"ვერ გავიგე, რა არის ამაში კრიმინალური? კაცი მოვიდა და დახმარება შემოგვთავაზა. უარით უნდა გაგვესტუმრებინა? მერე რა, რომ არჩევნების დროს ასეთ განცხადებებს აკეთებდა. ეს ხომ პოლიტიკური ბრძოლაა. საერთოდ, ახლა ყველა ჩვენი გულშემატკივარი და მხარდამჭერი გამოდის. თავის დროზე კი იქ ვერავინ ვიპოვეთ, ვისაც დავეყრდნობოდით,"**– ასეთი მოკლე კომენტარით შემოიფარგლა ვანო მერაბიშვილი.

ნამდვილად ძნელი დასაჯერებელია, რომ ენზელ მკოიანის დანიშვნა მხოლოდ "ნაციონალებისათვის" მხარდამჭერის შეთავაზებამ განაპირობა. ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, დღეს გამარჯვებულის მხარეს დადგომას ისურვებს ყველა, ვისაც საკუთარი კაპიტალის გადარჩენის იმედი აქვს. მეორე მხრივ, ალბათ, "ნაციონალურ მოძრაობას", ისევე, როგორც "გაერთიანებულ დემოკრატებს", ადგილებზე სრულიად ახალი სახეების გამოძებნა და მათზე დაყრდნობა საკმაოდ გაუჭირდებათ.

*24 საათი*

## სამუშაო ადგილის მომსახურე საინფორმაციო ტექნოლოგიის (IT) ინჟინერი

კომპანია "ბი-პი"-ს მილსადენების პროექტის ფარგლებში და "ბი-პი"-ს უშუალო ხელმძღვანელობით, შპს IRA კონკურსზე იწვევს სათანადოდ კვალიფიცირებულ პირებს სამუშაო ადგილის მომსახურე საინფორმაციო ტექნოლოგიის (IT) ინჟინრის თანამდებობის დასაკავებლად. სამუშაო ადგილის მომსახურე IT ინჟინერი წარმოადგენს საქართველოში "ბი-პი"-ს მილსადენების მშენებლობის პროექტის კონტრაქტორ მესამე მხარეს, რომელიც "ბი-პი"-ს ხელმძღვანელობის ქვეშ იმუშავებს.

**სამუშაოს აღწერა**

სამუშაო ადგილის მომსახურე IT ინჟინერი პასუხისმგებელია ოფისში მომუშავე პერსონალის დახმარებასა და ტრეინინგზე სხვადასხვა სახის პროგრამული და ტექნიკური უზრუნველყოფის მოხმარების კუთხით, როგორიცაა Microsoft Windows 2000, Microsoft Office 2000 Professional, მათ შორის Word, Excel, Power Point და MS Access.

**მოვალეობები და პასუხისმგებლობა**

IT ინჟინრის ზოგადი მოვალეობები მოიცავს, თუმცა არ იფარგლება შემდეგით:

- კომპანიის უსაფრთხოების მართვის სისტემის განხორციელება და დაცვა, უსაფრთხოების მაღალი კულტურის დამკვიდრება.
- მომხმარებლებისთვის MS Office 2000-ისა და იმ სხვადასხვა პროგრამული პაკეტების მოხმარების სწავლება, რომელთაც ოფისის პერსონალი იყენებს.
- სამაგიდო საოპერაციო სისტემისა და ადგილობრივად ინსტალირებული პროგრამული უზრუნველყოფის მომსახურება.
- კლიენტის გამოყენებითი პროგრამის ინსტალირება, ტესტირება, კონფიგურირება და შენახვა უკანასკნელად დამტკიცებული ვერსიით.
- ახალი და არსებული პერსონალური კომპიუტერის ტექნიკური უზრუნველყოფის გადაადგილება, ინსტალირება და კონფიგურირება საჭიროებისამებრ ყველა სამუშაო ტერმინალზე.
- სატელეფონო ქსელის და სხვა სატელეკომუნიკაციო აპარატურის, მაგალითად ოფისის ტელეფონების შესახებ სააღრიცხვო ჩანაწერების წარმოება.
- სამუშაო სადგურებზე საოპერაციო სისტემების საწყისი ჩატვირთვა, ტექნიკურ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული პრობლემების ანალიზი და მოგვარება.
- ჯგუფის წევრების დახმარება გამოყენებითი სისტემებით სარგებლობაში და ოფიციალური და არაოფიციალური ტრეინინგების ჩატარება.
- მომხმარებლების დახმარება ავტომატიზაციასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებაში და საჭიროებისამებრ სხვა ჯგუფებთან კოორდინირება.
- მითითებისამებრ პროცედურების, ინსტრუქციების, დოკუმენტაციის და საქმიანობის მიმდინარეობის შესახებ ანგარიშების მომზადება.
- საჭიროებისამებრ სხვა მოვალეობები.

**გამოცდილება და განათლება**

სამუშაოზე აყვანის კანდიდატს უნდა გააჩნდეს შემდეგი უნარ-ჩვევები და კვალიფიკაცია:

- სულ მცირე 3 წლის გამოცდილება ავტომატიზაციის სფეროში
- ქართული - მშობლიური ენა, ინგლისური და რუსული ენების უმაღლეს დონეზე ფლობა
- სერტიფიკატი Microsoft-ის პროგრამულ უზრუნველყოფაში
- თვითმოტივაცია, სამშენებლო პროექტის დინამიკურ ატმოსფეროში მუშაობის და დაწესებული მოთხოვნების ალღოს აღების უნარი
- დადებითი პირადი თვისებები და ურთიერთობის დამყარების შესანიშნავი უნარი
- პროექტის მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით, დამატებითი სამუშაოს შესრულებისთვის მზადყოფნა
- სისტემატურად მოწოდებული ტექნიკური ინფორმაციის ათვისების და ეფექტურად გამოყენების უნარი
- **თვითკონტროლი, პასუხისმგებლობა და ავტორიტეტი:** სისტემატიზირებულ და ყოველდღიური ზედამხედველობის გარემოში მუშაობის უნარი.
- **ზეგავლენა:** პასუხისმგებლობა საკუთარ ქმედებებზე.
- **სამუშაოს კომპლექსურობა:** სხვადასხვა დიაპაზონის და კონტექსტის მქონე დავალებების შესრულება სხვა თანამშრომლებთან ხშირად მიმართვის გარეშე.
- **აუცილებელი უნარ-ჩვევები:** შესასრულებელი სამუშაოსადმი რაციონალური და ორგანიზებული მიდგომა. საკუთარი სამუშაოს დაგეგმვის, გრაფიკზე აყვანის და კონტროლის უნარი. კოლეგებთან და ზედამხედველებთან ეფექტური კავშირის დასამყარებლად საკმარისი ზეპირი და წერილობითი ურთიერთობის უნარი.
- **საინფორმაციო ტექნოლოგიების სპეციფიკის ცოდნა:** IT ინჟინერმა უნდა გაიაროს საწყისი მომზადება მის სამუშაოსთან დაკავშირებული მეთოდიკის, პროცედურების, საშუალებების, მოწყობილობის და სტანდარტების ეფექტურად გამოყენების მიზნით.

**განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია**

თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების ბოლო ვადაა **2003 წლის 29 დეკემბერი, ორშაბათი.**

კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

**ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.**

საქართველო, თბილისი, საბურთალოს ქუჩა N38
"ბი-პი ჯორჯია"
"ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია"
**კადრების დეპარტამენტი**

მოკლედ

### მოლაპარაკებები იანვარში განახლდება

დევნილთა საკითხებზე, ქართულ-აფხაზურ მხარეთა მოლაპარაკებების მორიგი, მესამე რაუნდი იანვარში იგეგმება, რაც პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინისა და ამჟამად უკვე ყოფილი სახელმწიფო მეთაურის ედუარდ შევარდნაძის სოჭში, მარტში მიღწეულ შეთანხმებათა შესაბამისად წარიმართება.

ჰეიდი ტალიავინმა სამშაბათს მოსკოვში გამართულ შეხვედრაზე ვალერი ლოშჩინინს ინფორმაცია მიაწოდა, გაეროს გენმდივნის მოადგილის, მშვიდობის მხარდამჭერი ოპერაციების დეპარტამენტის ხელმძღვანელის ჟანმარი გიენოს კონფლიქტის ზონაში ცოტა ხნის წინანდელი ვიზიტის შესახებ, რომლის დროსაც შეხვედრები შედგა ქართულ-აფხაზურ მხარეთა მაღალჩინოსანთა და რუს სამშვიდობოთა წარმომადგენლებთან. **პრაიმ-ნიუსი**

### აბაშიძესთან შეხვედრამ მაილსი ოპტიმისტურად განაწყო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლება ითხოვს, რომ ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ვითარება კონსტიტუციის ჩარჩოებში მოგვარდეს, თუმცა აღნიშნულის გაკეთება რთულია.

ამის შესახებ აჭარის ავტონომიის მეთაურმა ასლან აბაშიძემ ჟურნალისტებს განუცხადა ოთხშაბათს, საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩ რიჩარდ მაილსთან გამართული შეხვედრის შემდეგ.

აბაშიძის თქმით, გამოსავალი უნდა მოიძებნოს, მაგრამ ამისთვის მხოლოდ აჭარის ხელისუფლებამ არ უნდა იმოქმედოს.

გამოსავალი უნდა ეძებონ იმ ადამიანებმაც, ვისი "პირადული ცხოვრებაც იცვლება", განაცხადა აბაშიძემ.

როგორც რიჩარდ მაილსმა შეხვედრის შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა, ცენტრსა და რეგიონს შორის ურთიერთობის დარეგულირების პერსპექტივები არსებობს.

მისი თქმით, ის დაძაბული სიტუაცია, რაც აქამდე რეგიონსა და ცენტრს შორის არსებობდა, ამჟამად იცვლება და მისი მოგვარებისათვის ურთიერთპატივისცემაა საჭირო. **პრაიმ-ნიუსი**

ორი სიტყვით

**თბილისი.** შეიარაღებული ძალების გენშტაბში არ გამორიცხავენ, რომ პანკისის ხეობაში ეროვნული გვარდიის ბატალიონი შეიქმნას, რომელიც რეზერვისტთა რიგებიდან ადგილობრივი მაცხოვრებლებით დაკომპლექტდება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პრეზიდენტობის კანდიდატი, პოლიტიკური გაერთიანება "მძლეველის" ერთ-ერთი ლიდერი ზურაბ ქელეხსაშვილი მიიჩნევს, რომ 2004 წლის 4 იანვრის ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები, შესაძლოა, არ ჩატარდეს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი ლევან ბერძენიშვილი მიიჩნევს, რომ "ხავერდოვანი რევოლუციის" ორგანიზატორები - პრეზიდენტობის კანდიდატი მიხეილ სააკაშვილი, სახელმწიფო მინისტრი ზურაბ ჟვანია და პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ნინო ბურჯანაძე საპარლამენტო არჩევნებზე ერთიანობას შეინარჩუნებენ. შემდეგ რა მოხდება, ამის პროგნოზირება რთულია, რადგან ბუნებრივია არსებობს ამბიციები და ინტერესები, - განაცხადა ბერძენიშვილმა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტის ვლადისლავ არძინბას გარემოცვამ ოთხშაბათს, უარყო მასმედიის ზოგიერთი საშუალებით გავრცელებული ინფორმაცია, რომ არძინბა, ჯანმრთელობის გაუარესების გამო, შესაძლოა, თანამდებობიდან გადადგეს. **პრაიმ-ნიუსია**

■ ■ ■

**თბილისი.** ამიერკავკასიაში რუსეთის საჯარისო დაჯგუფების შტაბში პირადი შემადგენლობის რაოდენობის შემცირება, რაც დეკემბერში იგეგმებოდა, არ მოხდა. როგორც პრაიმ-ნიუსს წყარომ აღნიშნული დაჯგუფების შტაბიდან აცნობა, გაუქმებულია ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქის სარდლის დირექტივა, რომლითაც ოფიცერთა შემადგენლობის რაოდენობას 120-ის ნაცვლად, 30 ადამიანი უნდა შეედგინა, სამოქალაქო პერსონალის რიცხოვნობა კი 80-დან ორჯერ უნდა შემცირებულიყო. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** „თამაზ ნადარეიშვილი საზღვარგარეთ აპირებს გაქცევას. იგი ვითომ სამკურნალოდ 7 ათას ევროს ითხოვს სახელმწიფოსგან, რომ საზღვარგარეთ ლეგალურად გავიდეს. ვთხოვთ პროკურატურას, ყურადღება მიაქციოს ამ ინფორმაციას და არ დაუშვას ნადარეიშვილის საქართველოდან გაქცევა", – განაცხადა დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე პოლიტიკური მოძრაობა „დაბრუნებას" თავმჯდომარემ მალხაზ პატარაიამ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** დემოკრატიული აღორძინების კავშირის თბილისის ორგანიზაციის ხელმძღვანელი უკვე მესამე დღეა სტრასბურგში იმყოფება და კერძო შეხვედრებს მართავს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის წარმომადგენლებთან. **მედია-ნიუსი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# როლები შეცვლილია, პრობლემები - უცვლელი

თამარ ხორბალაძე

*ანტიკორუფციულ ბიუროსთან არსებული, პოლიტიკური პარტიებისა და საარჩევნო კამპანიების დაფინანსების გამჭვირვალობის მონიტორინგის ჯგუფის სხდომაზე, რომელიც გუშინ სასტუმრო "მარიოტში" საქართველოში მყოფი ევროსაბჭოს მონიტორინგის ჯგუფის წევრების მონაწილეობით ჩატარდა, როლები შეცვლილი იყო - გუშინ ოპოზიციის სახელით უკვე "სოციალისტები" საუბრობდნენ, ხელისუფლების სახელით კი რეკომენდაციების შესრულების პირობას "ნაციონალები" და "გაერთიანებული დემოკრატები" დებდნენ.*

გუშინ ყველა თანხმდებოდა იმაზე, რომ საქართველოში პარლამენტის წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების დეკლარირებული მოცულობა (ჯამში 4 მილიონ ლარამდე) რეალურ ხარჯებს არ შეესაბამება. ზოგიერთის აზრით კი, რეალური დანახარჯები, მინიმუმ, რვაჯერ მეტი იყო დეკლარირებულზე.

არჩევნების დაფინანსების გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად ჯგუფის წევრების მიერ შემუშავებული რეკომენდაციები ასეთია:

მომზადდეს ცვლილებები საარჩევნო კოდექსში, რომლითაც დაზუსტდება, თუ რა ჩაითვლება ამომრჩევლის მოსყიდვად. შემუშავდეს კანონპროექტი "საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში დამატების შეტანის შესახებ", რომლითაც განისაზღვრება სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა ამომრჩევლის მოსყიდვისათვის.

გუშინ ისიც გადაწყდა, რომ ცვლილებები უნდა წარედგინოს დღეს მოქმედ პარლამენტს და მათი მიღება მომავალ საპარლამენტო არჩევნებამდე მოესწროს.

ჯგუფის გუშინდელ შეხვედრაზე, ტრადიციისამებრ, გვერდი ვერ აუარეს პოლიტიკურ დებატებსა და კომენტარებს. მიუხედავად იმისა, რომ ევროსაბჭოს ექსპერტები გასულ და მომავალ არჩევნებზე ჟურნალისტებთან საუბარს კატეგორიულად არიდებდნენ თავს, რამდენიმე კომენტარის გაკეთება მათ მაინც მოუხდათ:

**"ბევრ ქვეყანაში ყოფილა შემთხვევები, როცა ხალხს აუღია ხელში ხელისუფლება. გაიხსენეთ თუნდაც საფრანგეთის რევოლუცია. როცა პოლიტიკური პროცესები ვითარდება, საზოგადოების ნაწილი კმაყოფილია იმით, რაც ხდება, ნაწილი - უკმაყოფილო... მაგრამ შევარდნაძის გადადგომის შემდეგ ყველას გვესმის, რომ უნდა ჩატარდეს 4 იანვრის არჩევნები და უნდა ჩატარდეს გაცილებით უკეთ, ვიდრე ეს ადრე ხდებოდა,"** - ასე პასუხობს ევროსაბჭოს დელეგაციის ხელმძღვანელი მათიას იორში დღევანდელი ოპოზიციის - "სოციალისტი" ზაქარია ქუცნაშვილის კითხვაზე, როგორ შეაფასებდა იგი "პარლამენტის გარეკვის" ფაქტს.

**"დამოუკიდებლად იმისა, თუ როგორ წარიმართება პროცესები, ევროსაბჭო თქვენთან იქნება და მხარს დაგიჭერთ, რომ საქართველომ დაკისრებული ვალდებულებების შესრულება მოახერხოს. იმედი გვაქვს, რომ ჩატარდება არჩევნები და შედეგები აღარ იქნება ამდენად ამაღელვებელი,"** - აცხადებს ბატონი კირილოვი.

სიების დაზუსტების მიღებულ წესთან დაკავშირებით კი ექსპერტები აცხადებენ, რომ იმ მოკლე ვადაში, რაც საპრეზიდენტო არჩევნებამდე არის დარჩენილი, წინასწარი რეგისტრაციის წესი სიების შედგენის მართლაც ყველაზე ოპტიმალური ვარიანტი გახლავთ.

# დანიშვნები სამეგრელოში

ზუგდიდის რაიონის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლად "გაერთიანებული დემოკრატების" რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარის მოადგილე ბეჟან გუნავა დაინიშნა, ფოთის მერის თანამდებობაზე კი დავით ქანთარია ვახტანგ ალანიამ შეცვალა, აბაშაში სოსო ჭანტურია - მიხეილ ჟვანიამ, ხობის რაიონის გამგებელი დავით კუკავა გახდა, ხოლო მარტვილის - ზაზა რუხაია.

გამგებლის თანამდებობები შეინარჩუნეს წალენჯიხაში — რობერტ კაჭარავამ, სენაკში — გურამ ისაბაშვილმა, მესტიაში — ერეკლე ჯაფარიძემ. **მედია-ნიუსი**

# ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლება ექსტრემალური სიტუაციისთვის "რეპეტიციას" გადის



ბესო გულაშვილის ფოტო

*მათ ამერიკული მომზადება გაიარეს, მაგრამ ხელისუფლება ვერ იყენებდა.*

პირველი გვერდიდან

მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული მართვის ცენტრი, "წვრთნისა და აღჭურვის" ამერიკული პროგრამის ფარგლებში, ჯერ კიდევ 2002 წელს ჩამოყალიბდა, ამ ტიპის შეხვედრა გუშინ, პრაქტიკულად, პირველად გაიმართა. ნინო ბურჯანაძის თქმით, ეს შეკრება ბევრად ადრე უნდა შემდგარიყო, ვინაიდან ექსტრემალური ვითარებების დროს ძალოვანი და სამართალდამცავი სტრუქტურების კორდინირებული მოქმედება, როგორც წესი, ვერ ხერხდება.

როდესაც "საფრთხეებზე" საუბრობს, მოქმედი პრეზიდენტი იქვე მიუთითებს, თუ რა სახის საშიშროებები აქვს მხედველობაში. ესენია: ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის რღვევა, თავდასხმები უმაღლესი თანამდებობის პირებზე და ეკოლოგიური კატასტროფები.

მათი თავიდან აცილების სპეციალური გეგმა ექვსი წლის წინათ - 1997 წელს შედგა, ამიტომ იგი გარკვეულ კორექტირებას საჭიროებს. ნინო ბურჯანაძის განცხადებით, შეხვედრაზე გადაწყდა, რომ აღნიშნული გეგმის დახვეწის მიზნით მუშაობა კვლავაც გაგრძელდება და შემუშავდება კონკრეტული მექანიზმები, რათა ქვეყანა მაქსიმალურად იყოს დაცული ნებისმიერი სახის საფრთხისგან. მოქმედი პრეზიდენტის დავალებით, უახლოეს ორ დღეში უშიშროების საბჭო წარმოადგენს შესაბამის წინადადებებს, რომლის საფუძველზეც ქვეყნის უმაღლესი პირი სპეციალურ განკარგულებას გამოსცემს. ამ დოკუმენტით განსაზღვრული იქნება ეროვნული მართვის ცენტრის კონკრეტული ფუნქციები.

რაც შეეხება თავად ეროვნული მართვის ცენტრს, ნინო ბურჯანაძე მისი დათვალიერებით ძალზე კმაყოფილი დარჩა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ იგი ტექნიკის უკანასკნელი მიღწევებით არის აღჭურვილი.

მოქმედი პრეზიდენტის თქმით, დახურული შეხვედრის დროს საკადრო ცვლილებებზე საუბარი არ ყოფილა და ეს მხოლოდ მაშინ მოხდება, როდესაც თავდაცვისა და უშიშროების სისტემის რეფორმირების ძირითადი მიმართულებები საბოლოოდ ჩამოყალიბდება.

გუშინდელი შეკრების დასრულებისთანავე თავდაცვის მინისტრმა დავით თევზაძემ სპეციალური თათბირი უკვე ჯარის ცალკეულ სახეობათა სარდლებთან გამართა.

# საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას, საქართველოს პოლიტიკურ ძალებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, ქართულ ინტელიგენციას

მიხეილ მახარაძე
ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

აბესალომ ასლანიძე
ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი

ბოლო ხანებში ქართულ პოლიტიკაში კვლავ აქტუალური გახდა აჭარის თემა. ამ მიმართებით წარმოქმნილი სიძნელეები სათავეს იღებს გასული საუკუნის ათიანი წლების დასასრულიდან. ეს ის დროა, როცა საქართველომ ნანატრი დამოუკიდებლობა მოიპოვა, თუმცა, როგორც შემდგომმა ვითარებამ აჩვენა, დროებით. საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის ხანმოკლე პერიოდში ადგილობრივი ძალების დიდი მცდელობით, ხოლო საქართველოს ანექსიისა და გასაბჭოების შემდეგ საბჭოთა რუსეთის წყალობით, აჭარას აფხაზეთთან ერთად ფართო პოლიტიკური ავტონომია მიეცა. ეს ყველაფერი კი გაკეთდა თვით საბჭოთა საქართველოს მაშინდელი ხელისუფლების გვერდის ავლით.

საქართველოში ავტონომიური წარმონაქმნების ჩამოყალიბება "შეყოვნებული მოქმედების ნაღმი" იყო, რომელიც საჭიროების შემთხვევაში უნდა ამოქმედებულიყო. ეს დროც დადგა და XX საუკუნის 80-იან წლებში, ეროვნული მოძრაობის აღმავლობის ხანაში, ნაღმიც ამოქმედდა როგორც აფხაზეთში, ისე ეგრეთ წოდებულ სამხრეთ ოსეთში. გასაგები მიზეზების გამო, აჭარაში ვითარება ასე ღრმად არ წასულა, თუმცა აჭარის ხელისუფლების სეპარატიზაცია მაინც ვერ იქნა თავიდან აცილებული. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მაშინ საბჭოთა საქართველოს პარტოკრატიამ აჭარის ავტონომიის მექანიზმი ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ აამოქმედა და ამასთან, შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ყველა სიძნელესა და გაუგებრობას აჭარის მოსახლეობის გულისნადებად აცხადებდა.

1990 წლის ოქტომბერში საქართველოს ხელისუფლებაში მოსულმა ეროვნულმა ძალებმა 1991 წლის მარტში დანაშაულის ტოლფასი შეცდომა დაუშვეს. კერძოდ, კანონის უხეში დარღვევით აჭარის ხელისუფლების სათავეში მოიყვანეს მანამდე საზოგადოებისთვის სრულიად უცნობი და ეროვნულ პრობლემებთან შორს მდგომი სამეურნეო მუშაკი - ასლან აბაშიძე. ცოტა ხნის შემდეგ კი, კანონის ასევე უხეში დარღვევით, ამ ანტიეროვნული და სეპარატისტული ძალის ლეგიტიმაცია მოახდინეს. განვლილმა თორმეტმა წელმა ცხადად დაადასტურა მაშინდელი ხელისუფლების საბედისწერო შეცდომები აჭარის საკადრო პოლიტიკასთან მიმართებაში.

კატეგორიულად შევნიშნავთ, რომ ამ ხნის განმავლობაში აჭარის ხელისუფლების სეპარატიზაცია ღრმავდებოდა და დიდ სიძნელეებს უქმნიდა დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოს მშენებლობას. ამასთან, აჭარის ხელისუფლების ხელშემწყობთა როლში გამოდიოდა როგორც ცენტრალური ხელისუფლება (თავისი უნიათობით), ისე ქართული საზოგადოების ერთი ნაწილი, რომელიც არცთუ უანგაროდ ხელსაყრელ ფონს უქმნიდა აჭარის ხელისუფლებას სეპარატისტული ქმედებისათვის. ისიც უნდა ითქვას, რომ ქართული ინტელიგენციის ერთი ნაწილი პირად კეთილდღეობას ანაცვალებდა ქვეყნის საქმეს და მათი პოზიცია იმის მიხედვით იცვლებოდა, თუ რას მიიღებდნენ აჭარის ხელისუფლების კარზე.

საქმე იქამდე მივიდა, რომ სამი წლის წინ აჭარის კონსტიტუცია ისე იქნა მიღებული, მისი პროექტი თვალით არავის უნახავს და, ბუნებრივია, არც მისი საჯარო განხილვა მომხდარა. არადა, აჭარის ახალ კონსტიტუციაში იმდენი ნაღმია ჩადებული, რომ მისი განმუხტვისთვის დიდი ძალისხმევაც აღარ იკმარებს. აქვე აღვნიშნავთ, რომ 2000 წლის აპრილში საქართველოს კონსტიტუციაში აჭარის ავტონომიის დაფიქსირება ქართულმა პოლიტიკურმა ელიტამ და ინტელიგენციის ერთმა დიდმა ნაწილმა თბილისში, რესტორან "არაგვში" პომპეზური ზეიმით აღნიშნა.

აჭარის ხელისუფლების დანაშაულებრივი ქმედება გამოიკვეთა ეროვნული სიმდიდრის - საქართველოს სანაოსნოს განიავებაში. სამწუხაროდ, ამ მიმართებით დაწყებული საგამომძიებლო საქმიანობა დროებით შეჩერდა თუ საერთოდ შეწყდა, ფართო საზოგადოებისთვის დღემდე უცნობია. კარგად არის ცნობილი აჭარის ხელისუფლების სიკერპე ცენტრალურ ბიუჯეტში სავალდებულო თანხების ჩარიცხვაზე, სარფის საბაჟოსთან მიმართებაში და მრავალი სხვა.

ბოლო ხანებში ქვეყანა ახალი რეალობის წინაშე აღმოჩნდა. საქართველოში დაწყებული პოლიტიკური კრიზისი ხალხის საყოველთაო პროტესტში გადაიზარდა, რასაც საქართველოს პრეზიდენტის გადადგომა მოჰყვა. მანამდე კი ქვეყნის პრეზიდენტმა და აჭარის ხელისუფლებამ, გადამთიელსაც რომ არ მოსვლია აზრად, ისეთ ავანტიურას მიმართა: აჭარიდან ორგანიზებულად ჩამოიყვანა ხალხი, რომელიც რამდენიმე დღის განმავლობაში ხელისუფლების მხარდამჭერ ადგილობრივ მცირერიცხოვან ჯგუფთან ერთად მიტინგებს მართავდა რუსთაველის პროსპექტზე, პარლამენტის შენობის წინ. ეს იყო ხელისუფლების მხრიდან აჭარის მოსახლეობის დანარჩენ საქართველოსთან დაპირისპირების ღია მცდელობა, მაგრამ ამაოდ! ქართველი ხალხი, თბილისი და, აჭარიდან ძირითადად ძალით ჩამოყვანილი მოსახლეობა ამ ანკესს არ წამოეგო და ქვეყანა სამოქალაქო დაპირისპირებისგან იხსნა.

ბოლო დღეებში მოსკოვში ჩასული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაური საიდუმლო სერობას მართავს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან, აფხაზეთისა და ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთის თვითმარქვია სახელმწიფოების ხელმძღვანელებთან. ვგონებთ, მავანთათვის ახლა მაინც უნდა გახდეს ცხადი, თუ როგორი ერისკაცია აჭარის ეგრეთ წოდებული ლიდერი.

საქართველოს პრეზიდენტი გადადგა, მას უკან მიჰყვა მისი გუნდი და ის ურთიერთობები, რომელთაც ქვეყნისთვის სიკეთე არ მოუტანია. როგორი უნდა იყოს დამოკიდებულება აჭარის ხელისუფლებასთან ახალ რეალობაში?

მიგვაჩნია და ეჭვიც არ გვეპარება იმაში, რომ თუკი ახალი ხელისუფლება ამ მიმართებით კონსტიტუციის შესაბამისად და კანონის უზენაესობით იხელმძღვანელებს, ვითარება ძნელად, მაგრამ საბოლოოდ მაინც ნორმალური გახდება. მაგრამ თუკი ახალი ხელისუფლება აჭარასთან მიმართებაში ძველი ხელისუფლების მსგავსად მოიქცევა, პირად ინტერესებსა და გარიგებებს მიანიჭებს უპირატესობას, მაშინ ვითარება უფრო გამწვავდება და აჭარის ხელისუფლების სეპარატიზაცია გაღრმავდება.

ვიმედოვნებთ, რომ საქართველოს ახლანდელი ხელისუფლება, ინტელიგენცია და საერთოდ ქართველი საზოგადოება ახლა მაინც აირჩევს სწორ გზას და იმოქმედებს ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე. სხვა შემთხვევაში, ნებსით თუ უნებლიეთ, აჭარის ხელისუფლების სეპარატისტული მისწრაფებების თანამზრახველებად და ხელშემწყობად მოგვევლინებიან.

# კოორდინაცია - ძალოვანი უწყებების "აქილევსის ქუსლი"

პირველი გვერდიდან

ამერიკელი ინსტრუქტორების ხელმძღვანელობით 79 ოფიცრის მომზადება, სამხედრო აკადემიის ბაზაზე, 2001 წლის ზაფხულში დასრულდა. მალევე, ამერიკის დახმარების ფარგლებში, თავდაცვის სამინისტროში თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი კრიზისების მართვის ეროვნული ცენტრიც გაიხსნა. მაგრამ, როგორც ირკვევა, ცენტრმა ეროვნული ანუ ზეუწყებრივი ფუნქცია ვერ შეიძინა და ჯერჯერობით უფრო საპატიო სტუმრების მიღების ფუნქცია აკისრია. მათ სიას ოთხშაბათს შეემატა საქართველოს მოქმედი პრეზიდენტი ნინო ბურჯანაძე, რომელიც აღფრთოვანებული დარჩა ნანახით, მაგრამ იმედგაცრუებული – ძალოვანი სტრუქტურების არაკოორდინირებული მუშაობით, რაც კრიზისების მართვის ცენტრის შესაძლებლობათა სრულად გამოყენების საშუალებას არ იძლევა.

**"მე ვფიქრობ, რომ ეს შეკრება აქ უნდა მომხდარიყო ბევრად უფრო ადრე, თუნდაც 2001 წელს, როდესაც ეს ცენტრი შეიქმნა. ამ საკითხს მე ხშირად ვაყენებდი მაშინაც, როდესაც მე უშიშროების საბჭოს წევრი გახლდით, რადგან თითოეულმა თქვენგანმა კარგად იცის, რომ კოორდინირებული მუშაობა ჩვენი უწყებებისა საკმაოდ გართულებულია. ბუნებრივი, ჩვენ ნებისმიერი საფრთხის თავიდან აცილება უნდა შევძლოთ. ამისთვის კი საჭიროა, რომ ყველა სტრუქტურა კოორდინირებულად მუშაობდეს და მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული ყველა ის რესურსი, რომელიც არსებობს."**

ამ დასანანი გაუგებრობის აღმოსაფხვრელად, გარდამავალი ხელისუფლება აპირებს კრიზისების მართვის ცენტრს ახალი იმპულსი მიანიჭოს. სწორედ ამ მიზნით ნინო ბურჯანაძემ თავდაცვის სამინისტროში სახელმწიფო მინისტრს და ყველა ძალოვანი უწყების პირველ პირს უხმო და მათგან ამ რეჟიმში მუშაობა მოითხოვა. საქართველოს გენერალური შტაბის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის, გენერალ ვლადიმერ იმნაძის განცხადებით, სულ მალე, კრიზისების მართვის უწყებათშორისი ცენტრის შექმნის შესახებ შესამაბისი განკარგულებაც გამოიცემა.

ნიშანდობლივია, რომ ერთი წლის წინ საქართველოს ძალოვანი უწყების ხელმძღვანელების კოორდინირებულმა მუშაობამ, გადამწყვეტი როლი ითამაშა პანკისის ხეობის კრიზისის მოგვარებაში. მაგრამ საფრთხის გადავლის შემდეგ, გასამხედროებულ სამინისტროებს შორის კვლავ თავი იჩინა უწყებათაშორისმა დაპირისპირებებმა. ამბიციური ქართველი გენერლები ვერ თანხმდებიან იმაზე, თუ რატომ უნდა იყოს კრიზისების მართვის ეროვნული ცენტრი მაინცადამაინც თავდაცვის სამინისტროში, რომელიც ისედაც სხვებზე მეტად არის განებივრებული საზღვარგარეთის დახმარებით. მაგრამ ფაქტია, რომ ეს ცენტრი, თავდაცვის სამინისტროში არსებობს და მისი სხვაგან გადატანა არ გამოდგება. თანაც, თუ ხელისუფლება გადაწყვეტს, რომ მას ზეუწყებრივი სტატუსი მიენიჭოს, მაშინ კრიზისების მართვის ცენტრის უფროსობა, როტაციის წესით, სხვადასხვა უწყების წარმომადგენელს შეიძლება დაეკისროს. ამგვარად, საქართველო შეძლებს იმ კადრების შენარჩუნებას, რომელთა გაწვრთნაზე ამერიკელმა სპეციალისტებმა ორი წლის წინ საკმაოდ დიდი თანხები გაიღეს.

თანაც, თუ ოპერატიული თავსებადობა პირველ ყოვლისა მართვის მაღალ ეშელონებში არ იქნა მიღწეული, ტრადიციული, ტერორისტული თუ ასიმეტრიული საფრთხეების გრძელვადიანი განეიტრალება, თუნდაც ყველაზე კარგად გაწვრთნილი და აღჭურვილი რამდენიმე ქვედანაყოფის არსებობის შემთხვევაშიც კი, შეუძლებელი იქნება.

# თედო ჯაფარიძე მოსკოვს დიალოგისთვის ამზადებს



*თედო ჯაფარიძე და ზურაბ აბაშიძე პრესკონფერენციაზე მოსკოვში.*

პირველი გვერდიდან

თედო ჯაფარიძე: **"რუსულ მხარეს აინტერესებს, რა ხდება დღეს საქართველოში, ცნობილი მოვლენების შემდეგ. ამდენად ჩემი ჩამოსვლა და დღევანდელი შეხვედრები საინტერესო და აუცილებელიც იყო. დღეს უკვე შეიძლება ვამტკიცოთ, რომ რუსეთი მზადაა ახალ ლიდერებთან სათანამშრომლოდ. რუსებს აინტერესებთ ისიც, თუ რა მოხდება საქართველოში 4 იანვრის შემდეგ, მაგრამ წინააღმდეგნი არიან ჩვენს შორის პაუზის გახანგრძლივების. ამიტომ მათაც დროულად მიაჩნიათ მოსკოვში ნინო ბურჯანაძის ჩამოსვლა."**

მოსკოვური შეხვედრების შემდეგ ბატონი ჯაფარიძე აცხადებს, რომ უკვე გამოიკვეთა მოსკოვში ბურჯანაძის ვიზიტის სავარაუდო დრო - ეს იქნება მომავალი კვირის დასაწყისი, ზუსტი რიცხვი კი 18 დეკემბერს დადგინდება.

ოფიციალური მოსკოვის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე მეტად მწვავე საუბარი წარიმართა აჭარასთან სავიზო რეჟიმის შერბილებაზეც. ჯაფარიძის კომენტარით, ქართულმა მხარემ დააყენა ავტონომიებთან პოლიტიკური თამაშის მიუღებლობის საკითხიც. ლოშჩინინს მან განუცხადა, რომ შეღავათიანი სავიზო რეჟიმი აჭარასთან დაუშვებელია.

თედო ჯაფარიძე: **"საინტერესო იყო ის, რომ ჩვენი რუსი კოლეგები გაგებით ეკიდებიან ჩვენს პრეტენზიებს, მაგრამ იმავდროულად გვირჩევენ, რომ ცენტრალურმა ხელისუფლებამ უნდა გამონახოს რეგიონებთან პოზიტიური დიალოგის პირობები."**

# აჭარამ არჩევნებში უნდა მიიღოს მონაწილეობა

## ასეთია ევროსაბჭოს ოფიციალური პოზიცია

ევროსაბჭოს მონიტორინგის ჯგუფის ხელმძღვანელი მათიას იორში მიიჩნევს, რომ აჭარამ აუცილებლად უნდა მიიღოს მონაწილეობა 4 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებში, ვინაიდან ეს რეგიონი საქართველოს განუყოფელი ნაწილია. **"წინააღმდეგ შემთხვევაში, დაირღვევა აჭარის მოსახლეობის უფლებები,"** - განუცხადა გუშინ იორშმა ჟურნალისტებს კანცელარიაში საქართველოს მოქმედ პრეზიდენტთან ნინო ბურჯანაძესთან და სახელმწიფო მინისტრთან ზურაბ ჟვანიასთან დახურული შეხვედრის დასრულების შემდეგ. იორშის თქმით, ასეთ პასუხს მიიღებს სტრასბურგში ასლან აბაშიძე ევროსაბჭოს გენერალური მდივნის ვალტერ შვიმერისგან. **"აჭარამ აუცილებლად უნდა მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში - ასეთია ევროსაბჭოს ოფიციალური პოზიცია,"** - დასძინა ევროსაბჭოს მონიტორინგის ჯგუფის ხელმძღვანელმა.

*24 საათი*

# IFC არასამთავრობო ორგანიზაციების შექმნის ინიციატივით გამოდის

ნინო ნარჩემაშვილი

დღეს საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC) ქართულ არასამთავრობო ორგანიზაციებს ხვდება. საერთაშორისო ასოციაციების ექსპერტის უოლტერ შოუს ინფორმაციით, შეხვედრის მიზანია **"არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის ხელშეწყობა ცვალებად გარემოში".** საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია ორი ახალი არასამთავრობო ორგანიზაციის დაფუძნების ინიციატივით გამოდის, რომელთა შექმნაც ხელს შეუწყობს ქართულ კომპანიებში სწორი კორპორაციული მართვის დანერგვას. ერთი მათგანი, რომლის ძირითადი მისიაც აქციონერთა უფლებების დაცვა იქნება, დაეხმარება პოტენციურ ინვესტორთა ზრდას ქვეყანაში. მეორე კი დირექტორთა ინსტიტუტი იქნება, რომელიც მოამზადებს კომპანიათა მმართველობისათვის კვალიფიციურ და კეთილსინდისიერ დირექტორატს. IFC-ის საქართველოში ბიზნესის განვითარების პროექტის მენეჯერის ფრენკ ლივერის განცხადებით, **"არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა ბიზნესის განვითარების პროექტისათვის ძალზე მნიშვნელოვანია. ქვეყანაში ბოლო დროს განვითარებული მოვლენების ფონზე ასეთი სახის პრეზენტაცია განსაკუთრებით აქტუალური იქნება ქართული არასამთავრობოებისთვის".** მისივე თქმით, შეხვედრა ნაყოფიერი იქნება და IFC-ის მიერ შეთავაზებულ წინადადებას აქტიური გამოხმაურება მოჰყვება ქართული არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან, რადგან **"მსგავსი პროფილის არასამთავრობო სექტორი თითქმის ყველა ქვეყანაში არსებობს და იგი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს კორპორაციული მართვის განვითარებას".**

აღსანიშნავია, რომ მას შემდეგ (1995 წლიდან), რაც საქართველო საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის წევრი გახდა, IFC-მ ქვეყანაში ფინანსურ, ინფრასტრუქტურულ, ენერგეტიკულ და ინდუსტრიულ სექტორებში განხორციელებული პროექტებისათვის 100 მილიონ აშშ დოლარზე მეტი გაიღო. საქართველოში ორგანიზაციის მოღვაწეობის ერთ-ერთ პრიორიტეტს კი მცირე და საშუალო ზომის საწაროების დახმარებისთვის გამიზნული პროგრამების ფინანსური ხელშეწყობა წარმოადგენს.

# ევროკავშირის გიგანტები ორგანიზაციის ბიუჯეტს ამცირებენ

ადამ მჭედლიძე

ევროკავშირის ექვს უმდიდრეს სახელმწიფოს გადაწყვეტილი აქვს, მკვეთრად შეამციროს ორგანიზაციის ბიუჯეტი. გერმანიამ, ავსტრიამ, ბრიტანეთმა, საფრანგეთმა, ჰოლანდიამ და შვედეთმა დააყენეს საკითხი იმის თაობაზე, რომ 2007 წლიდან ევროკავშირის ბიუჯეტი ევროკავშირის ქვეყნების მთლიანი შიდა პროდუქტის 1 პროცენტს არ უნდა აღემატებოდეს. ეს, პირველ რიგში, იმას ნიშნავს, რომ ღარიბი ქვეყნები ნაკლებ დახმარებას მიიღებენ.

ამ სიახლეს წინ უძღოდა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი: რამდენიმე დღით ადრე ესპანეთმა და პოლონეთმა ბრიუსელში გამართული მოლაპარაკებების დროს ევროკავშირის მომავალი კონსტიტუციის თაობაზე მოლაპარაკებები დაბლოკეს. ეს კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ ძველი კონტინენტის ერთიანობა არც ისე მტკიცეა და მას უამრავი წინააღმდეგობის გადალახვა უწევს.

ევროკომისია მეტად უარყოფითად გამოეხმაურა ექვსეულის ინიციატივას. პოლონეთმა კი განაცხადა, რომ "ევროკავშირის გაფართოება შეუძლებელია მათრახისა და თაფლკვერის პოლიტიკაზე აიგოს." ვარშავამ ამ განცხადებით პირდაპირ მიანიშნა, რომ მდიდარი ქვეყნების ინიციატივა ერთგვარი შურისგებაა, რომელიც კონსტიტუციის შესახებ მოლაპარაკებების ჩაშლამ გამოიწვია.

ექვსეულის მიერ ევროკავშირისათვის წარდგენილ წერილში კი ნათქვამია, რომ მაშინ, როცა მთელ რიგ ქვეყნებში (უპირველესად კი, გერმანიაში) ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლისათვის მტკივნეული რეფორმები ტარდება, მოქალაქეები გაგებით ვერ მოეკიდებიან ევროკავშირის ბიუჯეტში დიდძალი თანხების გადარიცხვას.

ექვსეულის ინიციატივა ნიშნავს, რომ ევროკავშირის ბიუჯეტი დაახლოებით 25 მილიარდი ევროთი შემცირდება. ევროკომისიის პრეზიდენტის რომანო პროდის განცხადებით, ასეთ ვითარებაში არ მოხერხდება მთელი რიგი გეგმების განხორციელება, რასაც მსოფლიო ევროკავშირისგან ელის. პირველ რიგში, საუბარია საემიგრაციო კონტროლისა და სასაზღვრო სისტემის გაუმჯობესებაზე. "პატარა ბიუჯეტით სასწაულებს ვერ მოვახდენ, ეს ჩემი სპეციალობა არაა," – დასძინა პროდიმ.

გერმანიის კანცლერმა შრიოდერმა კი პირდაპირ განაცხადა, რომ ბიუჯეტის საკითხი მხოლოდ კონსტიტუციასთან ერთად იქნება განხილული, ანუ ღარიბ ქვეყნებს, ალბათ, დათმობაზე წასვლა მოუწევთ.

# "საწარმოთა მართვის სააგენტოს" ახალი ხელმძღვანელი ჰყავს

საკადრო ცვლილებები გრძელდება. ახალი ხელმძღვანელი ამჯერად "საწარმოთა მართვის სააგენტოში" დაინიშნა და ვაჟა კაპანაძის ნაცვლად, მას ერეკლე ქიქოძე უხელმძღვანელებს. აღსანიშნავია, რომ "საწარმოთა მართვის სააგენტო" გაუქმებული ქონების მართვის სამინისტროს სამართალმემკვიდრეა და, შესაბამისად, მისი ძირითადი ფუნქციებიც გადაეცა. სააგენტოში აღნიშნავენ, რომ ვაჟა კაპანაძემ თანამდებობა პირადი განცხადების საფუძველზე დატოვა. თუმცა, თანამშრომელთათვის დაკავებული პოსტიდან წასვლის მიზეზი არ დაუსახელებია.

რაც შეეხება სააგენტოს ახალ ხელმძღვანელს ერეკლე ქიქოძეს, იგი აღნიშნულ თანამდებობაზე დანიშვნამდე "თი-ბი-სი ჯგუფში" მუშაობდა და როგორც სააგენტოში აცხადებენ, მას სახელმწიფო სტრუქტურებში მუშაობის გამოცდილება არ გააჩნია.

*24 საათი*

მონიტორინგი

# ნოემბრის და დეკემბრის შემწეობების დასაფინანსებლად 6 მილიონია საჭირო

წინა კვირას, როგორც იქნა, დაფინანსდა ოქტომბრის თვის ლტოლვილთა შემწეობა. დაახლოებით 6,6 მილიონი ლარია საჭირო, რომ ნოემბრისა და დეკემბრის შემწეობა დაფინანსდეს.

დაფინანსდა სოციალური ფონდის ტრანსფერი; მათ შორის, უმწეოთა სოციალური დახმარება და რეგრესული პენსიაც. დეტალურად იხილეთ ცხრილში.

გრძელდება ოქტომბრის შრომის ანაზღაურების დაფინანსება. წინა კვირას დაფინანსდა ძალოვანი სტრუქტურების ხელფასები.

**საკონსულტაციო ჯგუფი "dvnk"**

2003 წლის 8 - 12 დეკემბრის პერიოდში ცენტრალური ბიუჯეტიდან გაწეული ხარჯები

| № | დასახელება | თანხა (ათას ლარებში) |
|---|---|---|
| 1 | სოციალური ფონდი | **3,151.3** |
| | საპენსიო ტრანსფერი | 1,888.0 |
| | უმწეო მდგომარეობაში მყოფ ოჯახთა სოციალური დახმარება | 1,200.0 |
| | რეგრესული პენსიები | 63.3 |
| 2 | ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო | **3,321.0** |
| | ლტოლვილთა ოქტომბრის თვის შემწეობა | 3,321.0 |
| 3 | საბიუჯეტო ორგანიზაციების ოქტომბრის თვის შრომის ანაზღაურება | **2,257.3** |
| | თავდაცვის სამინისტრო | 1,330.3 |
| | უშიშროების სამინისტრო | 554.2 |
| | იუსტიციის სამინისტრო | 372.8 |
| 4 | [illegible] | **833.1** |
| | [illegible] | 833.1 |

# მეპურეები ისევ შეღავათებს ითხოვენ

ეთერ მამულაშვილი

*სოფლის მეურნეობის სამინისტრო და მეწარმეები ბაზარზე პურპროდუქტების დეფიციტსა და, შესაბამისად, მასზე ფასების კვლავ მომატებას ვარაუდობენ. ეს საშიშროება თავიდან რომ აიცილონ, მეწარმეები პარლამენტისა და ფინანსთა სამინისტროსგან განსაკუთრებული საგადასახადო შეღავათების დაწესებას და დასავლეთის ქვეყნებთან სპეციალური ხელშეკრულების გაფორმებას მოითხოვენ. 350 მილიონი ლარით გარღვეული ბიუჯეტის პირობებში რთული მისახვედრი არ უნდა იყოს, დათანხმდება თუ არა ფინანსთა მინისტრი საგადასახადო შეღავათების შემოღებას.*



*ბიზნესმენები პურის გაძვირებას ითხოვენ.*

სოფლის მეურნეობის სამინისტროში აცხადებენ, რომ დღეს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ხორბლის მოსავლის განსაკუთრებული დეფიციტია. უკრაინა, რომელიც წლების განმავლობაში მარცვლეულის ამ სახეობის ტრადიციულ ექსპორტიორ ქვეყნად ითვლებოდა, წელს ევროპული და მეზობელი ქვეყნების ხორბლით მარაგდება. დაახლოებით იგივე მდგომარეობაა საქართველოს მეზობელ სახელმწიფოებში, რამაც, ბუნებრივია, ადგილობრივ ბაზარზეც ნეგატიურად იმოქმედა. ქართველი მეწარმეები იძულებულები გახდნენ ხორბლისა და ფქვილის სათანადო მარაგი დასავლურ ბაზარზე მოიეძიათ, ანუ იმ ქვეყნებში, რომლებთანაც საქართველოს არა აქვს გაფორმებული სპეციალური სავაჭრო ხელშეკრულება. ეს კი მეწარმეებს დამატებითი თანხების გაღებას აიძულებს. ასე, მაგალითად, დსთ-ს ქვეყნებიდან საქართველოში შემოტანილი მარცვლეული საბაჟო გადასახადიდან, რომელიც ღირებულების 12 პროცენტს შეადგენს, თავისუფლდება. იმ შემთხვევაში კი, თუ პროდუქცია ამერიკული ან სხვა დასავლური წარმოშობისაა, მეწარმე ვალდებულია, საბაჟო ბეგარა ბოლო თეთრამდე გადაიხადოს. მოქმედი საგადასახადო კოდექსით, გარდა საბაჟო გადასახადისა, პურპროდუქტების წარმოება დღგ-ს 20-პროცენტიანი განაკვეთით იბეგრება. მეწარმეთა აზრით, დღეს არსებულმა საგადასახადო რეჟიმმა განაპირობა პურპროდუქტების სფეროში ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბების ზრდის ტენდენცია. **"მოქმედი საგადასახადო კოდექსი მეწარმეებს ჩრდილოვან სექტორში გადასვლისკენ უბიძგებს. ჩვენი შემოსავლების მნიშვნელოვანი ნაწილი გადასახადებზე მიდის, აღარაფერს ვამბობ კომუნალურ გადასახადებზე, რომელსაც დღითი დღე გვიზრდიან",** - შემოგვჩივლა №4 პურის ქარხნის დირექტორმა მალხაზ დოლიძემ.

ამ სექტორში ჩრდილოვანი წარმოების მაღალი დონის არსებობას სტატისტიკის დეპარტამენტის უკანასკნელი მონაცემებიც ცალსახად ადასტურებს. დეპარტამენტის ცხრა თვის მონაცემებს თუ ვენდობით, დღე-ღამეში ერთი კაცი 46 გრამ პურს მოიხმარს. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მონაცემებით კი, პურის მოხმარების ფიზიოლოგიური ნორმა 350 გრამია. აღსანიშნავია, რომ სტატისტიკის დეპარტამენტის გასული წლის ანალოგიური მაჩვენებელი 55 გრამი იყო.

სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ინფორმაციით, გასულ წლებთან შედარებით გაიზარდა აღურიცხავი პურის საცხობი ობიექტების რაოდენობაც. სამინისტროსა და საგადასახადო დეპარტამენტის ერთობლივი კომისიის მიერ აღმოჩენილი 513 პურის საცხობი ობიექტიდან მხოლოდ 205 იყო რეგისტრირებული. სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლის ომარ კაჭარავას განცხადებით, მნიშვნელოვნად იკლო ხორბლის ლეგალურმა იმპორტმაც. საბაჟო დეპარტამენტის მონაცემებით, გასულ წელს თითქმის ოთხჯერ ნაკლები იმპორტირებული ხორბალი იყო რეგისტრირებული, ვიდრე წინა წელს.

მეწარმეთა მტკიცებით, გამოსავალი მხოლოდ ერთია - საგადასახადო კოდექსში დაუყოვნებლივ ცვლილებების შეტანა და დასავლეთის ქვეყნებთან სავაჭრო ხელშეკრულების გაფორმება. მეწარმეების მიერ საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებისადმი წარდგენილი რეკომენდაციების ნუსხა ასე გამოიყურება: ხორბლის იმპორტის გათავისუფლება ყოველგვარი გადასახადისგან, პურპროდუქტების წარმოების დამატებითი ღირებულების გადასახადისგან ერთი წლით გათავისუფლება, მარცვალგადამამუშავებელი და პურის ცხობის მრეწველობაში მოხმარებულ სათბობ-ენერგეტიკულ რესურსებზე შეღავათიანი ტარიფების დაწესება, ხორბლის აუცილებელი მარაგის მინიმალური რაოდენობის განსაზღვრა და 2004 წლის ბიუჯეტში შესაბამისი თანხების გათვალისწინება.

ამ საკითხზე კომენტარი ვთხოვეთ ფინანსთა მინისტრის მოადგილეს ნოდარ ხადურს: **"დღეს ჩვენ თავს ვიკავებთ საკუთარი პოზიციის დაფიქსირებისგან, რადგან ეს ყველაფერი საჭიროებს სერიოზულ გაანგარიშებას და დათვლას. საჭიროა, წინასწარ გავთვალოთ, მსგავსი შეღავათები რა ზეგავლენას მოახდენს ქვეყნის მაკროეკონომიკურ პროცესებზე, წარმოებაზე, ფასზე, ექსპორტსა და იმპორტზე. რაც მთავარია, გვინდა ვიცოდეთ, რა დანაკლისს მიიღებს ამით სახელმწიფო ბიუჯეტი".**

თუმცა "24 საათი" უკვე გამცნობდათ იმის თაობაზე, რომ უკვე მომზადებულია კანონპროექტი ხორბლის იმპორტის საბაჟო გადასახადისგან განთავისუფლების თაობაზე.

# ხელისუფლება წელს მხოლოდ ერთი თვის ხელფასებს და პენსიებს დაარიგებს

სამშაბათს სახელმწიფო კანცელარიაში ენერგეტიკულ თემაზე გაკეთებული არცთუ სახარბიელო პროგნოზების შემდეგ, გუშინ საქართველოს დროებითმა ხელისუფლებამ ხელფასებისა და პენსიების და სოციალური ხარჯების გაწევის შესახებ ითათბირა და დაასკვნა, რომ სიტუაცია აქაც მეტისმეტად მძიმეა.

სიტუაციის სიმძიმეზე ისაუბრა თბილისის მერმა, რომელმაც აღნიშნა, რომ თბილისში ხელფასების ორთვიანი დავალიანება დაგროვდა.

შეხვედრიდან გამოსულმა ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა მინისტრმა ამირან გამყრელიძემ კი დაადასტურა უკვე არაერთხელ გაჟღერებული ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ დღეისთვის თბილისში მხოლოდ სექტემბრის პენსიები და სოციალური დახმარებებია დარიგებული, საქართველოს მასშტაბით კი - მხოლოდ ივნისის.

მისივე განცხადებით, შეხვედრაზე ითქვა, რომ წლის ბოლომდე თბილისში ოქტომბრის პენსიების გაცემა უნდა მოხერხდეს, საქართველოს მასშტაბით კი - ივლისის და აგვისტოს ნაწილის.

ფინანსთა მინისტრის ზურაბ ნოღაიდელის თქმით კი, თვის ბოლომდე საბიუჯეტო ორგანიზაციები ერთი თვის ხელფასს მიიღებენ, მიუხედავად იმისა, რამდენი თვის დავალიანებაა დაგროვილი ამ სტრუქტურაში - მეტი რესურსი, მინისტრის თქმით, ბიუჯეტს არ გააჩნია.

მან დააკონკრეტა ხელფასების და პენსიების დაფინანსების წყაროებიც - ნოღაიდელის თქმით, თანხა, რომელიც ეუთო-ს მიერ ორი არჩევნების დასაფინანსებლად გამოიძებნა, ამ ხელფასებისა და პენსიების დაფინანსების საშუალებასაც იძლევა.

ნოღაიდელმა ისიც თქვა, რომ წლევანდელი სახელფასო და საპენსიო დავალიანებები მომავალი წლის ბიუჯეტს "გადაეცემა" და მათი გასტუმრება მომავალ წელს მოხდება.

*24 საათი*

# "რაოს" მაღალჩინოსანი "თელასის" ინტერესების დასაცავად ჩამოდის

პირველი გვერდიდან

ხელისუფლებაში იმედოვნებენ, რომ "რაო" შეასრულებს დაპირებას და საქართველოსთვის მოწოდებული ელექტროენერგიის ტარიფს არ გაზრდის (მიუხედავად იმისა, რომ თავად რუსეთში ენერგოგიგანტი მკაცრ პოლიტიკას აწარმოებს, რის გამოც გუშინ "მოსენერგოს" მოსკოველთათვის დენის ტარიფის 13 პროცენტით გაზრდა მოუწია).

წინასწარი ინფორმაციით, რაპაპორტის ვიზიტის მიზანი "რაოს" 75-პროცენტიანი საკუთრების - "თელასის" ინტერესების დაცვა და საქართველოს მთავრობასთან ელექტროენერგიის შეღავათიანი დაბეგვრის თაობაზე შეთანხმების მიღწევაა. ამ საკითხზე სასაუბროდ რაპაპორტი სახელმწიფო მინისტრ ზურაბ ჟვანიას შეხვდება. სავარაუდოდ, რაპაპორტს მთავრობასთან პრობლემები არ შეექმნება, რადგან ამ ეტაპზე "თელასთან" ხავერდოვანი ურთიერთობის შენარჩუნება თბილისის ელექტრომომარაგების გარანტიაა. სახელმწიფო მინისტრმა ელექტროენერგიის შეღავათიანი დაბეგვრისათვის დოკუმენტაციის მომზადება ფინანსთა მინისტრს დაავალა. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციის თანახმად, შესაბამისი კანონპროექტი ზურაბ ნოღაიდელს უკვე მზად აქვს.

არ არის გამორიცხული, ქართულმა მხარემ რაპაპორტთან "გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" (გსეკ) მიერ დენის შესყიდვის შესაძლებლობებიც განიხილოს. საქმე ისაა, რომ დეფიციტის წინაშე აღმოჩენილი ენერგოსისტემა რუსეთიდან დენის დამატებითი იმპორტის აუცილებლობას განიცდის. "თელასმა" ამ ბოლო დროს შეამცირა თბოენერგიის გამომუშავება თბილსრესის მეცხრე ენერგობლოკზე, გარკვეული პრობლემებია სომხეთიდან დენის იმპორტთან დაკავშირებითაც.

### "გსეკ" დენის პოტენციური იმპორტიორი

თავად "გსეკ"-ში აცხადებენ, რომ თუ მთავრობა მოითხოვს, კომპანია მზადაა, დაიწყოს იმპორტი, მაგრამ მას მყარი ფინანსური გარანტიები ესაჭიროება. შეგახსენებთ, რომ "პი-ეი კონსალტინგმა" ენერგოკომპანიაში მართვის უფლებით შესვლისთანავე განაცხადა, რომ ახალი მმართველები კომპანიის ვალების დაგროვების რეჟიმში მუშაობას აღარ დაუშვებენ. გადახდის არსებული მაჩვენებლები კი "პი-ეი კონსალტინგს" არ აძლევს იმედს, რომ "გსეკ" საკუთარი ძალებით შეძლებს იმპორტისათვის აუცილებელი თანხების მოძიებას. სწორედ ამიტომ, ენერგოკომპანიაში მიიჩნევენ, რომ შესაძლოა, მიზანშეწონილი იყოს, თუ ამ მიმართულებით მიმართავენ აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ "ზამთრის გათბობის პროგრამით" გამოყოფილ თანხას. მაგრამ იქვე ეჭვობენ, რომ ეს თანხა მხოლოდ ერთი თვის სამყოფი დენის შესყიდვას გასწვდება.

აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ 6 მილიონი დოლარით დაფინანსებულ წლევანდელ "ზამთრის გათბობის პროგრამას" აშშ-ს ელჩი საქათველოში რიჩარდ მაილსი ოფიციალურად ორშაბათს, 22 დეკემბერს სასტუმრო "მარიოტში" გახსნის. შეგახსენებთ, რომ ამ პროგრამის ფარგლებში აშშ-ს მთავრობა საქართველოს სოციალურად დაუცველ მოქალაქეებს ეხმარება და ზამთრობით მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის ნაწილს უხდის.

წლევანდელ ზამთრამდე ამერიკული დახმარება სადისტრიბუციო ენერგოკომპანიების ანგარიშებზე სახელმწიფო არხების გავლით ხვდებოდა. ამჯერად კი აშშ-ს მთავრობის მიერ გამოყოფილ თანხას პირდაპირ მიიღებს ოთხი სადისტრიბუციო ენერგოკომპანია: "თელასი", "გსეკ", "კახეთის სადისტრიბუციო კომპანია" და "აჭარის სადისტრიბუციო კომპანია". ეს კომპანიები სააგენტოსთან საგანგებო მემორანდუმს გააფორმებენ, რის შემდეგაც ცნობილი გახდება თითოეული კომპანიისათვის განკუთვნილი თანხის მოცულობაც. სავარაუდოდ, დახმარების ყველაზე დიდ წილს "გსეკ" მიიღებს, რომლის მმართველი "პი-ეი კონსალტინგი" ამერიკული მხარის განსაკუთრებული ნდობით სარგებლობს.

### დისტრიბუტორები "ელექტროსისტემას" უტევენ

"თელასის" მსგავსად, საბითუმო ბაზრის მიერ ელექტროენერგიის მოხმარებაზე დაწესებული გრაფიკების დარღვევაში "გსეკ"-იც "სახელმწიფო ელექტროსისტემას" ადანაშაულებს. როგორც გუშინ "24 საათს" ენერგოკომპანიაში განუცხადეს, "გსეკ"-ის ფილიალების გამორთვა ხშირ შემთხვევაში "სახელმწიფო ელექტროსისტემის" კუთვნილ ქვესადგურებში მდებარე ფიდერებით ხდება, "ელექტროსისტემის" დისპეტჩერებს კი რატომღაც ურჩევნიათ, შედარებით კარგი გადამხდელი მომხმარებელი გამორთონ. **"ზოგჯერ ეს იმიტომ ხდება, რომ მათი გამორთვა უფრო იოლია. თუმცა, ზოგ შემთხვევაში, შესაძლო დაინტერესებასაც არ გამოვრიცხავთ,"** – განაცხადეს "გსეკ"-ში.

რაც შეეხება "გსეკ"-ის მუდმივ პრობლემას – ქვესადგურებში შეჭრასა და ფიდერების ძალით ჩართვას, ენერგოკომპანიას ახლა მთავრობის მხარდაჭერაც აქვს. ორი დღის წინ ადგილობრივი ადმინისტრაციების ხელმძღვანელებმა მკაცრი გაფრთხილება მიიღეს ხელისუფლებისგან, რომ თუ ენერგეტიკული ობიექტების მუშაობაში უხეშ ჩარევას კვლავ გააგრძელებენ, მათ უმკაცრესი ადმინისტრაციული სასჯელი ელით.

ახლა მთავრობის მხარდაჭერით აღჭურვილი "გსეკ"-ის გენერალური დირექტორი დევიდ სორნტონი რეგიონების ელექტრომომარაგების საკითხებზე სასაუბროდ დასავლეთ საქართველოში ხანმოკლე ტურნეს გეგმავს. თავდაპირველად ის ქუთაისს ეწვევა, სადაც შეეცდება, იმერეთში პრეზიდენტის რწმუნებულს დავით მუმლაძესა და კომპანიის ქუთაისის ფილიალის ხელმძღვანელებს იმერეთის რეგიონის ელექტრომომარაგების შეზღუდვის აუცილებლობა დაუსაბუთოს. **"ახალი გუბერნატორისთვის თავისთავად ძნელი მოსასმენი იქნება ის, რომ ქუთაისმა მხოლოდ 5 მეგავატი სიმძლავრე უნდა მიიღოს, მაგრამ ეს ქალაქის მიერ გადახდილი ელექტროენერგიის ღირებულების ადეკვატური ასახვაა,"** - განაცხადეს კომპანიაში.

მოკლედ

### აშშ-ს სოფლის მეურნეობაში კლონირების ინდუსტრია ვითარდება

მომავალი წლიდან აშშ-ს მაღაზიებში კლონირებული ცხოველის ხორცი გაიყიდება. როგორც აშშ-ს საკვები პროდუქტების კონტროლის დეპარტამენტი იუწყება, კლონირებული ცხოველის ხორცი თავისი ბიოქიმიური შედგენილობით ჩვეულებრივისგან არაფრით განსხვავდება და, აქედან გამომდინარე, მისი საკვებად გამოყენება უსაფრთხოა. აშშ-ს სოფლის მეურნეობაში უკვე დიდი ხანია, ფეხი მოიკიდა კლონირების მთელმა ინდუსტრიამ. ერთადერთი, რაც "კლონების შემოტევას" ცოტათი აფერხებს, მისი მაღალი ფასია: ერთი კლონირებული ხბო 80 ათასი დოლარი ღირს. **მედია-ნიუსი**

### ნავთობსადენის გაფიცული მუშები პროფკავშირების მხარდაჭერას ითხოვენ

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობაზე დასაქმებულ მუშაკთა გაფიცვა მეოთხე დღეა გრძელდება. გაფიცულთა წარმომადგენლებმა მხარდაჭერა საქართველოს გაერთიანებული პროფკავშირების ხელმძღვანელობას სთხოვეს. გაფიცულებს რამდენიმე მოთხოვნა აქვთ; მათ შორის ძირითადი ხელფასების მომატებაა. ქართველი მუშების თქმით, ისინი თვეში 300 ლარსაც ვერ იღებენ, როცა ანალოგიური სამუშაოს შესრულებისთვის კოლუმბიელ და ინდოელ მოქალაქეებს 2,5–3 ათას დოლარს უხდიან. ნავთობსადენის მშენებლობის დაწყებიდან 7 თვის განმავლობაში ეს უკვე რიგით მეოთხე გაფიცვაა. პროფკავშირების თავმჯდომარის მოადგილემ განაცხადა, რომ პროფკავშირები აუცილებლად ჩაერთვება მოლაპარაკებების პროცესში. თუ მოლაპარაკებები უშედეგოდ დასრულდება, პროფკავშირები ფართომასშტაბიან საპროტესტო აქციას "ბი-პი"-ს ოფისთან მოაწყობს. **მედია-ნიუსი**

მოკლედ

**თბილისი.** ბანკთაშორის სავალუტო ბირჟის გუშინდელ ვაჭრობაზე აშშ დოლარის შესყიდვის კურსად - 2,10 ლარი, ხოლო გაყიდვის კურსად 2,11 ლარი დაფიქსირდა. 18 დეკემბრიდან ძალაშია უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი: 1 დოლარი - 2,09 ლარი; 1 ევრო - 2,5740 ლარი; 1 რუსული რუბლი - 0, 0714 ლარი, 1 ინგლისური გირვანქა სტერლინგი - 3,6602 ლარი. **24 საათი**

■ ■ ■

**თბილისი.** სემეკ-ი დედაქალაქის გამრიცხველიანებაში არსებული პრობლემებით დაინტერესდა და აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მოისმინა კომპანია "თელასის" ინფორმაცია. კომპანიას დედაქალაქის გამრიცხველიანების გეგმა-გრაფიკი მომავალი წლის თებერვლისთვის ექნება და გაირკვევა, რა დროში შეძლებს ქალაქში გამრიცხველიანების დასრულებას. "თელასის" კომერციული დირექტორის ილია ქუტიძის თქმით, ქალაქში 80 ათასი აბონენტი მრიცხველის გარეშეა დარჩენილი. ეს, ძირითადად, ის უბნებია, სადაც კერძო ბინებია განთავსებული და მრიცხველების გარეთ გამოტანა ტექნიკურად რთული პროცესია. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტმა გუშინ მხარი დაუჭირა პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის საკანონმდებლო ინიციატივის დღევანდელ სხდომაზე გატანას, რომელიც "საგადასახადო კოდექსში" ცვლილებებს შეეხება. ცვლილებათა პროექტი ითვალისწინებს მადეზინფიცირებელი საშუალებების დამატებითი ღირებულების გადასახადებისგან გათავისუფლებას. კომიტეტის თავმჯდომარის თქმით, ქვეყანაში მადეზინფიცირებელი საშუალებების შემოტანა დიდი გადასახადების გამო ბოლო წლების განმავლობაში არ ხდებოდა, რაც ბევრ პრობლემას ქმნიდა, რადგან სამედიცინო დაწესებულებებისთვის აღნიშნული საშუალებები აუცილებელია, მადეზინფიცირებელი საშუალებების სამამულო წარმოება კი საქართველოში არ არსებობს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** აშშ-ს სავაჭრო პალატის პრეზიდენტის ფადი ასლის აზრით, საქართველოს ეკონომიკა წინ მაშინ წაიწევს, როცა ქვეყანა ეკონომიკურ პრიორიტეტებს აირჩევს და "საგადასახადო კოდექსს" მათი გათვალისწინებით ააგებს. ფადი ასლიმ განაცხადა, რომ საქართველომ უნდა აირჩიოს პრიორიტეტები იმის გათვალისწინებით, თუ რომელი დარგის განვითარება მოუტანს ქვეყანას წარმატებებს. მისი თქმით, "უმჯობესი იქნება, საქართველომ უმთავრეს პრიორიტეტად სოფლის მეურნეობა გამოაცხადოს და ეს დარგი გადასახადებისგან გაათავისუფლოს. გასათვალისწინებელია ტურიზმის განვითარების პოტენციალიც. ფადი ასლი არ ეთანხმება "ნაციონალური მოძრაობის" ეკონომიკური პროგრამის ერთ-ერთ პირობას, რაც გადასახადების გაუქმებას გულისხმობს: "ამით შემოსავლები არ გაიზრდება, რადგან ქვეყანაში გადასახადების ადმინისტრირების დონე ძალიან დაბალია." **ინტერ-პრესი**

# ირანი ბირთვული პროგრამების გაკონტროლებას დათანხმდა

თეირანი დღეს ატომური იარაღის გავრცელების შეზღუდვის შესახებ შეთანხმების დამატებით პროტოკოლს მოაწერს ხელს, რის საფუძველზეც ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ირანის ბირთვული პროგრამების შეუზღუდავი ინსპექტირების უფლება მიეცემა. საქმე ისაა, რომ ყოველი მსგავსი კონტროლის ჩატარებისათვის სააგენტოს აქამდე ირანის მთავრობისაგან საგანგებო ნებართვა უნდა აეღო.

პროტოკოლის ხელმოწერას დაჟინებით ითხოვდნენ აშშ, გერმანია, საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი. განსაკუთრებით, ვაშინგტონში შიშობენ: ირანის ბირთვული პროგრამა უკვე იმის შესაძლებლობას იძლევა, რომ თეირანმა უახლოეს მომავალში ატომური იარაღი შექმნას. თავდაპირველი შეთანხმებით, ირანს პროტოკოლზე ჯერ კიდევ 21 ოქტომბერს უნდა მოეწერა ხელი. ამ ვადის გადაწევამ ეჭვიც კი დაბადა, რომ ირანის ხელისუფლებამ სასულიერო ფენების ზეწოლას ვერ გაუძლო და შეთანხმებაზე უარის თქმას აპირებდა. ეს ეჭვი უსაფუძვლო აღმოჩნდა, თუმცა პრობლემა სრულად არც დღევანდელი ხელმოწერით გადაწყდება. საქმე ისაა, რომ ირანის კანონმდებლობა საერთაშორისო შეთანხმების სავალდებულო რატიფიკაციას ითვალისწინებს. რატიფიკაციის პროცედურა კი ირანის პარლამენტის შემდეგ რადიკალი კონსერვატორებისაგან შემდგარმა "რევოლუციის გუშაგთა საბჭომაც" უნდა დაადასტუროს. რადიკალ სასულიერო ფენებს სწორედ აქ მიეცემათ საშუალება, თავისი სიტყვა თქვან. თუმცა, საკითხავია, რამდენად შეუწყობს ეს ხელს ირანსა და დასავლურ ქვეყნებთან, განსაკუთრებით, აშშ-სთან დაძაბული ურთიერთობების განმუხტვას.

## ორი სიტყვით

**ჩინეთი.** ჩინეთის სასამართლომ სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა მასობრივი ორგიის ორ ორგანიზატორს. ამ ბრალდებით საქმე კიდევ 12 ადამიანის წინააღმდეგ იყო აღძრული. თითოეულ მათგანს 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. საინფორმაციო საშუალებები მიუთითებენ, რომ სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი აშკარად ცხადყოფს, თუ რამდენად ნეგატიურად განეწყო ჩინეთის საზოგადოება ამ ფაქტის მიმართ.

მასობრივ ორგიაში, რომელიც სამხრეთ ჩინეთის ქალაქ ჩჟუჰაიში მოეწყო, 380 იაპონელი ტურისტი და 500 ჩინელი მეძავი მონაწილეობდა. ორგია ხუთვარსკვლავიან სასტუმრო "ძუჰაიში" ორი დღე გრძელდებოდა. ეს მოვლენა, ალბათ, ჩინეთის ხელისუფლების არცთუ დიდ გაღიზიანებას გამოიწვევდა, რომ არა თავად ორგიის თარიღი - 18 სექტემბერი, რომელიც 1931 წელს იაპონიის მიერ ჩინეთის ოკუპაციის დღედ არის მიჩნეული და ჩინელი ხალხისათვის დიდ ტრაგედიას წარმოადგენს.

■ ■ ■

**რუსეთი.** რუსეთის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარემ ვლადიმირ ჟირინოვსკიმ სადამ ჰუსეინის ადვოკატობა გადაწყვიტა. "მე ვაპირებ წერილი გავუგზავნო ერაყის კანონიერი პრეზიდენტის სადამ ჰუსეინის ნათესავებს და მისი დაცვა შევთავაზო," - ნათქვამია სახელმწიფო დუმის ფრაქცია "ლიბერალ-დემოკრატის" მიერ გავრცელებულ პრეს-რელიზში.

თავის ინიციატივას ჟირინოვსკი სადამ ჰუსეინთან ხანგრძლივი მეგობრობით და პატივისცემით ხსნის. ლიბერალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი დარწმუნებულია, რომ სადამის სასამართლო პროცესი თავიდან ბოლომდე პოლიტიკური ხასიათის იქნება. პრეს-რელიზში ასევე ნათქვამია, რომ ჟირინოვსკი პროფესიონალი იურისტი და პოლიტიკოსია, რაც სადამის ადვოკატობის სურვილს კიდევ უფრო ამყარებს. აღსანიშნავია, რომ ჟირინოვსკი ამ საქმიანობისათვის არავითარ ჰონორარს არ ითხოვს.

■ ■ ■

**ისრაელი.** ისრაელის უშიშროების სამსახურის "შინ ბეტის" შეფი ავი დიხტერი ქვეყნის უსაფრთხოებისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე ვრცელი სიტყვით გამოვიდა. რამდენადაც ის საზოგადოების წინაშე ძალზე იშვიათად ჩანს ხოლმე, ამ გამოსვლამ მასმედიის დიდი ინტერესი გამოიწვია. გამოსვლის ტექსტი ვრცლად დაბეჭდა გავლენიანმა ებრაულმა გაზეთმა "ჰაარეცმა." ავი დიხტერმა ისრაელის მთავრობას მოუწოდა, რომ პალესტინასა და ისრაელს შორის დაწყებული უსაფრთხოების კედლის მშენებლობა რაც შეიძლება სწრაფად დასრულდეს. მან თავისი მთავრობა ასევე იმ პოტენციური "სტრატეგიული საფრთხეების" შესახებაც გააფრთხილა, რომელიც ებრაელ ექსტრემისტებს უკავშირდება. გაზეთის თქმით, ისინი ტაძრის მთაზე არსებული მეჩეთის დანგრევას ისახავენ მიზნად. ავი დიხტერის განცხადებით, ამ მიზნის სისრულეში მოყვანა ისრაელ-პალესტინის კონფლიქტს გლობალურ მასშტაბებს შესძენს, სადაც 13 მილიონი ებრაელი ერთ მილიარდამდე მუსულმანის პირისპირ აღმოჩნდება.

# ერაყის ამბები



ამერიკელ სამხედროებსა და სუნიტი ერაყელებს შორის შეტაკებები გრძელდება.

REUTERS

ლევან ღირსიაშვილი

## სადამი სიკვდილს იმსახურებს

აშშ-ს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა ამერიკული ტელეარხისათვის - "ეიბისი" - მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ ერაყის ყოფილი ლიდერი სასჯელის უმაღლეს ზომას – სიკვდილს იმსახურებს. ბუშმა ჰუსეინს სასტიკი ადამიანი, მკვლელი და საზიზღარი ტირანი უწოდა. თუმცა, იქვე დასძინა, რომ ერაყის ყოფილი დიქტატორის ბედი თავად ერაყელმა ხალხმა უნდა გადაწყვიტოს.

პარალელურად, ამერიკელი გამომძიებლები ჰუსეინის დაკითხვის პროცესს აგრძელებენ. პენტაგონის შეფის დონალდ რამსფელდის განცხადებით, სადამის დაკითხვას ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს სპეციალისტები განახორციელებენ. რამსფელდს არ დაუკონკრეტებია, თუ რა ჩვენებები აქვს ამჟამად სადამ ჰუსეინს გამოძიებისათვის მიცემული. რამსფელდმა მხოლოდ ის აღნიშნა, რომ ჰუსეინი მორჩილად იქცევა.

რაც შეეხება ჰუსეინის დაპატიმრებამდელ პერიოდს, პენტაგონის შეფმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე, აშშ-ს მუდმივად გააჩნდა ინფორმაცია, თუ სად და როდის გადაადგილდებოდა ერაყელი დიქტატორი. **"ხანდახან ის ტაქსითაც მოძრაობდა, რასაც ორ-სამ საათს ანდომებდა. თუმცა, ეს ჩვეულებრივი ტაქსი არ იყო, რადგან მასში მრიცხველი არ არსებობდა,"** - დასძინა რამსფელდმა. მისი თქმით, სადამს, როგორც სამხედრო ტყვეს, ისე ეპყრობიან, თუმცა პატიმრის იურიდიული სტატუსი ჯერ გარკვეული არ არის.

## ერაყს ვალებს ჩამოაწერენ

ამასობაში კი პარიზსა და ბერლინში წარგზავნილმა აშშ-ს სპეცწარმომადგენელმა ერაყის საკითხებში ჯეიმს ბეიკერმა საფრანგეთის და გერმანიის მთავრობებთან მიაღწია შეთანხმებას ერაყისათვის საგარეო ვალების ჩამოწერის თაობაზე. **"ვალების შემცირება უმნიშვნელოვანესი საკითხია, რაც ერაყელ ხალხს მისცემს შანსს, თავისუფალი და აყვავებული ერაყი ააშენოს. ამდენად, საფრანგეთი, გერმანია და შეერთებული შტატები თანხმდებიან, რომ პარიზის კლუბში 2004 წელს ერაყს საგარეო ვალებს მნიშვნელოვნად შეუმცირებენ და სხვა სახელმწიფოებთანაც აღნიშნული მიზნის მისაღწევად ერთობლივად იმუშავებენ,"** - ნათქვამია პრეზიდენტ ბუშის, საფრანგეთის პრეზიდენტის და გერმანიის კანცლერის ერთობლივ განცხადებაში. თუ რა თანხამდე შემცირდება ერაყის 120-მილიარდიანი ვალი, მოგვიანებით გახდება ცნობილი.

საერთაშორისო სავალუტო ფონდმა ერაყის საგარეო ვალები 120 მილიარდი ამერიკული დოლარით განსაზღვრა. ამ თანხიდან 40 მილიარდი ამერიკული დოლარი პარიზის კლუბის ქვეყნებზე მოდის, სადაც 19 სახელმწიფოა გაერთიანებული.

ჯეიმს ბეიკერმა ევროპაში მოგზაურობა სადამ ჰუსეინის დაპატიმრების შემდეგ დაიწყო, რამდენადაც ეს მოვლენა ერაყისათვის ვალების შესამცირებლად საკმაოდ კარგ სტარტს წარმოადგენს. სააგენტო "როიტერის" ცნობით, აშშ-ს დესპანი ჯეიმს ბეიკერი ამ საკითხის მოგვარების მიზნით რუსეთსაც ეწვევა.

## სადამის მომხრეებთან ბრძოლა გრძელდება

სულ ცოტა, 16 ადამიანი დაიღუპა და რამდენიმე ათეული დაიჭრა ბაღდადში ბენზინმზიდის აფეთქების შედეგად. ტრაგედია გუშინ დილით, გამთენიისას დატრიალდა. აფეთქების ადგილზე უზარმაზარი ცეცხლის ალი წარმოიქმნა, რომელიც ახლომახლო მდგომ ავტომობილებს და ავტობუსს მოედო. თვითმხილველთა თქმით, ტრაგედია ბენზინმზიდის მიკროავტობუსთან შეჯახებამ გამოიწვია. ერაყის პოლიციის წარმომადგენლები დარწმუნებულნი არიან, რომ ეს გამიზნული ტერაქტია, თუმცა სამართალდამცავებს, ჯერჯერობით, ამის მტკიცებულება არ გააჩნიათ.

ამასობაში კი, აშშ-ს არმიის ნაწილები, ერაყელი პარტიზანების და უცხოელი მებრძოლების დაპატიმრების მიზნით, ქვეყნის სხვადასხვა რაიონებში აქტიურ რეიდებს ახორციელებენ.

ერთ-ერთი პირველი რეიდი ამ კვირაში ქალაქ სამარას რაიონში ჩატარდა, რასაც პარტიზანებსა და ამერიკელებს შორის სისხლიანი შეტაკება მოჰყვა. ამერიკულმა სპეცრაზმმა, სულ ცოტა, 11 ერაყელის განადგურება შეძლო.

გუშინ, მე-4 ქვეითი დივიზიის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მათი დანაყოფის მიერ განხორციელებული სპეცოპერაციის დროს ოთხმოცზე მეტი ერაყელი მებრძოლი დააკავეს. დაკავებულთა შორის წინააღმდეგობის მოძრაობის ერთ-ერთი ადგილობრივი ლიდერიც მოხვდა. მისი სახელია ქაის ჰათამი, რომელიც ერაყის ჩრდილოეთში სადამის ფაედინების რაზმებს ხელმძღვანელობდა.

გუშინვე ქალაქ მოსულში, რომელიც სუნიტი ერაყელებით არის დასახლებული, ათასამდე სტუდენტი გამოვიდა ქუჩაში და სადამ ჰუსეინის გათავისუფლება მოითხოვა. მათ პოლიციას და ამერიკელ სამხედროებს ქვები დაუშინეს, რის შემდეგაც სამართალდამცავებმა ცეცხლი გახსნეს. შეტაკებას მსხვერპლი არ მოჰყოლია, თუმცა რამდენიმე სტუდენტი მძიმედ დაშავდა.

# ქართული შანსი

პირველი გვერდიდან

რუს სამხედროებს იმედი ჰქონდათ, რომ სამუდამოდ დარჩებოდნენ ქართულ მიწაზე. ახლაც გენერალური შტაბი ბაზების გაყვანისათვის ათი წლის ვადას მოითხოვს. საქართველოს დატოვება რუსი გენერლებისთვის იმიტომაცაა მტკივნეული, რომ დიდი ხანია აფხაზეთი და აჭარა მათ საყვარელ დასასვენებელ ადგილებს წარმოადგენს.

გარდა ამისა, საქართველოზე კონტროლის დამყარება "ლიბერალური იმპერიის" მშენებლობის გეგმის მნიშვნელოვანი ნაწილია. მოკლედ რომ ვთქვათ, ეს გეგმა მიზნად ისახავს სამხედრო, ენერგეტიკული და პოლიტიკური კავშირების გამოყენებით სამი კავკასიური სახელმწიფოს, უკრაინისა და მოლდოვას მოსკოვის ორბიტაში დაბრუნებას. რაც არ უნდა ამორფული და მყიფე იყოს ეს გაერთიანება, იგი მაინც წააგავს საბჭოთა კავშირს (საბჭოთა კავშირის აღდგენა კი "ერთიანი რუსეთის" ზოგიერთი ლიდერის მთავარი ლოზუნგი იყო) და მის შექმნას დიდი პოლიტიკური თუ ფსიქოლოგიური ეფექტი ექნებოდა. ამ სტრუქტრის შექმნა დუმის არჩევნების წინ უნდა დაწყებულიყო და პუტინის არჩევნებისათვის დასრულებულიყო.

ამ სცენარმა დსთ-ის სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაგვარი შედეგი მოიტანა და ავტორებს მისი შეცვლა მოუწიათ, მაგრამ სცენარის ზოგიერთი ნაწილი დღესაც ხორციელდება (როგორც ჩანს, ვერავინ გაბედა, ეთქვა პუტინისათვის, რომ გეგმა ჩაიშალა). ამის ნათელი მაგალითი იყო საქართველოს სამი სეპარატისტული რეგიონის ლიდერის პოლიტიკურად გაუმართლებელი ვიზიტი მოსკოვში.

კიდევ ერთი ქვესცენარი იყო საქართველოს კაგებეს უფროსის იგორ გიორგაძის გამოჩენა აფხაზეთში და პრეზიდენტობის კანდიდატად მისი რეგისტრაციის მცდელობა. გიორგაძემ ისაუბრა იმაზეც, რა საშინელებებია მოსალოდნელი საქართველოში, თუნდაც - სააკაშვილისა და მისი თანამებრძოლების ლიკვიდაცია. თუმცა ეს შესაძლოა, გენერლის იმპროვიზაცია ყოფილიყო.

უნდა გავიგოთ, რომ კვაზი-იმპერიის აღდგენა პუტინს მხოლოდ ამომრჩეველზე შთაბეჭდილების მოსახდენად არ სჭირდება. სსრკ-ის იმიტაცია აუცილებელია იმისათვის, რომ რუსეთის რეგიონების მმართველებმა, რომლებსაც თვალი ყოველთვის მაქსიმალური დამოუკიდებლობისაკენ უჭირავთ, თავიანთ ამბიციებზე სამუდამოდ თქვან უარი. დღეს პუტინს შეუძლია იმდენი ადგილი მიიღოს დუმაში, რამდენიც სურს, მაგრამ რაც შეეხება რეგიონებს, იქ მისი ძალაუფლება გარანტირებული არ არის. "თუ პუტინი ქართველებსა და მოლდოველებს ვერაფერს დააკლებს, რომ აღარაფერი ვთქვათ უკრაინელებზე, მაშინ მისი ძალაუფლება არც ისე უსაზღვრო ყოფილა," - ფიქრობენ ზოგიერთ რუსულ პროვინციაში.

და მაინც, მოსკოვს აქვს კიდევ უფრო მნიშვნელოვანი მიზეზი, არ მოსწონდეს საქართველოში მომხდარი მოვლენები. სააკაშვილმა ჭეშმარიტი დემოკრატიული რეფორმების პროგრამა წამოაყენა. მისი გეგმები ბევრი რამით წააგავს იმას, რაც ცენტრალურ ევროპასა და ბალტიის ქვეყნებში განხორციელდა. სააკაშვილმა დაიწყო ნაბიჯების გადადგმა ღია საზოგადოებისაკენ, კორუფციის აღმოფხვრისაკენ, მაგრამ მისი უმთავრესი დევიზი მაინც "საბჭოური მემკვიდრეობისგან თავის დაღწევაა". ეს პირველი ასეთი ექსპერიმენტია დსთ-ის ტერიტორიაზე და თუ იგი წარმატებით დასრულდა, ის უზარმაზარ დარტყმას მიაყენებს რუსეთის ძალაუფლებას.

საქართველოში მომხდარ მოვლენებს დიდი რეზონანსი მოჰყვა დსთ-ის ევროპულ ნაწილში. სააკაშვილი საზღვარგარეთ პირველად უკრაინაში გაემგზავრა, სადაც მან იუშჩენკო უკრაინის მომავალ პრეზიდენტად გამოაცხადა. რა ეშველება მოსკოვის მეგობარ კუჩმას, რა ეშველება უკრაინის საბჭოთა ნომენკლატურას? ერთი სიტყვით, შესაძლოა, ქართული მოვლენები არა მხოლოდ უკრაინაში განმეორდეს.

სააკაშვილი, იუშენკო და ის ქვეყნები, რომელთაც, იმედია, ისინი სათავეში ჩაუდგებიან, არასოდეს გახდებიან მოსკოვის ვასალები. მათ მიერ შემოთავაზებული პოლიტიკური და ეკონომიკური მოდელები სრულიად შეუთავსებელია დღევანდელ რუსეთთან.

ასე რომ, ნაცვლად იმისა, რუსეთის ნადავლად იქცნენ, დსთ-ის სახელმწიფოები ნელ-ნელა დამოუკიდებელი ქვეყნები ხდებიან და სულ უფრო შორდებიან რუსულ პოლიტიკურ სისტემას, ღირებულებებსა და მომავლის ხედვას. უეჭველია, რომ ეს ისტორიული მნიშვნელობის მოვლენაა.

საქართველოს მოვლენების შემყურე რუსეთის ხელმძღვანელობას, ალბათ, კიდევ უფრო გაუძლიერდა სურვილი, რაც შეიძლება მალე მოიცილოს თავიდან პოლიტიკური ოპოზიცია ისევე, როგორც პუტინის ყველა შესაძლო პირადი მოწინააღმდეგე. ეს არც თუ ისე რთული საქმეა, მით უმეტეს, რომ მისი დიდი ნაწილი პუტინის წინამორბედებმა შეასრულეს. 70-იან წლებში ანდროპოვმა დაავალა კაგებეს გამომძიებლებს, "ისტორიიდან გაექროთ" დისიდენტები; სამწუხაროდ, ეს ამოცანა წარმატებით შესრულდა და რუსეთში არ დარჩა არც ერთი ეროვნული მასშტაბის ლიდერი, რომელიც ნომენკლატურის მოთოკვასა და თავისუფლების განმტკიცებას შეძლებს.

სამაგიეროდ, მოსალოდნელია რეგიონული ძალების აღზევება. მაშინ, როდესაც დსთ იშლება და მოსკოვი მასზე კონტროლს კარგავს, შეიძლება არც თავად ფედერაცია აღმოჩნდეს ისეთი ერთიანი, როგორც ჰგონიათ. "ხელისუფლების ვერტიკალი" შეიძლება შეირყეს; დემოკრატიისკენ სავალი ერთადერთი გზა რუსეთისთვის ფედერალიზმია.

ასე რომ, მიხეილ სააკაშვილსა და მის გუნდს ყველა შესაძლო საშუალებით უნდა დავეხმაროთ. დღეს საქართველო წარმოადგენს დემოკრატიული ცვლილებების ეპიცენტრს მთელი "საბჭოთა კავშირისათვის", მათ შორის - რუსეთისთვისაც.

# გერმანია და საფრანგეთი ერაყისათვის ვალების ჩამოწერას თანხმდებიან

ადამ მჭედლიძე

ვაშინგტონმა პრაქტიკულად დაითანხმა გერმანია და საფრანგეთი ერაყისათვის ვალის დიდი ნაწილის პატიების თაობაზე. პრეზიდენტ ბუშის მიერ პარიზსა და ბერლინში წარგზავნილმა ჯეიმს ბეიკერმა, ერთი შეხედვით, შეუძლებელი შეძლო - ჟაკ შირაკიცა და გერჰარდ შრიოდერიც აცხადებენ, რომ ისინი აუცილებლად შეეცდებიან, ერაყს ძველი ვალები ეპატიოს. უახლოეს მომავალში ბეიკერი იმავე მისიით რუსეთსა და იტალიას ეწვევა.

აშშ-ის ადმინისტრაცია ერაყისათვის ვალების ჩამოწერის აუცილებლობაზე ჯერ კიდევ საომარი მოქმედებების დასრულებისთანავე ალაპარაკდა, მაგრამ ამ იდეას სხვა ქვეყნები დიდი ენთუზიაზმით არ შეხვდნენ. რუსეთი აშშ-ის ამ ინიციატივას კატეგორიულად ეწინააღმდეგება. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ მოსკოვი ერაყის ერთ-ერთი უმსხვილესი მევალე იყო. გარდა ამისა, კრემლს სულაც არ სურდა, აშშ-სათვის ერაყის აღმშენებლობაში შეეწყო ხელი (არადა, ვალების პატიების გარეშე ეს ძალიან გაჭირდება). ვაშინგტონმა ხომ მოსკოვის ნების საწინააღმდეგოდ აწარმოა სამხედრო კამპანია ერაყში.

როგორც ცნობილია, საომარ მოქმედებებს პარიზი და ბერლინიც კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ. თუმცა, ერაყის აღმშენებლობაში მონაწილეობა ყველას სურს. როცა ახლახან ვაშინგტონმა განაცხადა, რომ ერაყულ კონტრაქტებს მხოლოდ იმ ქვეყანათა კომპანიები მიიღებდნენ, რომლებიც აშშ-ს საომარი მოქმედებების დროს მხარს უჭერდნენ, პარიზმა და ბერლინმა ნამდვილი შოკი მიიღო.

მაგრამ, როგორც ჩანს, ყველაფერი გათვლილი იყო: განცხადების გაკეთებისთანავე ბეიკერი ევროპაში გაფრინდა და ერაყისათვის ვალების ჩამოწერაზე გააჩაღა მოლაპარაკებები. სამაგიეროდ, ყოფილი სახელმწიფო მდივანი გერმანიასა და საფრანგეთს, ალბათ, ერაყის აღმშენებლობაში მონაწილეობას შეჰპირდა. ამას მოწმობს შირაკის წარმომადგენლის განცხადება, რომ **"ბეიკერთან ხაზი გაესვა ერაყის ერთობლივი ძალებით რეკონსტრუქციის აუცილებლობას."**

საფრანგეთის თანხმობა ვალების საკითხში ვაშინგტონისათვის ერთობ მნიშვნელოვანია, რადგან საფრანგეთი კრედიტორების პარიზის კლუბს თავმჯდომარეობს. ერაყის ვალი სულ 120 მილიარდ დოლარს შეადგენს და აქედან 40 მილიარდის ბედი სწორედ პარიზის კლუბმა უნდა განკარგოს. საფრანგეთის კეთილგანწყობის მიუხედავად, პარიზის კლუბში აშშ-ს მაინც დიდი ბრძოლის გადატანა მოუწევს. ამ კლუბის წევრი ქვეყნები აუცილებლად შეეცდებიან, გაზარდონ თავიანთი გავლენა ერაყის დროებით მთავრობაში; თუმცა, თუკი ძირითადი მოთამაშეები - გერმანია, საფრანგეთი, რუსეთი დაითანხმეს, ყველაფერი იოლი იქნება.

# შვეიცარიამ სომხების გენოციდი აღიარა

შვეიცარიის პარლამენტმა, 107 ხმით 67-ის წინააღმდეგ, პირველი მსოფლიო ომის დროს ოსმალეთის იმპერიაში სომხების გენოციდის ფაქტი ოფიციალურად აღიარა. შვეიცარიის მთავრობა პარლამენტს ამ ნაბიჯის გადადგმისაგან თავის შეკავებას ურჩევდა, რადგან შიშობენ, რომ ამ გადაწყვეტილებამ შეიძლება თურქეთთან ურთიერთობები დაძაბოს. გენოციდის ფაქტი უკვე აღიარა მსოფლიოს 15 ქვეყნის პარლამენტმა, მათ შორის - რუსეთის, საფრანგეთისა და არგენტინის საკანონმდებლო ორგანოებმა.

შვეიცარიის მთავრობის გაფრთხილებამ არ გაჭრა და პარლამენტმა გადაწყვეტილება მიიღო. ამაში ლომის წილი სომხური დიასპორის აქტიურ საქმიანობას მიუძღვის. "შვეიცარიის პარლამენტმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებისა და სამართლიანობის ერთგულია," - კმაყოფილებას ვერ მალავდა სომხეთის ელჩი შვეიცარიის კონფედერაციაში ზოჰრაბ მნაცაკანიანი. "არაღიარება გენოციდის მსხვერპლთა კიდევ ერთხელ მოკვლა იქნებოდა," - მიიჩნიეს შვეიცარიის პარლამენტში. შვეიცარიელი დეპუტატები ამბობდნენ, რომ გენოციდის აღიარება მხოლოდ ისტორიული ფაქტის შეფასებაა და მას დღევანდელი თურქეთის მიმართ რაიმე პრეტენზიებთან საერთო არაფერი აქვს.

ასე არ ფიქრობს თურქეთი. ანკარამ გადადო შვეიცარიის საგარეო საქმეთა მინისტრის ვიზიტი თურქეთში. თურქეთის ხელისუფლება წინასწარ აფრთხილებდა შვეიცარიელ კოლეგებს, რომ გენოციდის აღიარება ორი ქვეყნის ურთიერთობას არ წაადგებოდა. არადა, შვეიცარიისათვის თურქეთი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორია და ამ ქვეყანასთან ურთიერთობის თუნდაც დროებითი დაძაბვა მას ხელს არ აძლევს.

სომხეთის ხელისუფლება მიიჩნევს, რომ 1915-1923 წლებში ოსმალეთის იმპერიაში მილიონზე მეტი სომეხი მთელი ერის გენოციდის განზრახვით იქნა მოკლული და თურქეთისაგან ამ ფაქტის ოფიციალურ აღიარებასა და დაგმობას ითხოვს. ანკარა კი გენოციდის ფაქტს უარყოფს და ოსმალეთში მცხოვრები ეთნიკური სომხების მასობრივ დაღუპვას პირველი მსოფლიო ომის პირობებში მათ მტრულ ძალებთან თანამშრომლობით ხსნის. აღსანიშნავია, რომ გენოციდის ფაქტი თანამედროვე სომხეთის საგარეო პოლიტიკაში თურქეთზე საერთაშორისო ზეწოლის მექანიზმად გამოიყენება. ერევანში თურქეთს დღემდე ქვეყნის ნომერ პირველ საფრთხედ, ხოლო ყარაბაღის კონფლიქტს აზერბაიჯან-თურქეთის მხრიდან გენოციდის გაგრძელებად მიიჩნევენ. ორ ქვეყანას შორის არ არსებობს დიპლომატიური ურთიერთობა და სასაზღვრო მიმოსვლა. აშშ-ს შუამავლობით შექმნილია არაოფიციალური თურქეთ-სომხეთის შერიგების საბჭო, თუმცა მისი საქმიანობა სომხეთში მეტად არაპოპულარულია. არადა, აშკარაა, რომ თურქეთთან ურთიერთობების მოწესრიგების გარეშე, სომხეთის სტაბილური უსაფრთხოების უზრუნველყოფა შეუძლებელი იქნება.

# საბერძნეთში ტერორისტები გაასამართლეს

გუშინ ათენის სასამართლომ მემარცხენე ორიენტაციის ტერორისტული დაჯგუფების, "17 ნოემბრის" ლიდერს, ალექსანდროს გიოტოპულოსსა და ერთ-ერთ მებრძოლს, დიმიტრის კუფოდინასს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა. რამდენიმე წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა დაჯგუფების კიდევ 13 წევრს. ტერორისტულმა დაჯგუფებამ 1975 წლის შემდეგ საბერძნეთის ტერიტორიაზე ათეულობით აფეთქება მოაწყო, რის შედეგადაც 23 ადამიანი დაიღუპა.

ამ დაჯგუფების ჩამოყალიბება 1967-1975 წლებში საბერძნეთის ხელისუფლებაში მყოფი სამხედრო დიქტატურის წინააღმდეგ სტუდენტურ ბრძოლას უკავშირდება. აქედანვე მოდის სახელი "17 ნოემბერი", რადგან 1973 წლის ამ დღეს დიქტატურის წინააღმდეგ მასობრივი სტუდენტური დემონსტრაციები დაიწყო, რომელიც სასტიკად იქნა დარბეული. შედეგად 20 სტუდენტი დაიღუპა. დაჯგუფება განსაკუთრებით 70-80-იან წლებში აქტიურობდა. მათ მთავარ სამიზნეს ბერძენი და საბერძნეთში მოქმედი უცხოელი დიპლომატები წარმოადგენდნენ, ხოლო იდეოლოგიური მოტივი ამერიკულ კაპიტალიზმთან ბრძოლა იყო. დაჯგუფებამ პირველი ნაბიჯები 1975 წელს გადადგა, როცა აშშ-ს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ათენის წარმომადგენელი მოკლა. ტერორისტების გაღიზიანებას იწვევდა ის ფაქტი, რომ აშშ-ს მთავრობა ცივი ომის პირობებში უპირობოდ უჭერდა მხარს საბერძნეთის სამხედრო ხუნტას. ამერიკელის მკვლელობისას 45-კალიბრიანი პისტოლეტი გამოიყენეს, რომელიც მოგვიანებით ტერორისტების "სავაჭრო მარკად" იქცა, რადგან თითქმის ყველა თავდასხმას თან ახლდა.

ცივი ომის დასრულების შემდეგ "17 ნოემბრის" დაჯგუფებამ ანტიდასავლური საქმიანობა გააგრძელა. ისინი საბერძნეთის დასავლეთთან და, განსაკუთრებით, აშშ-სთან თანამშრომლობას ებრძოდნენ და ქვეყნის ნატო-დან გამოსვლასაც კი მოითხოვდნენ. მათ უკანასკნელ თავდასხმას 2000 წელს ათენში დიდი ბრიტანეთის სამხედრო ატაშე შეეწირა. აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ შემთხვევის წყალობით გაიხსნა დაჯგუფების საქმიანობის ბურუსით მოცული 25-წლიანი ისტორია. საქმე ისაა, რომ საბერძნეთის ხლისუფლება აქამდე "17 ნოემბრის" დანაშაულების გახსნას ვერ ახერხებდა. ექსპერტების შეფასებით, დაჯგუფების წევრთა რიცხვი 25 კაცს არ აღემატებოდა, რომლებიც ხშირად ერთმანეთის ნათესავებიც კი იყვნენ. შესაბამისად, რთული იყო დაჯგუფების შესახებ ინფორმაციის მოპოვება. ბრიტანელი დიპლომატის მკვლელობას კი დაჯგუფების ერთ-ერთი წევრის დაკავება მოჰყვა, რომელმაც გამოძიება სწორ გზაზე დააყენა. მან სამართალდამცველებს ორგანიზაციის ლიდერიც დაუსახელა, თუმცა თავად გიოტოპულოსი "17 ნოემბერის" ჯგუფთან რაიმე კავშირს კატეგორიულად უარყოფს. საბერძნეთის ხელისუფლებამ ტერორისტული დაჯგუფების საქმიანობის წარმატებული გამოძიებით საერთაშორისო თანამეგობრობას დაუდასტურა, რომ იგი ტერორიზმთან ბრძოლაში ეფექტურია. მით უფრო, რომ 2004 წელს ათენში ოლიმპიადა უნდა გამართოს. "17 ნოემბრის" დაჯგუფების განადგურებით 60-70-იანი წლების ევროპაში გაჩენილი მემარცხენე ორიენტაციის ტერორისტული გაერთიანებების ეპოქა დასრულდა.

# შავბნელი საახალწლო გუდა ლეიბორისტებისგან

*საოლქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა ლეიბორისტების სარჩელი და, შესაბამისად, გაზის ტარიფის ფიქსირებული გადასახადი – 27 თეთრი, უცვლელი დატოვა. ლეიბორისტებმა სასამართლოს ამ გადაწყვეტილებას გუშინ პრესკონფერენცია მიუძღვნეს. მათ ხელიდან არ გაუშვეს შესაძლებლობა და დღევანდელ ხელისუფლებას კიდევ ერთხელ გადასწვდნენ.*

ირინე სანებლიძე

ლეიბორისტების გუშინდელი პრესკონფერენციის მთავარი თემა იყო საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, გაზის ტარიფი - ფიქსირებული გადასახადი (27 თეთრი) უცვლელი დარჩა. გიორგი გუგავას განცხადებით, ლეიბორისტების სარჩელი, გაზის ტარიფის შემცირებასთან დაკავშირებით, თბილისის თითოეულ ოჯახს 5-10 ლარის შეღავათს გაუწევდა. "ჩვენ დღგ-ს გამოკლება გვინდოდა, რაც, შესაბამისად, გადასახადს რამდენიმე თეთრით გააიაფებდა. საოლქო სასამართლოს დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში ფიქსირებულ გადასახადს - 27 თეთრს, დაახლოებით, ორი-სამი თეთრი მოაკლდებოდა", - ამტკიცებს გიორგი გუგავა.

გუგავამ გაზის ტარიფთან დაკავშირებული პრეისტორიაც გაიხსენა: "ლეიბორისტებმა საკრებულოში ტარიფის შემცირების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებას ვერ მივაღწიეთ და ამიტომ დავადექით სასამართლოს გზას. სამწუხაროდ, სააკაშვილის რეფორმირებულმა და დღევანდელი ხელისუფლების მიერ კონტროლირებადმა სასამართლომ მიიღო ისეთივე გადაწყვეტილება, რასაც წლების განმავლობაში იღებდა. სასამართლომ არ დააკმაყოფილა ჩვენი კანონიერი მოთხოვნა, რომლის შესაბამისად, მნიშვნელოვნად შემცირდებოდა თბილისში გაზის ტარიფი".

გუგავამ ე.წ. გაზის ვაუჩერებიც გაიხსენა და აღნიშნა, რომ საკრებულოს თავმჯდომარემ და მისმა გუნდმა "მორიგი ბლეფი გაითამაშეს" და "მოტყუებული, ხახამშრალი დატოვეს ათასობით მასწავლებელი". გუგავას თქმით, მასწავლებლებს, რომლებიც ამ ვაუჩერებით მიდიან გაზის ტარიფის გადასახდელად, "ცივი უარით ისტუმრებენ".

"24 საათმა" ეს ინფორმაცია პედაგოგებთან გადაამოწმა. ჩვენ მიერ გამოკითხული რამდენიმე პედაგოგიდან 49 ლარის ღირებულების ვაუჩერი ყველას ჰქონდა მიღებული. ვალდორფის თავისუფალი სკოლის პედაგოგმა, კუპრავამ, შარშან უკვე გამოიყენა აღნიშნული ვაუჩერი, წლევანდელი ვაუჩერის 49 ლარს კი, "შავი დღისთვის" ინახავს: "ველოდები, როცა ძალიან გამიჭირდება და მაშინ უფრო მადლიანად მოვიხმარ".

მიუხედავად ამისა, გუგავას აზრით, "გაზის ვაუჩერი ნაციონალების, მხოლოდ და მხოლოდ, წინასაარჩევნო სააგიტაციო ფურცელი აღმოჩნდა". გაჯიუტებული გუგავა მოტყუებული მოსახლეობის მდგომარეობაზე სრულ პასუხისმგებლობას ნაციონალებს აკისრებს, რადგან "ქალაქის ბიუჯეტს საკრებულოს თავმჯდომარე და მისი გუნდი - საკრებულოს უმრავლესობა განკარგავდა და მათ ზუსტად იცოდნენ, რომ დანაპირებს ვერ შეასრულებდნენ".

პრესკონფერენციის დასასრულს გუგავა ისევ გაზის ტარიფს დაუბრუნდა; არც ელექტროენერგიის გადასახადი დაივიწყა და წინასაახალწლოდ შავბნელი სურათი დახატა: "თბილისის ბევრ უბანში გაზის მიწოდება უკვე შეწყვეტილია; დიდი ხანია, ელექტროენერგია არ მიეწოდება საქართველოს ზოგიერთ რეგიონს. ხალხი საახალწლოდ დატოვეს არა მარტო მოტყუებული, ხელფასებისა და პენსიების გარეშე, არამედ დატოვეს უშუქოდ და უგაზოდ. არსებობს საშიშროება, რომ ახალ წელს თბილისშიც უშუქოდ შევხვდებით".

## მოკლედ

### მუნიციპალიტეტის საახალწლო სამზადისი

საახალწლოდ დედაქალაქში მუნიციპალური ტრანსპორტი განსაკუთრებულ რეჟიმში იმუშავებს. როგორც ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელმა ოთარ ჭიპაშვილმა განაცხადა, 31 დეკემბერს რესპუბლიკის მოედნიდან, სადაც გრანდიოზული კონცერტია დაგეგმილი, საქალაქო ავტობუსები 01:00 და 02:00 საათებამდე იმუშავებს, რათა გარეუბნების მოსახლეობამ გადაადგილება შეძლოს.

ჭიპაშვილის თქმით, ავტობუსები, ძირითადად, დიდი დიღმის, მუხიანის, გლდანის, ვარკეთილის და ნუცუბიძის დასახლებების მიმართულებით იმოძრავებს. ასევე, გვიანობამდე იმუშავებენ ტროლეიბუსებიც.

თბილისის მოსახლეობას განსაკუთრებული ფეიერვერკების მოწყობას ჰპირდება ქალაქგანათების სამსახურიც. ქალაქგანათების სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ვლადიმერ კვიჭიძის თქმით, ცენტრალურ გამზირებზე უკვე დაიწყო სადღესასწაულო განათებების დამონტაჟება. დედაქალაქის, თითქმის, ყველა რაიონში მოირთვება ნაძვის ხეები და განათდება ქუჩები.

გარდა ამ ღონისძიებებისა, რუსთაველის გამზირზე 31 დეკემბერს მოსახლეობას სხვა სიურპრიზებიც ელის, რომელსაც საქალაქო სამსახურში არ ახმაურებენ. თუმცა, ცნობილია, რომ მერიის შენობის ფასადზე განათდება წარწერა "2004 წელი", სახურავზე კი ფეიერვერკები მოეწყობა. **ინტერ-პრესი**

### საახალწლო "ბრახა-ბრუხის" უსაფრთხოებისათვის

„საქსტანდარტი" საახალწლო ასაფეთქებელი საშუალებების რეალიზაციის შეჩერებას ითხოვს.

თბილისის ბაზრობებსა და მაღაზიებში რამდენიმე დასახელების ასაფეთქებელი საშუალება იყიდება. ის, ძირითადად, ჩინეთიდან და ირანიდან არის შემოტანილი.

ჩინეთიდან შემოტანილ ასაფეთქებლებს ქართულენოვანი ანოტაცია ახლავს, სადაც მითითებულია მათი გამოყენების წესები. „საქსტანდარტში" აცხადებენ, რომ დასაშვებია მხოლოდ ამ სახის ანოტაციის მქონე პროდუქციის რეალიზაცია.

რაც შეეხება დანარჩენი სახის ასაფეთქებლებს, მათ არც ქართულენოვანი და არც უცხოენოვანი განმარტება არ ახლავს. გარდა ამისა, ასაფეთქებლების ნაწილზე საერთოდ არ არის მითითებული, რომელ ქვეყანაში და რომელი ფირმის მიერ არის წარმოებული. ეს პროდუქცია ან კონტრაბანდულია, ან საქართველოშივეა წარმოებული უკანონოდ და კუსტარულად. მის ხარისხსა და უსაფრთხოებაზე პასუხს არავინ აგებს.

„საქსტანდარტში" აცხადებენ, რომ მსგავსი პროდუქციის რეალიზაცია უნდა აიკრძალოს და ხელისუფლებისგან შესაბამისი ზომების მიღებას ითხოვენ. **მედია-ნიუსი**

USAID

ზღვარზე

# ყოველი სამი უმუშევრიდან ერთი დიპლომიანია

ნაწილი პირველი

სოფიკო ოხანაშვილი

*ქვეყნაში, სადაც განათლების სისტემისთვის ძალიან მცირე თანხები იხარჯება, სახელმწიფო ყოველწლიურად თავის თავზე იღებს ათასობით ადამიანის განათლებას. აქედან ნახევარზე მეტს, პრინციპში, უმუშევრობა ''გარანტირებული'' აქვს. ცხადია, რომ ქვეყანას არ სჭირდება ამდენი სხვადასხვა პროფესიის საშუალო და უმაღლესი განათლების მქონე ადამიანი. ამას ყველა ერთხმად აღიარებს, თუმცა, ამ პრობლემის მოსაგვარებლად ეფექტური ნაბიჯები არ გადადგმულა, ამის მიზეზად სხვადასხვა ობიექტური და სუბიექტური ფაქტორი სახელდება. შედეგი კი ასეთია: ხორციელდება არა რეალური სახელმწიფო დაკვეთა, არამედ ხელი ეწყობა სასწავლებლების არსებული პოტენციალის შენარჩუნებას.*



*როგორია მათი დასაქმების პერსპექტივა.*

სახელმწიფო დაკვეთა გულისხმობს საშუალო პროფესიულ და უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები კონტიგენტის რაოდენობის განსაზღვრას, რომელსაც სახელმწიფო აფინანსებს. ოფიციალური ინფორმაციით, საქართველოში 26 სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებელი ფუნქციონირებს, უმაღლეს სასწავლებლებს კი ყოველწლიურად 15 ათასზე მეტი კურსდამთავრებული ჰყავს. დაახლოებით, ამდენივეა საშუალო პროფესიული სასაწავლებლების ყოველწლიური გამოშვების მოცულობაც. აქედან ნახევარზე მეტის განათლებას სახელმწიფო აფინანსებს. ცალსახაა, რომ ქვეყანას არ სჭირდება ამდენი უმაღლესი და საშუალო პროფესიული განათლების მქონე ადამიანი, მით უმეტეს, როდესაც მათ შემდგომ დასაქმებას ვერ უზრუნველყოფს, რაც კიდევ უფრო მეტად ამძაფრებს დიპლომიანი უმუშევრობის პრობლემას. ფაქტობრივად, წლიდან წლამდე სახელმწიფოს მიერ სხვადასხვა პროფესიული და უმაღლესი სასწავლებლის მიმართ დაკვეთა ისე ხდება, რომ არ არსებობს რეალური პროგნოზი იმის შესახებ, თუ რა დარგის რამდენი სპეციალისტი სჭირდება ქვეყანას და როგორია მათი დასაქმების პერსპექტივა. ოფიციალური მონაცემებით, ყოველი მესამე უმუშევარი უმაღლესი განათლების მქონე ადამიანია.

დღეს განათლების დაფინანსების სფეროში სახელმწიფო დომინანტურ, თუმცა არაეფექტურ როლს ასრულებს, რადგან დაფინანსება მწირია. არსებული მწირი დაფინანსების პირობებში, თანხები არამიზნობრივად ნაწილდება. იმის გაუთვალისწინებლად, შეუძლია თუ არა ამ თუ იმ სასწავლებელს სახელმწიფოსთვის საჭირო და შესაბამისი ხარისხის კადრების მომზადება. აშკარაა, რომ არც ამდენი უმაღლესი განათლების მქონე, ამდენი სპეციალობის ადამიანი სჭირდება ქვეყანას და ვერც ეს უმაღლესი სასწავლებლები აკმაყოფილებენ, არათუ საერთაშორისო სტანდარტებს, ჩვენი დამსაქმებლების ელემენტარულ მოთხოვნილებებსაც კი. ამ მიზეზით, ყოველწლიურად ათასობით სხვადასხვა სპეციალობის კადრის მომზადების მიუხედავად, დამსაქმებლები ხშირად წუწუნებენ პროფესიონალი კადრების დეფიციტის გამო. ამის საფუძველი შრომის ბაზრის მოთხოვნების არაადეკვატური სპეციალობების ნუსხა და, ზოგადად, უხარისხო განათლების სისტემაა.

ერთმნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფოს დომინანტური როლი ამჟამად გაუმართლებელია. ამიტომ, სპეციალისტების დასკვნა ასეთია: სახელმწიფომ კარგად უნდა გააცნობიეროს, თუ რა უნდა და როგორ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს მისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უნდა განისაზღვროს უმაღლესი განათლების სახელმწიფო პოლიტიკა, მისი განვითარების მიზნები, პრინციპები და ამოცანები.

ცხადია, სახელმწიფოს არც შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნებისა და ტენდენციების შესახებ აქვს ზუსტი მონაცემები. ამიტომ, ბუნებრივია, უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულები იშვიათად თუ ახერხებენ პროფესიის მიხედვით მუშაობას, მით უმეტეს, რომ სასწავლო გეგმების შინაარსი და მისი გადაცემის ფორმა ნაკლებად შეესაბამება ბაზრის ახალ მოთხოვნებს.

დაკვეთის მრავალათასიანი მოცულობის პირობებში, სახელმწიფო დასაქმების უზრუნველყოფას რომ ვერ ახერხებს, ამას ეკონომიკის მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრო საკანონმდებლო ალოგიკურობით ხსნის, შრომის, სოციალური დაცვისა და ჯანმრთელობის სამინისტრო კი ჩვეულებრივ და კანონზომიერი განვითარების შედეგებს უწოდებს. უფრო მეტიც, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის დასაქმების საკითხთა და შრომითი რესურსების სამმართველოს უფროსი ციური ანთაძე აცხადებს, რომ გამორიცხულია, ქვეყნებში, სადაც საბაზრო ეკონომიკის პრინციპები მოქმედებს, კურსდამთავრებულების დასაქმების გარანტორი სახელმწიფო იყოს.

უკვე სადავო არ არის, რომ საჭიროა, სახელმწიფო დაკვეთების მასშტაბების შემცირება. თუმცა, ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს სოციალური დეპარტამენტის თავმჯდომარის პაატა ლასურაშვილის განმარტებით, დღევანდელ ეტაპზე სახელმწიფო დაკვეთის შემცირების ნებისმიერი მცდელობა დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული, ვინაიდან მისაღები კონტინგენტის შემცირება თავისთავად იწვევს პროფესორ-მასწავლებელთა შემცირებასაც. რიგ შემთხვევებში, კი დღის წესრიგში დგება ცალკეული სასწავლებლებისა თუ კათედრების დახურვის საკითხიც, რასაც არ ეთანხმებიან არც სასწავლებლების, არც სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები. ლასურაშვილის თქმით, რექტორები კბილებით ებღაუჭებიან კათედრების, სპეციალობებისა და ფაკულტეტების შენარჩუნებას. ისინი ყველანაირად ცდილობენ, აირიდონ მისაღები კონტინგენტის შემცირება. შესაბამისი უწყების წარმომადგენლები ერთხმად აცხადებენ, რომ სახელმწიფო დაკვეთის განსაზღვრისას მხედველობაში იღებენ არა მხოლოდ სახელმწიფო საჭიროებას, ამა თუ იმ დარგის კადრების რაოდენობის შესახებ, არამედ მთელ რიგ სხვა სუბიექტურ და ობიექტურ ფაქტორსაც. **'' ეს არის პოლიტიკური და სოციალური ფაქტორები. გასათვალისწინებლია ისიც, რომ სპეციალობების შემცირებისას პედაგოგების დიდი ნაწილი 14-ლარიან პენსიაზე უნდა გაუშვა და სხვა'',** - აცხადებს ლასურაშვილი.

ამდენად, ისე გამოდის, რომ ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრო, როგორც განათლების სფეროში სახელმწიფო დაკვეთის შემმუშავებელი უწყება, სხვა სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად ახორციელებს არა რეალურ სახელმწიფო დაკვეთას სხვადასხვა პროფილის სპეციალისტთა მოსამზადებლად, არამედ ხელს უწყობს სასწავლებლებში არსებული პოტენციალის შენარჩუნებას. ეს პოტენციალი კი არც ისე სახარბიელოა.

**პუბლიკაციათა ეს ციკლი "24 საათმა" მოამზადა ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური დახმარებით, საერთაშორისო კვლევისა და გაცვლების საბჭოსგან (IREX) მიღებული გრანტის მეშვეობით. მიუხედავად ამისა, მხოლოდ "24 საათი" აგებს პასუხს მათ შინაარსზე. პუბლიკაციებში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს საერთაშორისო კვლევისა და გაცვლების საბჭოს (IREX), კავკასიაში ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს წარმომადგენლობის (USAID/Caucasus MIssion) ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ოფიციალურ პოზიციას.**

## ორი სიტყვით

**თბილისი**. საქართველოს 1999 წლის მოწვევის პარლამენტმა, შესაძლოა, სკანდალური გადაწყვეტილება მიიღოს - საქართველოს ტერიტორიაზე აკრძალოს არაიოდიზირებული მარილის შემოტანა და რეალიზაცია.

აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების საფუძველი შესაძლებელია გახდეს საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის მიერ, საკანონმდებლო ინიციატივით, პარლამენტში შეტანილი კანონპროექტი "იოდის და სხვა მიკროელემენტების დეფიციტით გამოწვეული დაავადებების პროფილაქტიკის შესახებ".

აღნიშნული კანონპროექტიდან გამომდინარე, "საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში" დამატებები უნდა შევიდეს, რომელთა თანახმადაც, ვადაგასული იოდიზირებული მარილის იმპორტი და რეალიზაცია უნდა დაჯარიმდეს 500-დან 1000 ლარამდე. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ბავშვთა კარდიოლოგიის აქტუალურ საკითხებს 19 დეკემბერს თბილისში სპეციალური კონფერენცია მიეძღვნება. კონფერენცია გაიმართება გ. ჟვანიას სახელობის პედიატრიულ კლინიკაში, სადაც ქვეყნის ცნობილი ბავშვთა კარდიოლოგები ამ დარგში დღეს არსებულ პრობლემებს განიხილავენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** წინასაახალწლო გაფართოებული ვაჭრობა 20 დეკემბრიდან დაიწყება.

გარევაჭრობის ადგილებთან დაკავშირებით, დედაქალაქის მერიას შესაბამისი განკარგულება ჯერ არ გამოუცია, მაგრამ, სავარაუდოდ, საახალწლო ვაჭრობა „ძველ" ტერიტორიებზე გაიმართება.

ვეტგაერთიანების გადაწყვეტილებით, უკვე 20 დეკემბრიდან დედაქალაქის გარევაჭრობის ადგილებზე პროდუქციის მკაცრი კონტროლი დაწესდება.

ყველა ბაზრობასა და მიმდებარე ტერიტორიებზე მიმაგრებული იქნება ვეტექიმი შესაბამისი ლაბორატორიული აღჭურვილობით, რეაქტივებით და მიკროსკოპით. ვეტგაერთიანება იმედოვნებს, რომ სოფლის პროდუქტები წელს უკონტროლოდ აღარ გაიყიდება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გამომცემლობა „სამშობლოს" შენობაში განთავსებული ჟურნალ-გაზეთების რედაქტორები დღეს გამომცემლობის დირექციას შეხვდნენ და შენობის მოსალოდნელ პრივატიზაციასთან დაკავშირებით ერთობლივი საპროტესტო აქცია გამართეს.

„სამშობლოს" კოლექტივი კატეგორიულად ითხოვს, ქონების მართვის სააგენტომ მათ განუმარტოს, რამდენად რეალურია ამ შენობის კერძო პირებისთვის გადაცემის საშიშროება; არაოფიციალური ინფორმაციით, გამომცემლობა „სამშობლოს" პრივატიზების შემთხვევაში, ამ შენობაში სამორინეს გახსნა იგეგმება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ზოოლოგიური პარკის ვოლიერთა რაოდენობა 50-მდე გაიზარდა და ისინი ზამთრის სეზონის დადგომასთან დაკავშირებით ავტონომიური გაზის გამათბობლებით აღიჭურვა.

ცხოველთა სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნების მიზნით, რამდენიმე ვოლიერში ჰაერის ოპტიმალური ტემპერატურა, საშუალოდ, 25 გრადუსს შეადგენს.

ზოოპარკში ამჟამად 250 სახეობის სამი ათასამდე (ეგზემპლარი) ცხოველი ბინადრობს. მათთვის, თითქმის, ყველა პირობაა შექმნილი ზამთრის ცივი სეზონის გადასატანად. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** „საქსტანდარტმა" თბილისის სამომხმარებლო ბაზრის შემოწმება ორი კვირის წინათ დაიწყო. დღეისთვის სავაჭრო ქსელიდან ამოღებულია რამდენიმე დასახელების კარაქი, საკონდიტრო ნაწარმი, სიმინდის ბურბუშელა, სასმელები.

ნიმუშები პროდუქციის ხარისხის გამოსაკვლევად ჩაბარებულია ლაბორატორიაში, ხოლო პასუხები, ჯერჯერობით, უცნობია, თუმცა „საქსტანდარტში" აცხადებენ, რომ ამოღებული პროდუქციის ეტიკეტებზე დარღვევები უკვე გამოვლენილია. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გლდანის არასრულწლოვანთა მიღების, პროფილაქტიკისა და ორიენტაციის ცენტრის შენობის ერთ ფლიგელში მიმდინარე სარემონტო სამუშაოები ამ დღეებში დასრულდება და საახალწლოდ განსაკუთრებულ მდგომარეობაში მყოფ არასრულწლოვანებს განახლებული გარემო დახვდებათ.

სარემონტო სამუშაოები იაპონიის არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციამ 42- ათასდოლარიანი გრანტით დააფინანსა. შენობაში ჩატარდა კაპიტალური რემონტი, დამონტაჟდა იატაკქვეშა გათბობის სისტემა; ავეჯი და საყოფაცხოვრებო ნივთები 20 მოზარდზეა გაანგარიშებული.**მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თბილისის მე-5 იზოლატორის 49 (ვაჟი) არასრულწლოვანისთვის, რომლებიც განაჩენის გამოტანას ელოდებიან, გაერო-ს ბავშვთა ფონდმა (იუნისეფი) შეიძინა ე.წ. პლედები, ლეიბები, თბილი სპორტული ტანისამოსი და სხვა საყოფაცხოვრებო ნივთები.

შეძენილ ნივთებს მე-5 იზოლატორში თბილისის მერიის ბავშვთა უფლებების დაცვის ცენტრი შეიტანს, რომლის წარმომადგენლებიც, 49 არასრულწლოვანის სამედიცინო-ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური გამოკვლევის მიზნით, სამი დღის განმავლობაში იზოლატორში იმყოფებოდნენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** მარჯანიშვილის მოედანზე მდებარე შენობების ფასადები ახალ წლამდე შეკეთდება და შეიღებება. თბილისის მთავარი არქიტექტორის ირაკლი როსტომაშვილის ინფორმაციით, ამ სამუშაოებზე, რომელსაც კერძო პირები აფინანსებენ, 60 ათასი ლარი დაიხარჯება.

შეგახსენებთ, რომ, ასევე, შემოწირულობებით შეკეთდა რუსთაველის გამზირზე ექვსი შენობის ფასადი. სამუშაოების ღირებულებამ 108 ათასი ლარი შეადგინა. **მედია-ნიუსი**

გამოხმაურება

# ნებადართული სიმამაცე

თეიმურაზ ქორიძე

"24 საათი" არის პირველი და, თუ არ ვცდები, ჯერჯერობით, ერთადერთი ქართული გაზეთი, რომელსაც ჰყავს საკუთარი შტატიანი ომბუდსმენი. მისი მოვალეობაა, კვირაში ერთხელ მაინც, მოკლედ მიმოიხილოს თავის გაზეთში გამოქვეყნებული მნიშვნელოვანი სტატიები - ზოგი მოიწონოს, ზოგიც დაიწუნოს.

მართალია, ქართულ პრესაში ომბუდსმენის ინსტიტუტის დამნერგავის პრიორიტეტი "24 საათს" ეკუთვნის, მაგრამ ეს გახლავთ მსოფლიო პრესაში დიდი ხნის წინათ აპრობირებული, დღეისათვის კი, კარგად დავიწყებული თუ არა, კარგად შენიღბული ტექნოლოგია ობივატელი მკითხველის თვალის ასახვევად: - ხედავთ, რა ობიექტური ვარ, ჩემს გაზეთში გამოქვეყნებულ სტატიებსაც კი კრიტიკულად ვაფასებ. ამიტომ ჩემი აზრი უნდა მიიღოთ, როგორც უზენაესი ჭეშმარიტება.

"24 საათის" რედაქციაში რა ხდება, ვერ გეტყვით, მაგრამ ორიგინალში (ანუ უცხოურ გაზეთებში) ომბუდსმენს, როგორც წესი, ნიშნავს გაზეთის მფლობელი. ბუნებრივია, ომბუდსმენი ასრულებს მფლობელის შეკვეთას, ემორჩილება მფლობელს და არა რედაქტორს. ალბათ, ჩვენს შემთხვევაშიც ასე უნდა იყოს.

დიდი ბოდიშის მოხდით კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ ამგვარი ომბუდსმენობა ძალიან წააგავს ინტელიგენტურ ვირეშმაკობას. ეს არის კრიტიკა კრიტიკისათვის და არა ობიექტურობისათვის - ომბუდსმენი მწარედ აკრიტიკებს ყველა წვრილმანს, გაზეთში გამოჩენილ ყველა განსხვავებულ აზრს და არ აკრიტიკებს გაზეთის მფლობელისათვის მისაღებ, მაგრამ საზოგადოებისთვის, თუნდაც, ყოვლად მიუღებელ მოსაზრებებს. მოკლედ, ომბუდსმენის ინსტიტუტი არის ერთ-ერთი ფსიქოლოგიური ტექნოლოგია მკითხველის ცნობიერებაზე სასურველი ზეგავლენის მოსახდენად. ბარემ იმასაც ვიტყვი, რომ გონიერი კაცის ხელში ომბუდსმენური ტექნოლოგია არის საკმაოდ მძლავრი იარაღი. ვიმეორებ - მხოლოდ გონიერი კაცის ხელში.

"24 საათში" ომბუდსმენის საპატიო თანამდებობაზე დანიშნულია ბატონი ნოდარ ლადარია. ბუნებრივია, ისიც პატიოსნად ასრულებს დამნიშნავის მითითებებს.

"24 საათის" 24 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნებულია ცნობილი ჟურნალისტის, საქართველოს პარლამენტის 1999 წლის მოწვევის დეპუტატის, არჩილ გოგელიას სტატია "ხელისუფლება პასუხს აგებს როგორც საკუთარ, ისე ოპონენტთა შეცდომებზე". ავტორი ცდილობს, დაასაბუთოს ის, რაც სათაურშივე თქვა (ხელისუფლება პასუხს აგებს როგორც საკუთარ, ისე ოპონენტთა შეცდომებზე). სტატიის მთელი დედააზრი კი, ვფიქრობ, ამ აბზაცშია ჩამოყალიბებული: "თუ ნოემბრის არჩევნები გაყალბდება, თუ საკუთარ თავს და დანარჩენ მსოფლიოს დავანახებთ, რომ არ შეგვიძლია ერის ბედის განმსაზღვრელი კენჭისყრის ნორმალურად ჩატარება, მაშინ არაფერი შეიძლება გამოირიცხოს, ძალადობის ჩათვლითაც კი... როგორიც უნდა იყოს ნოემბრის არჩევნების შედეგები, ქვეყანა ველარ იცხოვრებს ისე, როგორც დღეს. საქართველო გარდაუვალი რადიკალური ცვლილებების აუცილებლობის წინაშე დგას."

არჩილ გოგელიას ამ სტატიაში პირადად მე დავინახე ქვეყნის გულშემატკივარი კაცის პოზიცია. ვიტყვი გულწრფელად, ამ სტატიაში ავტორს ახალი არაფერი უთქვამს. მან დელიკატურად გაიმეორა დღეს უკვე ხელისუფლებად ქცეული მაშინდელი ოპოზიციის ძირითადი მოსაზრებები. თანაც, ისე გაიმეორა, რომ ხელისუფლებისთვის არ უწოდებია ქურდი და მექრთამე, პრეზიდენტისთვის - რეგვენი და ქვეყნის დამაქცევარი. უბრალოდ, ასეთია გოგელიას სტილი - ნებისმიერი სათქმელი თქვას ზრდილობიანად.

28 ოქტომბრის მიმოხილვაში ("მომავალ ორშაბათამდე") ომბუდსმენი ლადარია ჯერ ყასიდად რამდენიმე ავტორს მოიხსენიებს (ირაკლი ბერიაშვილი, ეკა კვესიტაძე, თამარ მჭედლიშვილი), შემდეგ კი გოგელიას სტატიაში ქვას ქვაზე აღარ ტოვებს - სათაურიდან დაწყებული, სტრიქონებს შორის აღმოჩენილ ცბიერ აზრებამდე. სათაურიდან დავიწყოთო, - ბრძანებს ბატონი ლადარია და ასე აგრძელებს: "ავტორმა იცის, რომ ხელისუფლებას არანაირი ავტორიტეტი არა აქვს და დიდი ბრალი მიუძღვის (ნეტავ ვის წინაშე? - თ.ქ.). მაშასადამე, ობიექტურობა სწორედ ხელისუფლების გამტყუნება იქნება. მაგრამ ოპონენტთა გამტყუნება რაღა შუაშია? თუ საკუთარი თავის გამართლება უკვე შეუძლებელია, ყველა დანარჩენი უნდა გაამტყუნო, ჰოდა, ალიბაბაც ქალაქის ყველა კარს ნიშნავს ცარცით..." მანამდე კი პატივცემული ლადარია ბრძანებს: "ძირითადი დასკვნა, რომელიც ამ ტექსტიდან (იგულისხმება სათაური - თ.ქ.) შეიძლება გამოვიტანოთ, ასეთია: "მათ, ვისაც ჩვენზე ბატონობა სურს, სულელები ვგონივართ".

შეგახსენებთ, რომ ბატონმა ლადარიამ ასეთი რამ დაასკვნა არჩილ გოგელიას სტატიის სათაურად გამოტანილი საკმაოდ ბანალური ჭეშმარიტებიდან: "ხელისუფლება პასუხს აგებს როგორც საკუთარ, ისე ოპონენტთა შეცდომებზე".

სხვათა შორის, არჩილ გოგელია თავის ამ სტატიაში არსად გადაკვრითაც კი არ საუბრობს მაშინდელი ოპოზიციის შეცდომებზე. სამაგიეროდ, სავსებით სამართლიანად და გასაგებად ამბობს, - რაც ქვეყანაში ხდება, ყველაფერზე პასუხისმგებელი ხელისუფლებააო. ძნელი დასაჯერებელია, ბატონი ლადარია, ზოგადად, ოპოზიციის და, კერძოდ, ქართული ოპოზიციის უცდომელობის სენით იყოს შეპყრობილი - არ ცდებიან მხოლოდ გიჟები და მიცვალებულები. დანარჩენები შეიძლება შეცდნენ. ისინიც, ვინც არიან ხელისუფლებაში და ისინი, ვინც კრიჭაში უდგანან ხელისუფლებას. ოღონდ, შეცდომებისთვის ოპოზიციას არ მოეკითხება, ხელისუფლება კი მწარედ აგებს პასუხს. წესით, ასე უნდა იყოს და ეს დღევანდელმა ხელისუფლებამაც უნდა გაითვალისწინოს - მას პასუხი მოეთხოვება ასლან აბაშიძის, გურამ შარაძის და ირინა სარიშვილის შეცდომებისთვისაც კი. სწორედ ამ მოარული ფორმულის გამეორებისთვის ბატონი ლადარია არჩილ გოგელიას შუა საუკუნეებიდან გადმოსულ ხელნაჯახიან ყაჩაღად, ალი-ბაბად წარმოგვიდგენს.

ბატონი ლადარია აღშფოთებულია არჩილ გოგელიას საკმაოდ მოკრძალებული გამოთქმით ქართული მედიის მისამართით ("რა უპრინციპოა ხშირად ქართული მედია..."). სამაგიეროდ, აღფრთოვანებულია იმავე მედიის თაობაზე ლაშა ბაქრაძის უფრო ვრცლად გამოთქმული იგივე აზრით. საბოლოოდ კი ასეთ დასკვნას გვთავაზობს: "არჩილ გოგელიას სტატიაში, თუმცა მისი ავტორი წლების განმავლობაში სწორედ მედიაში მუშაობდა, ჩვენ პროფესიონალიზმის კი არა, უბრალოდ, საქმეში ჩახედულობის კვალსაც ვერ ვხედავთ, მსჯელობა არ სცილდება რომელიღაც იდეალური დიასახლისის დონეს... ამ დიასახლისს პლურალიზმიც არ მოსწონს..."

მართალია, ჟურნალისტ არჩილ გოგელიას "რომელიღაც იდეალური დიასახლისისათვის" შედარება მაინცდამაინც კორექტულად არ გამოიყურება, მაგრამ აქ მთავარი მაინც ბატონი ომბუდსმენის აზროვნების დონეა - იგი ვერ იტანს მედიის კრიტიკას იმ კაცისგან, ვინც შესანიშნავად იცნობს დღევანდელ ქართულ მედიას და გუშინდელსაც. სამაგიეროდ, მოსწონს ოფიციალურ ოპოზიციონერად აღიარებული ლაშა ბაქრაძის იგივე აზრი.

კიდევ ერთი მაგალითი ბატონი ლადარიას აზროვნებაზე დასაკვირვებლად: "ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული (გოგელიასეული - თ.ქ.) ბრალდებები (რიცხვით სამია, შერბილებული და ძალიან მოკლედ გამოითქმის)... ოპოზიციის წინააღმდეგ მიმართული ბრალდებები (რიცხვით ხუთია, ნაკლებად აშკარა, საკმაოდ გრძლად გამოითქმის, ზოგჯერ ერთმანეთს ფარავს, უფრო მეტ დაფიქრებას საჭიროებს და მკითხველიც დიდხანს ჩერდება)...".

ამ თორმეტიოდე წლის წინათ, გაზეთ "დრონში" (რომლის დამაარსებელი და რედაქტორი, სხვათა შორის, არჩილ გოგელია იყო) გვერდიგვერდ გამოვაქვეყნეთ პრეზიდენტ გამსახურდიას და ოპოზიციონერ ირაკლი წერეთლის პორტრეტები. გამსახურდიას ხელისუფლების ერთ-ერთმა (აწ გარდაცვლილმა) იდეოლოგმა სასტიკად გაგვაკრიტიკა იმის გამო, რომ გაზეთში გამოქვეყნებული ორი პორტრეტიდან ერთს (წერეთლისას) მეორეზე გაცილებით დიდი თავი ჰქონდა. არ გაჭრა ჩვენმა განმარტებებმა, რომ ობიექტურად ირაკლი წერეთელს ზვიად გამსახურდიაზე გაცილებით დიდი თავი ჰქონდა და მათი პორტრეტების ერთად გამოქვეყნებით ჩვენ ირაკლი წერეთლის გონებრივ აღმატებულებაზე არ გვიფიქრია. ასეა ბატონი ლადარიას საქმეც - მას სურს, რაღაც არ უნდა დაუჯდეს, გოგელიას სტატიის სტრიქონებს შორის რაიმე ანტისაზოგადოებრივი აზრი აღმოაჩინოს. მაგალითად, ასეთი: თქვენ, საწყალო ამომრჩევლებო, ალი-ბაბა გოგელიას, ამ ვიღაც იდეალურ დიასახლისს, სულელები ჰგონიხართ!

სამწუხაროდ, გამომგონებლობისა და სტრიქონებს შორის საეჭვო აზრების აღმოჩენის უნიკალური ნიჭით დაჯილდოებულ ბატონ ლადარიას ძალიან უჭირს საკუთარი ნააზრევის გასაგებ ენაზე წერილობით გადაცემა. ეტყობა, შენიშვნის თქმასაც ვერავინ უბედავს. ამიტომ, ამ ენაზე წერს: "არა, ვერშემდგარს ვერ უწოდებს არჩილ გოგელია ქვეყანას, რომელსაც ბერლინის კედლის დამანგრეველი გმირთაგმირი უდგას სათავეში. ამას ხომ ვერ აკადრებს ბატონ პრეზიდენტს! მაგრამ დღეს, როცა ჩვენზე კარგად და ჯერჯერობით ჩვენზე ცუდად მყოფთა მდგომარეობა ყოველ ჩვენგანს თვალწინ უდგას, განა მომავალი შეიძლება ბუნდოვანი იყოს?"

ეჰ, ბატონო ნოდარ, საქართველოს მომავალი მაშინაც ბუნდოვანი იყო, როცა მას "ბერლინის კედლის დამანგრეველი გმირთაგმირი" ედგა სათავეში და მაშინაც ბუნდოვანი იქნება, როცა ვარდების რევოლუციის შემოქმედი გმირთაგმირი ჩაუდგება სათავეში.

ომბუდსმენობა, საერთოდ, კარგი და საპატიო თანამდებობაა, მაგრამ როგორც კონსტანტინე გამსახურდია ბრძანებდა, ამისთვის მარტო ნიჭი არაა საკმარისი, ცოტა ჭკუაცაა (და კიდევ ცოტაოდენი სინდისიც) საჭირო. ბატონი ლადარია რომ არჩილ გოგელიას აზროვნებას უწუნებს, ეს, თავისთავად, ბევრს არაფერს ნიშნავს. უბედურება ის არის, რომ იგი თანამედროვე საქართველოს ერთ-ერთ (თუ ერთადერთ!) ყველაზე სიმპათიურ გაზეთში ყალბი პათეტიკის და უაზრო კრიტიკის ნიმუშებს აქვეყნებს. ისეთ ნიმუშებს, რომლებსაც აშკარად ასდის ნებადართული სიმამაცის და ლაჩრული გამბედაობის სუნი.

"24 საათი", ჩემთვის მართლაც დიდად საპატივცემო გაზეთი, ნამდვილად არ იმსახურებს ლადარიას დონის ომბუდსმენ-მიმომხილველს.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** საქართველოს სპეცსამსახურები ოპერატიულ ინფორმაციას ფლობენ, რომლის თანახმადაც, პრეზიდენტობის კანდიდატ მიხეილ სააკაშვილს "ფიზიკური ლიკვიდაცია ემუქრება", - განუცხადა ჟურნალისტებს სახელმწიფო უშიშროების მინისტრმა ვალერი ხაბურძანიამ. "სწორედ ამ ინფორმაციის საფუძველზე სააკაშვილს რეკომენდაცია გაუწიეს, რომ კრწანისის სამთავრობო რეზიდენციაში გადასულიყო, სადაც მისი დაცვა გაძლიერებულია", - თქვა მინისტრმა. მან "აბსურდული" უწოდა პოლიტიკური მოძრაობა "ახალი ძალის" ლიდერის ირინა სარიშვილი-ჭანტურიას განცხადებებს, რომლითაც სააკაშვილს მისივე თანამებრძოლთაგან - სახელმწიფო მინისტრ ზურაბ ჟვანიასა და პრეზიდენტობის მოვალეობის შემსრულებელ ნინო ბურჯანაძისგან ლიკვიდაციის საფრთხე ემუქრება, რაც სწორედ კრწანისის რეზიდენციაში შეიძლება მოხდეს, რათა შემდგომ ექსპრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე დაადანაშაულონ, რომელიც იქვე ცხოვრობს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის მკვიდრნი, 22 წლის ირაკლი ოჩიგავა და 26 წლის ზვიად ნანავა სამეგრელო-ზემო-სვანეთის რეგიონის პოლიციელებმა ავტომანქანის გატაცების ბრალდებით სენაკში დააკავეს. შს სამინისტროს ცნობით, დაკავებულებს ბრალად ედებათ 15 დეკემბერს, სენაკში, 42 წლის ბაჩუკი გოგიას კუთვნილი ავტომანქანა "ვაზ 21011"-ის გატაცება. პოლიციელებმა ავტომანქანა მფლობელს დაუბრუნეს, ბრალდებულები კი პოლიციის დროებითი დაკავების იზოლატორში მოათავსეს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** 29 წლის ამირან ფანცულაია თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის პოლიციის თანამშრომლებმა ხულიგნობის ბრალდებით დააკავეს. თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს ცნობით, ნასვამ მდგომარეობაში მყოფი ფანცულაია ქვიშხეთის ქუჩაზე მცხოვრებ ნაირა კვანჭიანთან მივიდა და მას ფულს სძალავდა. თანხის მიცემაზე უარის მიღების შემდეგ ფანცულაიამ კვანჭიანის სახლში სხვადასხვა ნივთები დაამტვრია. წინასწარი გამოძიების ინფორმაციით, ფანცულაია კვანჭიანს სისტემატურად ურეკავდა და მისგან 1700 აშშ დოლარს მოითხოვდა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ქურდების ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის ლიდერი, 22 წლის მიხეილ ბრეგვაძე თბილისის შს სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს. ბრეგვაძეს ბრალი ედება 5 ივნისს, თავის თანამზრახველებთან ერთად, მოქალაქე შენგელაიას ბინის ქურდობაში, საიდანაც საყოფაცხოვრებო ნივთები გაიტაცეს. ბრეგვაძის მიმართ აღძრულ საქმეს თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის საგამოძიებო სამსახური იძიებს. სამართალდამცავებს ეჭვი აქვთ, რომ ბრეგვაძის ჯგუფს სხვა ქურდობაც აქვს ჩადენილი. მიმდინარეობს მუშაობა ჯგუფის სხვა წევრების დასაკავებლად. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** 400 ცალი შაშხანისა და 207 ცალი ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის "აკმ"-ის ვაზნები, ერთი ცალი რადიოგადამცემი ამოიღეს 31 წლის ანდრო მაილოვისაგან, რომელიც პოლიციელებმა საბრძოლო მასალის უკანონო შენახვისათვის დააკავეს.საბრძოლო მასალის გარდა, მაილოვს ჩამოართვეს ექვსი სხვადასხვა დასახელების რუსული შტამპი და ბეჭდები, რომლის დანიშნულებას პოლიცია გაარკვევს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "ედპ"-ს ყოფილ ლიდერს ირინა სარიშვილი-ჭანტურიას არ აქვს იმის "ილუზია", რომ სამართალდამცავი ორგანოები რეალურად გამოიძიებენ 2 დეკემბერს მომხდარ ფაქტს (როცა მის ბინას ესროლეს), რომელიც შს მინისტრმა თავის დროზე შეაფასა, როგორც "კრიმინალური ქმედება ადამიანის სიცოცხლის ხელყოფის მცდელობის მიზნით". ირინა სარიშვილი-ჭანტურია აცხადებს, რომ, მას შემდეგ, რაც სამართალდამცავმა ორგანოებმა აღნიშნულ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღძრეს მკვლელობის მოტივით, "რადგან სხვა გამოსავალი არ ჰქონდათ", არც ერთ გამომძიებელს დაზარალებულისთვის არ დაურეკავს. მისი განცხადებით, იგი არც კი ფიქრობს იმაზე, რომ სამართალდამცავი ორგანოები ამ საქმის რეალურ ჩამდენს დააკავებენ. მას უჭირს იმ პირის დასახელება, ვის ინტერესებშიც, შესაძლოა, სარიშვილის ლიკვიდაცია შედიოდეს. "ძნელია იმის თქმა, თუ დღევანდელი ხელისუფლების სამეულიდან, რომელს რა აწყობს და რაზე ეკისრება პასუხისმგებლობა", - აღნიშნა მან. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** შს სამინისტროს ეკოლოგიური პოლიციის მთავარ სამმართველოში შეიქმნა 12 სამუშაო ჯგუფი, რომელიც წინასაახალწლოდ ნაძვის ხეების ჭრის ფაქტებს გამოავლენს და ქვეყნის მასშტაბით რეიდებს განახორციელებს. ეკოპოლიცია ამ პრობლემის მოსაგვარებლად, გარემოს დაცვის სამინისტროსა და სხვა შესაბამის უწყებებთან ერთად, კოორდინირებულად იმოქმედებს. თბილისში წინასაახალწლოდ ნაძვის ხეებს - ათი ათას ძირს, ზუგდიდის სანერგე მეურნეობიდან შემოიტანენ. ამის შესახებ კერძო მფლობელებმა განაცხადი ეკოპოლიციაში უკვე წარადგინეს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** 18-19 დეკემბერს სტრასბურგში ევროსაბჭოს ეგიდით დაგეგმილ შეხვედრაში, რომელიც საარჩევნო დავებს და საარჩევნო პროცესების გამჭვირვალობას შეეხება, საქართველოს სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლებიც მიიღებენ მონაწილეობას. საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრესსამსახურის განცხადებით, დელეგაციის შემადგენლობაში იქნებიან: უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ლადო ჭანტურია, საკონსტიტუციო სასამართლოს რამდენიმე მოსამართლე და სხვა ოფიციალური პირები. საქართველოს დელეგაცია თბილისში 20 დეკემბერს დაბრუნდება და მისი წევრები სპეციალურ პრესკონფერენციას გამართავენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** პოლიტიკური ალიანსი "სამშობლო" საქართველოს უშიშროების ექსმინისტრის იგორ გიორგაძის ცესკოში პრეზიდენტობის კანდიდატად დარეგისტრირებას ამჯერად უზენაესი სასამართლოს ძალით შეეცდება. დღეს, 11.00 საათზე, ცენტრალური საარჩევნო კომისიის და საინიციატივო ჯგუფის პროცესი გაიმართება. მოსარჩელეები იგორ გიორგაძის რეგისტრაციიდან მოხსნას პოლიტიკურ გადაწყვეტილებად აფასებენ და მისთვის უფლებების აღდგენას მოითხოვენ. **ინტერ-პრესი**

# დატოვებენ თუ არა პატიმრობაში მერაბ ჟორდანიას?



*მოსამართლე გადაწყვეტილებას დღეს გამოიტანს.*



*ადვოკატის ვარაუდით, ჟორდანიას დღეს გაათავისუფლებენ.*

გოგიტა ბახაიძის ფოტო

პირველი გვერდიდან

**ეს ყველაფერი ერთმანეთთანაა დაკავშირებული და ამ ყველაფრის თავიდათავი ის ბიუჯეტია, რომელსაც მილიონობით თანხებს უმალავდნენ და რომელშიც ახლა ერთი თეთრიც არ არის. ამიტომაც, ჩვენი პოზიცია ასეთია, მერაბ ჟორდანია მანამდე იქნება დაპატიმრებული, სანამ ბიუჯეტს კუთვნილ თანხებს არ დაუბრუნებს,"** – ასეთია შს მინისტრის პოზიცია.

საოლქო სასამართლოში გუშინ გამართულ პროცესზე ასეთივე პრინციპული პოზიცია ჰქონდა სახელმწიფო ბრალმდებელს. მეტიც, მან მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოში რამდენიმე დღის წინ კოლეგების მიერ დაყენებული მოთხოვნა გაამკაცრა კიდეც და ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის გათავისუფლებისათვის პროკურატურამ ახალი ულტიმატუმი წამოაყენა. გუშინ საოლქო სასამართლოში გამართულ სასამართლო პროცესზე, რომელიც ჟორდანიას ადვოკატის სარჩელის საფუძველზე შედგა და რომელზეც ბრალდებულისთვის აღმკვეთი ღონისძიების შეცვლის საკითხს განიხილავდნენ, სახელმწიფო ბრალმდებელმა ბიუჯეტში 400 ათასი ლარის გადახდა მოითხოვა. როგორც ცნობილია, მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოში პროკურორებმა გირაოს სახით სადავო თანხის მესამედის - 247 ათასი ლარის გადახდა მოითხოვეს, რაზეც მერაბ ჟორდანიამ უარი განაცხადა და სასამართლოს 150 ათასი ლარის გირაოს გადახდა შესთავაზა. მოსამართლე მამუკა სონღულაშვილმა ბრალდებულის მიერ დასახელებული თანხა საკმარისად არ მიიჩნია. მოგვიანებით, დასახელებული გირაოს თანხა - 247 ათასი ლარი, როგორც მერაბ ჟორდანიას მეგობრები აცხადებენ, მათ შეაგროვეს და საოლქო სასამართლოში, მერაბ ჟორდანიას გათავისუფლების თაობაზე შეტანილ მოთხოვნასთან ერთად, 30 პარლამენტარისა და სპორტსმენების თავდებად დადგომის შუამდგომლობაც მიიტანეს.

გუშინ სასამართლო განხილვა ოთხ საათს გაგრძელდა, მოსამართლემ ორივე მხარის – ბრალდებისა და დაცვის – პოზიცია მოისმინა და გადაწყვეტილების გამოცხადება დღეისთვის გადადო.

მერაბ ჟორდანიას ადვოკატის ზურაბ როსტიაშვილის ინფორმაციით, სასამართლოზე პროკურატურამ დააყენა შუამდგომლობა, რომ თუ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ბიუჯეტში სადავო თანხის ნაწილის შეტანას დაიწყებდა და 400 ათას ლარს გადაიხდიდა, მხარს დაუჭერდნენ ადვოკატის შუამდგომლობას, გირაოს თანხის გადახდისა და, შესაბამისად, ჟორდანიას გათავისუფლების შესახებ.

**"ჟორდანიას სამ ეპიზოდში ედავებიან, 1996-1997-1998 წლებში მომხდარ ფაქტებს, სადავო თანხა მთლიანობაში 741 ათას ლარს შეადგენს. 1996-1997 წლების ფაქტებს ხანდაზმულობის ვადა გასული აქვს, ამიტომაც სისხლის სამართლის საქმე უნდა შეწყდეს,"** – განაცხადა ზურაბ როსტიაშვილმა. ამიტომაც, მან სასამართლოს მიმართა შუამდგომლობით, რომ 1998 წლის სადავო თანხას - 61 ათას ლარს - ჟორდანია ბიუჯეტში შეიტანს, ხოლო 186 ათას ლარს ის გირაოს სახით გადაიხდის, რაც გარანტი იქნება იმისა, რომ ჟორდანია გამოძიებას არ დაემალება. ზურაბ როსტიაშვილის მტკიცებით, ეს არ ნიშნავს ჟორდანიას მიერ ბრალის აღიარებას. **"მე ვერაფერს ვიტყვი დღევანდელ პროცესთან დაკავშირებით. ადვოკატის პოზიცია ჩემთვის უცნობია, ამის შესახებ მეც ახლა შევიტყვე,"** – სასამართლო სხდომის დასრულების შემდეგ ასეთ კომენტარს აკეთებდა მერაბ ჟორდანიას და, ხათუნა ჟორდანია. ადვოკატის პოზიციის შესახებ არაფერი იცოდნენ სასამართლოში მყოფმა მერაბ ჟორდანიას მეგობრებმაც. მეტიც, მათ გააპროტესტეს კიდეც ადვოკატის შუამდგომლობა, ბიუჯეტისთვის 61 ათასი გადახდის შესახებ, რადგან მიიჩნიეს, რომ ეს ფაქტი ჟორდანიას მიერ იმ ბრალდების აღიარებას ნიშნავს, რომელსაც იგი არ ეთანხმება. თუმცა, როგორც წესი, ბრალდებული და მისი ადვოკატი პოზიციებს წინასწარ ათანხმებენ, ალბათ, ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც, როსტიაშვილი ჟორდანიას პოზიციას ამყარებდა.

სხვათა შორის, გუშინდელ პროცესზე კიდევ ერთხელ გაიჟღერა შს ყოფილი მინისტრის კახა თარგამაძის სახელმა. ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლები და ფეხბურთელები აცხადებენ, რომ კლუბ "თბილისის დინამოს" დავალიანება – სადავო 741 ათასი ლარი – კლუბის სამართალმემკვიდრემ, "დინამოს" საბჭომ და მისმა მაშინდელმა თავმჯდომარემ კახა თარგამაძემ უნდა გადაიხადოს. **"ჩემთვის გაუგებარია ეს განცხადება, რომელ სამართალმემკვიდრეობაზეა საუბარი. დანაშაულებრივი ქმედების სამართალმემკვიდრეობა თუ შეიძლებოდა, ეს ნამდვილად არ ვიცოდი. როცა კლუბი "დინამოს" საბჭოს გადაეცა, სხვათა შორის, მაშინდელმა ხელმძღვანელებმა მიატოვეს კლუბი და მათთვის არავის არაფერი წაურთმევია. იქ საშინელი სიტუაცია დაგვხვდა, უზარმაზარი ვალები გადავიხადეთ, 650 ათასი დოლარის დავალიანება დავფარეთ. ახლა რას ამბობენ, ჩემთვის გაუგებარია. ჩემი მინისტრობის დროს მერაბ ჟორდანიას 28 მილიონს ვედავებოდით, საქმე სასამართლომ სამჯერ დაგვიბრუნა უკან. შემდეგ სხვა ფაქტზე აღიძრა საქმე. მე მაშინ ძალიან მალე წამოვედი მინისტრობიდან, მაგრამ როგორც მახსოვს, კლუბის მაშინდელ ხელმძღვანელებს ერთ ეპიზოდში - 20 მილიონს, მეორე ეპიზოდში - 7 მილიონს, საერთო ჯამში კი - 27 მილიონს ედავებოდნენ. როგორ დავიდა ეს ციფრი 741 ათასამდე, ამის შესახებ ვერაფერს გეტყვით,"** - მერაბ ჟორდანიას მხარდამჭერთა ბრალდებას ასე პასუხობს კახა თარგამაძე.

მერაბ ჟორდანიას დღეს, ფაქტობრივად, განაჩენი უნდა გამოუტანონ. მიიღებს თუ არა ადვოკატის შუამდგომლობას სასამართლო კოლეგია და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს გაათავისუფლებენ თუ არა პატიმრობიდან, ეს დღეს, მოსამართლის გადაწყვეტილების გამოქვეყნების შემდეგ გახდება ცნობილი. თუმცა, ადვოკატი ზურაბ როსტიაშვილი იმედოვნებს, რომ მერაბ ჟორდანია დღეს ორთაჭალის საპყრობილეს დატოვებს.

# ყაყაჩოს თესლი საქართველოში არ გამოილია

*შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტზე დანიშვნისთვანავე გია ბარამიძის მიერ სამომავლო მუშაობის პრიორიტეტად გამოცხადებული ნარკობრძოლა გრძელდება. თუმცა, პოლიციის მიერ წამოწყებულ ანტინარკომანიულ კამპანიას ჯერ მხოლოდ დიდი რაოდენობით ყაყაჩოს თესლი და რამდენიმე ჩინოსნის თანამდებობა შეეწირა.*

სოფიკო ჩხაიძე

თუმცა, ამ ბოლო დროს ნარკომან პოლიციელთა დევნა შეწყდა. ყოველ შემთხვევაში, საკუთარ რიგებში ნარკოტიკებზე დამოკიდებულთა გამოვლენისა და დასჯის შესახებ განცხადებები ბოლო დღეებში შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯაროდ არ გაუკეთებია. სამაგიეროდ, ყაყაჩოს თესლის განადგურება ისევ აქტიურად დგას დღის წესრიგში.

მარტო გუშინწინ პოლიციამ ერთ ტონამდე ყაყაჩოს თესლი ამოიღო. აქედან სულ რაღაც 20 კგ ქუთაისის შესასვლელთან აღმოუჩინეს თბილისიდან მიმავალ მიკროავტობუსის მძღოლს. იგი ირწმუნებოდა, ეს ამდენი ყაყაჩო ჩემთვის მინდოდაო, თუმცა, როგორც ჩვენთვისაა ცნობილი, იგი მაინც დააკავეს განსაკუთრებით დიდი ოდენობის ნარკოტიკული ნივთიერების გადატანისათვის.

დანარჩენი კი დიდუბის რაიონში იქნა ამოღებული კერძო პირის, ვინმე ედიმ დარჯანიას ბინიდან. სწორედ ეს ყაყაჩოს თესლი დაწვეს გუშინ შინაგან საქმეთა სამინისტროს ეზოში, სადაც ყაყაჩოს კოცონის აბრიალება უკვე ტრადიციად იქცა. მინისტრის თავდაპირველი თავგანწირვა – თუ ამით კანონს ვარღვევ, მზად ვარ, პასუხი ვაგოო - უსაფუძვლო აღმოჩნდა, რადგან ყაყაჩოს თესლის იმპორტი და რეალიზაცია ორი კვირით ადრე უკვე აეკრძალა ედუარდ შევარდნაძეს სპეციალური – 545-ე ბრძანებულებით. მაგრამ ფაქტია, ამ ბრძანებულების აღსრულება გია ბარამიძემდე არავის უცდია.

როგორც ცნობილია, საკონდიტრო ნაწარმად მონათლული ყაყაჩოს თესლის განადგურება გია ბარამიძის პირადი ინიციატივაა. ისე კი, ამ ნაწარმის რეალიზაცია, პრეზიდენტის ბრძანებულებას თუ არ ჩავთვლით, კანონით აკრძალული არ გახლავთ, თუმცა რამდენიმე თვის წინ შინაგან საქმეთა და ჯანდაცვის სამინისტროების ინიციატივით პარლამენტში შევიდა ნარკოტიკების შესახებ კანონში შესატანი ცვლილებების პროექტი, რომლის თანახმადაც, რამდენიმე მედიკამენტთან ერთად, ნარკოტიკულ ნივთიერებათა ნუსხაში ყაყაჩოს თესლიც უნდა შესულიყო. ეს ცვლილებები პარლამენტმა ზაფხულში პირველი მოსმენით მიიღო კიდეც, თუმცა პროექტის კანონად ქცევა მაშინ ვერ მოესწრო და ამას უახლოეს მომავალში ელიან.

**"ალბათ, პარლამენტი ცვლილებებს მალე მიიღებს. მანვე უნდა განსაზღვროს ყაყაჩოს თესლის იმპორტისა და რეალიზაციისთვის სასჯელის ზომა, სისხლის სამართლის დანაშაულის შემცველი რაოდენობა,** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას საქართველოს ნარკომანიასა და ნარკობიზნესთან ბრძოლის ბიუროს ხელმძღვანელმა ალეკო ტაბატაძემ, **- ჯერჯერობით კი, ყაყაჩოს თესლის მხოლოდ ამოღება და განადგურება მიმდინარეობს. მისი რეალიზაციისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრება არ ხდება, რა თქმა უნდა, თუ საბაჟო წესების დარღვევით არ არის შემოტანილი; ეს კი საბაჟო და საგადასახადო სამსახურების გასარკვევია".**

ჩვენი ინფორმაციით, საბაჟო და საგადასახადო სამსახურებს ამ თვალსაზრისით სამუშაო საკმაოდ აქვთ, რადგანაც ყაყაჩოს თესლის ის რაოდენობა, რაც 2003 წლის მანძილზე საბაჟო წესების დაცვით შემოვიდა საქართველოში, დიდი ხნის ამოწურული უნდა იყოს.

როგორც შევიტყვეთ, წელს საქართველოში ყაყაჩოს თესლის სულ ორი პარტიაა შემოსული: შპს "კახეთმა" და ინდმეწარმე "იოსებ გოგიტიძემ" თითო ტონა ყაყაჩოს თესლი ზაფხულში შემოიტანეს. ოფიციალურ დოკუმენტაციაში ყაყაჩოს თესლის იმპორტის სხვა შემთხვევა არ დაფიქსირებულა. ზაფხულიდან ყაყაჩოს თესლის განადგურების კამპანიის დაწყებამდე დიდი დრო იყო გასული და ნაწარმის რეალიზაციასაც საკმაო რაოდენობით მოასწრებდნენ. ამას დავამატოთ ის, რომ ორ ტონამდე ყაყაჩოს თესლი შინაგან საქმეთა სამინისტრომ ამ ბოლო რამდენიმე დღეში გაანადგურა. ასე რომ, ფაქტია, სხვა სახის პროდუქციის მსგავსად, საქართველოში ყაყაჩოს თესლის კონტრაბანდაც ჩვეულებრივი მოვლენაა. შესაბამისად, შინაგან საქმეთა მინისტრი, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ამ მოვლენას უნდა შეებრძოლოს, რაც არც ისე ადვილი იქნება, რადგან, როგორც ამბობენ, ყაყაჩოს თესლის კონტრაბანდას სწორედ პოლიციის მაღალჩინოსნები მფარველობენ.

# ეროვნული გვარდიის პოლკოვნიკს ასაფეთქებელი მოწყობილობები უპოვეს

გუშინ უშიშროების სამინისტროს წარმომადგენლებმა თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსანი დააკავეს. საქართველოს ეროვნული გვარდიის დეპარტამენტის თანამშრომელს, პოლკოვნიკ იორამ ძნელაშვილს დიდი რაოდენობით ასაფეთქებელი მოწყობილობები აღმოაჩნდა.

ასაფეთქებელ მოწყობილობათა ჩამონათვალი არც ისე გრძელი, მაგრამ საკმაოდ შთამბეჭდავი გახლავთ. როცა საქართველოში თითქმის ყოველდღე რაღაცას აფეთქებენ, შინაგან საქმეთა მინისტრი კი საჯაროდ აკეთებს განცხადებებს მასობრივი ტერორის საშიშროების შესახებ, 35 ცალი საათის მექნიზმის მქონე და კიდევ რამდენიმე ერთეული ეგრეთ წოდებული "მახეს" ტიპის ასაფეთქებელი მოწყობილობების პოვნა ნამდვილად სერიოზული აღმოჩენაა. ცალკე საკითხია, რაში სჭირდებოდა ეს ყველაფერი გვარდიის პოლკოვნიკს. ამას გამოძიება გაარკვევს. იორამ ძნელაშვილი უშიშროების სამინისტროს იზოლატორშია გადაყვანილი. გამოძიებასაც უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო სამმართველო წარმართავს, თუმცა უშიშროების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი ნიკა ლალიაშვილი უკვე ამბობს, რომ ამოღებული ასაფეთქებელი მოწყობილობები დივერსიული და ტერორისტული აქტების მოსაწყობად იყო გამიზნული.

**"არის ასაფეთქებელი ნივთიერებები, ვთქვათ - ტროტილი, ჰექსოგენი, რომლებსაც საინჟინრო საქმიანობაშიც იყენებენ. იმ მოწყობილობებს კი, რომლებიც თავადაცვის სამინისტროს თანამშრომელთან იქნა აღმოჩენილი, ერთადერთი დანიშნულება აქვს – ტერორისტული აქტების მოწყობა"**, - აცხადებს ლალიაშვილი.

*24 საათი*

# მკვლელობა ნავთლუღის ბაზრობასთან

გუშინ, გვიან ღამით, ნავთლუღის ბაზრობასთან მომხდარი ინციდენტი ტრაგიკულად დასრულდა. ისანი-სამგორის პროკურორის ვაჟა აბაკელიას განცხადებით, 24 წლის ხარაგაულელმა ვლადიმერ კიკნაძემ თავისუფლების მოედანზე ტაქსი გააჩერა და მძღოლს დაყაჩაღება დაუპირა - ფული მოსთხოვა. მძღოლის პასუხს, რომ იგი სამუშაოდ ახალი გამოსული იყო და ჯერ ნამუშევარი თანხა არ ჰქონდა, კიკნაძემ ახალი ბრძანებით უპასუხა. ნავთლუღში უფასოდ წაყვანა მოითხოვა. ნავთლუღის ბაზრობასთან მან ტაქსის მძღოლი სიგარეტის საყიდლად გადაუშვა. გამყიდველ ქალს მძღოლმა სიტუაცია აუხსნა და რადგან კიკნაძისთვის ნათქვამი ჰქონდა, რომ თანხა არ გააჩნდა, გამყიდველს სიგარეტის უფასოდ მიცემა სთხოვა, თანაც, დაჰპირდა, რომ მოგვიანებით ფულს მიუტანდა. ამ დროს იქვე მდგარ ჯიხურთან ძმები ჩაქსელიანები მივიდნენ. მათ პროდუქტები შეიძინეს და უნდა წასულიყვნენ, რომ ვლადიმერ კიკნაძე მანქანიდან გადმოვიდა და ჩაქსელიანებს ჩხუბი დაუწყო. ვაჟა აბაკელიას განცხადებით, ინციდენტი რამდენიმე წუთს გაგრძელდა, **"კიკნაძემ ტაქსის მძღოლს უბრძანა, რომ მისთვის სიგარეტი ეყიდა და თან არაფერი ეთქვა დაყაჩაღების შესახებ. როდესაც მძღოლი გადასული იყო ავტომანქანიდან და გამყიდველს ესაუბრებოდა, კიკნაძე დაუდგენელი მიზეზის გამო გადმოვიდა მანქანიდან, რის შემდეგაც ურთიერთშელაპარაკება მოხდა ჩაქსელიანებსა და მას შორის. როგორც მოწმეები აცხადებენ, ჩაქსელიანები ვერ გაერკვნენ, რატომ ეჩხუბებოდა მათ კიკნაძე. რამდენიმე წუთის შემდეგ კიკნაძემ დანა ამოიღო და დასარტყმელად გაიწია. ჩაქსელიანები გაიქცნენ, მაგრამ კიკნაძე მათ გაეკიდა და ორივე ძმა დაჩეხა. ეს უსასტიკესი დანაშაულია და დამნაშავე მთელი სიმკაცრით უნდა დაისაჯოს,"** – აცხადებს ვაჟა აბაკელია. მისივე ინფორმაციით, კიკნაძემ ორივე ძმას სასიკვდილო ჭრილობები მიაყენა. გაქცეული ძმებიდან ერთ-ერთს ზურგში ჩაარტყა დანა, რომელმაც გულის არემდე მიაღწია და ის ადგილზევე გარდაიცვალა, ხოლო მეორე ძმას, რომელიც თავდამსხმელის მოგერიებას ცდილობდა, კიკნაძემ პირდაპირ გულის არეში დაარტყა დანა. უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი ერთი ძმა თბილისის N1 საავადმყოფოში გადაიყვანეს და მისი მდგომარეობა ახლაც ურთულესია.

გარდაცვლილი ჩაქსელიანი სამხედრო მოსამსახურე იყო. იგი რამდენიმე დღის წინ დაბრუნდა კოსოვოდან. სამხედროა მეორე ძმაც - ის ისანის სამხედრო ნაწილში მსახურობს. ვაჟა აბაკელიას ინფორმაციით, სამხედრო ნაწილის მოსამსახურეები ორივე ძმას დადებითად ახასიათებენ.

ვლადიმერ კიკნაძე შემთხვევის ადგილას მოგვიანებით გამოჩენილმა პოლიციელებმა დააკავეს. ის ამჟამად თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს წინასწარი დაკავების იზოლატორში იმყოფება. მის წინააღმდეგ საქმე დამამძიმებელ გარემოებაში განზრახ მკვლელობის მუხლით აღიძრა. სამართალდამცველებმა კიკნაძე უკვე დაკითხეს. მიცემულ ჩვენებაში მან განაცხადა, რომ ძალიან ნასვამი იყო და რა მოხდა, საერთოდ არ ახსოვს.

*24 საათი*

# პანკისში დიდძალი იარაღის სამალავი აღმოაჩინეს

გუშინ, პანკისის ხეობაში, იარაღის კიდევ ერთი საწყობი აღმოაჩინეს. შინაგან საქმეთა ახმეტის რაიგანყოფილების მიერ მიღებული წინასწარი ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, გამნაღმველთა ჯგუფის საშუალებით შესაძლებელი გახდა სოფელ ჯოყოლოდან რამდენიმე კილომეტრში მდებარე ძველი ეკლესიის ნანგრევებში გადამალული დიდი ოდენობით საბრძოლო მასალის ამოღება.

საწყობში აღმოჩენილია "დედამიწა-ჰაერის" ტიპის 20 რეაქტიული ჭურვი, 30 ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმი, 1 ტანკსაწინააღმდეგო და 5 ყუმბარმტყორცნი ჭურვი - სულ 56 ერთეული საბრძოლო მასალა.

აღნიშნული იარაღის ტრანსპორტირება შესაბამისი სპეციალისტების მეთვალყურეობის ქვეშ განხორციელდება, ხეობაში აღმოჩენილი საბრძოლო მასალა, სავარაუდოდ, შინაგან ჯარს გადაეცემა.

აღსანიშნავია, რომ ეს პანკისის ხეობაში ასეთი დიდი ოდენობით საბრძოლო მასალის აღმოჩენის უკვე მეორე შემთხვევაა ერთი კვირის განმავლობაში.

*ინტერ-პრესი*

# „სატელეფონო ტერორისტები" დააკავეს

საქართველოს უშიშროების სამინისტროს თანამშრომლებმა გუშინ "სატელეფონო ტერორისტები" დააკავეს. უშიშროების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის ნიკა ლალიაშვილის თქმით, დაკავებულია სამი მოზარდი. მათ საინფორმაციო სამსახურის "09"-ს თანამშრომლებს ანონიმური სატელეფონი ზარის მეშვეობით ბომბის არსებობის შესახებ შეატყობინეს. აღნიშნული ანონიმური სატელეფონო ზარი მორიგი ტყული აღმოჩნდა.

უშიშროების სამინისტრო არ გამორიცხავს მათ კავშირს ბოლო დროს განხორციელებულ ანონიმურ სატელეფონო ზარებთან. რაც შეეხება "სატელეფონო ტერორისტების" ვინაობას, უშიშროების სამინისტრო მოზარდების ვინაობას მათი ასაკის გამო არ ახმაურებს.

*ინტერ-პრესი*

# მათიას იორში შინაგან საქმეთა მინისტრს ეწვია

გუშინ შინაგან საქმეთა სამინისტროში მინისტრს გიორგი ბარამიძეს ეწვია ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის დამკვირვებელთა მისია მათიას იორშის ხელმძღვანელობით.

საუბრის თემას წინასაარჩევნო პროცესი, კერძოდ - ამომრჩეველთა სიებთან დაკავშირებული საკითხები წარმოადგენდა, თუმცა შეხვედრის დეტალები ჟურნალისტებისთვის უცნობი დარჩა, რადგანაც შეხვედრა დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა და შეხვედრიდან გამოსულებმა კომენტარების გაკეთებას თავი აარიდეს.

როგორც ცნობილია, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის კომიტეტი თბილისში 5 დღით იმყოფება და ვიზიტის მიზანს წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგის განხორციელება წარმოადგენს. შემდგომ მომზადდება ანგარიში, რომელსაც სადამკვირვებლო მისია ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე წარმოადგენს. მისიის წარმომადგენლებმა დღეს რამდენიმე ოფიციალური შეხვედრა უკვე გამართეს.

*ინტერ-პრესი*

# შინაგან ჯარში ცვლილებებს ელიან

შინაგანი ჯარების ახალი სარდლის გიორგი თავთუხაშვილის სამი მოადგილის თანამდებობებიდან გათავისუფლება, ჯერჯერობით, მოსალოდნელი არ არის. შინაგანი ჯარების ადმინისტრაციის განცხადებით, სარდლის მოადგილეები კვლავ აგრძელებენ მუშაობას: ზურგის უზრუნველყოფის დარგში - თემურ კუხიანიძე, შეიარაღებისა და ტექნიკის დარგში — დავით მნათიძე, საბრძოლო მომზადების დარგში — ალექსანდრე მიქავა. მოადგილეების თანამდებობაზე დატოვების მიზეზად მათ გამოცდილებას ასახელებენ. რაც შეეხება შტაბის უფროსს, ეს ადგილი ჯერ კიდევ გიორგი შერვაშიძის სარდლობის დროს იყო ვაკანტური. ერთი კვირის წინათ კი ამ პოსტზე პოლკოვნიკი ნიკოლოზ წიკლაური დაინიშნა. ცნობილია, რომ სამსახურებრივი დაუდევრობისა და გულგრილობის გამო თავთუხაშვილმა განსაკუთრებული ობიექტების დაცვის პოლკის რამდენიმე ოფიცერი შინაგანი ჯარებიდან უკვე დაითხოვა. როგორც შინაგანი ჯარების ადმინისტრაციაში აცხადებენ, ასეთი ცვლილებები მომავალშიც გაგრძელდება.

*მედია-ნიუსი*

# მიშა და მისი რაზმი

## ანუ რა არის ეს - წინასაარჩევნო პოპულიზმი თუ ეკონომიკური პროგრამა?

*მიშა ამბობს, რომ პროგრამაა, მისი ოპონენტები კი ამტკიცებენ, რომ იაფფასიანი პოპულიზმი და წინასაარჩევნო ბუშტებია. საბოლოოდ ვინ გამოდგება მართალი, ამას დრო გამოაჩენს, მაგრამ ერთი რამის თქმა ახლავე შემიძლია. იმ ადამიანების კომენტარები, რომელთა ეკონომიკური განათლება სამი სიტყვის: "ბიუჯეტის", "პენსიებისა" და "ხელფასების" ცოდნით იწყება და ამითვე მთავრდება, გახვრეტილ გროშადაც არა ღირს. და არ არის საჭირო მკერდის გადაღეღვა და გულზე მუშტების ბრახუნი, აქაოდა, ბიუჯეტს ვუშველოთ, ხალხს პენსიები დავურიგოთო. ხოლო თუ რატომ არ არის საჭირო ეს და რა არის საჭირო სინამდვილეში, ჩემი აზრით, რა თქმა უნდა, ამას ახლავე მოგახსენებთ.*

სოსო სიმონიშვილი

### გადაიხადე 20 ლარი და 14 ლარს შეგპირდებით!

ჩვენ, ანუ ხალხი, მთავრობა და პრესა თუ ახლაც ისევ "ბიუჯეტის შესრულების" კევრში შევებმევით და ამ სამარცხვინო, რუტინულ და, რაც მთავარია, გამანადგურებელ პროცესს ავეთრევინებით, ბიუჯეტს ხომ, ცხადია, მაინც ვერ შევასრულებთ და ქვეყანას კი გადარჩენის ბოლო შანსს ნამდვილად დავაკარგვინებთ. ამას იმიტომ კი არ გეუბნებით, რომ ქვეყანას, ჩემი აზრით, ბიუჯეტი არა სჭირდება, არა, ქვეყანას ბიუჯეტი ნამდვილად სჭირდება, ოღონდ ნამდვილი ბიუჯეტი და არა ეს "ბიუჯეტის პროვოკაცია". და მიუხედავად იმისა, რომ ეს ბიუჯეტი კი არა, უფრო პაროდიაა ბიუჯეტის თემაზე, ამ საგადასახადო კანონმდებლობის, ამ საგადასახადო ადმინისტრაციისა და ამ დაქცეული ეკონომიკის პირობებში ამისი შესრულებაც კი ჭირს.

მოდით, ნუ მოვიქუფრებით და ნურც ყურებს ჩამოვყრით. მდგომარეობა ძალიან მძიმეა, მაგრამ ისეთი უიმედო აღარ არის, როგორიც შევარდნაძის ეპოქაში იყო. ახლა მთავარია, ჩვენს შეგნებაში დავამარცხოთ შევარდნაძიზმი და მისი მახინჯი პირმშო "საბიუჯეტო აზროვნება", რომელსაც თავისი იდიოტიზმის ხარისხით, შესაძლოა, მსოფლიოს ეკონომიკურ აზროვნებაში ანალოგი არ მოეძებნოს. ვინმეს სიტყვა "იდიოტიზმი" ამ კონტექსტში უადგილოდ რომ არ მოეჩვენოს, ძალიან პატარა მაგალითს მოვიყვან. დღემდე ჩვენი ქვეყანა პენსიონერებს 14 ლარიან პენსიას ჰპირდებოდა (აძლევდა თუ არა, ის სხვა საქმეა), მაგრამ ადამიანი ხომ 14 ლარად მთელი თვე ვერ იარსებებს, როცა საარსებო მინიმუმი ქვეყანაში 120 ლარია, ოღონდ ეს იმ შემთხვევაში, წამალი თუ არ დაგჭირდა. ხოდა, გამოდის, რომ ეს გაჭირვებული პენსიონერები, რახან ცოცხლები არიან, სადღაც შოულობენ ამ 120 ლარს. შოულობენ და მთლიანად საჭმელში, სასმელში და ტრანსპორტში ხარჯავენ. ეს ყველაფერი კი, ჩვენში დღგ-ს 20 პროცენტიანი გადასახადით იბეგრება - ის, უბრალოდ, ამ ყველაფრის ფასებში შედის და ნებისმიერი რამის ყიდვისას ეს საწყალი პენსიონერი, რომელსაც მისი სახელმწიფო, თავისი ბიუჯეტზე მზრუნავი მთავრობით თვეში 14 ლარს ჰპირდება, იმავე თვეში 20 ლარს მარტო დამატებული ღირებულების გადასახადს ახდევინებს. უკაცრავად იმ ბატონებთან, ვისაც ასეთი მკვეთრი ტონი არ მოსწონთ, მაგრამ სხვა რა არის ეს, თუ არა იდიოტიზმი? აი, მიშა ამბობს, რომ ეს ხალხის დაცინვაა და საქართველოს ხალხი კი, სულაც არ არის დასაცინი. მე მას ვეთანხმები, საქართველოს ხალხი ნამდვილად იმსახურებს ისეთ მთავრობას, რომელიც ვიწრო "საბიუჯეტო აზროვნების" ნაცვლად ფართო სახელმწიფო მასშტაბებით იაზროვნებს, რომელიც იზრუნებს არა მხოლოდ მთავრობის ჯიბის - ბიუჯეტის გავსებაზე, არამედ მთელი ქვეყნის ეკონომიკურ აღმავლობაზე, რაც თითოეული ადამიანის ცხოვრების გაუმჯობესებას მოიტანს შედეგად. საბედნიეროდ ნაციონალების პროგრამული დოკუმენტებიდან და მიშას საჯარო გამოსვლებიდან სწორედ ამის ნიშნები მოჩანს.

### მარტო ბიუჯეტზე ვიზრუნოთ თუ მთელ ქვეყანაზე?

აი, ამიტომაც მგონია, რომ საქმე აღარ არის უიმედოდ. თუ კაცმა, რომელიც სულ მალე ქვეყნის პრეზიდენტი გახდება და მისმა გუნდმა, რომელიც, ალბათ ჰყავს, იცის, რომ ქვეყნის წინაშე მდგარი ამოცანა ბევრად უფრო მასშტაბურია, ვიდრე ბიუჯეტის შესასრულებლად ცუდუბრალო ფაფხური, ცხადია, ისიც ეცოდინება, რომ ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა სამი ძირითადი ინდიკატორით იზომება. ესენია: წარმოების ზრდის ტემპი (სასურველია, რაც შეიძლება მაღალი იყოს), უმუშევრობის დონე (იდეალურად ითვლება "სრული დასაქმება") და ინფლაციის დონე (მცირე და კონტროლირებადი). ამ ჩამონათვალში ინდიკატორები მათი მნიშვნელობის მიხედვით არიან დალაგებული. "წარმოების ზრდა" ყველაზე მთავარი მაჩვენებელია და იგი, უბრალოდ, "სიმდიდრის ზრდას" ნიშნავს. ნორმალურ და მდიდარ ქვეყნებში, სადაც ხალხიც, მთავრობაც და პრესაც არა ბიუჯეტის, არამედ მთელი სახელმწიფოს მასშტაბებით აზროვნებენ, კარგად იციან, რომ სწორედ ხალხი არის არა მარტო ხელისუფლების წყარო, არამედ სიმდიდრის წყაროც. ამიტომ ხალხის მიერ დაქირავებული ხელისუფლების მოვალეობა ის არის, რომ ხალხისავე შეკვეთით უნდა შექმნას და დაიცვას ხელსაყრელი პირობები ამავე ხალხის შემოქმედებითი და ნაყოფიერი შრომისათვის. ხელსაყრელ პირობებში იგულისხმება გონივრული კანონები, უსაფრთხოება და დაცულობა მტრის, კონტრაბანდის, შავი სამყაროსა და კორუფციისაგან და ეკონომიკის მინიმალური რეგულირება, რაც ძირითადად ზომიერი საგადასახადო ტვირთის დაწესებაში, საბანკო სისტემის დაზღვევაში და მონოპოლიზმის არდაშვებაში გამოიხატება ხოლმე. როცა მთავრობა ამ მინიმალური პირობების დაცვას მაინც ახერხებს, მაშინ ხალხი სწრაფად მდიდრდება, იხდის მეტ გადასახადს და კიდევ უფრო უკეთესი მთავრობის დაქირავებას ახერხებს. ხოლო, როცა მთავრობამ ეს ყველაფერი არ იცის, ანდა იცის, მაგრამ უსაქმურობა, ხაზინიდან ფულის მოპარვა და "ბიუჯეტზე ზრუნვა" ურჩევნია, მაშინ ის ხდება, რაც ჩვენში ხდებოდა 12 წლის მანძილზე. ანუ - ეკონომიკური კოლაფსი.

### ამერიკული "დიდი დეპრესია" ჩვენ "საბიუჯეტო კრიზისთან" შედარებით თამაში იყო

მე ვიცი, ახლა ეს "კოლაფსიც" ყურს მოჭრის ზოგიერთებს, მაგრამ მე მათ შევახსენებ, რომ აშშ-ში 1929-1933 წლების ეკონომიკური კრიზისის დროს, რომელიც "დიდი დეპრესიის" სახელით არის ცნობილი და რომელიც კაპიტალისტური სამყაროს ყველაზე დიდი კრიზისი იყო, მხოლოდ 33 პროცენტით დაეცა წარმოება და მხოლოდ 5 წელიწადს გაგრძელდა, მაშინ როცა ჩვენში ვარდნამ 80 პროცენტს გადააჭარბა და მეცამეტე წელია, გრძელდება. ამერიკელი ეკონომისტი პოლ ჰეინე თავის "ეკონომიკური ტიპის აზროვნებაში" წერს, რომ 1939 წელს, 1933 წლის ყველაზე მძიმე ვარდნიდან მეექვსე წელს, აშშ-ს წარმოების მოცულობა 1929 წლისას ანუ კრიზისამდელს მხოლოდ 1.5 პროცენტით აჭარბებდაო. ჩვენთან დღეს წარმოების რაიმე ზრდაზე და კრიზისამდელი პერიოდის, ანუ 1989 წლის დონის არათუ გადაჭარბებაზე, მასთან მიახლოებაზეც კი სრულიად ზედმეტია ლაპარაკი.

ვინმეს არ ეგონოს, რომ მე ქარხნის საყვირისა და მხრჩოლავი საკვამურების ჰეროიკა მიტაცებდეს და ამიტომ ვიკლავდე თავს, არიქათ, წარმოება გვიკვდება და რამე ვიღონოთ მეთქი. არა ბატონებო, წარმოება ეს მხოლოდ და მხოლოდ ადამიანთა თანამშრომლობისა და საზოგადო კეთილდღეობის შექმნის ადგილია. წარმოების დონის ამაღლება ნიშნავს ხალხის დასაქმებასა და გამომუშავებულ ხელფასებს ღირსეული ცხოვრების უზრუნველსაყოფად. ეს ნიშნავს იქ შექმნილი სიმდიდრის წილით (გადასახადებით) ქვეყნის ბიუჯეტის არა სიმბოლურად შევსებას, არამედ გაძლიერებას. ეს ნიშნავს ხელხვავიან, ლაღ და ძლიერ საქართველოს. და რადგან ჩვენი პოლიტიკოსების უმეტესობას წარმოების ზრდაზე სიტყვაც არასოდეს დასცდენია, ჩანს, მათ უმუშევარი, ღატაკი, სამათხოვროდ ხელგაწვდილი, და ამ სიმბოლური ბიუჯეტის შესრულებაზე ზრუნვით დაოსებული საქართველო ურჩევნიათ. ისე რა მაზალო ტიპები არიან. იმისათვის, რომ ხალხს მათთვის ეკონომიკური კრიზისის დაძლევა არ დაევალებინა და არ მოეთხოვა, შევარდნაძემ და მის მიერ პოლიტიკოსებად დანიშნულმა პირებმა გადაწყვიტეს, რომ ხალხისთვის დაემალათ, რომ ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისი მძვინვარებს. **საამისოდ ერთსა და იმავე დროს ისეთი კომიკური და ტრაგიკული ტერმინიც კი გამოიგონეს, როგორიც არის "საბიუჯეტო კრიზისი".** ამით მათ მოინდომეს თავისი დანაშაულის ხალხისათვის გადაბრალება. აქაოდა მთლიანად ქვეყანა კი არ არის გაღატაკებული, არამედ ბიზნესმენები გადასახადებს არ იხდიან, ბიუჯეტში ფული არ შემოდის და ხელფასებს იმიტომ ვერ გიხდითო. ეს ტყუილი იმდენადვე უგუნური იყო, რამდენადაც ცინიკური. არადა, ხალხმა მშვენივრად იცოდა, რომ ბიუჯეტი სავსე იქნებოდა თუ ცარიელი, მათ დუხჭირ ცხოვრებას მაინც არაფერი ეშველებოდა სამი მიზეზის გამო. პირველი მიზეზი ის იყო, რომ მდიდარი ბიზნესმენები, ძირითადად, თავად პრეზიდენტთან და ხელისუფლებასთან დაახლოებული ოჯახების წევრები იყვნენ და მათ მთავრობა პრაქტიკულად არ ახდევინებდა გადასახადებს, მეორე ის იყო, რომ ბიუჯეტში შესული ფულის ლომის წილს, სულ ერთია, მაინც მოიპარავდნენ იმავე ოჯახების სხვა წევრები, რომლებიც მთავრობაში სწორედ ამ მიზნით ისხდნენ 57 ლარიან ხელფასებზე. და მესამეც, ნებისმიერ, თვით ბიუჯეტის შევსების შემთხვევაშიც კი იქიდან შემოსავალს მხოლოდ საბიუჯეტო ორგანიზაციების თანამშრომლები მიიღებდნენ, მაგრამ მიიღებდნენ საარსებო მინიმუმზე ნაკლებს, რადგან ამაზე მეტი ხელფასი ჩვენში მხოლოდ მოსამართლეებს, მინისტრებსა და დეპუტატებს აქვთ. ასე რომ, ბიუჯეტის იმედად ყოფნა თვით იმისთვისაც კი, ვისაც იქიდან ხელფასი ერგებოდა, შიმშილით სიკვდილის ტოლფასი იყო. ამიტომაც ასე გულიანად ეცინებოდათ ხოლმე პოლიტიკოსების დაპირებაზე, აი, წელს კი ნამდვილად შევასრულებთ ბიუჯეტსო, იმათ, ვისაც სიცილის უნარი ჯერ კიდევ შერჩენოდათ. ისე, კიდევ ერთხელ გავუსვამ ხაზს, რომ ტერმინი "საბიუჯეტო კრიზისი" ეკონომიკურ მეცნიერებაში არ არსებობს და ეს არც არის ტერმინი, ეს უბრალოდ ყოფილი ხელისუფლების მრუდე სარკე იყო ხალხის გაცურებისათვის გამოგონილი.

აი, ასე იყო და ჯერ კიდევ არის ჩვენთან "საბიუჯეტო კრიზისის" ტკბილ ხანაში, ხოლო იქ შორეულ ამერიკაში, კოშმარულმა "დიდმა დეპრესიამ" უმუშევართა წილი აშშ-ს შრომისუნარიან და დასაქმების მოსურნე მოსახლეობის 19 პროცენტამდე გაზარდა, სულ 19 პროცენტამდე, მაშინ, როცა ჩვენთან 70 პროცენტზე მეტია (თუ უმუშევრად ჩავთვლით ყველა შრომისუნარიანს, ვისაც მუშაობა უნდა და ვერ შოულობს, ან მუშაობს, მაგრამ მისი ხელფასი საარსებო მინიმუმზე ნაკლებია).

ეკონომიკურ მეცნიერებაში და პოლიტიკაში "წარმოების ზრდა" ქვეყნისა და სახელმწიფოს წარმატების, გამდიდრებისა და გაძლიერების სინონიმური ცნებაა.

როცა "წარმოების ზრდის" ტემპი ეცემა, დემოკრატიული ქვეყნების პრესაც, ხალხიც და მთავრობაც განგაშის ზარს ჩამოკრავენ ხოლმე. "წარმოების ზრდის ტემპის დაცემა" ეს არის ყველაზე უარესი რამ, რაც კი შეიძლება, ქვეყანას დაემართოს, თვით ომზე უარესიც კი, რადგან "წარმოების დაცემის" შედეგად ქვეყანა უბრძოლველად მარცხდება მთელ გარემომცველ სამყაროსთან კონკურენციულ ბრძოლაში. საკუთარი წარმოების დაცემის შედეგად ქვეყნის ბაზარს მეზობელი ქვეყნების მწარმოებლები ეპატრონებიან. ირღვევა ექსპორტ-იმპორტის ბალანსი, როცა ქვეყნის ბაზარზე ბევრად მეტი უცხოური საქონელი იყიდება, ვიდრე ამ ქვეყნის საქონელი უცხო ქვეყნების ბაზრებზე. მოჭარბებული იმპორტი, ქვეყნის ყოველგვარ სიმდიდრეს ქვეყნის გარეთ მიეზიდება. ქვეყნიდან გაედინება მყარი ვალუტა, რაც ამცირებს როგორც ინვესტიციებს საკუთარ წარმოებაში, ისე მოხმარებას. ამის შედეგად იქამდე დარჩენილი საწარმოებიც იხურებიან. ქვეყანაში ისადგურებს მასობრივი უმუშევრობა და სიღატაკე. სულ ელემენტარული საქონლის შემოტანაც კი ახალ და ახალ სავალუტო შემოსავლებს მოითხოვს და რადგან წარმოება აღარ არსებობს და საექსპორტოც აღარაფერი რჩება, ამ ღატაკი ქვეყნებიდან ცოცხალი ადამიანებისა და მათი ორგანოების ექსპორტი იწყება ხოლმე. ეს უკვე ვარდნა აღარ არის, ეს უკვე ფსკერია.

### ყოფნა, არყოფნა... ეკონომიკასა და ცხოვრებაში

მე არ მჯერა, რომ "ვარდების რევოლუციის" დროს ხალხი მხოლოდ არჩევნების გაყალბებით გამოწვეულმა შეურაცხყოფამ გამოიყვანა ქუჩაში. ჩემი აზრით, ხალხმა ქვეცნობიერად იცოდა, რომ ამაზე მეტად დაცემა ცუდად ყოფნას კი არა, უბრალოდ არყოფნას ნიშნავდა. ამიტომ ეს რეჟიმი აუცილებლად უნდა წასულიყო ამ არჩევნების საშუალებით. ხალხს მეტის მოცდა აღარ შეეძლო. კიდევ მოცდა დაღუპვას ნიშნავდა. და როცა ხელისუფლებამ ხალხის არჩევანი ნაგავში გადაუძახა და გამოაცხადა, ჩვენ ისევ ვრჩებითო და თქვენ, არჩევნების გზით, ხელისუფლებიდან ჩვენი დათხოვნა მომავალშიც არ შეგეძლებათო, ხალხი ქუჩაში გამოვიდა. ეს იყო არჩევანი "ყოფნასა და არყოფნას" შორის ყოფნის სასარგებლოდ.

დიახ, აი, ასეთი ცხოვრებისეული მეცნიერებაა ეკონომიკა. "ყოფნა" "წარმოების ზრდას" ნიშნავს, ხოლო " წარმოების ვარდნა" არყოფნისაკენ მიგვაქანებს.

"წარმოების ზრდა" - ყველა ქვეყნის ეკონომიკის ძირითადი მიზანი, ნამდვილად იმსახურებს იმას, რომ მასზე კიდევ ითქვას რამოდენიმე სიტყვა. წარმოებაში მარტო ქარხანა არ იგულისხმება. წარმოებაა ყველა იმ სიკეთის შექმნა, რომელიც ვინმეს სჭირდება და იყიდება. მატერიალური საქონის გარდა ეს შეიძლება იყოს ის ფასეულობა, რასაც ქმნის განათლება, სპორტი, ხელოვნება, ვაჭრობა და ასე შემდეგ, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ამ ფასეულობას ამ დროს და ამ ადგილას ამ რაოდენობით და ამ ფასად ყიდულობენ. ახლა წარმოვიდგინოთ, რომ ოჯახს მთელ თვეს თავის გასატანად აქვს სულ ორასი ლარი. მას ამ ფულად შეუძლია იყიდოს ან ასი ერთეული საკვები, რომელიც გაჭირვებით ეყოფა, ან ორმოცდაათი ერთეული ხელოვნება, ან ორმოცი ერთეული განათლება, ან ოცდაათი ერთეული სპორტი, როგორ გგონიათ, რას იყიდის ეს ოჯახი? - რა თქმა უნდა, პირველ რიგში, საარსებოდ აუცილებელ სარჩოს და თუ რამე მორჩა, მერე სხვა რამესაც, ოღონდ ფასზე ბევრს ივაჭრებს, რადგან ძალიან გაუჭირდება ერთი კვირის სამყოფი სარჩოს სამყოფი ფული ერთ კონცერტში გადაიხადოს. ზემოთ როგორც მოგახსენეთ, წარმოებად ყველაფერი ითვლება, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ წარმოების პროდუქტი იყიდება. ხოლო ღატაკ საზოგადოებაში სულიერ ფასეულობათა საყიდელი ფული აღარ რჩება ხალხს. ამიტომ ისეთი წარმოებების, როგორიც მუსიკა, მხატვრობა, თეატრი და სხვა ამისთანებია, მასშტაბები ღატაკ საზოგადოებაში მკვეთრად ეცემა ხოლმე. რაც შეეხება მატერიალურ წარმოებას, აქ სულ სხვაგვარად გვაქვს საქმე. საკვები და სხვა პირველადი მოხმარების საქონელი პირველ რიგში იყიდება, ანუ იცვლება ფულზე. წარმოებებში პროდუქციის გაყიდვით შემოსულ ფულს ღებულობენ მეწარმეები, მუშები და ის სხვა ადამიანები და საწარმოები, რომლებისგანაც ეს საწარმო ნედლეულს, ენერგიასა და მომსახურებას ყიდულობს. ცხადია, ეს ადამიანებიც მომხმარებლები არიან და ისინიც რაღაცეებს ყიდულობენ. როგორც ხედავთ, **მატერიალური წარმოება, რომლის საქონელიც ძალიან მაღალი ალბათობით იყიდება, საქონელთან ერთად ფულსაც აწარმოებს, ანუ აწარმოებს საზოგადოებრივ სიმდიდრეს.** როცა ეს სიმდიდრე ამ საზოგადოებაში იმდენი იქნება, რომ ხალხი სიცოცხლის გადასარჩენად აუცილებელი საქონლის გარდა, სხვა რამეების - ხელოვნების, განათლებისა და სპორტის ყიდვასაც შეძლებს, მაშინ ამ დარგების ორგანიზაციებიც საწარმოებად იქცევიან და საზოგადოებრივი სიმდიდრის წარმოებასა და გამრავლებაში მიიღებენ მონაწილეობას. აი, ასეა საქმე. მოგვწონს, თუ არ მოგვწონს, ფაქტია, რომ მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი მატერიალური საქონლის წარმოება აქცევს შესაძლებლად სხვა სახის სიკეთეთა წარმოების არსებობას. **მატერიალური წარმოების გარდა საზოგადოებრივი სიმდიდრის მწარმოებლებად გვევლინება ყველა იმ სიკეთის წარმოება, რისი გაყიდვაც უცხო ქვეყნების ვალუტებზე ხერხდება.** არა აქვს მნიშვნელობა, ტურიზმი იქნება ეს, საჰაერო სივრცე, საბაჟოს, პორტისა თუ რკინიგზის მომსახურება, სპორტი, ხელოვნება თუ ნებისმიერი სხვა რამ. მთავარი კრიტერიუმი ერთია, ის უცხო ქვეყნის ვალუტაზე უნდა გაიყიდოს.

რაც ზემოთ ვილაპარაკეთ, ეს ეკონომიკის ანბანია. სამწუხაროდ, ყოფილი ხელისუფლება ამ ანბანურ ჭეშმარიტებას უარყოფდა როგორც სიტყვით, ისე საქმით. ამ დანაშაულებრივმა უგუნურებამ მთლიანად დაანგრია ეკონომიკის რეალური სექტორის მატერიალური ბაზა ანუ ქვეყნის საწარმოო პოტენციალი, რომელიც მას მემკვიდრეობით დარჩა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ.

ამის გამო ახალ ხელისუფლებას 4 იანვრის შემდეგ უფრო მძიმე სასტარტო პირობები ექნება, ვიდრე თუნდაც ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებას ჰქონდა.

მან უნდა შეძლოს და დაიწყოს მიმდინარე პერიოდის პენსიების დარიგებაც და წინა ხელისუფლების მიერ დაგროვილი დავალიანების დაფარვის დაწყებაც, სახელმწიფო კორუფციული სისტემის ნგრევაც და ამის პარალელურად სახელმწიფო ორგანოების გამართული ფუნქციონირებაც, ახალი ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება და გატარებაც და საბიუჯეტო შემოსავლების აუცილებელი ოდენობით შეგროვებაც. გასაკეთებელი რთული საქმეების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა, მაგრამ რაოდენ რთულადაც უნდა გვეჩვენებოდეს, ყველაფერის გაკეთება შესაძლებელია, თუ ახალ ხელისუფლებას საკმარისი ოდენობით აღმოაჩნდება წესიერება, გონიერება და განათლება. თვით 300 მილიონიანი საბიუჯეტო გარღვევაც კი რაიმე სერიოზულ პრობლემას არ წარმოადგენს. ხელისუფლებას, რომელსაც ხალხის ნდობა აქვს, შეუძლია, საგადასახადო "შტურმავშინის" გარეშეც მარტივად გადაწყვიტოს საქმე სახაზინო ვალდებულებების არა მხოლოდ ბანკებისათვის, როგორც აქამდე ხდებოდა, არამედ ძირითადად ხალხისთვის მიყიდვით. ანუ ისე, როგორც ამას აშშ-ს მთავრობა აკეთებს. ხოლო თუ აქამდე რატომ არ ეძლეოდა ხალხს სახელმწიფო სახაზინო ვალდებულებების ყიდვის შესაძლებლობა და რატომ ტრიალებდა ეს ზღაპრულად მაღალპროცენტიანი ვალდებულებები ხაზინისა და რამოდენიმე ბანკის ვიწრო წრეში, ამის შესახებ შემდეგ წერილში მოგითხრობთ.

საერთაშორისო კვლევისა და გაცვლების საბჭოს (IREX)

IREX

მედია ინოვაციების პროგრამა

აცხადებს კონკურსს ჟურნალისტიკის სახელმძღვანელოების თარგმნისათვის

ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებული IREX-ის მედია ინოვაციების პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული კონკურსი მიზნად ისახავს ქართველი ჟურნალისტებისა და ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტების ქართულენოვანი პროფესიული ლიტერატურით მომარაგებას. ქვე-კონტრაქტით გათვალისწინებული იქნება თარგმანის ხარჯების ანაზღაურება შემდეგი სამი სახელმძღვანელოსათვის:

1- "Media Management: A Casebook Approach"- Ardyth Broadrick Sohn, et al
2- "Photo Journalism: The Professionals' Approach" - Kenneth Kobre
3- "New Times: Making a Professional Newspaper in an Emerging Democracy "- Tatiana Repkova

განაცხადის შემოტანის საბოლოო ვადაა 2004 წლის 20 თებერვალი.

განაცხადის პაკეტს უნდა დაურთოთ თქვენი სურვილის მიხედვით შერჩეული სახელმძღვანელოდან ნათარგმნი 16 გვერდი; კონკურსის ზუსტი პირობების გაგება და სათარგმნი მასალის აღება შეგიძლიათ IREX-ის თბილისის ოფისში შემდეგ მისამართზე:

ჭავჭავაძის გამზირი 62, თბილისი, 0162, საქართველო
ტელ/ფაქსი: 29 19 05

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ გიორგი ხელაშვილს: gkhelashvili@irexonline.ge



შაბათს, 20 დეკემბერი - 3 იანვრის ნომერში თქვენ იხილავთ

ნაწყვეტს აკა მორჩილაძის ახალი, გამოუქვეყნებელი რომანიდან
ცნობილი ნობელის ლაურეატის, ჯონ მაქსველ კუტზეეს საჯარო ლექციას
ინტერვიუებს ნუგზარ შატაიძესთან და ბორის აკუნინთან
რეცენზიებს ბესო? ქიქოძის, დათო ტურაშვილის, ზაზა ბურჭულაძის წიგნებზე.
მსოფლიოს ახალ ამბებს
თვის ქართულ ბესტსელერებს

წიგნები

პროზა პოეზია კრიტიკა ინტერვიუ რეცენზია ბესტსელერი საგაზეთო საქმე

www.24hours.ge 24 B

ნომრის სტუმარი

# დემოკრატიული შტურმი, ანუ ვარდების რევოლუცია ბათუმში დაიწყო

A1 გვერდიდან

**- თქვენ არ ერევით ახალი ხელისუფლების მიერ წარმოებულ საკადრო პოლიტიკაში, მაგრამ იქნებ განმარტოთ, რა ნიშნით ხდება თანამდებობებზე დანიშვნა?**

- პასუხისმგებლობას აღმასრულებელ ხელისუფლებაზე სახელმწიფო მინისტრი ზურაბ ჟვანია და "დემოკრატები" იღებენ. საპრეზიდენტო არჩევნებამდე ქვეყნის მშვიდად მიყვანა სწორედ ამ გუნდს ევალება. მე, როგორც "რესპუბლიკური პარტიის" ხელმძღვანელი, ზურაბ ჟვანიას ვგულშემატკივრობ და პრინციპულად არ ვერევი საკადრო პოლიტიკაში. უნდა ჩატარდეს საპრეზიდენტო, ხოლო შემდეგ - საპარლამენტო არჩევნები და მიგვაჩნია, რომ "რესპუბლიკელების" ძალიან ცნობილი სახეები - დათო უსუფაშვილი, რომან გოცირიძე, პაატა ზაქარეიშვილი, დღევანდელ აღმასრულებელ ხელისუფლებაში არ იქნებოდნენ ზედმეტნი, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ვინც აიღო პასუხისმგებლობა, იმან უნდა მიიყვანოს ქვეყანა საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებამდე.

**- ეს ადამიანები უარს აცხადებენ თანამდებობებზე?**

- მიუხედავად იმისა, რომ მათზე დიდი მოთხოვნილებაა, საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებამდე პარტია თავს იკავებს მისი თვალსაჩინო წევრების ამა თუ იმ თანამდებობაზე მივლინებისგან.

**- სხვა რა სახით უჭერთ მხარს მოქმედ ხელისუფლებას?**

- არის პოლიტიკური მხარდაჭერა. ჩვენ მზად ვართ, მონაწილეობა მივიღოთ საექსპერტო სამუშაოებში, სხვადასხვა სფეროში ბევრი კვალიფიციური ექსპერტი გვყავს, პარტიაში ძალიან ბევრი არასამთავრობოელია, არასამთავრობო მოძრაობა კი ჩვენი დემოკრატიული რესურსის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილია.

თუმცა, ჩვენთვის მთავარი საპარლამენტო არჩევნებისთვის მზადებაა და ამას არც ვმალავთ. სხვათა შორის, 2 ნოემბრის არჩევნების შედეგებით უკმაყოფილი არ ვყოფილვართ - 5 "რესპუბლიკელი" გავიდა "ნაციონალების" შემადგენლობაში, იყვნენ ჩვენი წრის სხვა დეპუტატებიც. ეს ორი მოწვევის პარლამენტში არმყოფი პარტიისთვის მნიშვნელოვანი წარმატება იყო, მაგრამ ამას ჩემთვის ხელი არ შეუშლია, ვყოფილიყავი ერთ-ერთი აქტიური მომიტინგე და რევოლუციონერი.

**- ბათუმში ოდესმე რაიმე თანამდებობაზე გიმუშავიათ?**

- არა. სკოლის დამთავრების შემდეგ თბილისში ვიყავი, შემდეგ, ერთიორი წლით მოლდოვეთში საბჭოთა პოლიტპატიმრების ბანაკებში ვიყავი "სასეირნოდ". 80-იანი წლების ბოლოს ბათუმში, მე და ჩემმა მეგობრებმა შე[illegible] დემოკრატიულ-პატრიოტული ორგანიზაცია, პარალელურად ვხელმძღვანელობდი ბათუმის "სახალხო ფრონტს" და იქიდან გავხდი საქართველოს უზენაესი საბჭოს მაჟორიტარი დეპუტატი და აჭარის უზენაესი საბჭოს წევრიც. აქტიურ ალტერნატიულ საქმიანობას ვეწეოდი აჭარის უზენაეს საბჭოში. "რესპუბლიკური პარტია" ყოველთვის იყო და დღემდე რჩება აბაშიძის ერთადერთ ოპონენტ პარტიად აჭარაში. იქ სხვა ოპოზიციური ორგანიზაცია, პრაქტიკულად, არ ყოფილა.

**- გამოდის, ოდესღაც აბაშიძესაც შეეძლო "დემოკრატობა" - აჭარის ტერიტორიაზე ალტერნატივის არსებობა მაშინ უფრო შესაძლებელი იყო, ვიდრე ახლა.**

- მაშინ, მძიმე პირობებში, მაგრამ მაინც ხერხდებოდა პოლიტიკური საქმიანობა. მე და თამაზ დიასამიძე ვიყავით საქართველოს უზენაესი საბჭოს და პარლამენტის წევრები და აჭარის უზენაესი საბჭოს წევრები. გვყავდა მძლავრი და სოლიდური რაოდენობის ოპოზიციური ფრაქცია. 90-იანი წლების პირველი ნახევარი იყო ჭიდილი ასლან აბაშიძესა და "რესპუბლიკურ პარტიას" შორის.

ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში აბაშიძე ვერ ბედავდა მკვეთრი ნაბიჯების გადადგმას ცენტრის წინააღმდეგ. აბაშიძე შევარდნაძის დროს გაიფურჩქნა. 1992 წლის ზაფხულში, როცა აფხაზეთში სეპარატიზმი ღვივდებოდა, აბაშიძემ ამ პროცესს მხარი აუბა და იზოლაციონალისტური პოლიტიკა დაიწყო, რასაც ჩვენ აჭარის ხელისუფლების სეპარატიზაციას ვუწოდებდით. ხაზს ვუსვამ - ხელისუფლების და არა რეგიონის. აჭარის სეპარატიზაციაზე საუბარი პრინციპულად შეუძლებელია. აქვე ისიც მინდა ვთქვა, რომ კლიშე - "სეპარატიზმი აჭარაში" არ არსებობს. იქ არის ხელისუფლების ცენტრისგან სეპარატიზაცია. თვით აბაშიძემაც კი იცის, რომ აჭარის საქართველოდან გამოყოფის თაობაზე ვერავითარ რეფერენდუმს ვერ ჩაატარებს და არც აპირებს ამას - რეფერენდუმით მუქარა ჩვეულებრივი სავაჭრო მეთოდია. შეცდომაა ასევე კლიშე - "აჭარის ლიდერი" - ის არავის აურჩევია აჭარის ლიდერად. მას ოფიციალურად ჰქვია გაყალბებული (პრაქტიკულად არჩატარებული) არჩევნების შედეგად მოსული - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაური. აბაშიძე აჭარის არავითარი ლიდერი არ არის და ბოლოდროინდელი მოვლენები ამას ადასტურებს.

**- ასლან აბაშიძე სტრასბურგში გამგზავრებას აპირებს. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ მან მოსკოვში მხარდაჭერა ვერ მიიღო? რას ჩამოიტანს სტრასბურგიდან?**

- ვერაფერსაც ვერ ჩამოიტანს. სულ არ გამოვრიცხავ, რომ ასანიძის საქმეზე საბოლოო განაჩენის გამოტანამდე აბაშიძეს ჰგონია, რომ იქ დიდ ჩემოდანს ჩაიტანს და საქმეს გააკეთებს. ეტყვიან, რომ საარჩევნო უბნები უნდა გახსნას, აბა, სხვას რას ეტყვიან ევროპაში? როგორც ჩანს, რაღაც ტიპის გარანტიების მიღება სურს.

ასლან აბაშიძის ქმედებების პროგნოზირება რთულია, რადგან მისი ნაბიჯების ასახსნელად ლოგიკა საკმარისი არ არის. მან კატასტროფულად წააგო 2 ნოემბრის არჩევნები - წააგო ჯერ კიდევ 23-24 ოქტომბერს, როცა მიტინგი დაარბია ბათუმში და როცა ჩემი ჩოლოქიდან გამოსვლის დროს საოცრად ვანდალური აქტი განახორციელა. 2 ნოემბერს ბათუმშიც და ქობულეთშიც უამრავი ხალხი მივიდა უბნებზე. მეც და კობა ხაბაზსაც დიდი უპირატესობით გვაქვს მოგებული ეს ოლქები და აბაშიძემ ეს იცის. მთელი აჭარის მოსახლეობამ საკუთარი საარჩევნო აქტივობით პროტესტი გამოხატა აბაშიძის რეჟიმის მიმართ. როგორც ჩანს, ეს იყო ერთგვარი რეაგირე[illegible]აც მოსახლე[illegible]ტინგის დროს [illegible]თ ბათუმელი [illegible]რომელიც დაა[illegible]ჭყვა - აი, ამის [illegible] არჩევნებზე. [illegible]ოგიური, პატ[illegible] დემოკრატიული შტურმი, ანუ "ვარდების რევოლუცია" 23 ოქტომბერს დაიწყო ბათუმში და 23 ნოემბერს თბილისში დასრულ-

და. რომ არა ბათუმისა და ჩოლოქის მოვლენები, რომ არა შევარდნაძე-აბაშიძის არჩევნების შემდგომი გარიგება, რომ არა აბაშიძის მიერ სტადიონზე გამოყვანილი ხალხი, რომ არა "ჩოლოქის ხერგილი" რუსთაველზე - 23 ნოემბერი არ შედგებოდა.

**- აბაშიძისთვის რატომ არ არის მაგალითი თბილისის მოვლენები?**

- მას შემდეგ, რაც მას ბათუმის უნივერსიტეტში მასობრივი ობსტრუქცია მოუწყვეს და პირდაპირ განუცხადეს, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღება სურთ, ის შეშფოთდა. პირველი დარტყმა ტრადიციულმა ოპოზიციამ მიიღო - იმ ლექტორების დიდი ნაწილი, ვინც ასლან აბაშიძეს არ შეეგუენ – "რესპუბლიკელია". მას არ ჰყავს იმდენი ნათესავი, რომ უნივერსიტეტშიც დაასაქმოს. ჩემი მეგობრები კი კვლევით ინსტიტუტებში, უნივერსიტეტში 30-40 ლარიან ხელფასზე მუშაობენ. წერა-კითხვის მცოდნეთა რაოდენობით აბაშიძის კლანი ნამდვილად ვერ დაიკვეხნის, ამიტომ უნივერსიტეტი მისთვის ისეთი მორჩილი არ აღმოჩნდა, როგორც ეგონა.

რა თქმა უნდა, გავლენა იქონია საქართველოში მიმდინარე პროცესებმაც და აჭარაში გაჩნდა დიდი მოთხოვნილება, რომ საერთო ქართულ პროცესებში ისინიც იყვნენ ჩართულნი. აჭარაში ვერაფრით ეგუებიან ერთიანი ქართული საინფორმაციო სივრციდან მოწყვეტას. საინფორმაციო შიმშილი დიდ გაღიზიანებას იწვევს. ამას გარდა, აბაშიძის მიერ თბილისში გაგზავნილი ხალხი მას, პრაქტიკულად, ჩვენს მომხრეებად დაუბრუნდა. აჭარაში აქედან დიდი რევოლუციური მუხტი ჩავიდა.

მემედ აბაშიძის სტიპენდიანტების კავშირის პრეზიდენტი კაჭარავა საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარების მოთხოვნით გამოვიდა და ძალიან დელიკატურად, პატივისცემის დადასტურებით (იქ სხვა სტუდენტები არანაირ პატივისცემას არ უცხადებენ აბაშიძეს და ღიად ამბობენ, რასაც ფიქრობენ), აბაშიძეს საარჩევნო სივრცის გახსნა მოსთხოვა, ეს არის შევარდნაძის რეჟიმის რღვევის დასაწყისის ანალოგიური პროცესები. ეს არ არის მხოლოდ აბაშიძის რეჟიმის მიმართ ტრადიციულად მკვეთრად დაპირისპირებული ხალხის მოთხოვნა. ახლა, პრაქტიკულად, აჭარის მთელი საზოგადოება ითხოვს, არ გააგდონ ისინი ქართული საარჩევნო, პოლიტიკური, საინფორმაციო სივრციდან.

აჭარაში ძალიან მტკივნეულად განიცდიან მათ იზოლირებას საერთო ქართული პროცესებისგან. ჩვენმა საზოგადოებამ ნაკლებად იცის, რომ თბილისს გარდა 1978 წელს მხოლოდ ბათუმში იყო ქართული ენის დასაცავი დემონსტრაცია - 14 აპრილს თბილისში და 26 მაისს - 20 000-იანი დემონსტრაცია - ბათუმში. ისტორიული გამოცდილების გამო, საქართველოსგან იზოლირების ნებისმიერი მცდელობა აჭარლების შეურაცხყოფად აღიქმება. ძალიან მტკივნეულად განიცდიან, როცა აჭარლებზე შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ სახელმწიფოს უშლიან ხელს.

**- როცა ამბობთ აჭარა, მხოლოდ ბათუმს და ქობულეთს გულისხმობთ?**

- განსაკუთრებით აქტიური არიან მთიანი აჭარის მცხოვრებლები. როცა "ომობანას" თამაში წამოიწყო, აბაშიძემ შუახევში ხალხის მობილიზება ვერ მოახერხა - იქიდან გამოაგდეს. ხულოს რაიონის ღორჯომის ტრადიციული თემიც აბაშიძის მიმართ მკვეთრად ნეგატიურად არის განწყობილი. პერიოდულად, აბაშიძე ბათუმში ჩაიყვანს ხოლმე ხალხს და აჩვენებს ფილმს იმის შესახებ, თუ რა ფაშისტები ვართ რევოლუციონრები. ის ხალხს ეუბნება - მე კი წავიდოდი და თავის რჩენა არ გამიჭირდებოდა, მაგრამ თქვენ როგორ დაგტოვოთ ამათ ხელშიო... შემდეგ ამ ხალხს წაიყვანს რესტორანში და უშვებს. ასე იყო ქობულეთელებთან, ხელვაჩაურელებთან, მაგრამ სხვა რაიონები, ჯერჯერობით, უჭირს.

მას ჰგონია, რომ ამით ძალაუფლების დემონსტრირებას ახდენს, მაგრამ სინამდვილეში ეს ხავსს მოჭიდებაა.

**- ჯემალ გოგიტიძის აჭარის შს მინისტრად დანიშვნა ნიშნავს თუ არა იმას, რომ არაფერი არ იქნება შესმენილი და აღარც დიალოგს ექნება აზრი?**

- გოგიტიძეზე ჩემს აზრს მოგახსენებთ: რომ ვუყურებდი კადრებს, თუ როგორ იქცეოდა გოგიტიძე პარლამენტის შენობაში (ვერ ვიტყვი, რომ მის მიმართ პატივისცემა გამიჩნდა, ეს ასე არასდროს ყოფილა), შესაძლოა, ეს ველური ინსტინქტი იყო, მაგრამ ის ეწინააღმდეგებოდა, საკუთარ პოზიციას იცავდა და ცოტნე ბაკურიასგან განსხვავებით, კუდამოძუებული არ გარბოდა. ადამიანს აქვს ხელშეუვალი უფლება, იყოს იდიოტი, მაგრამ გოგიტიძე ამ ფორმატშიც საკუთარ სიმართლეს იცავდა, აბაშიძესთან ვარიაგებად ჩასული ადამიანებისგან განსხვავებით.

რა თქმა უნდა, გოგიტიძის დანიშვნა იმას ნიშნავს, რომ აბაშიძე თბილისში პოლიტიკურ საქმიანობას საჭიროდ არ თვლის. ამასთანავე, ჯემალ გოგიტიძე აბაშიძისთვის სანდოა და საგანგებო მდგომარეობისას ყველაზე მნიშვნელოვანი პოსტი მას ჩააბარა. აბაშიძის ნათესავმა ილო წულუკიძემ ძალიან გამოიჩინა თავი ბათუმის მიტინგის დარბევასა და თბილისში ხალხის ჩამოყვანაში, მაგრამ, როგორც ჩანს, ჩაითვალა, რომ ის ყველაფრის მკადრებელი ვერ არის. წულუკიძე არ იჩენს ინიციატივას, თუ ვის უნდა მიუვარდნენ სახლში და ვინ დაარბიონ. გოგიტიძეს დასაკარგი არაფერი აქვს, მან ყველა გზა მოიჭრა და მხოლოდ ერთი პროფესია დარჩა - აბაშიძის ვეზირობა. ამიტომ მისი დანიშვნა ნიშნავს, რომ აბაშიძე აპირებს, მკვეთრად დაუპირისპირდეს ახალ ხელისუფლებას და ვიტყოდი, მთელს საქართველოს.

**- ასლან აბაშიძე იქ ცხოვრობს და იცის, რა ხდება რეალურად აჭარაში. რა შანსები აქვს მას?**

- ის, ბუნებრივია, ამ მძიმე გარემოში თბილისთან ურთიერთობის შევარდნაძის დროინდელი ფორმატის შენარჩუნებას ცდილობს, თუმცა ამისთვის მცირე რესურსი აქვს.

სულ ახლახან გამაგებინეს, რომ ბათუმის ერთ-ერთ საავადმყოფოში ექიმებისგან მოითხოვდნენ ცნობის გაცემას, თითქოს, თბილისის მიტინგის დროს აჭარიდან ჩამოყვანილი 7 პოლიციელი დაჭრეს. ამ საავადმყოფომ ეს ცნობა არ გასცა. აბაშიძე თბილისისაგან მტრის ხატის შექმნას განაგრძობს, რაც მისთვისვე უარესია.

ჩვენ ვეუბნებით - ვაჭრობის ფორმატი მორჩა და საარჩევნო უბნები უნდა გახსნას. უნდა აიტანოს ის, რომ ბევრი ხმას სააკაშვილს მისცემს, რომ ხმას მისცემენ შაშიაშვილს (არც ის არის აბაშიძის მეგობარი). თუ მას კონკურენტულ გარემოში თანაარსებობა შეუძლია, ჩვენ მზად ვართ ამისთვის. არ მაქვს იმის მოთხოვნილება, რომ მას სამაგიერო გადავუხადო. გაცილებით მძიმე გზა მაქვს გავლილი, ვიდრე ჩოლოქის კადრებში ნახეთ - - ჩემი სახლიც აუფეთქებიათ, დეპუტატებიც მოუტაცებიათ და ოფისიც არაერთხელ დაურბევიათ. თამაზ დიასამიძის ძმა არჩევნების გამო 6 თვით იყო დაჭერილი... აბაშიძეს მოუწევს ურთიერთობა არა მხოლოდ ქვეყნის პრეზიდენტ სააკაშვილთან, არა მარტო ადრე მის მტრად მიჩნეულ ჟვანიასთან (რომელზეც საქმეც კი იყო აღძრული აბაშიძეზე ტერაქტის მოწყობის გამო), არამედ - ჩემთან. ბუნებრივია, არ ვაპირებ აბაშიძის რეჟიმის საჯიჯგნად დავტოვო აჭარაში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეები. როგორც კი საარჩევნო პოლიტიკური სივრცე გაიხსნება, ამ რეგიონშიც ვიბრძოლებთ.

**- თქვენი აზრით, არჩევნებს ველარ გააყალბებს?**

- როცა ვლაპარაკობ სივრცის გახსნაზე, არჩევნების ჩატარებას ვგულისხმობ და არა საბჭოთა ღონისძიებებს, რომელსაც აბაშიძე არჩევნებს უწოდებს. ვფიქრობ, რომ მას დიდი უპირატესობით მოვუგებთ. ეს მოგება და წაგება ნიშნავს იმას, რომ ერთი მხარე უმრავლესობაში იქნება, მეორე - ოპოზიციაში. ჩვენ მზად ვართ, აჭარის ხელისუფლების უმრავლეოსობა ვიყოთ, მზად ვართ, ჩვენი ოპოზიციონერობა აჭარის საკანონმდებლო ორგანოს კედლებში გადავიტანოთ. საარჩევნო უბნების გახსნა ნიშნავს, რომ აბაშიძის რეჟიმის ეტაპობრივი დემონტაჟი მოხდება.

ვფიქრობ, რომ ჰიპოთეტურია, რასაც ახლა ვლაპარაკობ. არა მგონია, რომ აბაშიძე რამენაირად იყოს მზად ამისთვის.

**- ასეთ შემთხვევაში, რა არჩევანი აქვს აჭარის ავტონომიის ხელმძღვანელს?**

- ან უნდა დატოვოს საქართველო და გადაიხვეწოს ამ ქვეყნიდან (ლუჟკოვთან მეგობრობს, გიორგაძესთან აქვს კავშირები და მისი ბედის გაზიარება შეუძლია), ან ასლან აბაშიძის მიმართებაში კანონი მთელი სიმკაცრით ამუშავდება.

**- რატომ შეაჩერა თავისი არჩევანი აბაშიძემ შაშიაშვილზე. მას ხომ არანაკლებ ოდიოზური პოლიტიკოსები ეძლეოდნენ - სარიშვილი, რჩეულიშვილი, ნათელაშვილი და სხვები?**

- ვფიქრობ, აბაშიძე სარეზერვო ვარიანტებს ამზადებს. მას ურჩევნია აჩვენოს, რომ უბნები გახსნა, დიდი აქტიურობა არ არის, მაგრამ ვინც მოდის, შაშიაშვილს აძლევს ხმასო... არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, რამდენ ხმას გამოწერს ქვითარზე, ეს არჩევნები შედგება - აბაშიძის კოზირები კოზირები აღარ არის. თუ საპარლამენტო არჩევნების დროს "აღორძინებისთვის" გაფორმებული ხმები თვისობრივად ცვლიდა პოლიტიკური თანაფარდობის კონფიგურაციას, საპრეზიდენტო არჩევნებში ამას მნიშვნელობა არა აქვს. საპრეზიდენტო არჩევნები შედგება, ლეგიტიმური იქნება და აბაშიძეზე შეტევა სამართალდამცავი ორგანოების საშუალებით გაძლიერდება.

აჭარას ვერავინ მოიკიდებს ზურგზე. საქართველოდან გამოყოფის იდეა აბაშიძესაც არ უდევს თავში - ის, უბრალოდ, სპეციფიკური ქართველია, მაგრამ - ქართველია.

**- საუბარია იმაზე, რომ დიალოგი ორმხრივი უნდა იყოს, და ეს რიჩარდ მაილსმაც აღნიშნა. რა უნდა დათმოს ამ ხელისუფლებამ?**

- უბრალოდ, დღესვე არავინ გამოწერს სანქციას და გარკვეული ტიპის პოლიტიკური ამნისტია იქნება. უამრავი რამ გვაქვს გადასალახი - საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ღირებულება 350 მილიონი დოლარი იყო, რომელიც აბაშიძემ შევარდნაძის ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად ჩაიჯიბა. მას უკანონო პატიმრად დღემდე ჰყავს ასანიძე... პოლიტიკური მიზანშეწონილობის გამო ყველაფერი უნდა ვაპატიოთ, ჩვენი მხრიდან ეს ყველაზე დიდი დათმობა იქნება.

ერთსაც ვიტყოდი - ვერც ერთი პოლიტიკური ძალა ჩემი და "რესპუბლიკური პარტიის" ზურგს უკან აბაშიძესთან საკითხებს ვერ მოაგვარებს.

**- რატომ, ექსკლუზიური უფლება გაქვთ?**

- იმიტომ, რომ აჭარაში საქართველოს ღირსების დასაცავად ჩვენზე მეტი არავის უბრძოლია და იმ მიზეზის გამოც, რომ აჭარაში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეები ასლან აბაშიძესთან ჩვენთვის მიუღებელ გარიგებას არ მიიღებენ. ეს აბაშიძემაც მშვენივრად იცის. შევარდნაძის მთავარი ოპონენტი იყო სააკაშვილი და სააკაშვილმა შევარდნაძე დაამარცხა.

**- თქვენ ბათუმის "ნაციონალები" ხართ?**

- "ნაციონალური მოძრაობა" აჭარაში მთლიანად ეყრდნობა "რესპუბლიკურ პარტიას".

**- რამდენად მსხვრევადია მითი დაშინებული მოსახლეობის შესახებ, შიში პროტესტის გრძნობას ბევრად ჭარბობს?**

- ყოველ შემთხვევაში, ეს კითხვა უკვე გაჩნდა. ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ არავის სჯეროდა, რომ აჭარაში ჩემს საარჩევნო კამპანიას აზრი ჰქონდა. შევარდნაძის გარეშე უკვე ვართ და აბაშიძის გარეშეც შეიძლება ვიყოთ, ეს დრომ დაადასტურა. პროტესტი უკვე ჭარბობს შიშს და ეს განსაკუთრებით სოფლებს ეხება. მე ვერ ავუდივარ რაიონებიდან ჩამოსული დელეგაციების შეხვედრას. იქ გაჩნდა მოთხოვნილება, რომ ასლან აბაშიძის მიერ აჭარისთვის ჩირქის მოცხება შეწყდეს - მთელი საქართველო იყო შევარდნაძის წინააღმდეგ და ჩვენ რატომ უნდა დაგვეცვა ის და აბაშიძეო - ეს პროტესტი დღეს არსებობს...

აბაშიძის საქმე წასულია, თუმცა ჩვენ გვმართებს დიდი სიფრთხილე, რადგან ის არ არის შევარდნაძე და არ არის გამორიცხული, რომ წასვლის წინ მან ისროლოს. ის ყოველთვის ადეკვატური არ არის. მაგრამ ამის გამო სიტუაციის მძევალი არ უნდა ვიყოთ. ჩვენი ამოცანაა, დღეს ან ხვალ აბაშიძე რუსის ჯართან ერთად წავიდეს და, ამასთანავე, არ ისროლოს....

**- იმის მიუხედავად, რომ მეზობელ ქვეყნებში ვიზიტისას შვილი თან ახლავს, ამბობენ, რომ გიორგი აბაშიძეს არ უნდა პოლიტიკაში ყოფნა, მას, უბრალოდ, კარგი ცხოვრება სურს და ამბობენ, თვითონაც კარგი ბიჭიაო...**

- მეც ასეთი შთაბეჭდილება მაქვს. მისი მეუღლე ჩემი ოჯახის ახლობელია და ბუნებრივია, დაინტერესებული ვარ, რომ ეს ოჯახი დაცული იყოს. თუმცა, არც ახლობლობის გარეშე ვიქნებოდი სისხლისმსმელი. ვფიქრობ, რომ ის ფუნქცია, რაც ასლან აბაშიძემ შვილს დააკისრა, თავსმოხვეულია.

**- რას მოიტანს აბაშიძისა და ჟვანიას შეხვედრა?**

- აბაშიძეს, დაახლოებით, ასეთი პოზიცია აქვს: "ამ ცუდ კამპანიაში ყველაზე კარგი ჟვანიაა და მას ჩავბარდები..." თუ ჟვანია მას უბნების გახსნის ფორმალურ უფლებას გამოგლეჯს, ამას მივესალმებოდი. ჩემთვის სულერთია, ჟვანიასთან შეხვედრის შემდეგ გახსნის საარჩევნო უბნებს, ბურჯანაძესთან შეხვედრის მერე, თუ ამის შესახებ სააკაშვილს ამცნობს...

**- ხომ არ იცით, რა ხდებოდა იმ დროს ბათუმში, როცა "გამოჩენილმა პოლიტიკოსებმა" მოიყარეს თავი?**

- რამდენადაც ვიცი, ვახტანგ რჩეულიშვილმა უთხრა აბაშიძეს - ეს საქმე წაგებულია და თავი დაანებეო... სარიშვილი, როგორც პოლიტიკური სუბიექტი, არ არსებობს. მძიმე დღეშია ნათელაშვილიც. ვფიქრობ, რეჟიმის არსებობა რომც გახანგრძლივდეს, ასლან აბაშიძე ველარ იქნება ფსევდოალტერნატიული პოლიტიკური ცენტრის ხელმძღვანელი.

**- სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში თქვენ, მისი ბლოკის წევრი, გამოცდილი მეამბოხე და რევოლუციონერი, როგორ დაიცავთ მას საკადრო შეცდომებისგან?**

- აპრიორი არავის დავიცავ. მე შემიძლია ვურჩიო, დანარჩენი პრეზიდენტის გადასაწყვეტია და თუ შევატყე, რომ მის მიერ გატარებული საკადრო პოლიტიკა არ მომწონს, ნამდვილად არ დავმალავ. მე არ ვარ "ნაციონალური მოძრაობის" მსხვილი თუ წვრილი აქტივისტი - მე ვარ "რესპუბლიკური პარტიის" წევრი. იმედი მაქვს, რომ "ნაციონალებს" გამზადებული შიდა ოპონენტი ჰყავთ კობა დავითაშვილის სახით.

**- ისე, გოცირიძე უფრო ჰგავს "ნაციონალს" და დავითაშვილი - "რესპუბლიკელს"...**

- მაინც მგონია, რომანი ბოლომდე ვერ ქაჩავს "ნაციონალობას", უფრო "რესპუბლიკელია". კობა დავითაშვილმა კი ფეხი დას-ში და შემდეგ "რესპუბლიკურ პარტიაში" აიდგა და ამ გუნდში გაზრდილ პოლიტიკურ ფიგურად მივიდა. მას წაადგა "რესპუბლიკურ პარტიაში" ყოფნა და შესაძლოა, იმიტომ არის მენტალურად უფრო ახლოს.

**- საინტერესოა, დროშა თუ გაქვთ, ბათუმში, უზენაესი საბჭოს შენობაზე რომ ააფრიალოთ?**

- მინდა გითხრათ, რომ ჩვენი დროშაც ლურჯია და "აღორძინება" პლაგიატია. "რესპუბლიკელთა" დროშაზე შვიდი შვიდქიმიანი ვარსკვლავით შეკრული წრეა გამოსახული. ასლან აბაშიძის დროშაზე კი - თუ არ ვცდები, 12. ასე რომ, დროშის ფერის გამოცვლა საჭირო არ არის, ვარსკვლავების რაოდენობა შემცირდება, ან რაოდენობაზე შევთანხმდებით.



ლევან ხერხეულიძე

აჭარის სეპარატიზაციაზე საუბარი პრინციპულად შეუძლებელია. კლიშე - "სეპარატიზმი აჭარაში" არ არსებობს. იქ არის ხელისუფლების ცენტრისგან სეპარატიზაცია.

რომ არა ბათუმისა და ჩოლოქის მოვლენები, რომ არა შევარდნაძე-აბაშიძის არჩევნების შემდგომი გარიგება, რომ არა აბაშიძის მიერ სტადიონზე გამოყვანილი ხალხი, რომ არა "ჩოლოქის ხერგილი", რუსთაველზე - 23 ნოემბერი არ შედგებოდა.

აბაშიძის მიერ თბილისში გაგზავნილი ხალხი მას, პრაქტიკულად, ჩვენს მომხრეებად დაუბრუნდა. აჭარაში აქედან დიდი რევოლუციური მუხტი ჩავიდა.

ისტორიული გამოცდილების გამო, საქართველოსგან იზოლირების ნებისმიერი მცდელობა აჭარლების შეურაცხყოფად აღიქმება. ძალიან მტკივნეულად განიცდიან, როცა აჭარლებზე შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ სახელმწიფოს უშლიან ხელს.

ვერც ერთი პოლიტიკური ძალა ჩემი და "რესპუბლიკური პარტიის" ზურგს უკან აბაშიძესთან საკითხებს ვერ მოაგვარებს.

სვეტი



## პირადი ბიბლიოთეკა

რეზო გაბრიაძე,
"ქუთაისი ქალაქია" (2002)

მალხაზ ხარბედია

"ქუთაისი ქალაქია"-ს წაკითხვის შემდეგ რომელიმე განათლებული და ენამახვილი ქუთაისელი იტყოდა: "ეგია ბუჯო რომანი? ეგია პოემა. ამას რაფრა ეძახი ბუჯო რომანს!" და მართალიც იქნებოდა, იმიტომ რომ წიგნი მართლაც გრძელი ლექსივით იკითხება და ძალიან უნდა მოინდომო, რომ ერთი ამოსუნთქვით არ წაიკითხო. ისე, კინოსაც გავს ეს უცნაური წიგნი, კარგ, კეთილ კინოს, კერძოდ და ნიშანდობლივ კი ჟაკ ტატის ფილმებს. პირველი გვერდებიდანვე გამახსენდა ის მაგიური კადრები ტატის "ბიძაჩემიდან", ათი წუთის განმავლობაში რამდენიმე ძუკნა-დვარნიაშკა "სასტაულებს" რომ ახდენს (სამსახიობო ოსტატობის თვალსაზრისით, რა თქმა უნდა) და დახლის ქვეშ დამალული ის ფრანგი მურიკელაც დამიდგა თვალწინ, მყიდველის ჩანთაში "ჩასვენებულ" შებოლილ ქარიყლაპიას რომ უყეფს გააფთრებით, აქაოდა არ მიკბინოს ამ შეჩვენებულმაო.

ასეთი სცენები ბევრი მოიძებნება "ქუთაისში", ეს წიგნი სავსეა ამგვარი პოეტური უცნაურობებით. ბუზებიდან დაწყებული და ქალაქის ანგელოზით დამთავრებული (მთავარი გმირებისა და მეორეხარისხოვანი ინვალიდების გავლით), ყველა პერსონაჟი რაღაც უცხო კანონის მიხედვით მოქმედებს და სწორედ ეს უცხო კანონია საკითხავ სამოთხეს რომ გვიქმნის ამ ერთი შეხედვით ბანალური ისტორიისგან. ამ უცხო კანონს კი "გაბრიაძის წერის კანონი" ჰქვია.

წერის რეზო გაბრიაძისეულ მანერას ბევრი სახელი შეიძლება მოეძებნოს, ოღონდ ერთი რამ ვერ გამიგია, ასეთი სახელდებისას როგორ უნდა შეაჯვარო ერთმანეთთან სტილი და სიკეთე? ეს ორივე ცნება ხომ ძალზე მნიშვნელოვანია რეზო გაბრიაძის ნაწარმოებებისთვის. ამიტომ გავრისკავ და მის წერის მანერას თხრობით გაკეთილშობილებას ვუწოდებ.

ადრე ზოგ-ზოგიერთი პერსონაჟი თხრობით სიცოცხლეს იხანგრძლივებდა (მაგალითად შაჰრაზადა), აქ კი ავტორის თხრობა პერსონაჟებს აკეთილშობილებს, მათ შორის ისეთ მონსტრებსაც, როგორიც სტალინი იყო. ერთ-ერთ ბოლო სცენაში ქუთაისის ანგელოზი სტალინს ეხვეწება, პროფესიონალი მღვდელი ბრძანდებით, ერთი პატარა წირვა ჩაგვიტარეთო, ხალხიც მოინანიებს და თქვენცო. სტალინს ამ დროს ხილვა ეწვევა: დაინახავს, ვითომ ეკლესიიდან გამოდის ანაფორაში ჩაცმული ჯვრით ხელში, "ფეხზე კალოშები აცვია. წინდაში ჩატანებული აქვს შარვალი, ზურგზე ქერტლი აყრია."

ზემოთ შემთხვევით როდი ვთქვი, ყველა პერსონაჟი ერთ კანონს ემორჩილება, ბუზებიდან დაწყებული მეთქი. გაბრიაძესთან ყოველი საგანი, ყოველი მწერი თუ ცხოველი ერთიან ქმედებაში ერთვება, აქ ყველაფერი სინქრონულია და ყველა თანაბარია ამ ქმედებაში, რადგან მწერალს ერთი უმცირესი დეტალი ჰყოფნის ამ უშნო რწყილების ჰეროიზირებისთვის და ისინიც ერთად გამოეფინებიან ხოლმე სათაფლიიდან ბანოჯამდე: ლომები, ვეფხვები, ბალანჩივაძეები, გურეშიძეები, ბრეგვაძეები, ფარშავანგები, ალავიძის თხა და ა.შ.

ამ წიგნში ფლორისა და ფაუნის ბევრი წარმომადგენელია. მატარებელში, მაგიდის ქვეშ შეკვეტებული თხა რქებისთვის ადგილს ეძებს და ქვევიდან ურტყამს მაგიდას, ბეღურები ხან მარცხენა თვალით ათვალიერებენ ადამიანებს, ხან მარჯვენათი. სადღაც იქვე, კინოთეატრ "კომუნის" უკან, ჩიხში დგას იასამნის ბუჩქიც. ისე, ტყვილად, მისაფსმელად დგას და მორცხვად ხარობს. ქუთაისის მილიციის პირველი განყოფილების ეზოში კი პალმა კვდება უკვე მეორე წელია. ხანდახან გაიელვებს ძროხისა და ველოსიპედის ნაზი სილუეტი, ხან კი ძაღლები ჩაიქროლებენ: ეს საბრალო ცხოველები ყველაფერს ერთნაირი ხალისით მისდევენ, პურის დროგსაც და ფილხაზია მემაროჟნის ლურჯზოლიან თეთრ ურიკასაც.

ნაწარმოებში ოხრადაა მიმოფანტული სხვადასხვა უცნაური ნივთი, ისეთი, ტომ სოირი რომ სიამოვნებით წააპწიალებდა გადასაცვლელად: პატარა ჯაყვა, ტარზე სადაფის ფირფიტით, ნიკელის ბურთულა, მომპასიეს ჟეშტის კოლოფი, გილზებიდან გაკეთებული ზაჟიგალკები, ჭადის გადასაბრუნებელი ნიჩაბი, თითისტარები, კოვზები, ზურგის მოსაფხანი ჯოხები და კბილის საჩიჩქნები, მინერალური წყლის მუშტუკიანი ჭიქა, სიტრო-ლიმონათის იარლიყები, ნიკელირებული ზამბარა, ველოსიპედის ზარი, ამერიკული ღილი არწივითა და წარწერით, საათის ციფერბლატი, წითელი რეზინა და ვინ იცის კიდევ რა.

ერთ პატარა სივრცეზე (ანუ ერთ ქუჩაზე და ერთ აბზაცში) იპოვით მესაათეს, სამკერვალოს, საპარიკმახეროს, სამხატვრო სტუდიას, ღვინის სარდაფს, ყელ-ყურის ექიმს, საზეინკლოს, უტილის ჩაბარების პუნქტს, რენტგენს, მედოლეს, სააკვნე და საკუბოვე ცეხს.

ამ რომანში ბევრი უცნაური რამ ხდება. მაგალითად, მთავარი გმირის, პატარა ვარლამის ბაბუის წამოსვენებისას, გზაში, პროფესიონალი მოტირლები გამოჩნდებიან. გაიგებენ სახელს, "ისთე", ცოლისთვის სახელსაც დააზუსტებენ და შემდეგ რიგრიგობით და ხმამაღლა დაუწყებენ გამოკითხვას ცას, მიწას, ხალხს, მთებს, ხეებს და ღრუბლებს: "ვინ დადიოდა შენზე კარგი ამ ქვეყანაზე? რატო წადი?! რატო მიგვატოვე, არ გცხვენია?!". ასეთი მარიონეტული პანთეიზმი სხვა ადგილებშიც ხშირად გვხვდება და საერთოდაც, რეზო გაბრიაძის მთელ შემოქმედებას ეს თეატრალური თუ ლიტერატურული წარმართობა ახასიათებს. ამ რომანში ადამიანები (კერძოდ ჯარისკაცები) ქვებივით აწყვია მანქანებში, ან აკაციის ფოთოლივით თრთიან, მცენარეები კი ადამიანებივით ხარობენ და კვდებიან. ვასო მილიციონერს სარდაფიდან უფეხო ინვალიდები ამოაქვს და შეშასავით ყრის, შულცს კი სწორედ იმ მომაკვდავ პალმაზე აყუდებენ. გმირებს ხან აჭარის მთები ულიმის, ხანაც სამეგრელოს, ხან სვანეთიდან მოვარდნილი ქარის ტალღა მიაქანებს, ხანაც გაუთავებელი ქარი სამტრედიიდან.

წიგნში ერთ-ერთი უძლიერესი ეპიზოდია ქარსა და უბედურებაში ნიფხავ-პერანგის ამარა ბაბუას მიერ "ჩეჩმის დალაშქვრის" სცენა. წარმოიდგინეთ, ქარი სამტრედიიდან ქუთაისისკენ ზნიქავს ალვის ხეებს, წელში მოკაკული ბაბუა კი ამ დროს სტიქიონს მიაპობს და ზევით მიიწევს, ჩეჩმისკენ: "ქარი წუოდა ჩეჩმის ნაფოტებში, დროშასავით ფრიალებდა გეოლოგის პლაშის ნაგლეჯები, რაც ჩეჩმას სიდიადეს მატებდა. ეზოს თავზე მაღალი ძაბვის მავთულები ერთმანეთს ედებოდნენ, ნაპერწკლებს ყრიდნენ, შხამიანი მწვანე შუქით ანათებდნენ ეზოს. ო, რა მრისხანედ გამოიყურებოდა ღლისით ასეთი უბრალო და საწყალი ჩეჩმა!" როგორია? არაა "მეფე ლირივით"? მთელი თავისი იჭექ-იქუხე, წვიმა ღვარნე, ცეცხლი აფრქვიე-თი!

ჰო მართლა, ამ ქუხილზე გამახსენდა: რომანში განუწყვეტლივ რაღაცის ხმა ისმის და ზოგს ეს ხერხი შესაძლოა კინემატოგრაფის მარაგიდან აღებული მოეჩვენოს, ზოგს კი სხვა, კონტრაპუნქტული ეფექტის საწინდრად. რადიოდან ხან ხარაგოულის მშრომელთა თხოვნით გაშვებული "სისატურა" ისმის, ხან "მე ვარ სიმონა დოლიძე"-ს გადმოსცემენ, ხანაც პავლე ხუჭუა ჰყვება ვოლფგანგ ამადეუს მოცარტის ბიოგრაფიას მისივე რექვიემის ფონზე. ორკესტრებიც ჩნდებიან - სამხედრო და აბრეშუმკომბინატის, საიდანაც მესაყვირე გამოეყოფა და "შორი გზიდან სატრფოს ველი"-ს ჩააბულბულებს ხოლმე. ბავშვები მელოდიას ღიღინებენ ფილმიდან "ჯარისკაცის ბედი ამერიკაში", რომელიც ჩემი დაკვირვებით "My Melancholy Baby" უნდა იყოს, ბერნეტ-ნორტონის ცნობილი (ამ სიმღერას ფილმში პრისცილა ლეინი მღერის) ჯაზ სტანდარტი.

ყველაფერს ვერ ჩამოთვლი, ყველაფერს ვერ გაწვდები. თანაც საქმეს ისიც ართულებს, რომ ძალზე ძნელია ნაწარმოების ჟანრის გარკვევა. თუმცა ერთი რამ თამამად შეიძლება ითქვას, წიგნს საოცრად გადამდები აურა აქვს და პირველად წაკითხვის შემდეგ, გარდა გადაკითხვისა, გარეთ გასვლასა და ქადაგებასაც მოგანდომებს. "რის ქადაგებას ბუჯო?", იტყვის კვლავ ის ჩვენი განათლებული ქუთაისელი და სწორედ ეს კითხვა იქნება გონებას რომ გაგვინათებს და აღმოგვათქმევინებს: "ეგი წიგნი, ბიძია-ბაბუებო, სახარებასავითაა, აპოკრიფული სახარებასავით და კუ ნუ გაგიკვირდებათ მაგი ამბავი".

# დაბზედებოდეთ ტროპიზმი

## სოციალურად და შემოქმედებითად აქტიურნი ძველ გალერეაში

ვერა ნეფარიძე

*"ძველი გალერეა" თანამედროვე ქართულ მხატვრობაში ახალი მიმდინარეობის – ტროპიზმის დამაარსებლებსა და მიმდევრებს მასპინძლობს. ახალგაზრდა მხატვრებმა მორიგი გამოჩენა და ფართო საზოგადოებისთვის საკუთარი შემოქმედებითი სიახლეების წარდგენა ბარბარობას (როგორც ჩვენთან მიიჩნევენ, ბედობას) დაამთხვიეს.*



ლაშა წიწიკაშვილი და ბესა ქართლელიშვილი.

ბარბარობას ჩვენთან, ძირითადად, დილიდან გაშლილი სუფრით ხვდებიან, რომ წმიდა ბარბარემ მთელი წლის განმავლობაში ოჯახს ხვავი და ბარაქა არ მოაკლოს. ბევრს იმისიც სჯერა, როგორც გაატარებს ამ დღეს, ისეთი წელიწადი იქნება. ეს ყველა ქართველმა კარგად იცის. გუშინ, ალბათ, ბევრი ცდილობდა, საქმისთვის თავი აერიდებინა და, ცრურწმენისა თუ სიტუაციით სარგებლობის გამო, ლობიანები და წითელი ღვინო მიერთვა. თუმცა, გამონაკლისის სახით, იყვნენ ისეთებიც, ვინც გუშინ შემოქმედებითი სიახლეები დაიბედა. მათ შორის იყვნენ ახალგაზრდა მხატვრები, რომლებიც საკუთარ თავს ტროპისტებად ("24 საათი" წერდა შარშან მათ შესახებ) მიიჩნევენ. ამჯერად ამ ახლაგაზრდებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ ისინი არამხოლოდ სოციალურად, შემოქმედებითადაც აქტიურნი არიან.

გუშინ "ძველ გალერეაში" ტროპისტების მცირე ნაწილმა – ბესა ქართლელიშვილმა და ლაშა წიწიკაშვილმა საკუთარი ნამუშევრების ერთობლივი გამოფენა მოაწყეს. გალერეაში, სულ 21, საკმაოდ მოზრდილი ზომის ნამუშევარია წარმოდგენილი. ბიჭებმა უკანასკნელ პერიოდში შექმნილი ფერწერა აჩვენეს. ამიტომაც, როგორც თავად ავტორმა გვითხრა, ლაშას ტილოებს რევოლუციის კვალი ატყვია (მუქი ფერები); ბესაამ კი სხვადახვა განწყობის მიხედვით შექმნილი რამდენიმე ავტოპორტრეტი წარმოადგინა. "ბესა უფრო საკუთარ თავს ხატავდა. არ ვიცი, ვინ იყო ის გოგო, ვინც ისე გააბრაზა, როგორც ეს მისი სურათებიდან ჩანს", - იხუმრა ლაშა წიწიკაშვილმა მეგობრის შესახებ.

გამოფენის გახსნას, ავტორების მეგობრებისა და სამხატვრო აკადემიის სტუდენტების გარდა, მათივე პედაგოგებიც ესწრებოდნენ. მათ შორის იყო გია ბუღაძეც, რომელთან ერთადაც ბესამ და ლაშამ უკანასკნელ წლებში რამდენიმე აქციას უხელმძღვანელეს (ბიჭების ერთ-ერთი უკანასკნელი ნამუშევარია აკადემიის ფასადისთვის შექმნილი პანო). პედაგოგი და ცნობილი მხატვარი ახალგაზრდა მხატვრების სოციალურ აქტიურობას სიხარულით ხვდება. "ეს არის რეალური მაგალითი, რომ ახალგაზრდები ზარმაცები არ არიან. ტროპისტებივით ენერგიული, ანთებული, აქტიური და განსაკუთრებული მონაცემების ახალგაზრდები, ბევრნი არა, მაგრამ, უნდა გითხრათ, რომ არსებობენ. ეს ორი – ბესა და ლაშა, განსაკუთრებული მოვლენაა. მრავალ ჟანრში მუშაობენ. რაც ამ დარბაზშია გამოფენილი, ისინი ამას კლასიკურ ტროპიზმს ეძახიან. შესანიშნავად გამოსდით გრაფიკაც და კედლის მხატვრობაც. ძალიან ბევრი აქცია, რომელიც შარშან და წელს გაიმართა, მათი აქტიურობის შედეგი იყო. ყოველთვის მოველი მათგან სიახლეს, ახალ იმპულსებსა და შოკს. დღეს შოკი არა, მაგრამ პორტრეტებით სიახლე მივიღე". გია ბუღაძე ბესა ქართლელიშვილის პორტრეტებს რამდენიმე ხნის წინათ ამავე გალერეაში წარმოდგენილ გურამ ნათენაძის არაჩვეულებრივ პორტრეტებს ამსგავსებს (მიმბაძველობას არ გულისხმობს – ვ.ნ.).

"ძველ გალერეაში" გუშინ კარგა ხანს გაგრძელდა გამოფენის გახსნისთვის დამახასიათებელი ხალხმრავლობა და ხმაური. სვამდნენ ღვინოს, ულოცავდნენ ბიჭებს წარმატებებს, სხვებს კი - ბარბარობას. ვნახოთ, რა გავლენას მოახდენს ტროპისტებზე გუშინ "დაბედებული" შემოქმედებითი სიახლეები და იქნება თუ არა 2004 წელიც მათი აქტიურობისთვის ხელსაყრელი.

# გამოუსწორებელი ოპტიმისტები

## და სავალალო მდგომარეობაში მყოფი "კულტურის სამჭედლო"

ანა კორძაია-სამადაშვილი

მხატვარ გია გუგუშვილს ჰყავს ძაღლი, ინგლისური სეტერი, ნამდვილი არისტოკრატი, ბუპა. ბუპას, ისევე, როგორც მის პატრონს, მრავალი წელია, ვიცნობ, მაგრამ ასეთი პატივისცემა მისგან არასოდეს მახსოვს – თავი მუხლზეც კი დამაყრდნო. სანამ გია უკმაყოფილოდ ბუზღუნებდა, რომ ყავას ცუდი გემო აქვს და ტელეფონს ჩართვა არ ელირსა, და მომავალი გამოფენის შესახებ მიყვებოდა, ბუპა ხან მე შემომცქეროდა, ხან თავის პატრონს. ძალიან კარგი ძაღლია, დელიკატური.

ეს გამოფენა 3 იანვრისთვის იგეგმება, წინასაარჩევნოდ. ალბათ, გახსოვთ, 23 ნოემბერს, მხატვრის სახლის ადგილას აღმართულ კედელთან ქართველმა მხატვრებმა აქცია რომ გამართეს – ქარვასლაში იმ ნამუშევრებსაც ვიხილავთ. გამოფენის სახელწოდებაა "ხელოვნება ბარიკადებზე". "მხატვრის სახლი ხომ ერთგვარი მემორიალია,- განმარტა გიამ, - ოღონდ, მაშინ ძალადობა იყო, ახლა კი – მხატვრობა".

გია გვპირდება, რომ გამოფენა ახალი წლის დღესასწაულის ღირსეული გაგრძელება იქნება – ხელოვნების გარდა, ღვინოსაც გვთავაზობს. იქ არავინ აპირებს ძახილს: "ყველანი არჩევნებზე!" ეს თავისთავად იგულისხმება.

გია გუგუშვილის შეწევნით, ყარამან ქუთათელაძესთან სახელოსნოში ვიყავი დაპატიჟებული. საქმე ის გახლავთ, რომ გუშინწინ სამხატვრო აკადემიის შენობაში "თავისუფალი ხელოვნების სახელოსნოს" შესახებ ისაუბრეს და, ვინაიდან მსგავს თავყრილობებზე უამრავი ხალხი ირევა ხოლმე და რამის კონკრეტულად დადგენაც ჭირს, ვიფიქრე, რომ ორგანიზატორებთან - ანუ გია გუგუშვილთან, ყარამან ქუთათელაძესთან და გივი ნონიკაშვილთან შეხვედრა უფრო მშვიდ გარემოში მერჩივნა. მით უმეტეს, რომ ძალიანაც მაინტერესებდა ბატონი ყარამანის სახელოსნო. სულ მალე იქ ხელოვნებათმცოდნე თათა კვარიანიც მობრძანდა.

ძლიერ კმაყოფილი დავრჩი: გარდა იმისა, რომ მათ ერთი უაღრესად სასიამოვნო თვისება აქვთ – მომავალს ნათელ ფერებში ხედავენ, მრავალი საინტერესო რამეც გავიგე.

თავისუფალი ხელოვნების სახელოსნო დაზგური ფერწერის კათედრასთან იარსებებს. ეს, მართლაც, თავისუფალი ხელოვნების სივრცე იქნება. ისევე, როგორც მისი ორგანიზატორები, მომავალი პედაგოგებიც (საწყის სტადიაზე მაინც) მოხალისეები იქნებიან: მხატვრები, ხელოვნე-



ლევან ხერხეულიძის ფოტო

ინგლისური სეტერი ბუპა და მხატვარი გია გუგუშვილი.

ბათმცოდნეები, ლიტერატორები და სხვა და სხვა – ყველა, ვისაც სტუდენტებისთვის რამე ეთქმის და ამ ცოდნის მიცემა არ ენანება. ამ საქმისთვის სამხატვრო აკადემიის შენობაში ერთი ოთახია გამოყოფილი. მსურველები, სტუდენტები (უფრო მეტად, უფროსკურსელები) ეზიარებიან იმას, რასაც თავისუფალი ხელოვნება ჰქვია.

პედაგოგიური მიდგომის მაგალითად ბატონმა ყარამანმა შემდეგი ამბავი მიამბო. ეს მოხდა არტ ვილა გარიყულაზე, რომლის შესახებაც "24 საათში" უკვე არაერთგზის გიამბეთ. თავად ვილას სახელიც ცოტა სიმბოლურია – ჩემი მასპინძლების თქმით, თავდაპირველად ის სისტემიდან გარიყული მხატვრების თავშესაფარი იყო, ოღონდ არა დასასვენებელი ადგილი თუ "ხელოვნების მუშაკთა სახლი", არამედ ადგილი, სადაც თავისუფალ აზროვნებაში არავინ არავის უშლის ხელს. სწორედ ამ დონ-კიხოტების ნავსაყუდელში მომავალ მხატვრებს თავიანთ პედაგოგებთან ერთად მუშაობის საშუალება მიეცათ. "როდესაც ჩასვლისთანავე ბატალური სცენების და გიორგი სააკაძის ხატვა დაიწყეს, ვკითხე: რას შვრებით?" მოჰყვა ბატონი ყარამანი, - "ჯერ გაიარ-გამოიარეთ, ფრესკები ნახეთ, ხალხი გაიცანით, სოფელში თქვენი ტოლები ცხოვრობენ, უფროსებიც; ჯერ გოგოები შეგიყვარდეთ, დათვერით, რა ვიცი..." შედეგი ის იყო, რომ სტუდენტებმა ბრწყინვალე სადიპლომო ნამუშევრები წარმოადგინეს, ხოლო 30 მონაწილიდან ოთხმოცი პროცენტი დღეს დასაქმებულია და იმას აკეთებს, რაც იცის, რაც უყვარს და რაც საუკეთესოდ შეუძლია. განა ცოტაა?

ყველაფერი სწორედ გარიყულათი დაიწყო. იქ განხორციელებული პროექტების წარმატებამ მხატვრებს სითამამე შეჰმატა – ახლა მათ დანამდვილებით იციან, რომ ახალ, თავისუფალი ხელოვნების სახელოსნოსაც ჩინებულად გაუძღვებიან. ამ სახელოსნოს ძირითადი მიზანი კი ერთგვარი კულტურის პოლიტიკის ჩამოყალიბებაა.

"საქართველო თავკომბალას დაემსგავსა, - თქვა ბატონმა გივი ნონიკაშვილმა, - მართლაც, ყველაფერი, თითქოს, თბილისშია კონცენტრირებული. არადა, ისინი, ვისაც დღეს არაფრის კეთება უწევთ, მათი შვილთაშვილები არიან, ვინც ჩვენი კულტურა შექმნეს - ქვის მთლელებისა, გასაოცარი ფრესკების ავტორი ფერმწერებისა. "ოდესღაც თავადებიც კი თავისებურ კულტურის კერებს ქმნიდნენ. ჩვენმა ბოლგარსკიმ (ვილა გარიყულას პირველმა მკვიდრმა) სოფელში ახალი ტექნოლოგიები შეიტანა, ჯემის ქარხანა გააკეთა". ისე, მართლა დიდი ძალისხმევა სჭირდება რამე სიახლის დანერგვას. თავად განსაჯეთ – ყოველგვარ სიახლეზე ხომ საშინლად ვრეაგირებთ! ისიც კი მიკვირს, რომ ქართველებმა სიმინდის და კარტოფილის ჭამა დაიწყეს. "იმ სოფელში თავის დროზე თეატრი იყო, - განაგრძობდა ბატონი ყარამანი, - მოხუცები ფრანგულად ლაპარაკობენ. ახლა კი... სოფელს კინოთეატრი უნდა ჰქონდეს, წიგნები უნდა ჰქონდეს".

ისე, კინოთეატრი სამხატვრო აკადემიასაც აქვს, ოღონდ - უეკრანო. დარბაზი საწყობად ყოფილა ქცეული – ეს კი ნამდვილად არ ვიცოდი. რა სწავლების მეთოდოლოგიაზე უნდა იყოს ლაპარაკი?

ქალბატონი თათა წინა დღეს გამართული შეკრების შემდეგ შეძრწუნებული იყო. მისი თქმით, არავის არაფერი აინტერესებს - არც სტუდენტებს, არც პედაგოგებს, არც "ნოვატორებს" – ყველა თავის ნაჭუჭშია ჩაკეტილი, და ისეთი ცნება, როგორიცაა "ჩვენი საქმე", მათთვის საერთოდ უცხოა. "ვის გაუგონია სტუდენტისთვის კითხვის დასმა, – თქვენ რა სტატუსი გაქვთ? სამხატვრო აკადემია კულტურის კონტექსტიდან ამჯერად სრულიად ამოვარდნილია. სამი "კადრების სამჭედლო" – სამხატვრო აკადემია, თეატრალური ინსტიტუტი და კონსერვატორია – მხოლოდ სასწავლო დაწესებულება გახდა. მაშ, "აკადემია" რა შუაშია? დავარქვათ ხატვის სკოლა..."

ჩვენი მხატვრობა, რომელიც (საერო სახვით ხელოვნებას ვგულისხმობ და არა ყინწვისის ანგელოზს) სულ ცოტა ხნის წინათ, მაგრამ ნამდვილი ფეიერვერკით, "გოლიათების აღლუმით" დაიწყო, სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდა. "ეს მეცხრამეტე საუკუნეც კი არაა, - ამბობს ბატონი ყარამანი, - მაშინ ხელოვნება თავის დროს პასუხობდა. აკადემიაში მთელი თაობებია გამოტოვებული. 80-იანელები, შესანიშნავი ხელოვანები, სად არიან? მათ ხომ ბევრი რამის თქმა შეუძლიათ ახალი თაობისთვის".

სულ მალე ეტყვიან. აბა, რისთვის შეიქმნა თავისუფალი ხელოვნების სახელოსნო? და ჩვენ სულ მალე მოვრჩებით საბჭოთა კავშირის დატირებას – როდემდე შეიძლება, ბოლოს და ბოლოს?!

ანონსი

## წიგნის სახლი




ხუთშაბათს, 18 დეკემბერს, 17 საათზე "წიგნის სახლში" (გამსახურდიას 31) შედგება ზაზა ბურჭულაძის ახალი წიგნის "მინერალური ჯაზის" პრეზენტაცია ავტორისეული კითხვით და დისკუსიით.

...




პარასკევს, 19 დეკემბერს, 17 საათზე, "წიგნის სახლში" (გამსახურდიას 31) შედგება ზაალ სამადაშვილის ციკლი "ახალი განზომილება". სტუმარი ნიკა ჯორჯანელი.

## პარნასი

დღეს 16 საათზე წიგნის მაღაზია "პარნასში", ლაშა ბუღაძის ახალი წიგნის "მესამე სართულის" პრეზენტაცია გაიმართება. "ამბა ბესარიონისა" და "გერონტი ქიქოძის თანამედროვე ჩანაწერების" შემდეგ გამომცემლობა "არეტემ", ბუღაძის მოთხრობების კრებული გამოსცა. "მესამე სართული" ბუღაძისთვისაც მესამე წიგნია.

კრებულში, ბოლო ერთი წლის განმავლობაში შექმნილი მოთხრობებია შესული. ზოგი მათგანი უკვე დაიბეჭდა ქართულ ლიტერატურულ პერიოდიკაში: ჟურნალებში "არილი", "დრო მშვიდობისა", გაზეთ "24 საათის" ლიტერატურულ დამატებაში. რამდენიმე მოთხრობას კი მკითხველი სწორედ ამ წიგნში გაეცნობა პირველად.

მოკლედ

### ხანძარი ოკეანარიუმში

ჩრდილოეთის ზღვის დანიურ მუზეუმს ხანძარი გაუჩნდა. ის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროზე მდებარეობს. ყველაზე დიდ ევროპულ აკვარიუმს – ოკეანარიუმს, რომელიც მუზეუმების შენობების კომპლექსში შედის, კატასტროფა ემუქრება.

"ახლა ხანძარი კონტროლდება და მეტი აღარ ვითარდება. მიუხედავად ამისა, ჩვენ ვერც ერთი მხრიდან ვერ ვუდგებით ოკეანარიუმს, ამიტომ, არ ვიცით რეზერვუარი გაუძლებს თუ ვერა", აცხადებს პოლიციის ოფიცერი, კიაზპსგაარდი. რეზერვუარში დაახლოებით 4,5 მილიონი ლიტრი ზღვის წყალი და 4 ათასი თევზია.

### ჩინეთი ორგიების წინააღმდეგ

ჩინეთში სხვადასხვა ვადით მისჯილია 14 ადამიანი, რომლებიც ზღვისპირა ქალაქ ჩჟუხაიში იაპონელი ტურისტების მიერ ორგანიზებულ ორგიებში მონაწილეობდნენ. ორ, უკვე განაჩენგამოტანილ პატიმარს ბრალად "პროსტიტუციის ორგანიზება და პროსტიტუციის ორგანიზაციის ხელშეწყობა" ედებათ. ისინი დარჩენილ ცხოვრებას ციხეში გაატარებენ. გარდა ამისა, ამავე საქმესთან დაკავშირებით ინტერპოლმა ძებნა იაპონიის ორ მოქალაქეზეც გამოაცხადა.

სექტემბრის ბოლოს სასტუმრო, რომელშიც დაახლოებით 400–მა იაპონელმა ორგია მოაწყო, დაიხურა.

# „მართლა გაფრინდნენ!„

## ძმები რაიტების "ფლაიერის" გაფრენის ასი წლისთავისთვის

მელორ სტურუა
საქ. კორ. აშშ
რეპორტაჟი კილ დევილის ბორცვებიდან



რაიტების თვითმფრინავის პროგრესი.

ეს 1903 წლის 17 დეკემბერს მოხდა. ძმებმა რაიტებმა, ვილბურმა და ორვილმა, თავიანთი მანქანის გამოსაცდელად, რომელსაც უბრალო, მაგრამ ზუსტი სახელი, "ფლაიერი" (Flyer), ერქვა, ჩრდილოეთ კაროლინას სანაპირო აირჩიეს. ეს გარკვეული ჩანაფიქრის შედეგი იყო. აქ არც რკინიგზა გადიოდა, არც საოკეანო ხომალდები უშვებდნენ ღუზას (ნაპირთან შტორმი ხშირი მოვლენა იყო), უსასრულო დიუნებზე არც ერთი ხე არ ხარობდა. ეს ექსპერიმენტს ხელს უწყობდა. გარდა ამისა, აქ ცნობისმოყვარეების და, რაც მთავარია, მეტოქეების მოსვლა ნაკლებად სავარაუდო იყო.

ძმებმა მეთევზეების დასახლების, კიტი ჰოგის სიახლოვეს, კილ დევილის ("მოკალი ეშმაკის") ბორცვებზე გაშალეს კარვები. ხუთშაბათი დღე იყო, ქარიანი. პირველი ორვილი გაფრინდა, მერე – ვილბური, მერე - ისევ ორვილი, და ბოლოს, მეოთხედ – ვილბური. მათი ორფრთიანი "ფლაიერი" 60-ფუტის სიმაღლიდან იღებდა სტარტს. ის ქარის საწინააღმდეგოდ 20 მილის სისწრაფით ფრენდა. პირველი გაფრენის დროს 120 ფუტის მანძილი 12 წამში დაიფარა, უკანასკნელის დროს კი – 852 ფუტი 59 წამში.

- გაფრინდნენ! გაფრინდნენ! მართლა გაფრინდნენ! – ყვიროდა ალტაცებული ბიჭი, ჯონი მური - ამ სასწაულის ერთ-ერთი მოწმე.

პირველად ასეულ ათასობით წლის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც ჰომო საპიენსმა ცას ახედა, შეუყვარდა და მასთან გაფრენა მოისურვა, ადამიანი, ზეცაში კი ვერ აიჭრა, მაგრამ მიწას მოსწყდა. ძმები რაიტები უბრალო ადამიანები იყვნენ - მოკრძალებულები, თვითნასწავლები. მათ არ ჰყოლიათ სპიჩრაიტერები, რომლებიც ასეთი შემთხვევისთვის "უკვდავ" სიტყვებს დაუწერდნენ - ისეთებს, ასტრონავტმა არმსტრონგმა რომ წარმოთქვა მთვარის ზედაპირზე ფეხის დადგმის დროს: "პატარა ნაბიჯი ადამიანისთვის, უზარმაზარი ნაბიჯი კაცობრიობისთვის".(ამ ფრაზის ავტორი პრეზიდენტ ნიქსონის სპიჩრაიტერი, ბილ საფაირი იყო, რომელიც ამჟამად "ნიუ იორკ თაიმსისთვის" სვეტებს წერს).

პირველი განცხადება ძმები რაიტების გაფრენის შესახებ, რომელიც ორვილმა დაწერა, მშრალი იყო: "მანქანა მიწის ზედაპირიდან ყოველ ჯერზე მხოლოდ თავისი ენერგიის წყალობით იღებდა სტარტს, გრავიტაციისა თუ რამე სხვა წყაროების დახმარების გარეშე. არჩეული სიმაღლე მეტისმეტად მცირე იყო ასეთი ძლიერი ქარის პირობებში, მანქანისა და მისი მართვის წინასწარი ცოდნის გარეშე მანევრირებისთვის. ამის გამო, პირველი გაფრენა ხანმოკლე იყო".

ასე გამოიყურებოდა საავტორო აღწერა გაფრენისა, რომლითაც ფრენის ეპოქა დაიწყო. მსოფლიო სულ სხვაგვარი გახდა, ისევე, როგორც - ისტორია და ადამიანთა ცივილიზაციის მომავალი. დედალოსი და იკაროსი მითოლოგიიდან რეალობაში გადავიდნენ. ავიაციის ჟამთაღმწერლებმა გაითვალისწინეს რა ძმები რაიტების წინამორბედთა წვლილი (მათ შორის, გერმანელი ლილიენტალის, ფრანგი დიუ ტემპლის, რუსი მოჟაისკისა), ვილბურისა და ორვილის გაფრენას უწოდეს პირველი გაფრენა მანქანით, რომელსაც საკუთარი ძალა ჰქონდა, ჰაერზე მძიმე იყო, რომლითაც ადამიანებმა თავისუფალი, მართვადი და უწყვეტი გაფრენა შეძლეს...

2003 წლის 17 დეკემბერს – "ფლაიერის" გაფრენიდან ზუსტად ასი წლის თავზე – სანაპიროზე, კილ დევილის ბორცვების სიახლოვეს მრავალათასიანი ბრბო შეიკრიბა. მას შეერთებული შტატების პრეზიდენტი, ჯორჯ ბუში ედგა სათავეში. ახლა, როცა ამ სიტყვებს ვწერ, ჯერაც ვერ ვიტყვი, შეძლებს თუ არა რომელიმე შეკრებილთაგანი, პატარა მურის მსგავსად, დაძახებას:" გაფრინდნენ! გაფრინდნენ! მართლა გაფრინდნენ!" და აი, რატომ.

"ფლაიერის" პირველი გაფრენა დილის 10 საათსა და 35 წუთზე დაიწყო. სწორედ ამ დროს უნდა აფრენილიყო ძმები რაიტების მანქანის იდეალური ასლი. იქაური დილა და ჩვენი დილა ერთობ განსხვავებული ამბავია. ამიტომ ჯერ არ ვიცი, შეძლო თუ არა ასლის ავტორმა კენ ჰაიდმა ძმები რაიტების ისტორიული გაფრენის გამეორება. მცოდნე ხალხი კი ამბობს, რომ კენი ისტორიის გამეორებას ნებისმიერ შემთხვევაში შეძლებს. თუ გაფრენა მოხდა, კენი 1903 წლის 17 დეკემბერს გაიმეორებს. თუ მის "ფლაიერს" ავარია მოუვა, ეს 1903 წლის 25 ნოემბრის გამეორება იქნება, როცა ძმები რაიტების საფრენი აპარატი ქვიშაში ჩავარდა. სპეციალისტებს ასეთი გაურკვევლობა მოწონთ კიდეც. ავიაციის ისტორიკოსი სეტ შულმანი ამბობს:

- მშვენიერია, შესანიშნავია! ძმები რაიტების გაფრენის გამეორება რთული უნდა იყოს - დაუგეგმავი ფინალით. სწორედ ასე უნდა აღინიშნოს მათი რისკიანი წამოწყება.

კრისტიან მარკოვი კი, იუბილეს ორგანიზატორთა სპოუკსმენი, აღნიშნავს:

- კენის ჩანაფიქრის წარმატებაც და ჩავარდნაც იმის ნიშანი იქნება, თუ როგორი წვალებით დაიბადა ფრენის ხანა...

ვინ არის კენ ჰაიდი?

კენი კომპანია "რაიტ ენტერპრაიზისის" პრეზიდენტია, რომელმაც, საარქივო ფოტოებისა და დოკუმენტების გამოყენებით, "ხელახლა აღმოაჩინა" ძმები რაიტების მანქანა. კენმა ვილბურისა და ორვილის მიერ აგებული ხუთი თვითმფრინავი უკვე "გამოიგონა". ეს რთული საქმე იყო. ძმები თავიანთი გამოგონებების ამომწურავ ნახაზებს არ ინახავდნენ, შიშობდნენ, რომ მათ კონკურენტები მოჰპარავდნენ. კენს ძმები რაიტების მანქანების რეკონსტრუქციის მცდელობა იმდენად საინჟინრო რებუსად არ მიაჩნია, რამდენადაც "უდიდეს დეტექტიურ ამბად", რომლისთვისაც ის მსოფლიოს ყველაზე დიდ, აშშ-ს კონგრესის ბიბლიოთეკაში დიდხანს იქექებოდა, რომლისთვისაც ძმები რაიტების წერილები გადაიკითხა – ამ წერილების შეკვრა სიმაღლეში მეტრნახევარი იყო!

- ახლა ძმები რაიტების მანქანების შესახებ მეტი ვიცი, ვიდრე მათ თვითონ იცოდნენ, - ამბობს კენი. და ეს მხოლოდ სანახევროდაა ხუმრობა.

ყველაზე ძნელი "ფლაერის" აღდგენა იყო. ამ დროს კენთან შვიდი სპეციალისტი და თორმეტი მოხალისე მუშაობდა. მანქანას ნაძვისგან აგებდნენ. დაქირავებული იყო ორი მფრინავი, რომლებიც ვილბურისა და ორვილის "როლებს ასრულებდნენ", და მანქანას მხოლოდ თეძოებისა და ხელების მოძრაობით მართავდნენ. "ხელახალი გამოგონების" პროცესს სამ წელიწადზე მეტი დასჭირდა.

გასულ თვეში "მსახიობები" კენს შეუერთდნენ და ჩრდილოეთ კაროლინას დიუნებში ვარჯიში დაიწყეს. ჯერ გლაიდერ-პლანერებზე, შემდეგ კი "ფლაიერ"-2-ით. პირველი გაფრენა წარუმატებელი აღმოჩნდა - მანქანა ჩამოვარდა, საჭე დაზიანდა.

- დიდება ღმერთს, ჩვენმა შეცდომამ ავიაციის განვითარებაზე არ იმოქმედა, - იცინის კენი.

მანქანა შეაკეთეს. ორი შემდგომი გაფრენა წარმატებით დასრულდა. დღესასწაულის დაწყებამდე კენი დარწმუნებით ამბობდა, რომ მისი "ფლაიერი", ისევე, როგორც რაიტებისა, არ უმტყუნებს. მფრინავს, ყოველი შემთხვევისთვის, სკეიტბორდისტების მსგავსად დაცული თავი და მუხლები ექნება. კენი თვლის, რომ ეს სავსებით საკმარისია. მანქანა ოთხი ფუტის სიმაღლეზე იფრენს, მისი სიჩქარე საათში რვა კილომეტრი იქნება.

რეკონსტრუირებულ "ფლაიერში" ერთადერთი უცხო სხეული არის 16-არხიანი "შავი ყუთი", რომელიც გაფრენის ყველა საიდუმლოს ფიქსირებას ახდენს (ავარიის დროს მან თავის როლი უკვე შეასრულა). "შავი ყუთის" ჩვენების თანახმად, მანქანის სიჩქარემ საათში 32 მილს არ უნდა გადააჭარბოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის უმართავი გახდება (თანამედროვე ერთძრავიან თვითმფრინავში მინიმალურ და მაქსიმალურ სიჩქარეს შორის სხვაობა 80 მილსაც და მეტსაც შეადგენს – მ.ს.).

დღევანდელ გაფრენას ქარი ხელს არ უშლის; ის აუცილებელიცაა. ის აფრენას უწყობს ხელს,


პირველი გაფრენა.

ამიტომ მისი სისწრაფე ძალიან მნიშვნელოვანია. მის გასაზომად სამი მონიტორია დაყენებული. ქარის იდეალურ სიჩქარედ კენს საათში 12-17 მილი მიაჩნია. სასურველია, რომ გამუდმებით ასეთი იყოს. ძლიერმა ქარმა, შეიძლება, გაფრენის გადადება განაპირობოს.

კენმა და მისმა მეგობრებმა 1903 წლის რაიტების "ფლაიერის" გამეორება შეძლეს. მაგრამ, იმდროინდელი გარემოს აღდგენა მათ არ ხელეწიფებათ.

- ძმები რაიტების დროს ეს უფრო იოლი იყო, - ამბობს კენი, – მას შემდეგ აქ ხეები დარგეს და სახლები ააშენეს. ეს კი ქარის თავისუფალ და თანაბარ ქროლას უშლის ხელს, რის გამოც, გაფრენაც უფრო რთულია.

მაგრამ, კენს უპირატესობებიც აქვს. ძმები რაიტები მფრინავები არ ყოფილან. ისინი თავად სწავლობდნენ ფრენას. კენ ჰაიდი "ამერიკან ეირლაინსის" ყოფილი მფრინავია - 35 ათასი საათი აქვს ნაფრენი. "მსახიობი მფრინავებიც" გამოცდილი მფრინავები არიან. მართალია, კენს მიაჩნია, რომ თანამედროვე მფრინავების გამოცდილება "ფლაიერის" მართვაში დიდად არ ეხმარება ("ფლაიერით" ფრენის სწავლა "მაიკროსოფტის" მიერ აშენებულ სიმულატორზე შეიძლება – მ.ს.).

თუ კენ ჰაიდმა, მართლაც, სწორედ ააშენა ძმები რაიტების მანქანა, დღეს ძალიან არასრულყოფილი მანქანის მხილველები გავხდებით. სხვათა შორის, "ფლაიერს" წრის დარტყმა არ შეეძლო. წრიულად არც ისტორია მოძრაობს, როგორც პითაგორას ეგონა. ამიტომაც ფრენენ დღეს ლაინერები. ადამიანის ფრენის წყურვილი პირველმა ომის ღმერთმა მარსმა გამოიყენა და დააფინანსა. რა სამწუხაროა, და თან - რა გასაგები: დღეს, როცა სმიტსონის ინსტიტუტმა პირველად გახსნა თავისი ფილიალი - ფრენისა და ასტრონავტიკის მუზეუმი, და ეს პრემიერა ძმები რაიტების პირველ გაფრენას მიუსადაგა, ყველაზე დიდი ბრბო რესტავრირებული ბომბდამშენის, "ენოლ გეის" გარშემო შეიკრიბა, რომელმაც ჰიროსიმას პირველი ატომური ბომბი ესროლა. იქნება, მართლებიც იყვნენ ოლიმპოს მკვიდრნი, რომლებმაც ფრენას მოწყურებული იკაროსი და ცეცხლის მომტანი პრომეთე დასაჯეს? ისინი ზემოდან უკეთ ხედავდნენ, რომ ადამიანი ჯერ არ მომწიფებულა საიმისოდ, რომ ფრთებისა და ცეცხლის გამოყენება შეეძლოს...

"ფლაიერის" წარმატებულ გაფრენამდე რამდენიმე დღით ადრე ავარია განიცადა სემუელ ლემგლის, სმიტსონის ინსტიტუტის პრეზიდენტის, მიერ შექმნილმა "აეროდრომმა". უზარმაზარი, 54-ფუტიანი, გიგანტური დრაკონის მსგავსი "აეროდრომი" ვაშინგტონის ისტ-რივერიდან აფრინდა და უმალვე წყალში ჩავარდა. ამასთან დაკავშირებით გაზეთი "ნიუ იორკ თაიმსი" სარედაქციო სტატიაში წერდა: "მილიონი, შესაძლოა, ათი მილიონი წელი გავა, სანამ ადამიანი აეროპლანის შექმნას შეძლებს". სინამდვილეში კი, სულ რამდენიმე დღე გავიდა.

როცა "დეიტონის გაზეთის" გამომცემელმა მომხდარის შესახებ შეიტყო, მან თქვა: "ადამიანი არასოდეს გაფრინდება. მაგრამ, თუ გაფრინდა, ის დეიტონის მცხოვრები არ იქნება". ისევე, როგორც "ნიუ იორკ თაიმსი", ის შეცდა. ვილბური და ორვილ რაიტები სწორედ დეიტონში დაიბადნენ, ოჰაიოს შტატში. მათი მამა პროტესტანტი ეპისკოპოსი იყო, დედა კი - იმ დროისთვის საკმაოდ განათლებული ქალი, გამომგონებელი ბრძანდებოდა. ის საყოფაცხოვრებო დანიშნულების საგნებს და სათამაშოებს იგონებდა. საშუალო სკოლა არც ერთ ძმას არ დაუმთავრებია. მაგრამ, ნაკითხი, გარეგნული თავმდაბლობის მიუხედავად, თავდაჯერებული და გონებაგახსნილი ძმები წარმატებული მბეჭდავები და ავიატორები იყვნენ და აყვავებული ველოსიპედო ბიზნესიც ჰქონდათ.

ძმები რაიტების ბიოგრაფია სიმბოლურია. მათი მამა ბიბლიის მეშვეობით მიუახლოვდა ზეცას; მათი დედა სათამაშოებს იგონებდა; თავად მათ კი, ველოსიპედის ნაცვლად, თვითმფრინავი გამოიგონეს!

და ბოლოს: სანამ ჩრდილოეთ კაროლინას დიუნებში კენ ჰაიდი, პრეზიდენტ ბუშის თანდასწრებით, "ფლაიერის" დუბლიკატის აფრენას ცდილობს, ბრუკლინის მუსიკალური აკადემიის სცენაზე დაიტონის თანამედროვე ცეკვის ჯგუფის მოცეკვავეები დაფრინავენ. თავიანთი დიდი თანამემამულეების პატივსაცემად ჯგუფის ხელმძღვანელმა კევინ უორდმა ექვს ქორეოგრაფს ექვსი ბალეტი შეუკვეთა - თემაზე "ფრენა". არც ერთ მათგანს სცენაზე თვითმფრინავი არ გამოუგორებია, არც მოცეკვავეებს აცვიათ მფრინავის ფორმა. მაგრამ, ჩვენ მფრინავ ადამიანებს ვხედავთ, რომლებიც დედამიწის მიზიდულობის ძალას სძლიეს. ასე ესალმება ხელოვნება ძმებ რაიტებს.

ვინ თქვა, რომ ადამიანს ფრენა არ შეუძლია?

შეუძლია, თან როგორ!

და სულ მგონია, რომ ჩემს გვერდით, ბრბოში, ახალგაზრდა ჯონი მურის ხმა მესმის:

- გაფრინდნენ! გაფრინდნენ! მართლა გაფრინდნენ!

## მაინც შევუღლდებით!



ჯენიფერ ლოპესი და ბენ აფლეკი ორ ჩაშლილ ქორწილს არ ეპუებიან და მესამე ცდას გეგმავენ. ამჯერად მათ გადაწყვიტეს, რომ საიდუმლოდ იქორწინებენ: „არ იდარდოთ, ერთმანეთს არ დავხოცავთ," განაცხადა წყვილმა. „სულ ასე გეგონათ, და ხედავთ, მაინც ერთად ვართ!" მართალია, ქორწილის თარიღს არ ასახელებენ – როგორც ჩანს, ეშინიათ, რომ ვინმემ თვალი არ დაადგათ.

„არც ვიტყვით," თქვა ლოპესმა ჰამბურგული გაზეთისთვის, TV-Movie-სთვის მიცემულ ინტერვიუში. „ქორწილში ჟურნალისტები სულ არ გვჭირდება". ისიც არაა გადაწყვეტილი, თუ სად იცხოვრებს ორი ვარსკვლავი ქორწინების შემდეგ. „არჩევანი დიდი გვაქვს, მხოლოდ ერთი სახლის მფლობელები ხომ არ ვართ. მე ორი სახლი მაქვს, ჯორჯიასა და ლოს ანჯელესში. ბენს კალიფორნიაში ვილა აქვს და ბინაც აქვს ნიუ იორკში".

რა კარგია! ბედნიერებას გისურვებთ, ჯეი ლო!

## სადამი, როგორც მკითხველი და მწერალი



მთელმა მსოფლიომ შეიტყო, რომ თანამედროვე სამყაროს ერთ-ერთი უკანაკსნელი დიქტატორი სადამ ჰუსეინი დაპატიმრებამდე დოსტოევსკის "დანაშაულს და სასჯელს" კითხულობდა. ისიც ცნობილია, რომ სადამი კარგი ლიტერატურის კითხვასთან ერთად, წერასაც ახერხებდა. ერაყის ომის უკანასკნელ კვირაში მან დაასრულა რომანი სახელწოდებით "განვედით, დემონებო!" ბაღდადის დაცემამდე მისი ნაწარმოები დაბეჭდილიც კი იყო 40 ათასიანი ტირაჟით. თუმცა, მისი დიდი ნაწილი დაბომბვას შეეწირა. ახლა ფიქრობენ, რომ ჰუსეინის რარიტეტით ცოტა ფულის გაკეთებაც შეიძლება. რომანი ისტორიულ ეპოპეას წარმოადგენს; მოგვითხრობს ერაყის ისტორიას – ბიბლიური პერიოდიდან დღემდე. ნაწარმოების მთავარი გმირია სალიმი, რომლის პროტოტიპად თამამად შეგვიძლია სადამი მივიჩნიოთ. გმირი იბრძვის მტრების – რომაელებისა და ებრაელების წინააღმდეგ. ტექსტი სავსეა იუდეველების მისამართით გამოთქმული მუქარებით.

აღსანიშნავია, რომ სამი წლის განმავლობაში (2000-2003 წლებში) ერაყის ყოფილმა ლიდერმა სამი წიგნი დაწერა.

## მარადიული დავა უფლებებზე




ხანგრძლივი ბრძოლა პოლ მაკარტნისა და იოკო ონოს შორის საავტორო უფლებებზე, განახლდა. უკანასკნელად ეს ყველაფერი მაშინ დაიწყო, როდესაც მაკარტნიმ აღმოაჩინა, რომ მისი გვარი არ იყო მითითებული კომპოზიცია Give Peace A Chance-ის ავტორთა შორის ახალგამოშვებულ DVD-ზე (ციფრული ვიდეოდისკი) - Lennon Legend.

იმის მიუხედავად, რომ ეს სიმღერა დაწერა ლენონმა და ის შევიდა 1969 წელს გამოცემულ ლენონის სინგლში, არსებული მოლაპარაკების მიხედვით, ლენონი-მაკარტნის ნამუშევრად მიიჩნეოდა, რადგანაც ლენონი იმ დროისათვის Beatles-ის წევრი იყო. ეს დემარში შესაძლოა, იოკო ონოს პასუხიც იყოს მაკარტნის ანალოგიურ ქმედებაზე: როგორც ცნობილია, შარშან მაკარტნიმ თავისი საკონცერტო ალბომის ბუკლეტიდან ამოაგდო ფრაზა "დაწერილია ლენონისა და მაკარტნის მიერ". მაშინ ექს-ბითლმა თავი იმით იმართლა, რომ მხოლოდ იმ სიმღერებს მოუშალა აღნიშნული სიტყვები, რომელთა შექმნაშიც ლენონს მონაწილეობა არ მიუღია.

## ლონდონელი წლის კაცი


რომან აბრამოვიჩი ინგლისის წლის პერსონა.

რუსი ბიზნესმენი რომან აბრამოვიჩი, რომელმაც ზაფხულში ლონდონის "ჩელსი" შეიძინა და რამდენიმე ხმაურიანი ტრანსფერი განახორციელა, "2003 წლის ლონდონის პერსონად" აღიარეს. აბრამოვიჩმა გაიმარჯვა კონკურსში, რომელსაც ყოველწლიურად ცნობილი ბრიტანული გაზეთი Evening Standard-ი თავის მკითხველთა შორის აწყობს.

აბრამოვიჩს გაზეთის მკითხველთა მეოთხედზე მეტმა დაუჭირა მხარი. მათ აღიარეს, რომ რომან აბრამოვიჩი სწორედ ის კაცია, "ვინც წლეულს ლონდონის ცხოვრებაში უდიდესი ეფექტი მოახდინა". "აბრამოვიჩის გადაწყვეტილება, შეეძინა "ჩელსი" და ამით ბრიტანეთის ისტორიაში უმსხვილესი შენაძენი გაეკეთებინა, აგრეთვე მისი სიყვარული მშვენიერი ბრიტანული თამაშისადმი - ის ფაქტორებია, რომლებმაც გავლენა დიდი იქონია ფეხბურთის ფანებსა და სხვა ლონდონელებზე", - წერს Evening Standard-ი.

როგორც კი აბრამოვიჩის წარმომადგენელმა სასიამოვნო სიახლე გაიგო, განაცხადა: "ლონდონი უდიდესი ქალაქია და, რა თქმა უნდა, დიდი პატივია, როცა მრავალი ღირსეული ადამიანის რჩეული ხდები, - ამბობს ბიზნესმენის წარმომადგენელი, - აბრამოვიჩი კვლავ მოსკოვში ცხოვრობს, მაგრამ ლონდონშიც დიდ დროს ატარებს. ის არ აცდენს "ჩელსის" არც ერთ მატჩს. მას მოსწონს ლონდონი და ლონდონელები, რომლებმაც ასე თბილად მიიღეს".

პოპულარობის მიხედვით მეორე ადგილზე გავიდა დევიდ ჩიკი. ის ცნობილია იმით, რომ ნოემბრის დასაწყისში ცნობილი კინოგმირის ადამიანიობობას ტანისამოსი ჩაიცვა და ტაუერსის ხიდის რაიონში ამწეზე ავიდა. ჩიკი იცავდა მამობის უფლებას და თავისი შვილების ნახვას ითხოვდა. მან ხმათა 19 პროცენტი მიიღო. 9 პროცენტით მეხუთე ადგილზეა ილუზიონისტი დევიდ ბლეინი.

წლის პერსონის არჩევისას ბრიტანეთის დედაქალაქის მცხოვრებლებს ხუთ კითხვაზე უნდა ეპასუხათ: "ვინ მოღვაწეობდა, როგორც ლონდონის საუკეთესო დესპანი", "ვინ აიძულა ლონდონი, გაეღიმა", "ლონდონურ ცხოვრებაზე დადებითი გავლენა იქონია", "წლეულს ლონდონური ცხოვრება სასიამოვნო გახადა" და "თავის ძირითად საქმიანობაში საუკეთესო შედეგებს მიაღწია".

## ერიქსონი, ბექჰემები, ბლერი და პაპარაცი

ლონდონელები სახტად დარჩნენ, როცა ერთ-ერთი მაღაზიის ვიტრინაში დაინახეს ცნობილი კომპანია: დევიდ და ვიქტორია ბექჰემები, ტონი ბლერი და სვენ გორან ერიქსონი, რომლებიც შუა ვიტრინაში, აბაზანის პირსახოცების ამარა, საყოველთაო ყურადღების ცენტრში აღმოჩდნენ.

ამ სანახაობის შემხედვარე პაპარაცებს გულს მოეფონათ. ისინი მრავლად მოგროვდნენ ოქსფორდ-სტრიტზე მდებარე მაღაზია "სელფრიჯის" ირგვლივ, მაგრამ, როგორც გაირკვა, შეცდნენ. ვიტრინაზე გამოსახული ეს ცნობილი სახეები სხვა არაფერი იყო, თუ არა... თოჯინები, რომლებიც ელისონ ჯექსონის წიგნის პრეზენტაციას ესწრებოდნენ. ეს ელისონ ჯექსონი დიდი ხვითო ვინმეა. ის ცნობილ ადამიანებზე წერს წიგნებს და მათ პირად ცხოვრებაშიც იქექება.

ამ ქალბატონმა ჯერ კიდევ 1999 წელს გაითქვა სახელი, როცა პრინცესა დიანას ოჯახზე ფოტოების სერიები გამოაქვეყნა. კერძოდ, ამ სერიებში ფიგურირებდა პრინცესას ფოტო - დოდი ალფაიედთან გადაღებული და შავკანიანი ბავშვი. რაც შეეხება თავად წიგნს, რომლის პრეზენტაციასაც ასე გაფაციცებით უსმენდნენ ჩვენი გმირები, ის მოგვითხრობს ბექჰემების ოჯახის ინტიმურ მხარეებზე. აქვე მკითხველი წააწყდება ტონი ბლერის ფლირტს კეროლ კეპლინთან. ფოტო ინტიმურ გარემოში - აუზშია გადაღებული.

პაპარაცების გულის გასახეთქად, რეალური ბექჰემი მადრიდშია და მორიგ სკანდალში გაეხვა. ჩვენ უკვე ვიუწყებოდით, რომ "რეალ"-"დეპორტივოს" მატჩში ბექჰემი და ლაკორუნიელი სკალონი წაკინკლავდნენ. სკალონიმ არბიტრის თხოვნაც კი არაფრად ჩააგდო - ბექჰემს ხელი არ ჩამოართვა. ინგლისელი გაოცებული დარჩა. სკალონიმ კი განაცხადა: "რეალის" ვარსკვლავს ხელი იმიტომ არ ჩამოართვა, რომ ბექჰემის გულწრფელობაში ეჭვი შეეპარა. მოკლედ, საქმე მეტისმეტად ჩაიხლართა და ახლა მას ესპანეთის ფეხბურთის ფედერაცია განიხილავს.

თუმცა, ეს ფაქტი ბექჰემს გართობასა და ახალი იდეების რეალიზაციაში სულაც არ უშლის ხელს. ამას წინათ ინგლისელმა 150 000 დოლარად ავტომანქანა BMW-760 შეიძინა. შენაძენი მხოლოდ სტუმრებისთვის არის განკუთვნილი და მხოლოდ მათ მოემსახურება. აღსანიშნავია, რომ, BMW-760-ის გარდა, ბექჰემის ავტოსადგომში Porshe 911, Rage Rover და Audi ა8 არის განთავსებული.

## TV-სპორტი

### ხუთშაბათი. 18 დეკემბერი

**НТВ+ФУТБОЛ**

08:00 NBA TV. "NBA-ს დიდი თამაშები". წელი 1999. აღმოსავლეთ კონფერენციის ფინალი. "NEW YORK KNICKS" - "INDIANA PACERS". მე-3 თამაში
10:00 10:00-დან 13:00-მდე შესვენება
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 გერმანიის ჩემპიონატი. "შტუტგარტი" – "ბაიერი"
15:00 გერმანიის ჩემპიონატი. "ვერდერი" – "ჰანზა"
16:45 თავისუფალი დარტყმა
17:00 "დარტყმა გოლისთვის"
17:15 განვლილი კვირის ჰიტ-აღლუმი. პორტუგალიის ჩემპიონატი. "სპორტინგი" - "ბოავიშტა"
19:00 "FUTBOL MUNDIAL"
19:30 "ფეხბურთი ა-დან წ-მდე". გადაცემა ფეხბურთის ისტორიაზე
20:00 თავისუფალი დარტყმა
20:15 სახვალიო ტელეპროგრამა
20:20 საუიკენდო მატჩების ანონსი
20:25 განვლილი კვირის ჰიტ-აღლუმი. ინგლისის ჩემპიონატი. "მანჩესტერ იუნაიტედი" - "მანჩესტერ სიტი"
22:20 გერმანიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
23:20 თავისუფალი დარტყმა
23:35 "FUTBOL MUNDIAL"
00:05 "ფეხბურთი ა-დან წ-მდე". გადაცემა ფეხბურთის ისტორიაზე
00:35 ინგლისის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
01:30 იტალიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
02:25 02:25-დან 04:00-მდე შესვენება
04:00 NBA TV. NBA-ს მიმოხილვა
04:30 NBA TV. დღიური
05:00 NBA TV. "NEW ORLEANS HORNETS" - "SACRAMENTO KINGS". პირდაპირი ტრანსლაცია

**НТВ+СПОРТ**

11:00, 14:10, 22:00 პრესცენტრი
11:15, 21:50 "ოლიმპის შვილები"
11:20, 14:25 აერობიკა
11:45 ათენის გზაზე
12:45 ბრძოლა წესების გარეშე. "Ultimate Fighting Championship"
14:50 "Power week – NHL-ის კვირა"
15:20 "თოვლის სამყარო". ტელეჟურნალი
15:50 ჰოკეი. ევროტური. "ბალტიკის თასი". ჩეხეთი – შვედეთი. პირდაპირი ტრანსლაცია
18:20 "მუზარადის გარეშე"
19:10 ჰოკეი. ევროტური. "ბალტიკის თასი". რუსეთი – ფინეთი. პირდაპირი ტრანსლაცია. შესვენებისას (20:05) პრესცენტრი
21:55 სახვალიო ტელეპროგრამა
22:15 NBA-ს საკალათბურთო მიმოხილვა
22:45 "მოტოვებული კვირა"
23:30 ATP-ს საჩოგბურთო მიმოხილვა
00:00 "წყლის აკვატორია"
00:30 "ჩქაროსნული სამყარო"
01:00 ახალი ამბები
01:15 ტრიატლონი. მსოფლიო თასი
02:05 02:05-დან 06:00-მდე შესვენება
06:00 ჰოკეი. NHL-ის ჩემპიონატი. "EDMONTON OILERS" - "MINNESOTA WILD". პირდაპირი ტრანსლაცია

**EUROSPORT**

11:30 ცხენოსნობა. კონკური ესპანეთში
12:30 "ოლიმპიური თამაშები". ტელეჟურნალი
13:00 სკიერქროს. შეჯიბრება საფრანგეთში
13:30 ბიატლონი. მსოფლიო თასი ავსტრიაში
14:15 ბიატლონი. მსოფლიო თასი სლოვაკეთში
16:00 მულტისპორტი
16:15 ბიატლონი. მსოფლიო თასი ავსტრიაში
17:00 ბიატლონი. მსოფლიო თასი სლოვაკეთში
19:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგის კლასიკა
21:00 ბიატლონი. მსოფლიო თასი სლოვაკეთში
22:30 მულტისპორტი
23:00 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა
01:00 ცხენოსნობა. კონკური დიდ ბრიტანეთში
02:00 ახალი ამბები
02:15 K1. მსოფლიო გრან-პრი იაპონიაში
04:15 ახალი ამბები

*ფეხბურთი*

# "საფეხბურთო ევროპამ მსოფლიო გააუპატიურა"

### ზეპ ბლატერი ევროპული ფეხბურთის გრანდებს ემუქრება

ევროპის უმდიდრესი კლუბები დღითიდღე ძლიერდებიან, სატრანსფერო ბაზარზე ახალ-ახალი რეკორდები მყარდება. ევროპული ფეხბურთის გრანდებმა ერთგვარი კოალიციაც კი შექმნეს და მას G-14 უწოდეს. "რეალი", "ბარსელონა", "მანჩესტერ იუნაიტედი", "არსენალი", "იუვენტუსი" და G-14-ის დანარჩენი წევრი კლუბები საკუთარი ლიგის შექმნითაც კი იმუქრებიან. საფეხბურთო ელიტასა და შედარებით ღარიბი ქვეყნების წარმომადგენელთა შორის უფსკრული სულ უფრო ღრმავდება. განვითარებადი და სუსტი ქვეყნები, მათ შორის, საქართველო, მდიდარი ევროპული კლუბებისთვის მხოლოდ ნიჭიერი და იაფფასიანი ფეხბურთელების შოვნის კარგი საშუალებაა.

ამ ვითარებით შეშფოთებულია მსოფლიო ფეხბურთის მმართველი ორგანო FIFA. ევროპულ გრანდებსა და FIFA-ს შორის ურთიერთობა, მსუბუქად რომ ვთქვათ, დაძაბულია, მაგრამ თუ უფრო ზუსტები ვიქნებით, მათ შორის ნამდვილი ომია გაჩაღებული.

FIFA-ს პრეზიდენტმა, იოზეფ ბლატერმა, მდიდარ კლუბებს ახალი ძალით შეუტია. კონფლიქტმა ამჯერად ინგლისური გაზეთების ფურცლებზე გადაინაცვლა.

ოთხშაბათს ბრიტანულმა Financial Times-მა ზეპ ბლატერის ციტირება მოახდინა და რამდენიმე საყურადღებო ფრაზა დაბეჭდა.

ევროპის მდიდარი კლუბები ბლატერმა "მესამე სამყაროს ქვეყნების სოციალურ და ეკონომიკურ გაუპატიურებაში" დაადანაშაულა. FIFA-ს პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ ახალგაზრდა, ნიჭიერი ფეხბურთელების გადაბირებით, ევროპელი საფეხბურთო მაგნატები აფრიკის, აზიისა და სხვა კონტინენტების განვითარებად ქვეყნებს აუპატიურებენ.


ზეპ ბლატერი ფეხბურთს არავის დააჩაგვრინებს.

"ვფიქრობ, მეტისმეტად არაჯანსაღი ტენდენციაა, როდესაც ევროპული კლუბები თავიანთ სკაუტებს აფრიკაში, სამხრეთ ამერიკაში ან, თუნდაც, აზიაში გზავნიან, რათა იქ პერსპექტიულ ფეხბურთელებს გამოჰკრან ხელი. ასეთ შემთხვევაში ევროპელები მოგვაგონებენ იმ ნეოკოლონიალისტებს, რომელთაც სრულიად არ აღელვებთ იმ ქვეყნების კულტურა და ტრადიციები, საიდანაც ისინი თავიანთ სიმდიდრეს ეძაჩებიან. ყველაფერ ამას არავითარი კავშირი არა აქვს საყოველთაო ინტეგრაციის პროცესთან, ეს ყაჩაღობას უფრო ჰგავს. ფეხბურთი ანგარებაში შეჯიბრებას ემსგავსება და ამ პროცესს მე მთელი ძალით აღვუდგები წინ", - განაცხადა ბლატერმა.

Financial Times-ის ფურცლებზე გამოქვეყნებულ სტატიაში ზეპ ბლატერი პატრიოტიზმის საკითხსაც ეხება. მაგალითად კი ინგლისური კლუბები მოჰყავს: "ახლა ინგლისურ კლუბებში იმდენი უცხოელი ფეხბურთელი თამაშობს, რომ ამ კლუბებს ინგლისურსაც ველარ ვუწოდებთ. სხვა ქვეყნების წარმომადგენლები ინგლისში 30, 50 ან, სულაც, 100 ათას გირვანქას იღებენ ყოველკვირეულად, მაგრამ სცემენ კი ისინი პატივს იმ კლუბების ტრადიციებს, რომელთა ღირსებასაც იცავენ?"

თავის განცხადებაში FIFA-ს პრეზიდენტმა G-14-იც ახსენა: "შვეიცარიის კანონების მიხედვით, FIFA არ არის კომერციული ორგანიზაცია. ხოლო ისეთი წარმონაქმნის მიზანი, როგორიცაა G-14, მხოლოდ და მხოლოდ ფულის გამომუშავებაა. FIFA პატიოსნად ასრულებს თავის დანიშნულებას - უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში ჩვენ 264 მილიონი დოლარი გადავურიცხეთ ეროვნულ ფედერაციებსა და რეგიონულ კონფედერაციებს. და რა მიზანებს ისახავს G-14?"

ბლატერი დოპინგის პრობლემასაც შეეხო და მის მოსაგვარებლად კიდევ უფრო მკაცრი ზომების მიღებაზე ალაპარაკდა. 67 წლის შვეიცარიელი მიიჩნევს, რომ დოპინგის მომხმარებელი ფეხბურთელები სამუდამო დისკვალიფიკაციით უნდა დაისაჯონ. თუმცა, ბლატერი მხოლოდ მოთამაშეთა დასჯას არ თვლის მართებულად. FIFA-ს პრეზიდენტის აზრით, კლუბები, რომელთა ფეხბურთელები დოპინგს იყენებენ, შედარებით დაბალ ლიგებში უნდა ჩამოქვეითდნენ: "თუ კლუბებს საკუთარი მოთამაშეების გაკონტროლება არ შეუძლიათ, მაშინ აქ FIFA უნდა ჩაერიოს".

ბლატერის იერიში, ალბათ, უპასუხოდ არ დარჩება. საინტერესოა, რას მოიმოქმედებს G-14...

# ვიაჩესლავ კოლოსკოვი: „საკუთარ გამარჯვებაში დარწმუნებული ვიყავი"

### რუსეთის საფეხბურთო კავშირში საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართა

*გუშინ რუსეთის საფეხბურთო კავშირში გაიმართა პრეზიდენტის არჩევნები. მოსკოვის დროით სამ საათზე, საერთაშორისო სავაჭრო ცენტრის სააქტო დარბაზში რუსეთის საფეხბურთო ელიტის წარმომადგენლებმა მოიყარეს თავი. პრეზიდენტობის კანდიდატი მხოლოდ ორი იყო - რუსეთის დუმის წევრობის კანდიდატი პაველ ბოროდინი და საფეხბურთო კავშირის მოქმედი პრეზიდენტი ვიაჩესლავ კოლოსკოვი. არჩევნებში გამარჯვების უდავო ფავორიტი კოლოსკოვი იყო. ეს არჩევნების დაწყებამდე ხუთი საათით ადრე კიდევ ერთხელ დადასტურდა, როცა პაველ ბოროდინმა საკუთარი კანდიდატურა მოხსნა. 96 ხმის უფლების მქონე დელეგატიდან კოლოსკოვს ხმა მისცა 95-მა. ერთმა თავი შეიკავა. ეს იმას ნიშნავს, რომ ვიაჩესლავ კოლოსკოვმა ხმების 98,9 პროცენტით მოიგო პრეზიდენტის არჩევნები და მომავალი ხუთი წლის მანძილზე თავის თანამდებობაზე მოღვაწეობას განაგრძობს. გთავაზობთ ინტერვიუს, რომელიც ჩვენს რუს კოლეგებს კოლოსკოვმა გუშინ, არჩევნების დასრულების შემდეგ მისცა.*


კოლოსკოვი უეფაშიც დიდი კაცია.

**- როგორ აღიქვით პაველ ბოროდინის გადაწყვეტილება იმასთან დაკავშირებით, რომ მან საკუთარი კანდიდატურა მოხსნა?**

- ვაღიარებ, რომ ეს ჩემთვის დიდი მოულოდნელობა იყო. საქმე ის არის, რომ წინა დღეებში მე და ბოროდინმა არჩევნების პროცედურა შევათანხმეთ ერთმანეთთან, მოვამზადეთ ბიულეტენები... ძალიან მინდოდა, რომ ის გამოსულიყო დელეგატების წინაშე, წარმოედგინა თავისი პროგრამა. მაგრამ ასე არ მოხდა. რას იზამ, ალბათ, სერიოზული მიზეზები ჰქონდა.

**- ასე რომ, არჩევნები უალტერნატივო აღმოჩნდა?**

- მე მზად ვიყავი, მეტოქეები მყოლოდა. შეიძლება ითქვას, მინდოდა კიდეც, რომ რეალური ოპონენტები ყოფილიყვნენ. მინდოდა, ხალხი გამოსულიყო ტრიბუნაზე და წარმოედგინა საკუთარი პროგრამები, საკუთარი მოსაზრებები რუსული ფეხბურთის განვითარებასთან დაკავშირებით. მაგალითად, დროგანოვი. მიუხედავად იმისა, რომ ის პრეზიდენტობის კანდიდატი არ იყო, მაინც გადაწყვიტა, დელეგატებისთვის ჩვენი ორგანიზაციის საქმიანობის პრობლემები გაეცნო. მაგრამ პრეზიდენტობის კანდიდატებმა რატომღაც ეს არ ისურვეს.

**- ღელავდით არჩევნების წინ?**

- საერთოდ არ ვღელავდი. რატომ უნდა მენერვიულა? მე ხომ ალტერნატივა არ მყავდა. გამარჯვებაში აბსოლუტურად დარწმუნებული ვიყავი.

**- არაერთი კრიტიკის მიუხედავად, თქვენ ერთხმად დაგიჭირეს მხარი...**

- კრიტიკის შესახებ მოგახსენებთ, რომ ხშირ შემთხვევაში ეს კონსტრუქციული კრიტიკა იყო. ბატონ პერეტურინზე საუბარი არ მინდა. ამ კაცს, რატომღაც, ჩემი ჯავრი სჭირს. მაგრამ ეს ჩემი და მისი პირადი საქმეა. ცხადია, ასეთ მხარდაჭერას არ ველოდი, მე ხომ თითქმის ასი პროცენტით გავიმარჯვე. და ეს მაშინ, როდესაც ზოგიერთი დელეგატი საჯაროდ გამოთქვამდა ჩემი საქმიანობით თავის უკმაყოფილებას.

**- რა შეიცვალა მას შემდეგ, რაც თქვენ 1979 წელს პირველად ჩაუდექით სათავეში რუსეთის ფეხბურთს?**

- იმხანად არჩევნებს ატარებდა სპეციალური კოლეგია, რომელიც თვეში ერთხელ იკრიბებოდა. ამჟამად ბევრად უფრო თავდაჯერებული ვარ, რადგან დღევანდელის მსგავსი საანგარიშო-საარჩევნო კონფერენციები დაახლოებით წელიწადში ერთხელ იმართება, საპრეზიდენტო ვადა კი ხუთი წელიწადია.

**- საკადრო ცვლილებებს თუ გაატარებთ?**

- ეს ცვლილებები უკვე მოხდა. ჩვენი წესდების მიხედვით, აღმასკომის ერთი მესამედი შევცვალეთ. ახლა აღმასკომში 29 კაცია. მიმაჩნია, რომ ახალი წევრები ბევრად უფრო დიდ სარგებელს მოუტანენ ჩვენს ორგანიზაციას, ვიდრე მათი წინამორბედები. სხვაგვარად რომ ვთქვათ, აღმასკომის ახალი შემადგენლობა ჩვენი მუშაობის ეფექტიანობის საგრძნობლად გაზრდის საშუალებას მოგვცემს.

**- რა განსხვავება იქნება მომავალ ხუთ წელიწადსა და წინა წლებს შორის?**

- პრინციპული განსხვავება არ იქნება. წინ ისეთივე სერიოზული და დაძაბული მუშაობა გველის. პრიორიტეტს რეგიონებთან ურთიერთობას მივანიჭებთ. რატომღაც მიიჩნევენ, რომ ჩვენ მხოლოდ ფედერაციებთან გვაქვს ურთიერთობა. ეს არ არის მართალი. კლუბებთან, ლიგებთან და გუბერნატორებთანაც ვთანამშრომლობთ. ოქროს მთებს ვერ შეგპირდებით. არ ღირს იმის იმედზე ყოფნა, რომ საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტი რომელიმე ქალაქში ჩავა, იქაურ მწვრთნელებს ხელფასს მოუმატებს, ახალ მოედნებს ააშენებს და ა.შ. მაგრამ გარკვეულ დახმარებას რეგიონებს, მართლაც, გავუწევთ.

**- თქვენ დღეს სრული სერიოზულობით გთავაზობდნენ, რომ საკუთარი მემკვიდრის ძებნა დაიწყოთ...**

- ეს საკითხი უფრო ეთიკის სფეროდანაა. ჩვენთან ხომ დინასტიური მმართველობა არ არის. თუმცა, გარწმუნებთ, უახლოეს მომავალში ამ პრობლემაზეც დავფიქრდებით.

## ინფოთეკა

**ფეხბურთი.** ბულგარელმა ფორვარდმა დიმიტარ ბერბატოვმა ლევერკუზენის "ბაიერთან" კონტრაქტი ორი წლით გააგრძელა. "ასპირინების" გუნდში ბერბატოვი 2007 წლამდე დარჩება.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** მეკარე კრეგორი კუპემ "ლიონთან" კონტრაქტი 2010 წლამდე გააგრძელა. 2007 წლამდე ის მეკარის ფუნქციებს შეასრულებს, შემდეგ კი გუნდში მეკარეთა მწვრთნელად დარჩება.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** მადრიდის "ატლეტიკომ" ახალგაზრდა ფორვარდ ფერნანდო ტორესთან კონტრაქტი გააგრძელა. ფეხბურთელი დედაქალაქურ კლუბში 2008 წლამდე ითამაშებს. ის, ვისაც ამ ხნის განმავლობაში ფერნანდო ტორესის შეძენა მოუნდება, იძულებული იქნება, 90 მილიონი ევრო გადაიხადოს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** არგენტინელი ნახევარმცველი სებასტიან ბატალია "ბოკა ხუნიორსიდან" ესპანეთის "ვილიარეალში" გადავიდა. სატრანსფერო თანხა სამ მილიონ ევროს შეადგენს. ბატალიამ 4,5-წლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** შვეიცარიელმა ფორვარდმა ბლეზ ნ`კუფომ განაცხადა, რომ მზად არის, შეიცვალოს გადაწყვეტილება ეროვნული ნაკრებიდან წასვლის შესახებ. გუნდიდან წასვლის შესახებ ფეხბურთელმა განაცხადა აგვისტოში, მას შემდეგ, რაც მთავარმა მწვრთნელმა ავსტრიასთან ამხანაგურ მატჩში ის სასტარტო შემადგენლობიდან გამოიყვანა. ნ`კუფოს აქტივში, ეროვნულ ნაკრებში, 7 მატჩია. მწვრთნელ კობი კუნს სჯერა, რომ ფეხბურთელს ქვეყნის პირველ გუნდში მომავალი აქვს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** რივალდომ განაცხადა, რომ შეიძლება პორტუგალიის "ბენფიკაში" გადავიდეს. "მე არ უარვყოფ იმის შესაძლებლობას, რომ ვითამაშო "ბენფიკას" მსგავს მსოფლიო დონის კლუბში", - განაცხადა რივალდომ, რომელიც გუნდს მას შემდეგ ეძებს, რაც "მილანში" ფეხი ვერ მოიკიდა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** საბერძნეთის ნაკრების ფეხბურთელი ზისის ვრიზასი იტალიის "ფიორენტინაში" გადადის. ვარაუდობენ, რომ ფორვარდი, რომელმაც იტალიურ კლუბთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა, იტალიაში ზამთრის სატრანსფერო დერეფნის გახსნის შემდეგ გადავა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "ლიდსის" ნახევარმცველი ჯოდი მორისი ოთხშაბათს 20 წლის გოგონას გაუპატიურების ბრალდებით სასამართლოს წინაშე წარდგა. მორისმა მხოლოდ თავისი ვინაობა დაადასტურა, რის შემდეგაც სასამართლომ საჭირო დოკუმენტაციის მოსამზადებლად დრო ითხოვა. ახალი მოსმენა 10 მარტისთვის დაინიშნა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** უეფამ 15 ათასი შვეიცარიული ფრანკით დააჯარიმა რუმინეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი იმის გამო, რომ მან უეფა მსაჯების გადაწყვეტილებაზე გავლენაში დაადანაშაულა. მირჩა სანდუმ სექტემბერში განაცხადა, რომ რუმინეთის ნაკრები ევრო 2004-ზე მსაჯების არაობიექტურობის გამო ვერ გავიდა. "ის იმიტომ დავაჯარიმეთ, რომ პრესაში მისმა განცხადებამ უეფას ღირსება შელახა", - განაცხადა ამ ორგანიზაციის პრეს-მდივანმა. ამასთან, მან უარყო სანდუს ბრალდებები, როგორც უაზრო და სრულიად უსაფუძვლო.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ფიფას პრეზიდენტმა ზეპ ბლატერმა განაცხადა, რომ ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელობას განზრახული აქვს, განიხილოს დოპინგის მომხმარებელთა სამუდამო დისკვალიფიკაციის შესაძლებლობა. ეს განცხადება "მანჩესტერ იუნაიტედის" მცველის რიო ფერდინანდის ისტორიის გაგრძელებაა. ადრე ფერდინანდი დოპინგ-ტესტზე არ გამოცხადდა. ბლატერის თქმით, ფიფა დასჯის ფეხბურთელს, რომელიც უარს იტყვის დოპინგ-ტესტზე ან სასწაულებრივად დაავიწყდება მისი გავლა. "ეს ფიფას შეცდომა არ არის", - განაცხადა ბლატერმა Financial Times-ისთვის მიცემულ ინტერვიუში. მას ეჭვი შეეპარა "მანჩესტერ იუნაიტედის" ხელმძღვანელების საქციელშიც, რომლებიც ფეხბურთელის დაცვას ცდილობდნენ. "თუ ფიფა ხედავს, რომ ასეთი მოვლენები ხდება, ის უნდა ჩაერიოს. ეს ერთადერთი საშუალებაა იმის დასამოწმებლად, რომ კანონი ყველასთვის ერთია - მდიდრებისთვისაც და ღარიბებისთვისაც", - ამბობს ბლატერი.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "ჩელსი" მზად არის, ზამთრის სატრანსფერო დერეფანსაც შეუტიოს. გუშინ კლუბის დირექტორმა განაცხადა, რომ ლონდონელები აპირებენ "მანჩესტერ იუნაიტედში" გაგზავნონ შეტყობინება ყველაზე შედეგიანი ფორვარდის, ჰოლანდიელი რუდ ვან ნისტელროის შეძენის თაობაზე. რომან აბრამოვიჩი მზად არის, ფეხბურთელში 85 მილიონი ევრო გადაიხადოს. სმიტმა აღნიშნა, რომ აბრამოვიჩი აპირებს, პირველ რიგში, ორი პოზიცია (ცენტრალური მცველისა და ნახევარმცველისა) გააძლიეროს. თუმცა, კარგი თავდამსხმელის გუნდში მოსვლა "ყოველთვის მისასალმებელია", - ამბობს სმიტი. თუ "ჩელსი" ნისტელროის შეიძენს, ფეხბურთის ისტორიაში ის ყველაზე ძვირფასი ფეხბურთელი გახდება და ამ მაჩვენებლით ზინედინ ზიდანს გაუსწრებს, - აცხადებს ბრიტანული პრესა.

## ინფოთეკა

**კალათბურთი.** ადვილი შესაძლებელია, კაუნასის "ჟალგირისის" ლეგენდარული ცენტრი არვიდას საბონისი გუნდში კიდევ ერთი წლით დარჩეს. "ყველაფერი შესაძლებელია და მე ასეთ ვარიანტს არ გამოვრიცხავ, მაგრამ, ნება მიბოძეთ, ჯერ ეს სეზონი ჩავამთავრო. ამას გარდა, ასეთი საკითხის მარტო გადაწყვეტა არ შემიძლია. მსგავსი გადაწყვეტილება ჩემმა შვილებმაც უნდა მოიწონონ", - განაცხადა ლიტველმა გიგანტმა.

■ ■ ■

**კალათბურთი.** "სან-ანტონიოს" მწვრთნელმა გრეგ პოპოვიჩმა კლუბთან ახალი კონტრაქტი გააფორმა, რომელიც 2007-2008 წლების სეზონამდე იქნება ძალაში. გუნდში მუშაობის 7 წლის განმავლობაში მთავარი მწვრთნელისა და გენერალური მენეჯერის პოსტზე პოპოვიჩმა ორი საჩემპიონო ტიტული მოიგო. "ძალიან გამიმართლა. საოცრად კვალიფიციური მოთამაშეები და თანაშემწეები მყავს. ძალიან მინდა, ამ გუნდში კიდევ მრავალი შესანიშნავი წელი გავატარო", - განაცხადა პოპოვიჩმა კონტრაქტზე ხელმოწერის შემდეგ.

■ ■ ■

**კალათბურთი.** Associated Press-ის ინფორმაციით, ალენ აივერსონი წლევანდელი სეზონის დარჩენილ მონაკვეთს გამოტოვებს და მოედანზე საორიენტაციოდ იანვარში გამოვა. შეგახსენებთ, რომ 4 დეკემბერს, "ჩიკაგოსთან" მატჩში, მან მუხლი დაიზიანა. აივერსონი წლევანდელი ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირია. ის მოედანზე, საშუალოდ, 43,7 წუთს ატარებს და მატჩში 28,9 ქულას მოიპოვებს.

■ ■ ■

**ფორმულა 1.** ფორმულა 1-ის პილოტები, რომლებიც "რენოს" ღირსებას იცავენ (ფერნანდო ალონსო, იარნო ტრული და ფრანკ მონტანია) გაემგზავრნენ კენიაში, სადაც მომავალი სეზონისთვის მოემზადებიან. ასეთი ერთკვირიანი მომზადება გუნდის ტრადიციაა. ყოველ წელიწადს პილოტები თავს იყრიან კენიაში, სადაც "რენოს" პატრონის ფლავიო ბრეატორეს სახლი მდებარეობს. იქ პილოტები ფიზიკურ და სულიერ მომზადებას გადიან.

■ ■ ■

**ფორმულა 1.** ფრანგული ავტომწარმოებელი ფირმა "პეჟო" რალის ახალი სეზონისთვის ახალი მანქანის - "პეჟო 307" გამოყვანას აპირებს. შარშანდელ ჩემპიონატში "პეჟომ" საუკეთესო გუნდის ტიტული კონკურენტ "სიტროენს" დაუთმო. მანამდე კი სამჯერ ზედიზედ გახდა საუკეთესო. კომპანიის ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ მანქანა გაძლიერებული ტემპით გადის ტესტირებას ასფალტისა და ხრეშის საფარზე და ოპონენტებთან საბრძოლველად მზად არის.

■ ■ ■

**სამთო-სათხილამურო სპორტი.** ვან-გარდენში ვარჯიშის დროს სერიოზული ტრავმა მიიღო კანადელმა სამთო-მოთხილამურე ერიკ გუეიმ. სპორტსმენი, რომლის აქტივში მსოფლიო ჩემპიონატზე გიგანტურ სლალომსა და სწრაფდაშვებაში მეექვსე ადგილია, ჰოსპიტალში გამოსაკვლევად გადაიყვანეს. იქ კი აღმოჩნდა, რომ მუხლის მყესების დაზიანების გამო გუეი სეზონის დარჩენილ ნაწილს გამოტოვებს.

■ ■ ■

**სამთო-სათხილამურო სპორტი.** გუშინ ხორვატიის სამთო-სათხილამურო სპორტის ფედერაციამ განაცხადა, რომ სამთო-მოთხილამურე ივიცა კოსტელიჩი, მუხლის ოპერაციის გამო, ან ორ კვირას გამოტოვებს, ან სეზონის დარჩენილ ეტაპებს დაემშვიდობება. ხორვატმა ტრავმა მიიღო მსოფლიო თასის ეტაპზე, რომელიც იტალიის კურორტ მადონა დი კამპილიოში გაიმართა. ოპერაციას კი ავსტრიის კლინიკაში გაუკეთებენ.

■ ■ ■

**სამთო-სათხილამურო სპორტი.** მადონა დი კამპილიოში კი გრძელდება მსოფლიო თასის ეტაპი. სლალომში წარმატებით იასპარეზა ავსტრიელმა ნიკოლ ჰესმა, რომელმაც ორი ცდის ჯამში საუკეთესო დრო - 1:37,97 აჩვენა. მეორე ადგილზე შვედი ანია პერსონი გავიდა - 1:38,26, ხოლო მესამე ასევე ავსტრიელი მარლის შილდი იყო - 1:38,50.

■ ■ ■

**ოლიმპიზმი.** საორგანიზაციო კომიტეტმა, რომელსაც ევალება, 2012 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობისთვის პარიზის კანდიდატურა წამოაყენოს, სარეკლამო კამპანიის წარმოებაზე საერთაშორისო ტენდერი გამოაცხადა. 1992 და 2008 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობისთვის პარიზის კანდიდატურის წამოყენების დროს, საორგანიზაციო კომიტეტი მხოლოდ ფრანგულ სარეკლამო კომპანიებთან თანამშრომლობდა, მაგრამ ამ თანამშრომლობამ სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. საფრანგეთის დედაქალაქის კონკურენტები 2012 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობაზე იქნებიან: ლონდონი, ნიუ იორკი, ჰავანა, რიო დე ჟანეირო, მადრიდი, ლაიპციგი, სტამბული და მოსკოვი. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი გამარჯვებულს 2005 წელს დაასახელებს.

■ ■ ■

**ჰოკეი.** "ვანკუვერის" მეკარეს, იუჰან ჰედბერგს ხელი მოსტყდა და აქტიურ სპორტს 10 დღით ჩამოშორდება. ტრავმა ჰოკეისტმა ჯერ კიდევ 9 დეკემბერს მიიღო, მაგრამ შემდეგ "პიტსბურგთან" მატჩის დროს გაუმიზეზდა. ჰედბერგი თავისი გუნდის სამ უახლოეს მატჩს გამოტოვებს.

*კალათბურთი*

# ხორვატი, ქართველების გასაწვრთნელად...

სანდრო ნავერიანი

*ის არის ხორვატი, თავმდაბალი, კარგი მოსაუბრე, სიმპათიური, ყველასადმი კეთილად განწყობილი. ჯერჯერობით, ქართული არ უსწავლია, მაგრამ "გამარჯობა", "ნახვამდის" და "დიდი მადლობა" უკვე იცის. ადრეც იცოდა, თუ რა ისტორია აქვს ქართულ კალათბურთს. ისიც იცოდა, თუ როგორი ნიჭიერი კალათბურთელები იზრდებიან საქართველოში. დიდი სიხარულით დათანხმდა საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობის წინადადებას საქართველოში ჩამოსვლაზე. "24 საათი" ესაუბრა დრაჟენ ბრაიკოვიჩს, გაეცნო მის გეგმებსა და მოსაზრებებს.*


გოგიტა ბახაიძის ფოტო

*დრაჟენ ბრაიკოვიჩი სიურპრიზებს გვპირდება.*

**- რა გახდა იმის მიზეზი, რომ საქართველოს კალათბურთის ფედერაციის შემოთავაზება მიიღეთ?**

- უკვე დიდი ხანია, კალათბურთის სამყაროში ვმოღვაწეობ. ქართულ კალათბურთს დიდი და საამაყო ისტორია აქვს. ვიცი, რომ საქართველოში ბევრი ნიჭიერი კალათბურთელია და თვალს ვადევნებ მათ თამაშს. საერთოდ, მიყვარს, როდესაც წარმატების მისაღწევად რაიმე გარკვეული ეტაპის გავლაა საჭირო, საქართველოში კი ეს აუცილებელია. ასე რომ, როდესაც ეს პოსტი შემომთავაზეს, დიდი სიხარულით დავთანხმდი.

**- ქვეჯგუფი, რომელშიც საქართველოს ნაკრები მოხვდა... როგორ შეაფასებთ საქართველოს შანსს?**

- მიმაჩნია, რომ ყველაზე ძლიერი ჯგუფი ჩვენ შეგვხვდა. მე ვიყავი ხორვატიის ნაკრების ერთ-ერთი ხელმძღვანელი. მაკედონიის ნაკრებთან ბევრჯერ გვითამაშია. მათ ძალიან ძლიერი გუნდი ჰყავთ და უდიდესი ტრადიციები აქვთ. მაკედონიის ნაკრების ძირითადი ბირთვი საზღვარგარეთ თამაშობს, თანაც, საკმაოდ კარგად. ფინეთის ნაკრებშიც არიან ისეთი კალათბურთელები, რომლებსაც შეუძლიათ, მაღალი დონის კალათბურთი ითამაშონ. ამას ისიც ადასტურებს, რომ ოთხი ფინელი კალათბურთელი ევროპის სხვადასხვა გუნდში გამოდის და ევროპის უძლიერეს ლიგებში თამაშობს. ჩემი აზრით, შანსები თანაბარია, მაგრამ იმ შემთხვევაშიც, თუ ჯგუფიდან გავედით, შევხვდებით ირლანდიის ნაკრებს, რომელიც ძალიან ძლიერია. მაგრამ თუ მოვახერხეთ და საზღვარგარეთ მოთამაშე ყველა ქართველს მოვუყარეთ თავი, რაც მჯერა, რომ ასეც იქნება, მაშინ აუცილებლად დავაყენებთ ისეთ გუნდს, როგორიც ქართველ ქომაგს უნდა. ერთადერთი, რისი პრობლემაც გვაქვს, ეს არის პლეიმეიქერი, მაგრამ მე მწვრთნელი ვარ და ეს პრობლემა ჩემი გადასაწყვეტია.

**- რას ფიქრობთ ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში მონაწილე სამ ქართველ ლეგიონერზე? ყველაზე დიდი ძალა მაინც, ალბათ, ეს სამი კალათბურთელია.**

- რა თქმა უნდა! მაგრამ იმის თქმა, რომ თამაშს სწორედ მათზე ავაწყობთ, არ შეიძლება. ჯერჯერობით მათ არა აქვთ დიდი სათამაშო პრაქტიკა, რაც ყველა კალათბურთელზე უარყოფითად მოქმედებს.

**- როდის დაიწყეთ მწვრთნელის კარიერა?**

- 1986 წელს დავამთავრე უნივერსიტეტი და 1987 წლიდან მწვრთნელად ვმუშაობ. არასოდეს დამითვლია, მაგრამ, როგორც ვატყობ, უკვე დიდი ხანია.

**- რა პარალელები შეგიძლიათ გაავლოთ ხორვატიულ ან, თუნდაც, ყოფილ იუგოსლავიურ კალათბურთსა და ქართულ კალათბურთს შორის?**

- მე კარგად ვიცნობ ქართულ კალათბურთს და ვიცი, რომ დიდი ისტორია აქვს, მაგრამ უკეთესად ვიცნობ იუგოსლავიურს. თუ ტიტულებით და პირველობის ხარისხით ვიმსჯელებთ, მაშინ შედარებაც კი არ შეიძლება. მაგრამ კიდევ ერთხელ გავიმეორებ: თუ შევძელით და გუნდი მთლიანად დავაკომპლექტეთ, მაშინ საქართველოს მაღალი დონის ნაკრები ეყოლება. მაგრამ ამისთვის ძლიერი ეროვნული ჩემპიონატია საჭირო. იმედი მაქვს, საქართველოს ჩემპიონატის ხარისხი აიწევს.

**- რა მიგაჩნიათ ქართული კალათბურთის ყველაზე დიდ ნაკლად და რა კეთდება იმისთვის, რომ ეს პრობლემა აღმოიფხვრას?**

- ყველა ახალგაზრდა კალათბურთელი, რომელიც პერსპექტიულ მოთამაშედ ითვლება, ახალგაზრდა ასაკშივე მიდის უცხოეთში, სადაც თავის გამოჩენის მეტი შანსი აქვს, მაგრამ თამაშის პრაქტიკა - ნაკლები. კალათბურთის ფედერაციამ უნდა შეიმუშაოს პროექტი, რომელიც ახალგაზრდა კალათბურთელების საქართველოს ჩემპიონატში დატოვებას ხელს შეუწყობს. თბილისის "დინამომ" უკვე აირჩია ეს კურსი, რასაც ინვესტორებიც გამოეხმაურნენ. მომავალი წლიდან ყველაფერი შეიცვლება.

*ძიუდო*

# ძიუდოში წარმატება არ უფერულდება

ბიგა ბურასაშვილი

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში საყოველთაო გაჭირვებაა, კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ქართული ძიუდო ფეხზე დგას. მაშინ, როდესაც საქართველოში ხავერდოვანი რევოლუცია მწიფდებოდა, ქართველ ძიუდოისტთა ნაკრები ევროპაში უძლიერესის სახელის მოსაპოვებლად დაუღალავად შრომობდა. ნაკრების თავგამოდებამ ნაყოფი გამოიღო - ზედიზედ მეორედ დაეუფლა კონტინენტის უძლიერესის სახელს. ის, ვინც სპორტში მეტ-ნაკლებად ჩახედულია, იცის, რა ძნელია ტიტულის შენარჩუნება. საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებმა კი წლეულს, ისევე როგორც შარშან, ევროპის უძლიერესი გუნდის სახელი მოიპოვა.

გუშინ რესტორან "ოლიმპში" ტრიუმფატორ ძიუდოისტებს თბილი შეხვედრა მოუწყვეს. დარბაზი სავსე იყო ძიუდოს ვეტერანებით და სპორტის მოღვაწეებით. ყველა მათგანი ქართველთა შედეგებზე ამახვილებდა ყურადღებას. წარმატებას კი ჩვენებმა ლონდონში, ევროპის გუნდურ ჩემპიონატზე მიაღწიეს. ამის შესახებ ჩვენ თავის დროზეც ვწერდით, მაგრამ, როგორც საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტმა ელგუჯა ბერიშვილმა თქვა, წარმატებებით არავინ დაღლილა და არც ჩვენ დავიღლებით. პირიქით, სინანულიც კი გამოთქვა, რომ წარმატებულ სპორტსმენსა თუ გუნდს არასათანადო ყურადღება ექცევა. "საქართველოში ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა ძიუდოისტთა ნაკრების წარმატება ერთგვარად დაჩრდილა. არადა, ეს ხალხიც ქართულ საქმეს ემსახურება. ლონდონში მათ ჩვენი ქვეყანა ასახელეს. იმედია, მალე ყველაფერი დალაგდება და ჩვენს გმირებს სათანადო ყურადღება დაეთმობათ", - თქვა ელგუჯა ბერიშვილმა და იქვე დასძინა: იმისთვის, რომ ქართული სპორტის წარმატებებმა ყველას ყურამდე მიაღწიოს, კარგი იქნება, თუ ასეთ პრაქტიკას დავნერგავთ: წარმატებული გუნდი ღია მანქანით თბილისის ქუჩებში გავატაროთო.


გოგიტა ბახაიძის ფოტო

*ელგუჯა ბერიშვილი და ტრიუმფატორები.*

ძიუდოისტთა ნაკრებმა ერთგვარად გაგვანებივრა ჩემპიონობით. უკვე მეორედ დაამტკიცა, რომ კონტინენტზე ბადალი არ ჰყავს. გემახსოვრებათ, შარშან, მსოფლიოს გუნდურ ჩემპიონატზე, თანაც, ძიუდოს ფუძემდებლებთან, ოსაკაში, მსოფლიოს მეორე გუნდის სახელს დაეუფლა. თუ რას ნიშნავს ძიუდოს ფუძემდებლებთან ჭიდილი, ყველას კარგად მოეხსენება.

წინ დაძაბული ორთაბრძოლებია. მოსაპოვებელია ლიცენზიები. შემდეგ კი ათენის ოლიმპიური თამაშების ჯერიც დადგება. ოლიმპიურ კვარცხლბეკზე კი, თუ მთელი გუნდი არა, იქნებ ერთი ქართველი ძიუდოისტი მაინც შედგეს.

*ფორმულა 1*

# არასწორი ინტერპრეტაცია "ფერარისთვის"

ბიგა ბურასაშვილი



ჭორები ისევე ბუნებრივია თანამედროვე სპორტისთვის, როგორც ამა თუ იმ სპორტსმენის წარმატება-წარუმატებლობა. ხშირ შემთხვევაში ყვითელი პრესა მოვლენებს უსწრებს და თავად გამოაქვს განაჩენი. არც ის უნდა გაგიკვირდეთ, თუ რომელიმე გამოჩენილ სპორტსმენს ნაადრევად გაუშვებენ პენსიაზე. ფორმულა 1-ის ექს-მსოფლიო ჩემპიონს, ბრიტანელ ნაიჯელ მენსელს ბევრი უფიქრია კარიერის დასრულებაზე, მაგრამ ბევრჯერვე აზრი შეუცვლია. "ბრიტანელი ლომისგან" განსხვავებით, "ფერარის" გერმანელი პილოტი მიხაელ შუმახერი ნაადრევი დასკვნებისგან თავს იკავებს და აცხადებს, რომ ფორმულა 1-ის მიტოვების დრო ჯერ არ დამდგარა.

გერმანელს კვერს უკრავს მენსელიც, უფრო სწორად, შუმახერის გადაწყვეტილებას იწონებს: "ყველას უნდა, რომ შუმახერი დარჩეს. თუნდაც იმიტომ, რომ კონკურენტებს საუკეთესო პილოტის დამარცხების შანსი კვლავაც ექნებათ. თუ წავა, მაშინ ასეთი შანსი აღარ ექნებათ".

მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონის წარმატების საიდუმლოს კი მენსელი "შუმისადმი" "ფერარის" მხარდაჭერაში ხედავს. ბრიტანელის აზრით, იშვიათად, რომ საჯინიბო პილოტს ასე ამოუდგეს მხარში. გარდა ამისა, "ფერარი" თითქოს სხვებს აფრთხილებს: თუ ასეთი კარგი პილოტი გვყავს, ჩვენ მის შენარჩუნებას ვაპირებთო.

ამასობაში ჟურნალისტები ხუმრობენ, რომ მიხაელი "ფერარით" ღრმა სიბერემდე იქროლებს. ფაქტია, მსოფლიო ჩემპიონს ხშირად უწევს იმის გამეორება, რომ არსად წასვლას არ აპირებს. არაერთხელ განუცხადებია, რბოლებს რომ შევეშვა, მერე რა უნდა ვაკეთოო.

ამის დასტურია "შუმის" ამასწინანდელი შენიშვნა ფორმულა 1-ში კიდევ რამდენიმე წლით დარჩენის თაობაზე.

2004 წლის 3 იანვარს შუმახერს 35 წელი უსრულდება, რაც თანამედროვე ავტოსპორტისთვის სოლიდური ასაკია. თუმცა, ჩემპიონისთვის მაგალითიც არსებობს – იტალიელი ლუიჯი ფაჯიოლი. ბოლო გამარჯვებას მან 53 წლის ასაკში მიაღწია! მაგრამ ეს იყო 1951 წელს.

მიუხედავად ამისა, "ფერარის" პრეზიდენტი ლუკა დი მონტეძემოლო ირწმუნება, რომ "შუმი" უკვე კონტრაქტის გაგრძელებაზე ფიქრობს: "შუმახერი 2006 წლის სეზონის დასრულების შემდეგ ახალი კონტრაქტის დადების თაობაზე უკვე მელპარაკა. გუნდის შეცვლაზე ლაპარაკიც არ არის".

რაც შეეხება თავად მონტეძემოლოს, უფრო სწორად, ცოტა ხნის წინათ "The Times"-ში დაბეჭდილ მის ინტერვიუს, რომლის მიხედვითაც თითქოს "ფერარის" პრეზიდენტი 12-წლიანი მმართველობის შემდეგ გუნდიდან წასვლას აპირებდა, ცრუ აღმოჩნდა. ირკვევა, რომ "The Times"-ს ინტერვიუსთვის არასწორი ინტერპრეტაცია მიუცია.

"როდესაც სამომავლო გეგმებზე მკითხეს, ვუპასუხე, რომ ოდესმე გუნდიდან წასვლის თაობაზე გადაწყვეტილებას მივიღებ-მეთქი, - "The Times"-თან ინტერვიუს იხსენებს მონტეძემოლო. – თუმცა, იქვე ხაზი გავუსვი იმასაც, რომ ჩემი ადგილი აქ, "ფერარიშია".

ვერაფრით ამიხსნია, რატომ მიეცა ჩემს სიტყვებს არასწორი ინტერპრეტაცია".

## ჭორჭორი

ნინო I



# ვინ რას აპირებს საშობაოდ



*ფლავიო ბრიატორე საახალწლო თავგადასავლების ძიებაში.*

სულ მალე დადგება ეს მშვენიერი დღე - საოჯახო ზეიმის, საჩუქრების, სიყვარულის და სილამაზის დღესასწაული. საშობაო არდადეგები ზოგ ქვეყანაში უკვე გამოცხადდა, ზოგანაც ამ კვირის ბოლოს დაიწყება. დასვენებისა და განტვირთვის ჟამი დგება. დროებით ყველა ივიწყებს ერთფეროვან, ჩვეულებრივ ცხოვრებას და ზეიმისთვის ემზადება. საშობაოდ ყველაფერი არაჩვეულებრივია, საქორწინო ცერემონიალი კი - განსაკუთრებით ლამაზი. გერმანული "შტუტგარტის" მთავარი მწვრთნელი ფელიქს მაგატი შემოდგომის სეზონის ბოლო მატჩის შემდეგ ერთგულების ფიცის დადებას აპირებს. პარასკევს მისი "შტუტგარტი", რომელმაც პირველ ადგილზე დამკვიდრების შანსი ბოლო ტურებში გაუშვა ხელიდან (წააგო მიუნხენის "ბაიერნთან"), ლევერკუზენის "ბაიერს" ეთამაშება. თუ შვაბები ამ მატჩს მოიგებენ, ლიდერად ქცეულ ბრემენის "ვერდერთან" სხვაობას ერთ ქულამდე შეამცირებენ და "ბაიერნს" მესამე ადგილზე გადააბრძანებენ, თუ არა და თავად მოუწევთ ერთი პოზიციით უკან დახევა, მაგრამ ამას მაგატისთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. როგორც უნდა დამთავრდეს მატჩი, ეს დაგეგმილ ქორწილს ხელს მაინც ვერ შეუშლის. ამ შეხვედრის შემდეგ მაგატი თავის მეგობრებს ჰამბურგში ეპატიჟება. სწორედ იქ, ალტონას რატუშაში, მაგატი და მისი ნიკოლა ოფიციალურად დააკანონებენ თავიანთ მრავალწლიან ურთიერთობას. მაგატს შავი კოსტიუმი ეცმევა, მის შვიდი თვის ორსულ საცოლეს კი - კრემისფერი გრძელი საქორწილო კაბა. "ეს კაბა შტუტგარტში ვიყიდე. ძალიან ლამაზია, მაგრამ მაინც გადაკეთება მომიხდა, რომ ახლანდელ მდგომარეობაში შემძლებოდა მისი ჩაცმა", - სიცილით ამბობს ნიკოლა, რომელიც გაზაფხულზე თავის მესამე შვილს ელოდება.

ხელისმოწერის შემდეგ სტუმრები პატარა გემზე ავლენ და მდინარე ელბაზე გაისეირნებენ. მაგატმა 40 კაცის მიპატიჟება გადაწყვიტა. ზეიმზე, ძირითადად, ნათესავები და ახლო მეგობრები იქნებიან. სტუმართა შორის იქნება ასევე საქმროს ყოფილი მეუღლე შტეფანი და მისი და მაგატის სამი ბავშვი. საქორწილო სუფრა გაიშლება არა რესტორანში, არამედ ერთ-ერთ სახლში, რომელიც მაგატმა საგანგებოდ ამ ფაქტის აღსანიშნავად დაიქირავა. ისიც კი ცნობილია, რომ მაგატი სტუმრების გაოცებას უზარმაზარი, სამსართულიანი ტორტით აპირებს. მიუხედავად იმისა, რომ შაბათიდან ბუნდესლიგაში საშობაო არდადეგები იწყება და მაგატი ისე გადატვირთული აღარ არის, საქორწინო მოგზაურობა მაინც არ შედის მის გეგმებში: "შობას სახლში შევხვდებით. შემდეგ კი ბავშვებთან ერთად დავოსში წავალთ და თხილამურებით ვისრიალებთ", - ამბობს მომავალი ფრაუ მაგატი. ქორწილის სამზადისს, ალბათ, მალე შეუდგება ფორმულა 1-ის ფრანგული გუნდის, "რენოს" იტალიელი ბოსი ფლავიო ბრიატორე. საქმე ისაა, რომ ბრიატორე და მისი მეგობარი ქალი, ცნობილი გერმანელი ტოპ-მოდელი ჰაიდი კლუმი გაზაფხულზე ბავშვს ელოდებიან. ეს ინფორმაცია გუშინ ოფიციალურად დაადასტურა ჰაიდი კლუმის ინგლისურმა სააგენტო "ფლეგშიპმა". 53 წლის იტალიელი "პლეი ბოი" და 30 წლის გერმანელი მოდელი უკვე ათი თვეა ერთად არიან. ბრიატორეს გვერდით ჰაიდის დანახვა დიდად არავის გაჰკვირვებია, მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის ასაკობრივი სხვაობა 23 წელია. ბრიატორე თავის დროზე ნაომი ქემპბელსაც უყვარდა. იტალიელ საქმოსანთან დროსტარებაზე არც სხვა ლამაზმანები ამბობდნენ უარს. მომხიბვლელი ქალები არასოდეს აკლდა ბრიატორეს, მაგრამ ჰაიდი მაინც განსაკუთრებული გამოდგა. "რენოს" შეფი მუდამ ამბობდა, რომ ძალიან უნდოდა ბავშვები. არაერთხელ უთქვამს, რომ სიბერეში მარტო დარჩენის ეშინოდა და სერიოზულად ფიქრობდა ოჯახის შექმნაზე. როგორც ჩანს, მისი ოცნება მალე ახდება. ჯერჯერობით ეს იტალიურ-გერმანული ქორწილი ვერ შედგება, რადგან ჰაიდი ჯერაც არ არის გაყრილი თავის პირველ ქმართან, მუსიკოს რიკ პიპინოსთან. ჰაიდი კლუმი პირველად 1997 წელს გათხოვდა, როცა 24 წლის იყო და ჯერ კიდევ არ ჰქონდა დაპყრობილი მთელი მსოფლიოს პოდიუმები. თითქოს ბედნიერად გრძნობდა თავს ნიუ იორკში, მანჰეტენზე, ქმართან და სიმპათიურ ძაღლ შეილასთან ერთად, მაგრამ მალე გაირკვა, რომ, თურმე, რიკ პიპინო ცოლს უსინდისოდ ღალატობდა ნაირ-ნაირ ქალებთან. ისინი ერთმანეთს დაშორდნენ, მაგრამ ოფიციალურად ჯერაც არ გაყრილან. ასე რომ, ბრიატორეს ლოდინი მოუწევს...

ანა კურნიკოვაზე დიდი ხნის წინ თქვეს, გათხოვდაო, მაგრამ დღემდე არავინ იცის, რამდენად მართალია ეს ამბავი. ენრიკე იგლესიასი ისევ ისე თავისუფლად იქცევა, როგორც ქორწინებამდე იყო მიჩვეული და ანას გამო სულაც არ გრძნობს თავს შეზღუდულად. გზაკვალარეულმა ანამ კი აღარ იცის, რას მოკიდოს ხელი. კორტზე დაბრუნება აღარ უნდა, ტელეწამყვანად ვერ ივარგა, პოდიუმზე ხომ საერთოდ არ გაესვლება. პატარა მარია შარაპოვა მასზე უფრო ჭკვიანი და მოხერხებული აღმოჩნდა. რუსული წარმოშობის, ამერიკაში გაზრდილი 16 წლის გოგონა, რომელსაც ყველა მეორე ანას უწოდებდა, ჩოგბურთსაც წარმატებით თამაშობს და მოდელის ხელობასაც კარგად ეუფლება. ცოტა ხნის ცნობილი გახდა, რომ მალე მარია სახელგანთქმულ მოდელებთან ერთად მონაწილეობას მიიღებდა ახალი კოლექციების ჩვენებაში. ანა ამასაც კი ვერ ახერხებს. სამაგიეროდ, მისი ენრიკეა თავის სტიქიაში. სიმღერებსაც დიდი წარმატებით წერს და რეკლამებშიც მთელი სერიოზულობით მონაწილეობს. მაგალითად, ენრიკე გადაიღეს ახალ კლიპში, სადაც ის "ვაისროის" ფირმის საათის პოპულარიზაციაზე ზრუნავს და სტრიპტიზს აწყობს აეროპორტში. საქმე ის არის, რომ ენრიკეს გმირი ამაოდ ცდილობს აეროპორტის გამშვებ პუნქტში მშვიდობიანად გასვლას. ყოველ გავლაზე რაღაცა წრიპინებს. გაოცებული მომღერალი ლამის ყველაფერს იხდის და ტრუსის ამარა რჩება. მხოლოდ ამის შემდეგ ირკვევა, რომ საათი ყოფილა დამნაშავე. არ ვიცი, ეს რეკლამა რამდენად შეუწყობს ხელს საათის გაყიდვას, მაგრამ ერთი რამ ცხადია: ენრიკე იგლესიასის თაყვანისმცემლებს ეს კლიპი გულგრილს ნამდვილად არ დატოვებს.

# რა სიძნელე შეიძლება ახლდეს ლეკვების დაყრას



სამწუხაროდ, ლეკვების დაყრის დროს, ყველაფერი ყოველთვის კარგად არ მიდის. ძუმ შეიძლება 3-4 ნამატი ისე დაყაროს, არაფერი გაუჭირდეს, მაგრამ შემდეგ მოგებაზე, ნაყოფი სწორად არ წამოვიდეს და საკეისრო გაკვეთა დასჭირდეს.

ზოგადად, ის ხალხი, ვინც ლეკვების დაყრას ესწრება, შეგვიძლია ორ კატეგორიად დავყოთ: ის, ვინც დაბნეული შესცქერის ძუს და მოსახმარებლად ხელსაც არ ანძრევს, რაც ძალიან ცუდია, მით უმეტეს, თუ ლეკვი ნაწილობრივ უკვე ჩანს და სულ ცოტა ხელის წაკვრაღა სჭირდება, რომ გამოვიდეს. მეორე კი ის, ვინც ყველაფერი იცის, რაც კი ქვეყნად არსებობს და, ნაცვლად იმისა, რომ ბუნებას თავისი საქმის გაკეთება აცალოს და ძუს მხოლოდ მაშინ დაეხმაროს, როცა ეს მართლაც საჭიროა, ყველაფერში ერევა და ყველაფერს თვითონ აკეთებს. რა თქმა უნდა, სუყველას სალი აზრით დაჯილდოებული ანუ ზომიერი კაცი სჯობს, რომელიც საქმეს ისე აკეთებს, როგორც საჭიროა.

მშობიარობის დროს წარმოქმნილ გართულებებს ჰყოფენ:

1. დედის მიზეზით გამოწვეული გართულება
2. ლეკვის მიზეზით გამოწვეული გართულება

მე კი ამას ასე დავყოფდი: გართულება, რომელიც პატრონს თვითონ შეუძლია ააცილოს ძაღლს და უფრო სერიოზული და სახიფათო გართულება, როდესაც კვალიფიციური ვეტერინარის დახმარება აუცილებელია. რაც მთავარია, კარგად უნდა შევიგნოთ, რომ თუ რომელიმე ლეკვი წამოსვლას აგვიანებს, იგი შეიძლება ძუს საშვილოსნოში მყოფი ყველა დანარჩენი ლეკვის დაღუპვის მიზეზი გახდეს. ხშირად, ძნელი ლეკვის გაჩენის შემდეგ, დანარჩენები, თუკი ძუ უშედეგო ჭინთვებით ძალიან არ არის დაქანცული და ძალაგამოცლილი, ბუნებრივად და იოლად იბადებიან.

ყველაზე მეტად საქმე მაშინ ჭირს, როდესაც ლეკვი, სამშობიარო გზებთან შედარებით, ძალიან დიდია. ასეთი დიდი ლეკვები უფრო იმ ძუებს ჰყავთ, რომლებმაც მცირერიცხოვანი ნაშტი ან სულაც, ერთი ლეკვი დაყარეს. ბებერ ძუსაც ხშირად ჰყავს ხოლმე დიდი ლეკვი, რადგან სიბერის გამო, ძველებურად ნაყოფიერი აღარ არის. მოგება უჭირთ, აგრეთვე, დიდთავიან და შედარებით ვიწრომენჯიან ძუებს, მაგალითად, ბულდოგსა და ბეკინესს. თქვენ თუ ამ ჯიშის მაკე ძუ გყავთ, აუცილებლად შეუთანხმდით წინასწარ ვეტერინარს სავარაუდო საკეისრო გაკვეთაზე.

გართულების მეორე, ყველაზე ხშირი მიზეზია კისრით წამოსული ლეკვი. ამ დროს ლეკვს თავი ისე აქვს ქვევით ჩაბრუნებული, რომ მენჯის ხვრელს კისრით მიადგება ხოლმე და ან ვერ გამოდის, ანდა ძალიან ძნელად გამოდის. გართულების მიზეზია, აგრეთვე, კიდურებისა და კისრის ყველანაირი არაბუნებრივი მდგომარეობა. შობის წინ ლეკვები ისეთნაირად ჩასწორდებიან ხოლმე, რომ ზურგი დედის ხერხემლისკენ ჰქონდეთ მიქცეული. სამშობიარო გზების მრუდზე ამ მდგომარეობაში მომავალი ლეკვი ძუს ხერხემლის ჩაზნექვას არ გამოიწვევს, საერთოდ, მენჯის ხვრელს ლეკვი თავით მიადგება ხოლმე, მაგრამ ზოგჯერ, იმ ხვრელში პირველად კუდი გამოჩნდება, ზოგჯერ კი, როცა ლეკვს თავი გვერდზე აქვს გადახრილი, ყელი და კეფა და თავითა და ცხვირით ხვრელის კიდეს წამოდებული ლეკვი შიგ ველარ გადის. ამ დროს ვეტერინარის დახმარება აუცილებელია.

მშობიარობა რთულდება მაშინაც, როდესაც ორი ლეკვი ერთად მიადგება მენჯის ხვრელს და ვერც ერთი ველარ ეტევა.

შედარებით იშვიათად ხდება ისეთი რამ, რაც ერთ-ერთ ჩემს ძუს დაემართა: ლეკვმა, სამშობიარო გზებით წამოსვლის მაგივრად, საშვილოსნოს მეორე რქისკენ დაიწყო გზის გაკვლევა. ასეთ შემთხვევაში, ძუს და ლეკვების ერთადერთი გადარჩენას - დიაგნოზის დასმა და საკეისრო გაკვეთაა. "მრუდე გზით" მავალი ლეკვის ხსნას ალბათ ვერ მოახერხებთ, მაგრამ ძუს და დანარჩენ ლეკვებს კი გადაარჩენთ, თუ დაუყოვნებლივ გაკეთდება საკეისრო გაკვეთა.

*წიგნიდან "ძაღლი და მისი მოშენება"*

# სანადირო ძაღლების 63-ე რესპუბლიკური გამოფენა





***რედაქციისაგან:*** *ეს წერილი ზაფხულის დასაწყისში უნდა გამოქვეყნებულიყო გამოფენის ჩატარებისთანავე. მაგრამ, მიზეზთა გამო, იმ თვეებში "მონადირის" ბეჭდვა ველარ ხერხდებოდა. სჯობს გვიან, ვიდრე არასდროსო, ამ პრინციპიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებითაც, რომ სამონადირეო მეძაღლეობისათვის ამგვარ გამოფენებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს და ყოველთვის უზარმაზარ ინტერესს იწვევს, დაგვიანებით გთავაზობთ მთავარი მსაჯის, პირველი კატეგორიის ექსპერტის მიმოხილვას.*

დათო ცხვედიანი

2003 წლის 7-8 ივნისს თბილისში, იპოდრომის ტერიტორიაზე, "სანადირო მეძაღლეობისა და ძაღლით ნადირობის მოყვარულთა საზოგადოებამ" ჩაატარა ყველა ჯიშის სანადირო ძაღლების გამოფენა. ეს გამოფენა საზოგადოებისათვის პირველი იყო, მაგრამ რადგან ჩვენ საქართველოს მონკავშირის ტრადიციებს ვაგრძელებთ, ამიტომ ის 63-ე რესპუბლიკური ღია გამოფენის ეგიდით გაიმართა.

ღონისძიება კარგად იყო ორგანიზებული, ამინდმაც გაამართლა და გამოფენამ მონაწილეთა გარდა, უამრავი დაინტერესებული მაყურებელიც მოიზიდა.

თბილისელთა გარდა გამოფენაში მონაწილეობდნენ: გურჯაანის, გარდაბნის, რუსთავის, მცხეთის, გორის, ზესტაფონის, სენაკის წარმომადგენლები. სულ ექსპონირებული იყო 183 ძაღლი, რაც უკანასკნელი ათწლეულის საუკეთესო მაჩვენებელია. სამწუხაროდ, გამოფენას არ ესწრებოდნენ გურიის რეგიონისა და აჭარის მოყვარული მონადირეები, არადა, წინა წლებში ისინი ყოველთვის ხალისით მონაწილეობდნენ მსგავს ღონისძიებებში. აჭარლები კი ხშირად გუნდური შეჯიბრების გამარჯვებულებიც იყვნენ ხოლმე. ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს უკვე ამ ზაფხულს აღვადგინოთ მათთან კავშირი და მომავალ წელს ჩავრთოთ ისინი არა მარტო გამოფენებში, არამედ საველე შეჯიბრებებშიც.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო 14 ჯიშის სანადირო ძაღლი. ტრადიციულ ჯიშებს ამ გამოფენაზე ჩვენთვის ერთი ახალი ჯიში - ვაიმარული მეძებარიც დაემატა.

რაოდენობით ყველას სჭარბობდნენ პოინტერები - 35 მეძებარი. რაოდენობა კარგია და ეს გასაკვირიც არაა. პოინტერი ჩვენში ყოველთვის პოპულარული იყო. რაც შეეხება ექსტერიერს, უკეთესია სასურველი. წლიდან წლამდე თანდათანობით კლებულობს სეტერების რაოდენობა. განსაკუთრებით ირლანდიური სეტერებისა. ნიშანდობლივია, რომ გამოფენაზე უმცროსი ასაკობრივი ჯგუფის არც ერთი ძუ ძაღლი არ იყო. ეს მით უფრო გასაკვირია, როცა გვყავს ამ ჯიშის რამდენიმე საინტერესო მეძებარი კარგი საველე მონაცემებით. მათ შორის I ხარისხის საველე დიპლომის მფლობელიც. შედარებით სტაბილურია კონტინენტური მეძებრების რაოდენობა, თუმცა რეზერვი აქაც არის. მატულობს სოროს ძაღლების, სპანიელების (რამდენიმე წლის შემდეგ გამოფენაზე გამოჩნდნენ რუსული სანადირო სპანიელებიც) და, განსაკუთრებით, მდევრების რიცხვი.

183 ძაღლიდან 89 იყო ძუ, 94 - ხვადი. შეფასება ფრიადი დაიმსახურა 67-მა ძაღლმა, ანუ ერთ მესამედზე მეტმა. შედარებით ლიბერალური ექსპერტიზის მიუხედავად, შედეგი მაღალი და სასიხარულოა. 91-მა ძაღლმა მიიღო შეფასება ძლიერ კარგი, 12-მა - კარგი, ხოლო 3-მა - დამაკმაყოფილებელი.

საველე დიპლომი ჰქონდა 33 ძაღლს. ყველა მათგანი დაჯილდოვდა შესაბამისი დიპლომით, მედლითა და ფასიანი საჩუქრით. დიპლომირებულთა მაჩვენებელი ურიგო არაა, თუ გავითვალისწინებთ, რომ საველე დიპლომი საერთოდ არა აქვთ სოროს ძაღლებს (ხელოვნური სოროს არარსებობის გამო), სპანიელებს. მდევრებიდან კი აქვს მხოლოდ სამს. საზოგადოება ყოველმხრივ მზად არის, ცალკე ჩაატაროს საველე გამოცდები სპანიელებისა და მდევრებისათვის. მთავარია, ამ ძაღლების მფლობელთა მხრიდან იყოს სათანადო მონდომება და დაინტერესება. თუ საკმარისი რაოდენობის თანხა გაგვიჩნდა, დაგეგმილი გვაქვს ხელოვნური სოროს აშენებაც.

ჯიშების მიხედვით გამოფენის გამარჯვებულნი გახდნენ:

**პოინტერები** - ა. ოვანესიანის "ტოპი" და გ. გოგოლაძის "ჯესი II".

**ინგლისური სეტერები** - შ. შამანაძის "ჯიმი" (ჩემპიონი, ელიტა კლასი) და ნ. როსტიაშვილის "ბობი".

**ირლანდიური სეტერები** - შ. შამანაძის "ბაკ მალიგანი" და გ. ესიავას "მარტა".

**კურცჰაარები** - გ. დევდარიანის "ციტ-ლოიდი" და ე. ეგიაზარიანის "ლედი".

**დრათჰაარები** - ა. კახაიას "გროსი", ა. კრავჩენკოს "ადა" (ჩემპიონი. ელიტა კლასი).

**რუსული მდევარი** - მ. იაშვილის "ლაკი".

**რუსული ჭრელი მდევარი** - ო. მიქაბერიძის "ნაიდა".

**ესტონური მდევარი** - თ. ჯოხაძის "ბადა".

საბოლოოდ, უნდა ითქვას, რომ გამოფენამ საქმიან, მშვიდ ატმოსფეროში ჩაიარა, რაც ყველა მონაწილისა და საექსპორტო კომისიის დამსახურებაა. ცალკე აღნიშვნის ღირსია კომპანია "პედიგრი"-ს ხელმძღვანელობისა და იპოდრომის დირექტორის ბატონ ლაშა ჯაიანის უანგარო დახმარება და თანადგომა.





# მოძრაობის მიმართულების შეცვლა ბრძანების მიხედვით

როგორც წესი, ამ სავარჯიშოს შესრულებას ძაღლის პატრონები დიდ ყურადღებას არ აქცევენ. სეირნობისას, მინდორში ან სხვა ადგილას, ხანდახან ისეც ხდება, რომ მეძებარი თავად იწყებს ქარის საწინააღმდეგო მიმართულებით "მექოსებრ" მოძრაობას (როგორც კლასიკური გეშვის წესები ითხოვს). პატრონი თავისი ოთხფეხა შეგირდის ამგვარ სწორ ძებნას ერთი-ორჯერ რომ თვალს შეავლებს, თავი ქუდში ჰგონია. სხვები, პირიქით, ათას წიგნსა და სახელმძღვანელოს გადააბულბულებენ, უამრავ მეთოდს ერთდროულად ჩაიბეჭდავენ გონებაში და ძაღლისთვის სწორი ძებნის შესწავლას უზარმაზარ ენერგიასა და დროს ახარჯავენ (ყველის ან ძეხვის ნაჭრების მინდვრის თავსა და ბოლოში ზუსტ პარალელებზე განთავსება, 60-80-მეტრიანი ქორდის გამოყენება და ა.შ.). ამიტომ არ ღირს უკიდურესობებში გადავარდნა და აწონ-დაწონილად, რაციონალურად გარჯა სჯობს. მიმართულების შეცვლა ბრძანების მიხედვით მარტო გეშვისას კი არ არის მოსახერხებელი, პრაქტიკულ ნადირობაშიც ძალიან გამოსადეგია. ამ სავარჯიშოს დამუშავებისას მეძებარი ეჩვევა პატრონის ჟესტებისა და მოქმედებისადმი თვალყურის დევნებას. სწორედ ამგვარად მყარდება მონადირესა და მის ოთხფეხა თანაშემწეს შორის აუცილებელი კონტაქტი. ასეთ ძაღლზე იტყვიან: "სიტყვის თქმა აღარ უნდა, პატრონის ერთი შეხედვაც საკმარისიაო". პრაქტიკულად, ნადირობისას ასეც უნდა ხდებოდეს და კარგად გაწვრთნილი და გაწაფული ძაღლის შემთხვევაში, ასეც ხდება.

სინამდვილეში, ამ სავარჯიშოს დამუშავება საკმაოდ ადვილია. ჩვეულებრივი გასეირნების დროსაც შეიძლება მისი შეთვისება. აი, ძაღლთან ერთად გამოსული ხართ მუხლის გასამართად. იგი რაღაცამ დააინტერესა და საკმაო მანძილზე დაგშორდათ, თითქოს, დაავიწყდით კიდეც. სწორედ ამ დროს უნდა მიიქციოთ მისი ყურადღება. დაუსტვინეთ, დაუძახეთ და როცა ძაღლი თქვენკენ მოიხედავს, ხელი იმ მიმართულებით გაუქნიეთ, საითაც აპირებთ გზის გაგრძელებას. თუ ძაღლი სასტვენზე არ რეაგირებს და ადგილიდან არ იძვრის, თავად გაიქეცით ცოტაოდენზე, იქნება, გამოგეკიდოთ. რამდენიმე წუთით ისევ ნებაზე მიუშვით და მერე კვლავ გაიმეორეთ იგივე ქმედებანი, ოღონდ სხვა მიმართულებით. თანდათან შეიძლება ამ სავარჯიშოს დაკავშირება ბრძანებასთან "აპორტ". როცა ძაღლი გადაგდებული სათრეველას ძებნას დაიწყებს, მიუთითეთ ხოლმე სტვენით და ჟესტით სწორი გეზი, გაამხნევეთ "მონახე-მონახეთი" და სასურველი მიმართულებით წამოიყვანეთ.

როცა თქვენი შეგირდი, ასე თუ ისე, თავს მოაბამს ამ ბრძანებების შესრულებას, შეიძლება "ნადირობანას" თამაშზეც გადასვლა. დასვით ძაღლი (ან საყელურზე ხელი მოკიდეთ და გააჩერეთ), ქარის საწინააღმდეგოდ გადაუგდეთ სათრეველა (ფრინველის ფრთა ან კურდღლის კანჭი) საკმაოდ შორს და თან ეცადეთ, დაცემის ადგილი ვერ შეამჩნიოს. კიდევ უკეთესია, ვინმემ ხელი რომ შეგაშველოთ, სათრეველა წაიღოს და მოშორებით დამალოს. ცოტა ხანს იჯდეს ძაღლი, მერე მოსატანად გაგზავნეთ, თან უმეორეთ - "მონახე, მონახე", აცვლევინეთ მოძრაობის მიმართულება ჟესტით და ნელ-ნელა სათრეველასთან მიიყვანეთ. ამასთან, კარგი იქნება, გზადაგზა, ერთი-ორჯერ ძაღლს თუ დასვამთ კიდეც (შემაჩერებელი ბრძანებით). მეძებარი სათრეველას როგორც კი იპოვის, აუცილებლად მოეფერეთ და შეაგულიანეთ. ასეთი ვარჯიშებით ძაღლის გადატვირთვა არ ღირს - სასეირნოდ თითო გაყვანაზე სამი-ოთხი ჯერი საკმარისია. დროთა განმავლობაში გაუძნელეთ გაკვეთილი. სათრეველა ბუჩქებზე შეუკიდეთ, ძნელად მისადგომ ადგილებში დაუმალეთ. თავად ადგილზე დარჩით და ბრძანებებით აიძულეთ ძაღლი, ყველა ქმედება დამოუკიდებლად შეასრულოს. ოღონდ არ დაგავიწყდეთ, რომ ძაღლმა სათრეველა ყოველთვის ქარის საწინააღმდეგოდ უნდა ძებნოს. თქვენი შეგირდი ამ კომპლექსურ სავარჯიშოებს თუ ხუთიანზე აითვისებს, დარწმუნებული იყავით, მინდორში გაყვანისა და ფრინველთან შეხვედრის დროსაც არ შეირცხვენს თავს.

*წიგნიდან "ძაღლის წვრთნა და გეშვა"*



# პრადო გოიას იშვიათი ტილოებით შეივსო



*გოიას გრავიურა*

მადრიდის პრადოს მუზეუმი, სადაც დიდი ესპანელი მხატვრის ფრანსისკო გოიას ნამუშევრების, მსოფლიოში ყველაზე სრულყოფილი კოლექცია ინახება, კიდევ სამი ტილოთი შეივსო.

სამშაბათს, პრადოს მუზეუმში შეიტანეს ნახატები "წმინდა ოჯახი", "ტობიასი და ანგელოსი", რომლებიც გოიამ 1787 წელს დახატა. ასევე "პატარა წმიდა იოანე ნათლისმცემელი მიდის უდაბნოში", იგი 1808 წლით თარიღდება.

გოიას პირველი ორი ნამუშევარი მუზეუმს, შემნახველი ბანკის "კახა მადრიდის" საშუალებით გადაეცა, რომელიც ადრე კერძო კოლექციონერისგან 4 მილიონ ევროდ შეიძინა.

ბანკმა მუზეუმს ნახატები იმ პირობით გადასცა, რომ მაგიერში მათ საგადასახადო დავალიანება დაუფარონ. საგადასახადო სისტემაში იურიდიული ორგანიზაციებისა და ფიზიკური პირების გადასახადების გადახდის ეს ფორმა, ესპანელი კანონმდებლების მიერაა გათვალისწინებული და საკმაოდ ხშირად გამოიყენება.

"წმიდა ოჯახი" და "ტობიასი და ანგელოსის" შესახებ ახლო წარსულამდე არ იცოდნენ. სურათები გოიას შემოქმედების კატალოგებში არ ფიგურირებდა. მე-19 საუკუნის ბოლოს, ისინი კერძო მფლობელობაში ინახებოდა, ისე რომ არ იცოდნენ თუ რა სიმდიდრის პატრონები იყვნენ, რადგანაც ტილოებზე ავტორის გვარი არ ეწერა.

რამდენიმე თვის წინათ, ნახატების მფლობელმა ორივე ნახატის გაყიდვა გადაწყვიტა. კერძო შემფასებლებმა ტილოები მილიონნახევარ ევროდ შეუფასეს. ნახატების მეპატრონემ, უფრო დიდი თანხის მიღების მიზნით პრადოს მუზეუმის ექსპერტებს მიმართა.

ერთ-ერთი მათგანი ცნობილი ხელოვნებათმცოდნე რიჩარდ დე ვილერმინმა, XVII-XVIII საუკუნის ესპანური და იტალიური ფერწერის უძლიერესმა სპეციალისტმა, დაადასტურა, რომ ტილოები გოიას მიერაა დახატული, რაც შემდგომმა გამოძიებებმაც ცხადყო. რის შემდეგაც, უდიდესი ფერმწერის მხატვრული მემკვიდრეობა, კიდევ ორი ტილოთი გამდიდრდა.

# ბერტრან კანტს გაასამართლებენ



*მარი ტრენტინიანი*

ფრანგ როკ-მომღერალს ბერტრან კანტს, რომელიც მეუღლის, ცნობილი ფრანგი მსახიობის მარი ტრენტინიანის მკვლელობაშია ეჭვმიტანილი, 2004 წლის დასაწყისში გაასამართლებენ. თუკი მომღერალს დაუმტკიცდება დანაშაული, მაშინ მას 15 წლიანი პატიმრობა ემუქრება.

ლიტვის საგამოძიებო ორგანოებში დარწმუნებულები არიან, რომ მკვლელობა განზრახ იყო ჩადენილი. "ამას გარდა, მკვლელმა არაფერი იღონა მსხვერპლის გადასარჩენად", - აცხადებენ ისინი. "ვილნიუსის პროკურატურისთვის ყველაფერი ნათელია. სასამართლომ შესაძლოა, სხვაგვარი დასკვნა გამოიტანოს, მაგრამ პირადად მე კანტის ბრალეულობაში ეჭვი არ მეპარება", - თქვა ვილნიუსის პროკურორმა.

აღსანიშნავია, რომ ამჟამად კანტი ვილნიუსის ციხეში წინასწარ პატიმრობაშია.

## სკანვორდი




# TV პროგრამა

*18 დეკემბერი*

### რუსთავი - 2

**07.00** დილა მშვიდობისა **07.10** სერიალი "ჯადოქარი" **09.40** სერიალი "ასულ ტეკილა" **10.20** დოკ. ფილმი "გურმანთა მეგზური" **11.00** სერიალი "სოპრანოს კლანი" **12.00, 15.00** კურიერი **12.15** სერიალი "სასტიკი ანგელოზი" **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.30** სერიალი "ასულ ტეკილა" **18.00, 21.00, 02.00** კურიერი **18.25** სერიალი "ჯადოქარი" **19.00** სერიალი "მაშველები" **19.45** სერიალი "სასტიკი ანგელოზი" **22.00** სერიალი "სოპრანოს კლანი" **22.50** ღამის კურიერი **00.30** სერიალი "სექსი დიდ ქალაქში" **01.00** მხ.ფილმი "ფრიდა". მთ. რ-ში: სელმა ჰაიეკი, ალფრედ მოლინა

### პირველი არხი

**07.30** ალიონი **09.45** დოკ. სერიალი "ბუნების სამყარო" **10.00** მხ. ფილმი "შავი წერტილი" **11.50, 21.35** კრიმინალური ქრონიკა **12.00, 15.00, 20.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი "სოლედადი" **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ინგლ. ენაზე **14.05** ინგლისური ენის გაკვეთილი **14.30** დოკ. სერიალი "ორიენტირი" მე-6ს. **15.15** მხ. ფილმი "წითელი დრაკონი" **16.40** დოკ. ფილმი "სტანისლავსკის საუკუნე" 1-ლი ს. **17.40** რამპა **17.45** ერთი თეთრიც ფულია **18.00** ვესტნიკი **18.20** ტელესერიალი "სოლედადი" **19.15** ჯანმრთელობა **19.40** ბასტი-ბუბუ **21.00** ტელეთამაში "იმღერე რამე" **21.45** ეკონომიქსი **22.30** რა ხდება **00.00** მხ. ფილმი "რა იცოდა მიზიმ"

### პირველი სტერეო

**08.00** მუსიკა **09.00** ტოროლა **12.00** ფილმი **14.00** მუსიკა **16.00** ფილმი "სიმონა". მთ. რ-ში ალ პაჩინო, კეტრინ კინერი. **18.00, 19.15** ქართული მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **20.50** ათი ლექსი **21.15** უცხ. მუსათეული **22.35** მუსიკა **23.00** აბა გამოიცანი მელოდია **00.00** "ბრავო" "დაღი". მთ. რ-ში ბილი ბობ ტორნტონი, პატრისია არკეტი. **01.50** "ღამურა" მხ. ფილმი "მსოფლიოს სახურავი". მთ. რ-ში პიტერ უელერი, დენის ხოპერი. **03.00** პაუზის გარეშე

### მზე

**09.00** "ღამის მზერა" (გან) **10.00** სერიალი "მარია ემილია" **11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** დღის კინოდარბაზი **18.30** მულტსერიალი "ჯადოსნური ტყე" **19.00** სერიალი "მარია ემილია" **20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **20.45** მხ. ფილმი "იამაკასი" **22.45** საინფ. გამოშვება "ღამის მზერა" **23.45** მხ. ფილმი "კლონების შემოტევა"

### მეორე არხი

**19.00, 22.00** "მოამბე" მეორე არხზე **19.10** მულტფილმი **19.30** კინოსეანსი "საუკეთესო საუკეთესოთა შორის 4" **21.00** შვიდეული **22.10** მხ. ფილმი "ფხიზელი ძაღლი"

### კავკასია

**12.00** მხ. ფილმი "ნიკი ეშმაკის შვილი" **13.30** მხ. ფილმი "სერიოზული საქმე" **15.00** მხ. ფილმი "ჩემი დედინაცვალი უცხოპლანეტელია" **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** მხ. ფილმი "ძვლების მტვრეველი" **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი "რეგენერატორი" **22.30** მხ. ფილმი "გადამზიდავი"

### იბერია

**08.00** ანონსი **08.05** დიალოგი **11.00** სერიალი "ლიცეუმი" **12.30** დოკ. ფილმი **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45** ახალი ამბები **13.10, 17.30** მულტსერიალი "კაპიტანი სიმიანი და კოსმიური მაიმუნები" **13.30, 18.00** დოკ. ფილმი **14.50, 17.20, 17.50, 21.55** მუსიკა **15.15** მხ. ფილმი "შესანიშნავი გუნდი" **18.45** ბუნების ფერები **20.00** ტელე-სინე-ვიდეო (განმ.) **21.00** სერიალი "ლიცეუმი" **22.15, 23.00** დიალოგი **23.45** მხ. ფილმი "ცისფერი ჩაფხუტი"

### მეცხრე არხი

**08.00** პროგრამა "დილა" **10.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00** დღის ამბები **10.15, 16.20, 17.50, 22.10** მუსიკა **10.30** სერიალი "მოჯადოება" **11.30** მხ. ფილმი "ძარცვა იტალიურად" **13.30** მოკლ. მხ. ფილმი **14.00** მულტსერიალი "სიმბა მეფე ლომი" **14.50** "ევროპის სტადიონებზე" **15.10** სერიალი "პატარა აინშტაინები" **15.35** სერიალი "სირინოზები" **16.35** დოკ. სერიალი "ამოუცნობი ცოცხალი ორგანიზმები" **17.00** მხ. სერიალი "სამოდელო სკოლა" **18.00** მულტსერიალი "სიმბა მეფე ლომი" **18.30** სერიალი "პატარა აინშტაინები" **19.00** სერიალი "სირინოზები" **20.00** "ქართული ფეხბურთი" **21.15** სერიალი "მოჯადოება" **22.20** "ტელემეტრი" **22.30** "ყვითელი კვადრატი" **23.00** მოკლ. მხ. ფილმი **23.20** "ცხელი ცხრიანი" **00.30** რუს. მხ. ფილმი "კოცნა"

### იმედი

**07.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00** ქრონიკა **07.15, 10.00, 13.15, 17.20, 00.50** იმედის მელოდიები **07.45** "იმედის" დილა **10.05** სერიალი "სიყვარული უდაბნოში" **11.05** თამაში "უდაბნოს სამჭედლოები" მე-2 ს. **12.10** სერიალი "კლონი" **13.30** სერიალი "უკიდურესი ზღვარი" **14.05** სერიალი "ნეშ ბრიჯისი" **15.15** მხ. ფილმი "მაქიმალური გადატვირთვა" **17.00, 18.00, 19.00, 21.00, 22.00, 00.35** ქრონიკა **17.25** ერთხელ ჰოლივუდში **18.05** სერიალი "სიყვარული უდაბნოში" **19.30** სერიალი "კლონი" **20.30** სერიალი "ნეშ ბრიჯისი" **21.30** სპ. პროგრამა "ესტაფეტა" **22.50** მხ. ფილმი "რატომაც არა პატარავ"

### არხი

**08.00, 03.00** საინფორმაციო დაიჯესტი **08.40** მუსიკა **09.00, 12.00, 16.00** საინფ. გამოშვება "დღეს" **09.20, 12.10, 16.10** საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" **09.30** ფილმი-კატასტროფა "ბრიტანიკი" **11.05** დოკუმენტური ფილმი **12.20** მელოდრამა "საკმარისია" **14.00, 18.00** საინფორმაციო დაიჯესტი **14.05** მელოდრამა "საკმარისია"(გაგრძ.) **14.20** მუსიკა **14.35** კომედია "დიდი ტურნე" **16.20** მულტფილმი "მაგიური ტელესკოპი" **17.10** ბოევიკი "გადამზიდი" **19.00, 22.00, 00.00** საინფ. გამოშვება "დღეს" **19.15, 22.30, 00.20** საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" **19.30** "დღეს მსოფლიოში" **20.00** მხატვრული ფილმი "ოცეული" **23.00** საინფ. გამოშვება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე **23.20** "ექსკლუზივი" **00.40** საინფ. გამოშვება ინგლისურ და გერმანულ ენებზე **01.00, 05.40** მუსიკა **01.15** კომედია "ვირთხების რბოლა" **03.40** მელოდრამა "გულთან ახლოს"

### VII არხი

**09.10** მელოდია **09.15** "აჩიკუდა" **09.35** მობილურები **10.00** სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" - ესპანეთის ჩემპიონატის მიმოხილვა (გამეორებით) **10.30** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **10.50** მელოდია . **11.30** აუდიო-ვიდეო-ტელე **12.20** ტელესერიალი - "აღმოსავლეთ -დასავლეთი" **13.05** დისნეი და მისი მეგობრები **13.30** მელოდია **13.45** კომპიუტერული ტექნიკა **18.20** მობილურები **19.00** "აჩიკუდა" **19.30** მელოდია - მოკლე შეტყობინებები **20.25** კომპიუტერული ტექნიკა **21.00** "ღამის კაპრიზი" **21.50** აუდიო-ვიდეო-ტელე **22.30** "კინოკლუბი " - "ცხელი თავები"-მე-2 სერია . **23.50** მელოდია **00.20** ტელესერიალი - "აღმოსავლეთ -დასავლეთი" **01.00** საყოფაცხოვრებო ტექნიკა

### ОРТ

**07.00** "Доброе утро" **10.00, 19.00** Новости **10.20 Детектив "Участок" 11.30, 20.00 Сериал "Земля любви, земля надежды" 12.20** "Ералаш" **12.40** Дисней-клуб: "Базз и его команда" **13.00** Прямая линия с Президентом Российской Федерации В.В.Путиным **16.20** "Угадай медодию" **16.50 Сериал "Берег мечты" 17.50** "Большая стирка" **19.30** Док. детектив. "Рыбная квота на отстрел" **21.00** "Слабое звено" **22.00, 00.30** Время **22.45 Детектив "Участок" 23.50** "Человек и закон" **00.50** Хоккей. Межд. турнир "Кубок "Балтики". Сб. России - сб. Финляндии **02.40 Коломбо возвращается в детективе "План убийства" 04.05 Фильм "Биодом" 05.40, 06.05 Сериал "Полтергейст - IV" 06.20** "Шутка за шуткой"

### РТР

**06.00** Доброе утро, Россия! **09.45 Сериал "ЛИНИИ СУДЬБЫ" 10.45** Аншлаг. **11.45, 17.30, 01.15** Вести. Дежурная часть. **12.00, 15.00, 18.00, 21.35** Вести. **12.30, 15.10, 17.40** Местное время. Вести-Москва. **12.30** "Городок". Дайджест **13.00** Прямая линия с Президентом В. Путиным. **15.30** "Что хочет женщина". Ток-шоу Елены Яковлевой. **16.30 Сериал "ПРАВО НА ЗАЩИТУ" 18.10** "Частная жизнь". Ток-шоу **19.05 Сериал "УНДИНА" 20.00** Прямая линия с Президентом В. Путиным. **21.35** Вести. **21.55 Сериал "ЛИНИИ СУДЬБЫ" 00.00** Вести+. **00.20** "Исторические хроники". "1911. Петр Столыпин". **01.30 Джим Керри в фильме "ШОУ ТРУМЭНА" 03.30** Дорожный патруль. **03.50** Агентство одиноких сердец. **04.10 Сериал "АНГЕЛЫ ЧАРЛИ"**

### НТВ

**07.00** Утро на НТВ **09.50 Сериал "ЧУЖОЕ ЛИЦО" 11.00** Сегодня утром. **11.25** Квартирный вопрос: Маша и кровать. **12.15** Ток-шоу "Страна советов". **13.00, 16.00, 18.00, 20.00, 02.10** "Сегодня" **13.30** Чистосердечное признание. **14.00 Георгий Жженов в детективе "СУДЬБА РЕЗИДЕНТА" 1 с. 15.40** По праву. **16.35** Ток-шоу "Принцип домино". **18.25 Сериал "ОНА НАПИСАЛА УБИЙСТВО" 19.35** "Моя любимая... машина". "Профессия – репортер" **20.40 Сериал "МОСКВА. ЦЕНТРАЛЬНЫЙ ОКРУГ" 21.50 Сериал "ЧУЖОЕ ЛИЦО" 23.00** "Страна и мир" **23.35** Красная стрела. **23.50** "К барьеру!" Ток-шоу Владимира Соловьева. **01.05** Премьера. "Новейшая история: бежать из Гулага" **02.30** Гордон. **03.20 Сериал "ЗА ГРАНЬЮ ВОЗМОЖНОГО"**

# უძვირფასესი ზარი



ჰოლივუდის მსახიობმა, ბენ აფლეკმა, რომელმაც ჯენიფერ ლოპესთან ჩახლართული ურთიერთობით გაითქვა სახელი, ერთი სატელეფონო ზარით 10 ათასი დოლარი გააკეთა.

ნიუ იორკელმა რადიო-დიჯეიმ, ჰოვარდ შტერნმა, რომელიც, სხვათა შორის, თვითონაც ცნობილი ადამიანი ბრძანდება, თავის გადაცემაში გამოაცხადა, რომ ის, ვინც აფლეკთან ინტერვიუს აღებაში დაეხმარებოდა, ათი ათას დოლარს მიიღებდა გასამრჯელოდ. ცოტა ხანში ტელეფონმაც დარეკა. ხაზზე თავად ბენ აფლეკი იყო.

შტერნს ჯერ ენა დაება, მაგრამ მალე მოეგო გონს და აფლეკისა და ლოპესის სექსის ამბებით დაინტერესდა. კარგი იყო? "შესანიშნავი," თქვა ვარსკვლავმა, "თითქმის ისეთივე შესანიშნავი, როგორიც ჩემი ახალი ფილმია".

ცხადია, აფლეკმა 10 ათასიც მოითხოვა – საქველმოქმედო საქმეებში დასაბანდებლად.

# ჰაიდი + ფლავიო



ტოპ-მოდელი ჰაიდი კლუმი მალე დედა გახდება. ყოველ შემთხვევაში, ბრიტანული მედია ამაში დარწმუნებულია. ახალი ამბების სააგენტო PA იუწყება: "ჰაიდი კლუმი და იტალიელი ბიზნესმენი ფლავიო ბრიატორე სიხარულით გვატყობინებენ, რომ გაზაფხულზე შვილი ეყოლებათ".

ჟურნალისტები ხალისობენ, რომ ნაომი კემპბელს ალბათ გული უსკდება: სანამ გერმანელ ლამაზმანს გაიცნობდა, მულტიმილიონერი ბრიატორე მისი თაყვანისმცემელი იყო. ასეთი კაცისგან შვილი კი ყველას უნდა, შესაბამისად, ნაომისაც.

# ახალი ფურცელი ლედი დის სიკვდილში

პრინცესა დაიანას და დოდი ალფაიედის სიკვდილი დღემდე საიდუმლოებითაა მოცული. არსებული ოფიციალური ვერსიის თანახმად საყვარლების დაღუპვაში ბრალი ედება მძღოლს ანრი პოლს, რომელიც იმ საღამოს ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა. ამავე დროს მრავალრიცხოვანი ჟურნალისტების გამოძიებების, წიგნებისა და დოკუმენტური ფილმების მიუხედავად, ამ თემაზე დღემდე არანაირი მოსაზრება არ არსებობს. თუმცა ბოლო 6 წლის განმავლობაში დაიანასა და დოდის სიკვდილი გამოძიების საგანი არ გამხდარა.

უახლოეს მომავალში ამ საქმის ვითარება შესაძლოა შეიცვალოს: ლედი დის მეგობრის მამა, მოჰამედ ალ-ფაიედი, რომელიც ლონდონის ერთ-ერთი ცნობილი უნივერმაღის, "ჰეროდსის" მფლობელია, შოტლანდიაში, გამოძიების აღძვრას შეეცდება. ფორმალურად ეგვიპტელ მილიონერს ამის სრული უფლება აქვს: იგი კოშკის მფლობელია და ამ რეგიონში უკვე 35 წელიწადია ცხოვრობს. ამდენად მას შეუძლია ისარგებლოს ადგილობრივი იურიდიული სისტემით.

თუმცა, პირველი ცდა შოტლანდიის სასამართლოში წარუმატებლად დასრულდა: 2003 წლის დასაწყისში, ლორდ-ადვოკატმა შოტლანდიელმა კოლინ ბოიდმა გადადო ალ-ფაიედის შეწყალება, მისი შვილისა და პრინცესა დიანას სიკვდილთან დაკავშირებით, სახალხო გამოძიების აღძვრაზე. ახლა ბიზნესმენი აპირებს, გადახედოს ამ გადაწყვეტილებას.

უნუგეშო მამა დარწმუნებულია, რომ ადამიანის უფლებების ევროპული კონვენციის მიხედვით, მას უფლება აქვს, მიიღოს სარწმუნო ინფორმაცია და დაადგინოს მისი შვილის სიკვდილის ნამდვილი მიზეზი. მით უმეტეს, რომ არსებობს ყველანაირი დამადასტურებელი საბუთი იმისა, რომ იგი ძალადობრივი იყო. შეგახსენებთ, ალ-ფაიედი, და მასთან ერთად მრავალი ჟურნალისტი ამტკიცებდა, რომ არსებობდა შეთანხმება ან სპეცსამსახურების მონაწილეობის დაფარვის მცდელობა კატასტროფის ორგანიზებაში ალმას გვირაბში. მუჰამედი ისევ ამტკიცებს, რომ დაიანასა და დოდის სიკვდილი, ბრიტანელი სპეცსამსახურის მოწყობილია, მათ არ დაუშვეს, ტახტის მემკვიდრის ყოფილი მეუღლისა და მუსულმანის ქორწილი.



# ორი ბილეთი კოსმოსში

ამერიკულმა კომპანიამ Space Adventures–მა ("კოსმოსური თავგადასავლები"), რომელიც "როსავიაკოსმოსთან" შეთანხმებით კოსმოსურ ხომალდზე საგზურების გაყიდვითაა დაკავებული, სამშაბათს განაცხადა, რომ ექსპედიციისთვის ორი ადგილი საერთაშორისო კოსმიურ ხომალდზე ამერიკელებმა იყიდეს.

მომავალი კოსმიური ტურისტების სახელებს ჯერ არ ახმაურებენ. ცნობილია, მხოლოდ ის, რომ ერთ-ერთი მათგანი – 38 წლის მანჰეტენელია, მეორე ტურისტზე არანაირი ინფორმაცია, ჯერჯერობით, არ არსებობს.

მოგზაურობაში, რომელიც 8-10 დღე უნდა გაგრძელდეს, ამერიკელებმა ოც-ოცი მილიონი დოლარი გადაიხადეს. ხომალდზე მოხვედრის კიდევ ორ მსურველს შეუძლია ბილეთების შეძენა, იტყობინება Space Adventures.

2003 წლის იანვარში, როდესაც კოსმოსურ ხომალდზე შესაძლო გამგზავრების შესახებ გაკეთდა განცხადება, სურვილი კოსმოსში გაფრენაზე 10-მა კაცმა გამოთქვა. მათ სამედიცინო გამოკვლევა ჩაუტარდათ, რომელზეც გარკვეული თანხის გადახდა მოუწიათ. Space Adventures–ის გენერალური დირექტორის და მენეჯერის - ერიკ ანდერსონის თქმით, მაშინ მხოლოდ ორი კანდიდატი იყო შერჩეული, რადგან აუცილებელ მოთხოვნას კოსმოსში გამგზავრებისთვის მხოლოდ მათი ჯანმრთელობა შეესაბამებოდა.

ორ კანდიდატთაგან შერჩეული ერთ-ერთი, ხომალდზე 2004 წლის მეორე ნახევარში გაემგზავრება, მეორე კი 2005-ში.

"როსავიაკოსმოსი"-ის განცხადებით, 2005 წელს ხომალდზე ორი ტურისტის და ერთი პროფესიონალი კოსმონავტის გამგზავრება იქნება შესაძლებელი. ამასთანავე, ერთ-ერთ ტურისტს დამატებითი მომზადების გავლა მოუწევს, რათა კოსმიური ხომალდის ბორტინჟინრობა გასწიოს.
















## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.